



UNITED NATIONS
INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Confederation

Federal Department of Economic Affairs,
Education and Research EAER
State Secretariat for Economic Affairs SECO



GOSP


GLOBAL QUALITY
AND STANDARDS PROGRAMME



საქართველო

ხილისა და ბოსტნეულის
შესაბამისობის შეფასების
გაძლიერება

ღირებულებათა ჯაჭვის კვლევა



ხილის და ბოსტნეულის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი საქართველოში

ყურადღება გამახვილდა ხასრისხის და
ინფრასტრუქტურის შესაბამისობის,
ეკონომიკური, სოციალური და მდგრადობის
მოთხოვნების მიმართ

მადლობა

აღნიშნული პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიერ გლობალური ხარისხისა და სტანდარტების პროგრამის (GQSP) ფარგლებში, GQSP პროგრამის კოორდინატორისა და პროექტის მენეჯერის, ქალბატონი დორინა ნათის საერთო ხელმძღვანელობით. ტექნიკური მონაცემები და კოორდინაცია უზრუნველყო ქალბატონმა ნინო მანველიძემ, ეროვნულმა ტექნიკურმა მრჩეველმა. პუბლიკაცია ემყარება ბერნის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტის (BFH) კვლევას. განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ კვლევითი ჯგუფის მიმართ, დომინიკ ბლექლერის, ეკატერინე ბურკადის, პია ფელეს, სალომე გელაშვილის, ფატიმა მამარდაშვილის, სოფი მარჩესის და სიუზან ზუელის შემადგენლობით. ამ პუბლიკაციის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროექტის ყველა ძირითადმა დანტერესებულმა მხარემ, განსაკუთრებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მიღებული მნიშვნელოვანი შეფასებებით, მიმოხილვებით და კონსტრუქციული კომენტარებით. განსაკუთრებული მადლობა ყველას, ვინც ინტერვიუების, შეხვედრებისა და სემინარების ფარგლებში გაგვიზიარა ცოდნა, გამოცდილება და მოსაზრებები.

მადლიერებას გამოვთქვამთ ეკონომიკურ საკითხებში შვეიცარიის სახელმწიფო სამდივნოს (SECO) მიმართ ფინანსური და BFH-HAFL-ის ინსტიტუციონალურ მხარდაჭერითვის.

პასუხისმგებლობა

ეს დოკუმენტი მომზადებულია გაერო-ს ოფიციალური რედაქტირების გარეშე. ამ დოკუმენტში გამოყენებული დასახელებები და მასალის პრეზენტაცია არ ნიშნავს გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) სამდივნოს მხრიდან, რაიმე აზრის გამოხატვას რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან ტერიტორიული ერთეულის იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით; ან მისი ხელისუფლების ორგანოების, ან საზღვრების ან საზღვრების დელიმიტაციის, ან მისი ეკონომიკური სისტემის ან განვითარების ხარისხის შესახებ. აღნიშვნები, როგორცაა «განვითარებული», «ინდუსტრიული» და «განვითარებადი», გამოიყენება სტატისტიკური მიზნებისთვის და სულაც არ გამოხატავს მოსაზრებებს კონკრეტული ქვეყნის ან ტერიტორიის განვითარების ეტაპის შესახებ. ფორმების სახელების ან კომერციული პროდუქტების ხსენება არ ნიშნავს UNIDO-ს მიერ მათ მონონებას.



სარჩევი

სურათების სია.....	8
ცხრილების სია.....	8
აბრევიატურების სია.....	8
შინაარსი.....	12
1 შესავალი.....	16
2 მეთოდოლოგია.....	18
2.1 პროდუქტების შერჩევა სიღრმისეული კვლევებისთვის.....	19
2.2 ხარვეზებისა და პოტენციალის განსაზღვრა.....	19
3 ხილის და ბოსტნეულის გლობალური წარმოება და ვაჭრობა.....	20
3.1 ხილის და ბოსტნეულის გლობალური წარმოება.....	21
3.2 გლობალური ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით.....	22
3.3 ევროკავშირის წარმოება.....	24
3.4 ვაჭრობა ევროკავშირში.....	24
3.5 ტენდენციები.....	26
4 ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნები.....	29
4.1 დეფინიციები.....	29
4.2 ევროკავშირის სურსათის კანონმდებლობა.....	30
4.3 სურსათის უვნებლობა.....	31
4.4 მცენარეთა ჯანმრთელობა.....	34
4.5 მარკეტინგის სტანდარტები.....	35
4.6 სურსათის შემადგენლობის მოთხოვნები.....	36
4.7 საკვებთან კონტაქტში მყოფი მასალები, მათ შორის შეფუთვა.....	38
4.8 ეტიკეტირება.....	39
4.9 განბაჟება.....	40
4.10 ერთიანი ნებაყოფლობითი სტანდარტები და სასერთიფიკატო პროგრამები.....	41
5 ქართული ხილის და ბოსტნეულის სექტორი.....	46
5.1 ბიზნეს გარემო საქართველოში.....	46
5.2 ქართული ხილის და ბოსტნეულის წარმოება.....	50

5.3 ქართული ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი	52
5.4 ასოციაციები	57
5.5 მხარდაჭერის სქემები	58
6 ღირებულებათა ჯაჭვების სიღრმისეული კვლევები	74
6.1 ვაშლი	75
6.2 ლურჯი მოცვი	84
6.3 კაკალი	94
6.4 მწვანილი	104
7 ხარისხის ინფრასტრუქტურა საქართველოში	117
7.1 ძირითადი სამთავრობო დანესებულებები	119
7.2 მხარდამჭერი სამთავრობო დანესებულებები	123
7.3 ტესტირების (და საკალიბრო) ლაბორატორიები	126
7.4 სერტიფიცირების ორგანოები და საკონსულტაციო კომპანიები	140
7.5 ბაზრის ზედამხედველობის და ინსპექტირების ორგანოები	145
7.6 საგანმანათლებლო დანესებულებები	147
7.7 ხარისხის საექსტენციო მომსახურება	151
7.8 მიკვლევადობის მომსახურების მომწოდებლები	155
დასკვნა და რეკომენდაციები	157
8.1 დასკვნა და შედარებითი ანალიზი	157
8.2 რეკომენდაციები	170
გამოყენებული ლიტერატურა	188
დანართი	197
დანართი 1: კვლევითი ჯგუფის წევრები	197
დანართი 2: კვლევის ჩატარების განრიგი	198
დანართი 3: გასაუბრებაში მონაწილე პირთა სია	199
დანართი 4: ხილისა და ბოსტნეულის გლობალური წარმოება სახეობების მიხედვით 2019 წელს	202
დანართი 5: დამაბინძურებლების ზღვრული დონეები	204
დანართი 6: საქართველოს ექსპორტისა და დივერსიფიკაციის პოტენციური ევროკავშირში	210

სურათების სია

სურათი 1: ხილის, ბოსტნეულის და თხილის წარმოება მსოფლიოში 2001-2019 წლებში.....	21
სურათი 2: მსოფლიოში ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი 2001-2019 წლებში	22
სურათი 3: 2019 წელს ხილისა და თხილის ექსპორტიორი ქვეყნები	23
სურათი 4: 2019 წელს ხილისა და თხილის იმპორტიორი ქვეყნები	23
სურათი 5: 2019 წელს ბოსტნეულის ექსპორტიორი ქვეყნები.....	23
სურათი 6: 2019 წელს ბოსტნეულის იმპორტიორი ქვეყნები.....	23
სურათი 7: 2001-2019 წლებში ხილის, ბოსტნეულისა და თხილის წარმოება ევროკავშირში.....	24
სურათი 8: ხილის წარმოება საქართველოში (ათასი ტონა).....	51
სურათი 9: ბოსტნეულის წარმოება საქართველოში (ათასი ტონა)	51
სურათი 10: საქართველოში ხილის (თხილის ჩათვლით) და ბოსტნეულის ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი).....	53
სურათი 11: საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის მიმართულებები, 2019 წ.	54
სურათი 12: საქართველოს სურსათის უვნებლობის სისტემის ინფოგრაფიკა	117

ცხრილების სია

ცხრილი 1: კვლევის სტრუქტურის და მეთოდოლოგიის მიმოხილვა.....	18
ცხრილი 2: 2010-2020 წლებში საქართველოს ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი, იმპორტი და სავაჭრო ბალანსი.....	53
ცხრილი 3: ქართული ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი და პროდუქტის დივერსიფიკაციის პოტენციალი მსოფლიოსა და ევროკავშირისა და დასავლეთ ევროპისთვის	56
ცხრილი 4: საქართველოს ხილის და ბოსტნეულის ღირებულების ჯაჭვებსა და ხარისხის უზრუნველყოფის განვითარებასთან დაკავშირებული მიმდინარე პროექტები	61
ცხრილი 5: საქართველოს ხილის და ბოსტნეულის ღირებულების ჯაჭვებთან დაკავშირებული ბოლო დროს დასრულებული პროექტები	70
ცხრილი 6: ევროკავშირის მოთხოვნებისა და პასუხისმგებელი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების შედარების ანალიზი	160

აბრევიატურების სია

AA	ასოცირების ხელშეკრულება
ACC	აგრო კონსულტირების ცენტრი
AMMAR	სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე დაშვებისა და მდგრადობა პროექტი
AUG	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
AWPA	ნუშისა და კაკლის მწარმოებელთა ასოციაცია
BFH	ბერნის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი
BFH-HAFL	სოფლის მეურნეობის, ტყისა და სურსათის მეცნიერებათა სკოლა, ბერნის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი
BIPM	წონისა და ზომის საერთაშორისო ბიურო
BRC	ბრიტანული საცალო ვაჭრობის კონსორციუმი
BRCGS	ბრენდის რეპუტაციის შესაბამისობის გლობალური სტანდარტები
CAB	შესაბამისობის შემფასებელი ორგანო

CBI	განვითარებადი ქვეყნებიდან ევროპაში იმპორტის ხელშეწყობის ცენტრი
CEN	სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტი
CENELEC	ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტი
CGF	სამომხმარებლო საქონლის ფორუმი
CIS	დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობა
CMC	კალიბრირებისა და გაზომვის შესაძლებლობა
CN codes	ნომენკლატურის კომბინირებული კოდები
CNFA	სოფლის მეურნეობაში ახალი საზღვრის დანერგვა
CoLLab	ლაბორატორიული H&S LLL კურსები ახალგაზრდებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში
COOMET	ეროვნული მეტროლოგიური ინსტიტუტების ევრო-აზიური თანამშრომლობა
CoP	პრაქტიკოსების საზოგადოება
CRM	სერთიფიცირებული საცნობარო მასალები
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
CSRDG	საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
DANIDA	დანის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
DCFTA	ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
EA	ევროპული აკრედიტაცია
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EC	ევროპის კომისია
e-COI	შემოწმების ელექტრონული სერტიფიკატი
EDA	ექსპორტის განვითარების ასოციაცია
EFSA	ევროპის სურსათის უვნებლობის უზენაესი ორგანო
EFTA	ევროპის თავისუფალი სავაჭრო ასოციაცია
ENPARD	სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
ENS	შესვლის შემაჯამებელი დეკლარაცია
EORI	ეკონომიკური ოპერატორის რეგისტრაცია და იდენტიფიკაცია
EQCS	ევროპული ხარისხის სერტიფიცირების სერვისები
ERA	საცნობარო მასალების სერტიფიცირებული მომწოდებელი, ცოდნის ტესტირების და ხარისხის კონტროლის სტანდარტები
ETI	ეთიკური ვაჭრობის ინიციატივა
ETSI	ევროპული სტანდარტიზაციის ორგანიზაცია
EU	ევროკავშირი
EURL	პესტიციდების ნარჩენების ევროკავშირის საცნობარო ლაბორატორია
EURL-FCM	ევროკავშირის საცნობარო ლაბორატორია FCM- სთვის
Eurostat	ევროკავშირის სტატისტიკის სააგენტო
EXS	გასვლის შემაჯამებელი დეკლარაცია
F&V	ხილი და ბოსტნეული
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
Faostat	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის კორპორატიული სტატისტიკური მონაცემების ბაზა
FBO	სურსათის ბიზნესის ოპერატორი
FCM	სურსათთან დაკავშირებული მასალები
FDI	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
FLIS	სურსათის ეტიკეტირების საინფორმაციო სისტემა
FS	სურსათის უვნებლობა
FS&QMS	სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მენეჯმენტის სისტემა
FSA	ფერმის მდგრადობის შეფასება
FSSC 22000	სურსათის უვნებლობის სისტემის სერტიფიკატი 22000

FTA	თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება
GAC	საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი
GAP	კარგი სასოფლო სამეურნეო პრაქტიკა
GC	გაზური ქრომატოგრაფია
GDA	გლობალური განვითარების ალიანსი
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GeBa	საქართველოს ბიოტექნოლოგიების ასოციაცია
GEF	გლობალური გარემოსდაცვითი სააგენტო
GeLab	საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია
Geostat	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
GeoSTM	საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
GFA	საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
GFAAS	ატომურ აბსორბაციული სპექტროსკოპია გრაფიტის ლუმენლში
GFSI	სურსათის უვნებლობის გლობალური ინიციატივა
G-HIP	საქართველოს თხილის გაუმჯობესების პროექტი
GHP	ჰიგიენის კარგი პრაქტიკა
GLOBALG.A.P.	გლობალური კარგი სოფლის მეურნეობის პრაქტიკა
GMO	გენმოდულირებული ორგანიზმი
GMP	კარგი წარმოების პრაქტიკა
GNI	მთლიანი ეროვნული შემოსავალი
GoG	საქართველოს მთავრობა
GOST	სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიცირების ევრო-აზიის საბჭოს ტექნიკური სტანდარტები
GQSP	გლობალური ხარისხისა და სტანდარტების პროგრამა
GRASP	GLOBALG.A.P რისკის შეფასება სოციალური პრაქტიკის შესახებ
GSP	უპირატესობის განზოგადებული სისტემა
GTU	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
HACCP	საფრთხის ანალიზი და კრიტიკული კონტროლის წერტილი
HAFL	BFH- ის სოფლის მეურნეობის, ტყისა და სურსათის მეცნიერებათა სკოლა
HPLC	მაღალი ხარისხის თხევადი ქრომატოგრაფია
HS code	ჰარმონიზებული სისტემის კოდი
HVMS	მოსავლის აღების მობილური აპლიკაციების სისტემა
IAEA	ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო
ICC	საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრი (საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროგრამა)
IDH	მდგრადი ვაჭრობის ინიციატივა
IFAD	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IFS	საერთაშორისო სტანდარტები
ILC	ლაბორატორიათშორისი შედარება
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
IRCA	სერთიფიცირებული აუდიტორების საერთაშორისო რეესტრი
ISCC	საერთაშორისო მდგრადობა და ნახშირბადის სერთიფიკატი
ISO	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ITC	საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი
LC	თხევადი ქრომატოგრაფია
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LIMS	ლაბორატორიული ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემა
MC	მასობრივი სპექტრომეტრია
MEPA	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

MES	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MoESD	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MRL	ნარჩენების მაქსიმალური დონე
NAPR	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
NCDC	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
NFA	სურსათის ეროვნული სააგენტო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OILM	იურიდიული მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაცია
PHHM	მოსავლის აღების შემდგომი მენეჯმენტი
PPP	მცენარეთა დაცვის საშუალებები
PT	საკვალიფიკაციო (პროფესიული) ტესტირება
QI	ხარისხის ინფრასტრუქტურა
QM	ხარისხის მენეჯმენტი
R&D	კვლევა და განვითარება
RASFF	სწრაფი სიგნალის სისტემა სურსათისა და ცხოველის საკვებისთვის
RCA	გამოვლენილი შედარებითი უპირატესობა
RDA	სოფლის განვითარების სააგენტო
SAD	ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტი
SAI	მდგრადი სოფლის მეურნეობის ინიციატივა
SDC	შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობა
SECO	ეკონომიკურ საკითხებში შვეიცარიის სახელმწიფო სამდივნო
SEEDDEV	სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის განვითარება
SGF	გლობალური გამოფენა
SGS S.A.	ზედამხედველობის საზოგადოება (Société Générale de Surveillance)
SIFAV	მდგრადობის ინიციატივა ხილი და ბოსტნეული
SLA	საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია
SME	მცირე და საშუალო საწარმოები
SMETA	Sedex-ის წევრების ეთიკური ვაჭრობის აუდიტი
SPS	სანიტარია და ფიტოსანიტარია
SQF	უსაფრთხო ხარისხის საკვები
SRCA	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი
SSCI	მდგრადი მომარაგების ჯაჭვების ინიციატივა
TBT	ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები
TC	ტექნიკური კომიტეტი
TIC	ტესტირება, ინსპექტირება და სერტიფიცირება
ToT	ტრენინგების ტრენინგი
Trade Map	სავაჭრო სტატისტიკა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისათვის
TSU	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
UCC	საკავშირო საბაჟო კოდექსი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
UNECE-MQS	მინიმალური ხარისხის სპეციფიკაციები ახალი ხილისა და ბოსტნეულისთვის
UNIDO	გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
USDA	შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი
VAT	დამატებითი ღირებულების გადასახადი
VC	ღირებულებათა ჯაჭვი
VET	პროფესიული განათლება და ტრენინგი
WFLO	კვების ლოგისტიკის მსოფლიო ორგანიზაცია
WTO	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია




შინაარსი

გლობალური ვაჭრობა სულ უფრო მეტად ინტეგრირდება ღირებულებათა ჯაჭვებში და უფრო მეტად რეგულირდება ხარისხისა და სტანდარტების შესაბამისი მოთხოვნებით. ბოლო წლებში ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გლობალიზაციის მიუხედავად, ბევრი ექსპორტიორის წინაშე კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები ბაზარზე შესვლის მოთხოვნების დაკმაყოფილების და მათთან შესაბამისობის დადასტურების თვალსაზრისით; ასევე არსებობს, სავაჭრო ტექნიკური ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ბაზარებზე შესვლის შესაძლებლობას. როდესაც, საქართველოს ეკონომიკა სტაბილურად იზრდება, სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი სექტორია, რომელსაც ექსპორტის დიდი პოტენციალი აქვს. ამასთან, საქართველოს საბაზრო მოთხოვნებთან შესაბამისობის დასაბუთების თვალსაზრისით გამოწვევების წინაშე დგას, რაც ხელს უშლის მის მონაწილეობას ტრანსსასაზღვრო ვაჭრობაში. წინამდებარე ანგარიშში, წარმოდგენილია კვლევის „საქართველოში ხილისა და ბოსტნეულის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი ხარისხისა და შესაბამისობის ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური, სოციალური და მდგრადობის მოთხოვნების გათვალისწინებით“ შედეგები. გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) ინიციატივით, კვლევის განხორციელება დაევა ბერნის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტს. GQSP პროექტი მიზნად ისახავს, საქართველოში „ხილის და ბოსტნეულის ღირებულებათა ჯაჭვის შესაბამისობის შეფასების გაძლიერებას“. პროექტი ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (MEPA) მჭიდრო თანამშრომლობით და მიზნად ისახავს ქვეყნის შესაბამისობის შესაძლებლობების გაძლიერებას ხარისხისა და სტანდარტებთან მიმართებით, ამასთან მცირე და საშუალო საწარმოების ბაზარზე წვდომის და მთლიანი ექსპორტის ზრდის ხელშეწყობას. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოში ხილის და ბოსტნეულის ღირებულებების ჯაჭვის ანალიზის შედეგებს,

და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ხარისხის და შესაბამისობის ინფრასტრუქტურას, ეკონომიკურ, სოციალურ და მდგრადობის მოთხოვნებს. ხარისხისა და სტანდარტების გლობალური პროგრამის (GQSP) ფარგლებში, კვლევა დაევა ბერნის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტს (BFH), ინიციატივას გაუძღვა გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), საქართველოს GQSP პროექტის (2020-2022) - "ხილისა და ბოსტნეულის შესაბამისობის შეფასების გაძლიერება" (UNIDO ID 190283), დაგეგმვის და განხორციელების მხარდაჭერის მიზნით. მიმდინარე პროექტი GQSP საქართველო განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (MEPA) თანამშრომლობით და მიზნად ისახავდა ქვეყნის შესაბამისობის შესაძლებლობების გაძლიერებას, ხარისხისა და სტანდარტების მიმართულებით, მამასადამე მცირე და საშუალო საწარმოების ბაზარზე წვდომის ხელშეწყობას და საბოლოოდ ექსპორტის ზრდას.

კვლევა ჩატარდა 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მარტამდე პერიოდში, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მენეჯმენტის, სოფლის მეურნეობის ღირებულების ჯაჭვებისა და ვაჭრობის საკითხებში, შვიდი შვეიცარიელი და ქართველი ექსპერტის მიერ, ბერნის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტის (BFH-HAFL) (შვეიცარია) სოფლის მეურნეობის, ტყისა და კვების მეცნიერებათა სკოლის ხელმძღვანელობით. დეტალურ ტექნიკურ დავალებებზე დაყრდნობით, წინამდებარე კვლევამ მოიცვა ექვსი თემა, კერძოდ: ხილის



და ბოსტნეულის გლობალური წარმოება და ვაჭრობა; ექსპორტის მოთხოვნები, განსაკუთრებით ევროკავშირის ბაზართან მიმართებით; ქართული ხილისა და ბოსტნეულის სექტორი ზოგადად; შერჩეული პროდუქტების სიღრმისეული VCA ანალიზი; ქართული ხარისხის ინფრასტრუქტურა (QI); და ზემოქმედების წერტილების განსაზღვრა შესაძლებლობების მიზნობრივი გაუმჯობესებისთვის. ინფორმაციის ძირითადი წყაროები იყო ლიტერატურა, კვლევითი ჯგუფის ექსპერტიზა და ექსპერტებთან ინტერვიუები. ჩატარდა 49 ინტერვიუ, სხვადასხვა სამინისტროების/ უწყებების, ლაბორატორიების, კვლევითი ინსტიტუტების, ასოციაციების და კომპანიების (რესურსების მომწოდებლები, მწარმოებლები, გადამამუშავებლები და მოვაჭრეები) წარმომადგენლებთან. კვლევის ბოლო ეტაპზე, შეგროვდა 50 დაინტერესებული მხარის უკუკავშირი, UNIDO -ს მიერ ორგანიზებული ვალიდაციის სემინარის ფორმატში.

არსი მკაფიოდ არის გამოხატული: ევროკავშირის ან ნებისმიერი მაღალი დონის ბაზარზე შესვლისთვის ქართულმა პროდუქტმა უნდა დააკმაყოფილოს სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სავალდებულო მოთხოვნები. შესაბამისობის შეფასება უმნიშვნელოვანესია ამ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამტკიცებისთვის, ამდენად წარმოდგენს კარგად ფუნქციონირებადი, ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის



ერთ-ერთი ქვაკუთხედს. პროექტის დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის და შესაბამისობის შეფასების შესაძლებლობები აგრო-სურსათის ექსპორტის ჯაჭვებისთვის ზოგადად ფასდება როგორც „ცუდად განვითარებული“. სწორედ აქ ხედავს პროექტი GQSP საქართველო თავის მთავარ წვლილს, კერძოდ, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების, განსაკუთრებით ტესტირების დასაკალიბრო ლაბორატორიების, გაძლიერებაში, ქართული ხილის და ბოსტნეულის საექსპორტო პოტენციალის გაძლიერების თვალსაზრისით. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს GQSP საქართველოს დეკლარირებულ მცდელობაში კონკრეტული, სპეციფიური, რელევანტური და განხორციელებადი პრიორიტეტული რეკომენდაციების და შესაბამისობის შესაძლებლობების პროექტის ვადებსა და ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესების რეალური შანსის მომცემი ბერკეტების წარმოდგენის გზით.

1 – 5 რეკომენდაციები ეხება შემდეგ: (1) საქართველოს ლაბორატორიების ასოციაციის განვითარება; (2) ლაბორატორიების ტექნიკური, მომსახურების და მენეჯმენტის შესაძლებლობების გაუმჯობესება; (3) ტრენინგი GFSI-აღიარებული სტანდარტების და სერტიფიცირების სქემის საკითხებზე; (4) ლაბორატორიებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მაღალ დონეზე თარგმნა; (5) პესტიციდების ქმედითი მონაცემთა ბაზის შექმნა. თუმცა, მარტო QI სასწაულს ვერ მოახდენს და ვერ გააჯანსაღებს ქართული ხილის და ბოსტნეულის ექსპორტის ყველა მანკიერ მხარეს: სურსათის ბიზნეს ოპერატორების და მათი პროდუქტების შეუსაბამობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დღესდღეობით ზღუდავს ქართული ხილის და ბოსტნეულის ექსპორტს. ამ თვალსაზრისით, GQSP საქართველომ შესაძლოა მხარი დაუჭიროს განვითარებად პროექტებს, სამთავრობო მხარდაჭერის სქემებს და სურსათის ჯაჭვის (მათ შორის ხილის და ბოსტნეულის) განვითარებაზე ორიენტირებულ სხვა პოტენციურ მულტიპლიკატორებს და მათი სრულყოფა უზრუნველყოს, სურსათის უვნებლობის და ხარისხის მოთხოვნების და განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურების სფეროში კონსულტაციების და შესაძლებლობების გაუმჯობესების ფორმატის შეთავაზების გზით **(რეკომენდაცია 6).**

ფაქტიურად, ლაბორატორიის მომსახურებაზე მოთხოვნის ნაკლებობა შესაძლოა იყოს ქართული ხარისხის ინფრასტრუქტურის წინაშე არსებული მრავალი გამოწვევის ყველაზე გამოკვეთილი მიზეზი. ამ მიმართულებით ცვლილების ყველაზე პოტენციური მამოძრავებელი არის ევროკავშირის სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის სწრაფი განხორციელება, როგორც ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ნაწილი. აუცილებელია ამ კანონმდებლობის და მასთან დაკავშირებული ოფიციალური კონტროლის განხორციელება. ამ მიმართულებით, GQSP საქართველოს შეუძლია წვლილი შეიტანოს სხვა პარტნიორებთან ერთად, ლობირების გზით **(რეკომენდაცია 7).** ამ ეტაპზე ოფიციალური კონტროლი სათანადოდ არ სრულდება, სხვადასხვა მიზეზთა გამო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის საჭიროებს ხელშემწყობ გარემოს, ლაბორატორიის არსებული შესაძლებლობების სრულად გამოყენებისთვის. სწორედ ამიტომ მომზადდა მეორე რეკომენდაცია, ლობირებასთან დაკავშირებით, კერძოდ პროექტის დასრულების შემდეგ ხარისხის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების ლობირებასთან **(რეკომენდაცია 8).**

UNIDO -ს ხმა მნიშვნელოვანია. UNIDO-ს ვალდებულება ამ საკითხის მიმართ დააფიქრებს სხვებს, რომ ასეთი ცვლილება რელევანტურია, მხოლოდ მაშინ როდესაც წვლილი შეაქვს ექსპორტის ზრდაში, ასევე იმუშავებს შიდა ბაზარზე სურსათის უვნებლობის გაუმჯობესების მიმართულებით. ამდენად, კანონმდებლობის აღსრულება ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად, ძალზედ საჭირო გაზრდილ ტესტირებასთან ერთად, სარგებელს მოუტანს ქართველ მომხმარებლებს. ორიენტაცია ექსპორტზე, ხარისხის ინფრასტრუქტურის პრიზმიდან, გაგებული უნდა იქნას როგორც მთელ საქართველოში უსაფრთხო სურსათის და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი.



შესავალი

გლობალური ვაჭრობა სულ უფრო მეტად ინტეგრირდება ღირებულებათა ჯაჭვებში და უფრო მეტად რეგულირდება ხარისხისა და სტანდარტებთან შესაბამისი მოთხოვნებით. ბოლო წლებში ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გლობალიზაციის მიუხედავად, ბევრი ექსპორტიორის წინაშე კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები ბაზარზე შესვლის მოთხოვნების დაკმაყოფილების და მათთან შესაბამისობის დადასტურების თვალსაზრისით; ასევე არსებობს სავაჭრო ტექნიკური ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ბაზრებზე შესვლის შესაძლებლობას. გახანგრძლივებულმა პროცედურებმა და საზღვარზე არ დაშვებამ, საბაზრო მოთხოვნების შეუსრულებლობის

გამო შესაძლოა დიდი ფინანსური ზარალი მიაყენოს მწარმოებლებს განსაკუთრებით მცირე და საშუალო სანარმოებს (მცირე და საშუალო ბიზნესი). საერთაშორისო ვაჭრობაზე წვდომის მიღება და შენარჩუნება, ასევე გლობალური ბაზრებით სარგებლის მიღება მოითხოვს სტანდარტებთან შესაბამისობას და შესაბამისობის დადასტურებას. როდესაც, საქართველოს ეკონომიკა სტაბილურად იზრდება, სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი სექტორია, რომელსაც ექსპორტის დიდი პოტენციალი აქვს. ამასთან, საქართველო გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას საბაზრო მოთხოვნების, განსაკუთრებით ევროპული

ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც ხელს უშლის მის მონაწილეობას ტრანსსასაზღვრო ვაჭრობაში. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ლაბორატორიები ფუნქციონირებს და კარგად არის აღჭურვილი, ტექნიკურ პერსონალს არ აქვს საერთაშორისო დონეზე აღიარებული შესაბამისობის შეფასების შესრულებითვის საჭირო ცოდნა და უნარები. მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში ხილისა და ბოსტნეულის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის შედეგები, განსაკუთრებული ყურადღებით ხარისხისა და შესაბამისობის შეფასების ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური, სოციალური და მდგრადობის მოთხოვნების მიმართ. წინამდებარე კვლევა ჩატარდა გლობალური ხარისხისა და სტანდარტების პროგრამის (GQSP) ფარგლებში და წარმოადგენს საფუძველს ხარისხის ინფრასტრუქტურისა და სექტორის ხარისხისა და სტანდარტებთან შესაბამისობის შემდგომი განვითარებისათვის, საქართველოში მდგრადი ინდუსტრიული განვითარების გათვალისწინებით. GQSP გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) ინიციატივა; ის დაფინანსებულია შვეიცარიის ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს (SECO) მიერ, შერჩეული ეკონომიკური სექტორების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით, კონკრეტულ ქვეყნებში ხარისხის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მხარდაჭერის გზით. მიმდინარე პროექტი, GQSP საქართველო განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (MEPA) თანამშრომლობით და მიზნად ისახავდა ქვეყნის შესაბამისობის შესაძლებლობების გაძლიერებას, ხარისხისა და სტანდარტების მიმართულებით, მაშასადამე მცირე და საშუალო საწარმოების ბაზარზე წვდომის ხელშეწყობას და საბოლოოდ ექსპორტის ზრდას (ProDoc 2020:20). პროექტის მიზანია: “შესაბამისობის შეფასების ტექნიკური კომპეტენციისა და მდგრადობის მდგენელი ორგანოების გაძლიერება, ქართული ხილის და ბოსტნეულის ბაზარზე გასვლის ხელშეწყობის მიზნით“. ამ გრძელვადიან შედეგთან დაკავშირებით არსებობს სამი მოკლევადიანი შედეგი:

ხილის და ბოსტნეულის (F&V) ღირებულებების ჯაჭვის (VC) სიღრმისეული ანალიზი, ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნების, კერძოდ,

ხარისხთან დაკავშირებული გამოწვევების, სირთულეების და შესაძლებლობების გაუმჯობესების საჭიროებების გათვალისწინებით.

შესაბამისობის შეფასების ორგანოების (CABs) და სხვა შესაბამისი ხარისხის ინფრასტრუქტურის (QI) ინსტიტუტების და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაუმჯობესება, ხილის და ბოსტნეულის სექტორის საერთაშორისო დონეზე აღიარებული მომსახურებებით უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარების გეგმა. (ibid.)

წინამდებარე კვლევას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოკლევადიანი შედეგის განხორციელებაში და შედეგა შემდეგი დავალებებისაგან: i) საქართველოს ხილის და ბოსტნეულის საექსპორტო პოტენციალის შეფასება, ii) შერჩეული პროდუქტების ღირებულებების ჯაჭვის ანალიზი, iii) ექსპორტის მოთხოვნების შეგროვება, განსაკუთრებით ევროკავშირის ბაზარზე, iv) საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის ამ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება, და v) ზეგავლენის წერტილების განსაზღვრა, შესაძლებლობების მიზნობრივი გაუმჯობესებისთვის. კვლევა ჩატარდა 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მარტამდე პერიოდში, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მენეჯმენტის, სოფლის მეურნეობის ღირებულების ჯაჭვისა და ვაჭრობის საკითხებში, შვიდი შვეიცარიელი და ქართველი ექსპერტის მიერ, ბერნის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტის (BFH-HAFL) (შვეიცარია) სოფლის მეურნეობის, ტყისა და კვების მეცნიერებათა სკოლის ხელმძღვანელობით. გუნდთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოცემულია: 1-ელ და მე-2 დანართებში.

ანგარიშის სტრუქტურა: მეთოდოლოგიის აღწერის შემდეგ (2), წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები ხილის და ბოსტნეულის გლობალური წარმოების და ვაჭრობის შესახებ (3), ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნები (4), საქართველოს ხილის და ბოსტნეულის სექტორი (5), ღირებულებათა ჯაჭვის ოთხი სიღრმისეული კვლევა (6) და საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურა (7), შემდეგ მოდის დასკვნა და რვა რეკომენდაცია ხარისხის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისთვის (8).

2

მეთოდოლოგია

1-ელ ცხრილში წარმოდგენილია კვლევის სტრუქტურის და მეთოდოლოგიის მიმოხილვა. განხილულია ექვსივე თემა. ინფორმაციის ძირითადი წყაროა ლიტერატურა, საკუთრივ ექსპერტიზა და ექსპერტების მოსაზრებები. ჩატარდა 49 ინტერვიუ, სხვადასხვა სამინისტროების/უწყებების, ლაბორატორიების, კვლევითი ინსტიტუტების, ასოციაციების და კომპანიების (რესურსების მომწოდებლები, მწარმოებლები, გადამამუშავებლები და მოვაჭრეები) წარმომადგენლებთან -

ინტერვიუების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია მე-3 დანართში. კვლევის ბოლოსკენ, შეგროვდა 50 დაინტერესებული მხარის უკუკავშირი, UNIDO -ს მიერ 2021 წლის 25 მარტს ორგანიზებული ვალიდაციის სემინარის ფარგლებში. ვინაიდან, კვლევა Covid-19 პანდემიის პერიოდში ჩატარდა, ყველა ინტერვიუ, შეხვედრა და სემინარი გაიმართა ონლაინ და ვერ მოხერხდა სასწავლო ვიზიტების ორგანიზება.

ცხრილი 1: კვლევის სტრუქტურის და მეთოდოლოგიის მიმოხილვა

თემა	თავი	მეთოდოლოგია
გლობალური F&V წარმოება და ვაჭრობა	3	ლიტერატურის მიმოხილვა (ძირითადი წყაროები: Trade Map , Faostat , Fruit Logistica , ანგარიშები ახალი პროდუქტის ტენდენციების შესახებ)
ექსპორტის ბაზრის მოთხოვნები	4	ლიტერატურის მიმოხილვა (ძირითადი წყაროები: CBI , Access2Markets , EC , EUR-Lex , DCFTA Georgia , crop2shop)
საქართველოს F&V სექტორი ზოგადად	5	ლიტერატურის მიმოხილვა (ძირითადი წყაროები: Trade Map , Geostat , საქართველოს სამინისტროების ვებგვერდები, წინა კვლევები)
ოთხი შერჩეული პროდუქტის სიღრმისეული VC კვლევები	6	ლიტერატურის მიმოხილვა, ექსპერტთა ინტერვიუები, გუნდის წევრების ცოდნა და გამოცდილება; პროდუქტის შერჩევა იხილეთ ქვემოთ
ქართული QI ზოგადად	7	ლიტერატურის მიმოხილვა, ექსპერტთა ინტერვიუები, გუნდის წევრების ცოდნა და გამოცდილება
რეკომენდაციები QI-სა და კერძო სექტორის განვითარებისთვის	8	წინა თემების (3-7 თავები) დასკვნების კომბინაცია და უკუკავშირი დაინტერესებული მხარეების სემინარიდან

2.1 პროდუქტების შერჩევა სიღრმისეული კვლევებისთვის

ღირებულებების ჯაჭვის სიღრმისეული კვლევისთვის პროდუქტების შერჩევის მიზნით, მკვლევართა გუნდმა, წინადადების წარდგენის ფაზაზე, ჩაატარა მნიშვნელოვანი კვლევა და წარმოადგინა შერჩეული პროდუქტების სია, შემდეგი ინდიკატორების საფუძველზე: არის თუ არა პროდუქტი შეტანილი განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტის მხარდაჭერის ცენტრის ([Centre for the Promotion of Imports from developing countries CBI](#)) პერსპექტიული ახალი და გადამუშავებული ხილის და ბოსტნეულის ჩამონათვალში (დიახ/არა); გამოვლენილი შედარებითი უპირატესობა (RCA) > 1. რვა ან მეტი წლის განმავლობაში (დიახ/არა); არის თუ არა პროდუქტი ევროკავშირის და დასავლეთ ევროპის ITC ექსპორტის პოტენციალის რუკის ([ITC export potential map](#)) და ITC პროდუქტების დივერსიფიკაციის რუკის ([ITC product diversification map](#)) 50 საუკეთესო პროდუქტს შორის (წარმოდგენილია 3 ჯგუფში); არსებული წარმოება საქართველოში (მაღალი/საშუალო/დაბალი, ექსპერტის თვისობრივი შეფასება); და ახალი ინვესტიციები წარმოებაში

საქართველოში (მაღალი/საშუალო/დაბალი, ექსპერტის თვისობრივი შეფასება).

შეფასების შედეგად, წინასწარ შეირჩა შემდეგი პროდუქტები (მუქი შრიფტით = შეთავაზებულია სიღრმისეული ანალიზისთვის): კენკრა (ზოგადად ან კენკრის ერთი ტიპი), მწვანილი, ციტრუსი (ზოგადად ან ორიენტაცია კონკრეტულად მანდარინზე), თხილი ან ნუში ან კაკალი (თუ თხილეული გათვალისწინებულია ხილის და ბოსტნეულის შემადგენლობაში), ატამი/ვაშლატამა, ხურმა, წინაკა (მექსიკური წინაკა - კაპსიკუმი), ხახვი, პომიდორი, ჩირი ან კონცენტრირებული წვენი (თუ გათვალისწინებულია გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული).

ზემოთ მოცემული მიდგომა და წინასწარი შერჩევა, წარუდგინეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამუშაო ჯგუფს, 2021 წლის 5 იანვარს გამართულ შეხვედრაზე. ამ შეხვედრის შემდეგ, სამინისტრომ აირჩია ვაშლი, ლურჯი მოცვი, კაკალი და მწვანილი.

2.2 ხარვეზებისა და პოტენციალის განსაზღვრა

როგორც ხარისხის ინფრასტრუქტურის ანალიზის, ისე ღირებულებათა ჯაჭვის სიღრმისეული შესწავლისას, შეფასდა შესაბამისი მოქმედი პირების და სისტემების ხარვეზები და პოტენციალი. ქვემოთ განმარტებულია ორი ტერმინი:

გამონვევები: ეს ეხება კონკრეტული მოქმედი პირის და სისტემის სისუსტეებს, ასევე გარემოს მაგნე ატრიბუტებს. ამრიგად, შიდა

და გარე ასპექტებს, რომლებიც აზიანებენ დასახული მიზნის მიღწევის პროცესს და ხელს უშლიან კონკრეტული მოქმედი პირის უკეთ ფუნქციონირებას.

პოტენციალები: ეს ეხება კონკრეტული მოქმედი პირის ან სისტემის არსებულ შესაძლებლობებს, რომლებიც მთელი სისტემისთვის შეიძლება შესაძლებლობებად იქცეს.



▶ 3

ხილის და ბოსტნეულის გლობალური წარმოება და ვაჭრობა




3.1 ხილის და ბოსტნეულის გლობალური წარმოება

აღნიშნულ თავში, წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი მონაცემები: ხილის, ბოსტნეულის და თხილის წარმოება (3.1) და ვაჭრობა (3.2) მსოფლიოში, ხილის, ბოსტნეულის და თხილის

წარმოება (3.3) და ვაჭრობა (3.4) ევროკავშირში, ასევე ძირითადი ტენდენციები ხილისა და ბოსტნეულის სექტორში (3.5). ხილის, ბოსტნეულის და თხილის

სურათი 1: ხილის, ბოსტნეულის და თხილის წარმოება მსოფლიოში 2001-2019 (წყარო FAOSTAT 2020)

გლობალური წარმოება, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვან ზრდას უჩვენებს (სურათი 1).



2019 წელს, მსოფლიოს მასშტაბით ვაჭრობის თვალსაზრისით, სიის სათავეში მოექცნენ ხილის შემდეგი სახეობები: ბანანი, საზამთრო, ვაშლი, ფორთოხალი, და ყურძენი (Statista 2021a). 2018 წელს, ახალი წამყვანი მწარმოებელი ქვეყნები იყვნენ: ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, აშშ, თურქეთი, მექსიკო, ინდონეზია, ესპანეთი, ირანი და იტალია (ibid.). 2019 წელს, მსოფლიოს მასშტაბით წარმოების თვალსაზრისით, სიის სათავეში მოექცნენ ბოსტნეულის

შემდეგი სახეობები: პომიდორი, ხახვი, კიტრი, კომბოსტო და ბალრიჯანი (Statista 2021a). 2018 წელს, ახალი ბოსტნეულის წამყვანი მწარმოებლები იყვნენ: ჩინეთი, ინდოეთი, აშშ, თურქეთი, ვიეტნამი, ნიგერია, ეგვიპტე, მექსიკო, რუსეთი და ესპანეთი (ibid.). გლობალურად, ყველაზე მეტად წარმოებელი ხილის და ბოსტნეულის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-4 დანართში.


3.2 გლობალური ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით

ხილით და ბოსტნეულით გლობალურმა ვაჭრობამ მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია უჩვენა გასული ორიათწლეულის განმავლობაში (სურათი 2). 2010 - 2019 წლებში, ხილის და თხილის მსოფლიო

ექსპორტის წლიური ზრდის კოეფიციენტი (HS კოდი 08) საშუალოდ 6% იყო. იგივე მაჩვენებელი 4% იყო მსოფლიოში ბოსტნეულის ექსპორტისთვის (HS კოდი-07) (სავაჭრო რუქა 2021).

მე-3სურათიდან მე-6სურათამდე ნაჩვენებია

სურათი 2: მსოფლიოში ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი 2001-2019 წლებში



(წყარო: სავაჭრო რუქა 2021)

ქვეყნების წილი მსოფლიოს მასშტაბით ხილის და ბოსტნეულის ექსპორტსა და იმპორტში. დამატებითი დეტალების

მოძიება შესაძლებელია RaboResearch-ის World Vegetable Map 2018 -სა და [World Fruit Map 2018](#) -ზე (2018).

სურათი 3: 2019 წელს ხილისა და თხილის ექსპორტიორი ქვეყნები

სურათი 4: 2019 წელს ხილისა და თხილის იმპორტიორი ქვეყნები



(წყარო: სავაჭრო რუკა 2021)



(წყარო: სავაჭრო რუკა 2021)

სურათი 5: 2019 წელს ბოსტნეულის ექსპორტიორი ქვეყნები

სურათი 6: 2019 წელს ბოსტნეულის იმპორტიორი ქვეყნები



(წყარო: სავაჭრო რუკა 2021)



(წყარო: სავაჭრო რუკა 2021)

ხილისა და თხილის წამყვანი ექსპორტიორები: აშშ (12%), ესპანეთი (8%), მექსიკა (6%), ნიდერლანდები (6%), ჩინეთი (5%), ჩილე (5%), ვიეტნამი (4%), თურქეთი (3%), ტაილანდი (3%) და იტალია (3%). 2019 წელს ხილის იმპორტიორებს შორის შემდეგი ქვეყნები ლიდერობდნენ: აშშ (14%), ჩინეთი (9%), გერმანია (8%), ნიდერლანდები (6%), დიდი ბრიტანეთი (5%), საფრანგეთი (4%), რუსეთის ფედერაცია (4%), კანადა (4%), შონგ კონგი, (3%) და იტალია (3%) (სავაჭრო რუკა 2021). რაც შეეხება მსოფლიოში ბოსტნეულის ექსპორტს (HS კოდი 07), ამ ქვეყნების სათავეში არიან: ჩინეთი (14%), ნიდერლანდები (11%), მექსიკა (11%),


ესპანეთი (10%), აშშ (7%), კანადა (6%), საფრანგეთი (3%), ბელგია (3%), იტალია (2%) და პოლონეთი (2%) (სავაჭრო რუკა 2020). ბოსტნეულის იმპორტიორთა სია ასეთია: აშშ (16%), გერმანია (10%), დიდი ბრიტანეთი (6%), საფრანგეთი (5%), კანადა (5%), ნიდერლანდები (4%), იაპონია (3%), ბელგიაში (3%) და იტალიაში (3%).

3.3 წარმოება ევროკავშირში

ევროკავშირში ხილის და ბოსტნეულის წარმოება საკმაოდ სტაბილური იყო გასული ორი ათწლეულის განმავლობაში

(იხილეთ სურათი 7), როდესაც თხილის წარმოება საკმაოდ მერყეობდა.

სურათი 7: 2001-2019 წლებში ხილის, ბოსტნეულისა და თხილის წარმოება ევროკავშირში (წყარო: Faostat 2020)



(Source: Faostat 2020)

2018 წელს ევროკავშირში, ხილის და ბოსტნეულის წილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაახლოებით 14%-ს შეადგენდა. ხილის ძირითადი მწარმოებლები ევროკავშირში არიან ესპანეთი და იტალია, შემდეგ მოდის

პოლონეთი, პორტუგალია და საბერძნეთი (eurostat 2021). ევროკავშირში ბოსტნეულის ძირითადი მწარმოებლები არიან იტალია და ესპანეთი, შემდეგ მოდის საფრანგეთი, პოლონეთი და რუმინეთი

3.4 ვაჭრობა ევროკავშირში

ევროკავშირში, ხილით და ბოსტნეულით ვაჭრობას ორი ძირითადი მახასიათებელი აქვს: i) ევროკავშირის შიდა ნაკადებზე ევროკავშირის გარე ნაკადები დომინირებს; და ii) ევროკავშირის ბაზარზე ხილი და ბოსტნეული ძირითადად იმპორტირება ხორციელდება არაევროკავშირის ქვეყნებიდან (de Ciccio 2019).

2009-2019 წლებში, ევროკავშირში ყველაზე მეტად იმპორტირებული ხილის სახეობები იყო (HS კოდი 08): ციტრუსი, ბანანი, თხილი, ახალი კენკრა და ყურძენი; ძირითადი ევროკავშირის არაწევრი მომწოდებლები იყვნენ: აშშ, კოსტარისკა, კოლუმბია, მაროკო, ვიეტნამი, სამხრეთაფრიკა, პერუ, ეკვადორი,

ბრაზილია, ახალი ზელანდია, თურქეთი და ჩილე (სავაჭრო რუკა 2021). ამავე პერიოდში, ევროკავშირში ყველაზე მეტად იმპორტირებული ბოსტნეული (HS კოდი 07) იყო: პომიდორი, წინაკა, კარტოფილი, ხახვი, კიტრი და მარცვლეული; ძირითადი ევროკავშირის არაწევრი მიმწოდებლები იყვნენ: ეგვიპტე, თურქეთი, კანადა, ჩინეთი, აშშ, პერუ, კენია, ინდოეთი და მაროკო. ეს მონაცემები გარკვეულწილად არასწორია, რადგან სატრანზიტო ქვეყნები სავაჭრო სტატისტიკის მომწოდებლებად გვევლინებიან, როდესაც პროდუქტი გადის მათ საბაჟო საწყობებში (European Communities 2006). გერმანიას, ნიდერლანდებს,

გაერთიანებულ სამეფოს, საფრანგეთსა და ბელგიას აქვთ ახალი ხილის და ბოსტნეულის (CBI 2020a) იმპორტის ყველაზე მაღალი ღირებულება (CBI 2020a).

განვითარებადი ქვეყნებიდან, ევროპაში იმპორტის ხელშეწყობის ცენტრი (CBI) გთავაზობთ კარგ მიმოხილვას ევროპაში ზოგადი ტენდენციების და პროდუქტის მოთხოვნების შესახებ ყველა სახის პროდუქტის კატეგორიაში, მათ შორის, ახალი და დამუშავებული ხილის, ბოსტნეულის და თხილის. CBI-ს (2020b) მიხედვით, ახალ ხილსა და ბოსტნეულზე მოთხოვნა სტაბილურია; ხოლო ყველაზე დიდი შესაძლებლობები უკავშირდება სემონური ხილის და ბოსტნეულის წარმოებას, ასევე მზარდ მოთხოვნას კენკრაზე, ავოკადოზე, საზამთროზე და ტკბილ კარტოფილზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ბაზარი ზოგადად უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს ექსპორტიორებს, სასტიკი კონკურენცია, მაღალი სტანდარტები, სერთიფიკატებზე მოთხოვნა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით მაღალი მოლოდინი ბიზნესისთვის ართულებს ბაზარზე გასვლას. ევროპის ბაზარზე დომინანტი, დიდი სუპერმარკეტების ქსელების მთავარი მოთხოვნაა სანდო მოცულობების უზრუნველყოფა. CBI წარმოადგენს ინფორმაციას ევროკავშირში ექსპორტიორებისთვის ეგრეთ წოდებული „პერსპექტიული პროდუქტების“ ჩამონათვალისთვის (გარდა საქართველოში წარმოებულისა):

» **ახალი ხილი და ბოსტნეული:** ბადრიჯანი; ავოკადო; ლობიო, ბარდა და სხვა პარკოსანი ბოსტნეული; ლურჯი მოცვი; წითელი წინაკა (ჩილი); ახალი კენკრა; ახალი მწვანე ხილი; ახალი ბალჩიელი; ახალი ბარდა; ახალი ხურმა; ახალი მარწყვი; ლიმონი; ლაიმი; ქლიავი და სხვა კურკოვანი ხილი; ბროწეული; ფესვები და ტუბერები; ტკბილი კარტოფილი; სუფრის ყურძენი.

» **გადამუშავებული ხილი, ბოსტნეული და თხილი:** სუპერ ხილის წვენები;

ნუში; დაკონსერვებული ლობიო; დაკონსერვებული ხილი და ბოსტნეული; დაკონსერვებული ზეთისხილი; ციტრუსის წვენები; ფინიკი; ხმელი ყურძენი/ქიშმიში; გამხმარი სოკო; საკვები თხილი და ჩირი; გაყინული კენკრა; გაყინული ბოსტნეული; ხილის წვენები; მინის თხილი; მურაბები და ყელეები; ზეითუნის ზეთი; კვდრის კაკალი; ფისტა; კაკალი.



3.5 ტენდენციები

ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში (CBI 2020a; CBI 2020c; FreshFruitPortal 2021; RaboResearch 2020; InspiraFarms 2020) ჩამოთვლილი იყო ახალი პროდუქტების შემდეგი ტენდენციები:

» **მდგრადი მომარაგება** სულ უფრო პოპულარული ხდება, მაგალითად მეტი და მეტი ყურადღება ექცევა წყლის და ენერჯის მდგრად გამოყენებას, ბიოლოგიური მავნებლების კონტროლს, მცირე ფერმერების ჩართულობას, თანამშრომლების სამართლიან მოპყრობას, პლასტმასის შეფუთვების და სურსათის ნარჩენების შემცირებას, სემონური საკვების ადგილობრივ მომარაგებას.

» პროდუქტების წყაროს და წარმოების გარემოებების **გამჭვირვალობაზე** მზარდი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

» **ადგილობრივად წარმოებულ პროდუქტებზე** გაზრდილი მოთხოვნა ემთხვევა ადგილობრივი მწარმოებლების უფრო მაღალ ხარჯის-კონკურენტუნარიანობას გლობალურ ჩრდილოეთში, ისეთი ინოვაციების წყალობით, როგორცაა ვერტიკალური მეურნეობები, ჰიდროპონიკა და სხვა.

» მოთხოვნა კომფორტზე, ანუ მზა ან მარტივად მოსამზადებელ პროდუქტებზე. „ჯანსაღად ნახემსება ანუ „აილე და ნადი/გაიყოლე/თან წაილე“ ნორმა ხდება“ (InspiraFarms 2020).

» ცნობიერების ამაღლება **ჯანსაღი კვების შესახებ** და, ამასთან დაკავშირებით, მოთხოვნის ზრდა სუფთა და ორგანულ პროდუქტებზე ანუ ეგრეთ წოდებულ «სუპერ საკვებზე» (კენკრა, ჯანჯაფილი, ავოკადო, ბრონეული და სხვა), ბიოფორტიფიცირებული საკვები და ბიოფარმაცევტული საშუალებები.

» ახალი ხილის და ბოსტნეულის **წარდგენა და ხარისხი**, როგორც გადამწყვეტი ასპექტი

სასურველი საცალო მოვაჭრის არჩევისთვის.

» მყიდველები უფრო ორიენტირებულნი არიან რისკების შემცირებაზე და ჩნდება მიმწოდებლისთვის მიწოდების მკაცრი პირობების დანესების ტენდენცია, მაგალითად, GLOBALG.A.P. (რომელსაც ნარჩენების მაქსიმალურ დონეზე უფრო მკაცრი მოთხოვნები აქვთ, ვიდრე კანონიერი ზღვრები) მყიდველების მიერ მოთხოვნილი სერტიფიცირების პოპულარული სტანდარტი ხდება.

» Omni-channel გაყიდვები (მაღაზიის შიგნით, მიტანა საფოსტო ყუთამდე, სახლამდე ან ოფისამდე) ახალი ჩვევა ხდება. ეს მოითხოვს ახალ / ალტერნატიულ სტრატეგიულ პარტნიორობას მიწოდების მხრივ.

» Covid-19-მამნიშვნელოვანი, მომენტალური გავლენა მოახდინა მომხმარებლის ქცევაზე (FreshFruitPortal 2021, თუმცა, რამდენად შეცვლის მოხმარების ტენდენციებს გრძელვადიან პერსპექტივაში, მომავალში გამოჩნდება:

» მოთხოვნის გადატანა რესტორნებიდან სურსათის მომწოდებელ საცალო მოვაჭრეებზე.

» ონლაინ გაყიდვების ზრდა ამცირებს ახლად წარმოებული პროდუქტების შესყიდვას და ახალი პროდუქტების გასინჯვისთვის მზაობას (FreshFruitPortal 2021; CBI 2020c).

» vitamin C ვიტამინის შემცველი (ჯანმრთელობის მიზეზით) და შედარებით ხანგრძლივი შენახვის ვადის მქონე (საყიდვებზე ნაკლებად ხშირად წასვლის მიზეზით) ხილის გაყიდვების ზრდა. მნიშვნელოვანი შემცირება ლაიმის და ეგზოტიკური ხილის და ბოსტნეული გაყიდვებში.

» უპირატესობა ენიჭება შეფუთულ პროდუქტებს სურსათის უვნებლობის და მდგრადობის შესახებ მოსაზრებებიდან გამომდინარე. ეს ქმნის ბრენდინგის ახალ შესაძლებლობებს, მაგრამ ასევე ზრდის შეფუთვის ხარჯებს მომწოდებლისთვის.

» ზემოთ აღნიშნული ტენდენციის საპირისპიროდ, ასევე არსებობს ტენდენცია, რომ შინამეურნეობები მეტს ხარჯავენ სურსათზე, რომელსაც სახლში ამზადებენ და მიირთმევენ, რაკი რესტორნები დაკეტილია და ადამიანები შინიდან მუშაობენ. ამას მიუყავართ მზარდი „საკვების მომზადების სანდოობისკენ“, რაც შესაძლოა გულისხმობდეს რომ ადამიანები პანდემიის შემდეგაც ნაკლებად შეჭამენ გარეთ.

» ინსპირაციის საჭიროება: როგორცაა ახალი არომატები და რეცეპტები, ფერადი კერძები, მიმზიდველი შეფუთვა და სხვა.







ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნები

მიმდინარე თავში, ევროკავშირში ახალი ხილის და ბოსტნეულის ექსპორტისთვის ძირითადი მოთხოვნებია წარმოდგენილი. ევროკავშირის მოთხოვნები ეტალონად ითვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი სრულად დაკმაყოფილება ზოგადად იძლევა მთელი მსოფლიოში ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის „მაღალი კლასის“ ბაზრებზე ექსპორტის უფლების მოპოვება. რიგი ძირითადი ტერმინების (4.1) და ზოგადად სურსათის კანონმდებლობის (4.2) შემოღების შემდეგ, დეტალურად აღინერა სხვადასხვა სავალდებულო მოთხოვნები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: სურსათის უვნებლობა (4.3), მცენარეთა ჯანმრთელობა (4.4), მარკეტინგის სტანდარტები (4.5), სურსათის მოხმარება (4.6), სურსათთან შემხებლობაში მყოფი ნივთიერებები (4.7), ეტიკეტირება (4.8) და საბაჟო პროცედურები(4.9). ამას მოჰყვება ერთიანი ნებაყოფლობითი სტანდარტების და სერტიფიცირების სქემები (4.10) რომლებსაც ხშირად ითხოვენ მკითხველები.

სტრუქტურა და ინფორმაცია ძირითადად ეფუძნება განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტის ხელშეწყობის ცენტრის (CBI) ვებგვერდს, Access2Markets-ს, ევროპის კომისიის სურსათის უვნებლობის განყოფილებას, სურსათის

კანონმდებლობის შეჯამებებს, საქართველოს ოფიციალურ ვებგვერდს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ, საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის Trade with Georgia და crop2shop ვებგვერდებზე.

დასაწყისშივე განიხილება პასუხისმგებლობის საკითხი:

1. მნიშვნელოვანია ინფორმაციის რეგულარულად გადამონშება და განახლება, რადგან რეგულაციები შეიძლება გამკაცრდეს ახალი შეხედულებისამებრ და პერიოდული გადათვასების საფუძველზე.
2. ეს ანგარიში ძირითადად მოიცავს ევროკავშირის მოთხოვნებს თანამეგობრობის დონეზე. მრავალი ასპექტისთვის არსებობს განსხვავებები, დანიშნულების ქვეყნის მიხედვით.
3. ექსპორტიორებისთვის ყველაზე გადამწყვეტი კონკრეტული მყიდველის მოთხოვნებია, რომლებიც ხშირად იურიდიულ სტანდარტებზე მაღალია.

4.1 დეფინიციები

ამ თავში ძირითადი ტერმინებია სურსათის უვნებლობა და სურსათის ხარისხი. FAO (2003) მათ შემდეგნაირად განსაზღვრავს:

„სურსათის უვნებლობა“- ეხება ყველა იმ საფრთხეს, იქნება ეს ქრონიკული თუ მწვავე, რამაც საკვები მომხმარებლის

ჯანმრთელობისთვის საზიანო შეიძლება გახადოს. ეს განხილვას არ ექვემდებარება. [სურსათის] ხარისხი მოიცავს ყველა სხვა მახასიათებელს, რომელიც მომხმარებლისთვის სურსათის ღირებულებაზე გავლენას ახდენს. ეს მოიცავს ნეგატიურ მახასიათებლებს,

როგორცაა გაფუჭება, დაბინძურება, ფერის, სუნის შეცვლა, ასევე დადებით მახასიათებლებს, როგორცაა წარმოშობა, ფერი, არომატი, ტექსტურა და საკვების გადამუშავების მეთოდი. სურსათში პოტენციურ საფრთხეების არსებობის ხელშემწყობი ფაქტორებია: არასათანადო სასოფლო სამეურნეო პრაქტიკა; სურსათის ჭაჭვის ყველა ეტაპზე არასაკმარისი ჰიგიენა; პრევენციული კონტროლის არარსებობა საკვების გადამუშავებისა და მომზადების ოპერაციებში; ქიმიკატების ბოროტად გამოყენება; დაბინძურებული ნედლეული, ინგრედიენტები და წყალი; არაადეკვატური ან არასათანადო შენახვა და სხვა.

სურსათთან დაკავშირებული ძირითადი საფრთხეებია: მიკრობიოლოგიური საფრთხეები, პესტიციდების ნარჩენები, საკვები დანამატების არასწორად გამოყენება, ქიმიური დამაბინძურებლები, მათ შორის ბიოლოგიურ ტოქსინები და გაყალბება. სია კიდევ უფრო გაფართოვდა და მოიცავს გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს, ალერგენებს, ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებს და ზრდის ხელშემწყობ ჰორმონებს, რომლებიც გამოიყენება ცხოველური პროდუქტების წარმოებაში..”

4.2 ევროკავშირის სურსათის კანონმდებლობა

1990-იანი წლების ბოლოს სურსათთან დაკავშირებით მომხდარი არა ერთი ინციდენტის შემდგომ, ევროპის კომისიამ (EC) შეიმუშავა ინტეგრირებული მიდგომა სურსათის უვნებლობისადმი - „ფერმიდან - ჩანგლამდე“, რომელიც თავდაპირველად განისაზღვრა სურსათის უვნებლობის თეთრ წიგნში და 2002 წელს ჩამოაყალიბა სურსათის შესახებ კანონმდებლობის რეგულაცია (რეგულაცია (EC) No 178/2002). ეს რეგულაცია ადგენს ზოგად და თანმიმდევრულ ჩარჩოს სურსათის და ცხოველის საკვების შესახებ კანონმდებლობის შემუშავებისთვის, როგორც კავშირის ისე ეროვნულ დონეზე. სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ კანონის ძირითადი მიზნებია: i) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, აგრეთვე მომხმარებელთა ინტერესების დაცვა; ii) სურსათით ვაჭრობაში სამართლიანი პრაქტიკის დაცვა, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის საკითხების გათვალისწინებით; iii) კავშირში წარმოებული და გაყიდული სურსათის და ცხოველის საკვების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა; და iv) უსაფრთხო სურსათით და ცხოველის საკვებით გლობალური ვაჭრობის ხელშემწყობა, ევროკავშირის კანონმდებლობის

შემუშავებისას საერთაშორისო სტანდარტების და ხელშეკრულებების გათვალისწინების გზით.

სურსათის შესახებ კანონმდებლობის რეგულაცია, ქმნის საფუძველს ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოს (EFSA) შექმნისათვის, ეს არის დამოუკიდებელი სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია სურსათის შესახებ კონკრეტული კანონმდებლობის შემუშავებასა და მეცნიერულ საფუძველზე სურსათის ოფიციალური კონტროლის ჩარჩოს შექმნაზე. შემდგომ ის ქმნის ძირითად პროცედურებსა და ინსტრუმენტებს საგანგებო სიტუაციების და კრიზისების მართვისთვის, ასევე სურსათის/ცხოველის საკვების სწრაფი განგაშის სისტემას (RASFF).

დაქვემდებარებული კანონმდებლობა მოიცავს რეგულაციებს, დირექტივებს და განმახორციელებელ აქტებს, რომელთა ნაზვა შეგიძლიათ საიტზე: EUR-Lex

» რეგულაცია არის სამართლებრივი აქტი, რომელიც ძალაში შესვლისთანავე ავტომატურად და ერთნაირად ეხება ევროკავშირის, ყველა ქვეყანას, ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის საჭიროების გარეშე. ის სავალდებულოა ევროკავშირის ყველა ქვეყნისათვის.

» **ღირექტივა** ევროკავშირის ქვეყნებისაგან გარკვეული შედეგების მიღწევას მოითხოვს, თუმცა აძლევს მათ თავისუფლებას თავად აირჩიონ ამას როგორ გააკეთებენ. ევროკავშირის ქვეყნებმა უნდა მიიღონ ზომები მისი ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანისათვის (ტრანსპოზიცია), რათა მიაღწიონ ღირექტივით განსაზღვრულ შედეგებს. ეროვნულმა ხელისუფლებებმა ამ ზომების, შესახებ ინფორმაცია ევროპის კომისიას უნდა მიაწოდონ. ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანა უნდა მოხდეს ღირექტივის მიღებისას დადგენილ ვადაში (ჩვეულებრივ 2 წლის განმავლობაში).

» **განმახორციელებელი აქტი** არის სამართლებრივად სავალდებულო აქტი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომისიას - ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლების მეთვალყურეობით - განსაზღვროს პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ევროკავშირის კანონების ერთნაირად გამოყენებას.

ამჟამად მიმდინარეობს სურსათის უვნებლობის სამომავლო ბიუჯეტის 2021-2027 და ევროკავშირის სურსათის უვნებლობის და კვების სამომავლო პოლიტიკის 2020-2050 შემუშავების პროცესი.

4.3 სურსათის უვნებლობა

ამ თავში მოცემულია შემდეგი თემები: მიკვლევადობა (4.3.1), საკვების ჰიგიენა (4.3.2), დამაბინძურებლები (4.3.3) და ახალი საკვები (4.3.4).

4.3.1 მიკვლევადობა

სურსათის შესახებ კანონი (რეგულაცია EC / 178/2002) განსაზღვრავს მიკვლევადობას, როგორც სურსათის, საკვებისა და ინგრედიენტების მიკვლევისა და მიყლის შესაძლებლობას წარმოების, გადამუშავებისა და განაწილების ყველა ეტაპზე. მიკვლევადობა ძალზე მნიშვნელოვანია მომხმარებელთა დასაცავად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სურსათი წუნია. მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად:

» სურსათის ბიზნესს სჭირდება მიკვლევადობის სრულყოფილი სისტემა, რათა ინფორმაცია ადვილად იქნეს ხელმისაწვდომი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მიზნობრივი ამოღება, სისტემის ფუნქციონირების უფრო ფართო დარღვევის გარეშე..

» სურსათის ბიზნესს, მათ შორის იმპორტიორებს, უნდა შეეძლოთ განსაზღვრონ მინიმუმ პროდუქტის უშუალო

მიმწოდებელი და ტვირთის შემდგომი უშუალო მიმღები (ერთი ნაბიჯი უკან - ერთი ნაბიჯინინპრინციპი). ევროკავშირის ქვეყნების ფარგლებს გარედან მომწოდებლებმა განბაჟებისას უნდა წარადგინონ წარმოშობის დამადასტურებელი საბუთი.

» სურსათს უნდა ჰქონდეს ადექვატური ეტიკეტი და თანდართული ინფორმაცია უფრო კონკრეტული სპეციფიკაციების შესახებ რელევანტური მოთხოვნების შესაბამისად. (Access2Markets 2021; CBI 2020d)



4.3.2 სურსათის ჰიგიენა

არასასურველი ნივთიერებებით სურსათის დაბინძურების თავიდან არიდებისათვის საჭიროა ჰიგიენის საუკეთესო პრაქტიკის შენარჩუნება, მთელ მინოდების ჯაჭვზე. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია სურსათის ჰიგიენასთან დაკავშირებული რეგულაცია (EC) 852/2004 -ხილისა და ბოსტნეულის სექტორის მარეგულირებელი ევროკავშირის კანონმდებლობა. ეს რეგულაცია ეხება სურსათის მთელ ჯაჭვს (ფერმიდან - ჩანგლამდე) და შესაბამისობის სრულ პასუხისმგებლობას სურსათის ბიზნესის ოპერატორებს აკისრებს.

ზემოთ მოცემული რეგულაციის პირველი დანართის A ნაწილში ჩამოთვლილია ჰიგიენის ზოგადი პირობები პირველადი წარმოებისთვის (და მასთან ასოცირებული ოპერაციებისთვის), რომელიც მცენარეთა წარმოებასთან დაკავშირებით მოიცავს დაბინძურებისათვის მაქსიმალურად თავის არიდებას სუფთა შენობების და აღჭურვილობის, ჰიგიენური წარმოების, სუფთა წყლის, ჯანსაღი და კვალიფიციური პერსონალის, ცხოველებით და მავნებლებით დაბინძურების პრევენციის, ნარჩენების და სახიფათო ნივთიერებების სათანადო დასაწყობების და დამუშავების, მცენარეთა დაცვის პროდუქტების და ბიოციდების სწორი - კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენების, და მცენარეებსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ნიმუშებზე ჩატარებული ანალიზის გათვალისწინების

გზით. პირველადი პროდუქტების მწარმოებლები უნდა აწარმოებდნენ ჩანაწერებს, განსაკუთრებით მცენარეთა დაცვის პროდუქტების და ბიოციდების გამოყენების, სურსათის უვნებლობაზე შესაძლო გავლენის მქონე მავნებლების და დაავადებების გამოვლენის ასევე ჩატარებული მნიშვნელოვანი ანალიზების შედეგების შესახებ. მე-2 დანართში - ჩამოთვლილია ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნები სურსათის ჯაჭვის ყველა სხვა ოპერატორისთვის, ზოგადი სახელმძღვანელო მითითებებით სურსათის წარმოების ობიექტების და აღჭურვილობის, ტრანსპორტირების პირობების, სურსათის ნარჩენების, წყალმომარაგების, პირადი ჰიგიენის, სურსათის წარმოებაში ჩართული მუშების ტრენინგის, შეფუთვის და სითბური დამუშავების პროცესების შესახებ.

სურსათის ჯაჭვის ყველა ოპერატორი, გარდა პირველადი პროდუქტების მწარმოებლისა, ვალდებულია დანერგოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული კონტროლის წერტილის (HACCP) სისტემა. ამას გარდა, რეგულაცია ხელს უწყობს, კარგი ჰიგიენის პრაქტიკისთვის ეროვნული, ნებაყოფლობითი სახელმძღვანელოს შემუშავებას (GHP) HACCP და Codex Alimentarius- ის ჰიგიენური პრაქტიკის კოდების შესაბამისად. ეს სახელმძღვანელო შეტანილია GHP-ის ეროვნული სახელმძღვანელოების რეესტრში.

4.3.3 დამბინძურებლები

ახალ და გადამუშავებულ ხილსა და ბოსტნეულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი დამბინძურებლები (დეტალები იხილეთ მე-5 დანართში):

» **პესტიციდები:** ევროკავშირის მიერ დამტკიცებული აქტიური ნივთიერებები - პესტიციდების ქიმიური ან მიკრობიოლოგიური კომპონენტები

- ნაჩვენებია განმახორციელებელ რეგულაციაში (EU) No 540/2011. პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონე (MRLs) ჩამოთვლილია რეგულაციაში (EC) No 396/2005. ყველა პესტიციდის ნარჩენების მაქსიმალური დონე ყველა კვების პროდუქტისთვის მარტივად შეიძლება ჩამოიტვირთოს ევროკავშირის პესტიციდების ბაზიდან (EU Pesticide Database). პესტიციდების ნარჩენების ოფიციალური კონტროლისთვის

ნიმუშის აღების მეთოდები აღწერილია კომისიის დირექტივაში 2002/63/EC. ხილისა და ბოსტნეულისათვის მიღებული ანალიტიკური მეთოდები შემუშავებულია EU Reference Laboratory for Residues of Pesticides (EURL) -ის (პესტიციდების ნარჩენების ევროკავშირის საცნობარო ლაბორატორია) მიერ. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში (მაგალითად: გერმანია, პოლანდია) მყიდველებს დადგენილი აქვთ ნარჩენების მინიმალური დონის ოფიციალურზე მაღალი სტანდარტი. გერმანულ დისკონტერს Lidl ყველაზე მკაცრი პოლიტიკა აქვს - მაქსიმუმ 5 აქტიური ნივთიერება, ერთ ნივთიერებაზე ოფიციალური MRL -ის მაქსიმუმ 33% და ნივთიერებათა ჯამის ოფიციალური MRL-ის მაქსიმუმ 80%. სულ უფრო მეტი მყიდველი ითხოვს წინასწარ ინფორმაციას, როგორცაა ჩანანერები შესხურების შესახებ. (CBI 2020b)

» მძიმე მეთალები, ნიტრატები და მიკოტოქსინები: კომისიის რეგულაცია (EC) No 1881/2006 საკვებ პროდუქტებში სხვადასხვა დამბინძურებლების მაქსიმალური დონეების შესახებ, განსაზღვრავს ოფიციალურ ზღვრებს მძიმე მეთალების, ნიტრატების, მიკოტოქსინების და სხვებისთვის. ახალი და გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულისთვის არსებობს შემდეგი დამბინძურებლების ოფიციალური ზღვრები: ტყვია, კადმიუმი, კალა, ნიტრატი, აფლატოქსინი, პატულინი, ოქტრატოქსინი A, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები და ნახშირწყალბადის მუავა. ნიმუშების აღების და ანალიზის მეთოდებს აღწერს შემდეგი დოკუმენტები: კომისიის დირექტივა 2001/22 / EC ტყვიისა და კადმიუმის შესახებ, კომისიის დირექტივა 2004/16 / EC კალის შესახებ, კომისიის რეგულაცია (EC) No 1882/2006 ნიტრატის შესახებ, კომისიის რეგულაცია (EC) No 401/2006 მიკოტოქსინების შესახებ.

» მიკრობიოლოგიური დამბინძურებლები: კომისიის რეგულაცია (EC) No 2073/2005 საკვებისთვის დადგენილი მიკრობიოლოგიური კრიტერიუმების შესახებ, განსაზღვრავს ოფიციალურ ზღვრებს

ბაქტერიული დამბინძურებლებისთვის. ახალი და გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულისთვის დადგენილია შემდეგი ბაქტერიების ზღვრები: L. monocytogenes, Salmonella და E. coli. მიკრობიოლოგიური დაბინძურება ასევე ხშირად ხდება ნოროვირუსის და A ჰეპატიტის ვირუსებით. ნიმუშის აღების და ანალიზის მეთოდები შესაბამისობაშია სტანდარტებთან და Codex Alimentarius- ის სახელმძღვანელო პრინციპებთან.

» რადიოაქტივობა: რეგულაცია (Euratom) 2016/52 განსაზღვრავს სურსათის და ცხოველის საკვების რადიოაქტიური დაბინძურების მაქსიმალურ დასაშვებ დონეებს, ბირთვული ავარიის ან სხვა ტიპის რადიოლოგიური გადაუდებელი შემთხვევის შედეგად. მყიდველები ხშირად ითხოვენ ველურ გარემოში შეგროვებული სოკოს რადიოაქტიურ დაბინძურებაზე ტესტის ჩატარებას.

» დასხივება: დასხივება არის სურსათის ფიზიკურად დამუშავება მაღალი ენერჯის იონიზირებული სხივებით, მიკრობიოლოგიურ დაბინძურებასთან ბრძოლის, კარტოფილის, ხახვისა და ნივრის გაღვივების თავიდან აცილების, ხილის და ბოსტნეულის სიმწიფის და დაბერების შენელების და ხორცის შენახვის ვადის გახანგრძლივების მიზნებისთვის. ზოგადად, სურსათის დასხივება ნებადართულია მხოლოდ გონივრული ტექნოლოგიური საჭიროებისთვის, თუ ის არავითარ საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას და სარგებელი მოაქვს მომხმარებლისთვის და თუ ის არ ანაცვლებს ჰიგიენის ან კარგი წარმოების პრაქტიკას (ევროპის კომისია 2021). დირექტივა 1999/2/EC აერთიანებს ევროკავშირის ყველა ქვეყნის კანონებს დასხივების შესახებ, ხოლო დირექტივა 1999/3/EC ქმნის საფუძველს საკვებისა და საკვები ინგრედიენტების სიის შექმნისათვის, რომელთა დამუშავება შესაძლებელია დასხივებით. არსებობს დასხივებული საკვების გამოვლენის სტანდარტული ანალიტიკური მეთოდები და დასხივებული საკვები უნდა იყოს შესაბამისად ეტიკეტირებული.

» უცხო ნივთიერებები: რეკომენდებულია ფიზიკური გადარჩევის და თვალთ და ხელით კონტროლის განხორციელება, აგრეთვე ოპტიკური, მეტალისა და სხვა დეტექტორების გამოყენება უცხო

ნივთიერებების გამოსავლენად და მოსაცილებლად, როგორცაა ლითონის ნაწილები, მინა, პლასტიკური ნაწილაკები და მკვდარი მწერები (CBI 2020b).

4.3.4 ახალი (ნოველ) სურსათი

ახალი (ნოველ) სურსათი 1997 წლის 15 მაისამდე ევროკავშირში მიიჩნეოდა როგორც ადამიანის მოხმარებისთვის გამოუყენებელი. ეს შესაძლოა იყოს ახლად შექმნილი, ინოვაციური სურსათი, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებული სურსათი, ასევე სურსათი რომელიც ტრადიციულად იყო ევროკავშირის ფარგლებს გარეთ EU (CBI 2020e).

ახალი სურსათის მოხმარებისთვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რეგულაცია (EU) 2015/2283 განსაზღვრავს მისი ავტორიზაციის წესებს და პროცედურებს. ევროკავშირის ბაზარზე ახლის სურსათის შეტანამდე, მის შესახებ შეტყობინება უნდა გავრცელდეს ონლაინ რეჟიმში, და შემდგომ უნდა დამტკიცდეს ევროპის კომისიის მიერ. კომისიის განმარტაციის რეგულაცია (EU) 2017/2470 ასევე განსაზღვრავს ავტორიზებულ ახალ სურსათს.

4.4 მცენარეთა ჯანმრთელობა

ევროკავშირი ატარებს შემდეგ შესაძლო დამცავ ზომებს მავნებლების და მცენარეებისთვის ან მცენარეული პროდუქტებისთვის მავნე სხვა ორგანიზმების საწინააღმდეგოდ რეგულაციის (EU) 2016/2031 (კანონი მცენარეთა ჯანმრთელობის შესახებ) და რეგულაციის (EU) 2019/2072 (განხორციელებისთვის თანაბარი პირობების შექმნა) საფუძველზე:

» **იმპორტის აკრძალვა:** არა წვერი ქვეყნებიდან რიგი პროდუქტების (ჩამოთვლილი (EU) 2019/2072) რეგულაციის VI დანართში) შეტანა იკრძალება ევროკავშირის ან განსაზღვრული დაცული ზონების ტერიტორიაზე. როდესაც იკრძალება გარკვეული მცენარეული მასალა (მაგალითად: *Vitis L.* და *Citrus L.*), აღნიშნული საიმპორტო აკრძალვები არ ეხება ქართულ ახალ ან გადამუშავებული ხილსა და ბოსტნეულს

» **ფიტოსანიტარული სერტიფიკატი:** ახალი ხილისა და ბოსტნეულის უმეტესობა და ასევე

რიგი შესაფუთი მასალები (მაგალითად: ხის პალეტები და ყუთები) მიწოდებამდე მოითხოვს ფიტოსანიტარულ სერტიფიკატს, რაც არის გარანტია, იმისა რომ აღნიშნული სათანადოდ არის ინსპექტირებული, თავისუფალია საკარანტინო მავნე ორგანიზმებისაგან, აკმაყოფილებს მოთხოვნებს რეგულირებული არა საკარანტინო მავნე ორგანიზმებისათვის და პრაქტიკულად თავისუფალია სხვა მავნე ორგანიზმებისაგან. მცენარეები ან მცენარეული პროდუქტები, რომლებიც ამგვარ სერტიფიკატს უნდა ფლობდნენ/ ატარებდნენ, მათი ლათინური დასახელებებით არიან ჩამოთვლილი of რეგულაციის (EU) 2019/2072 XI და XII დანართებში. სერტიფიკატი შესაბამისობაში უნდა იყოს რეგულაციის (EU) 2016/2031 VIII დანართის A ნაწილთან და უნდა გაიცეს ანგარიშის წარმდგენი ქვეყნის მცენარეთა დაცვის ეროვნული უწყების მიერ.

» **ინსპექტირებები:** ევროკავშირში შეტანის მომენტიდან, მცენარეები და

მცენარეული პროდუქტები ექვემდებარებიან დოკუმენტების შემოწმებას, იდენტობის შემოწმებას და მცენარის ჯანმრთელობის შემოწმებას, პასუხისმგებელი ოფიციალური პირის მიერ. ევროკავშირის ქვეყნები კრებენ მოსაკრებელს ამგვარი შემოწმებებისთვის, რომლებიც შესაძლოა იმპორტის და მარკეტინგის ყოველ ეტაპზე განხორციელდეს, თუმცა ძირითადად ტარდება შესვლის წერტილებში (CBI 2020d).

» **იმპორტიორების რეესტრი:** იმპორტიორები შეტანილი უნდა იქნენ წევრი ქვეყნის ოფიციალურ რეესტრში, ოფიციალური სარეგისტრაციო ნომრით.

» **საცანგებო ზომები** მიიღება კონკრეტული ქვეყნის კონკრეტული პროდუქტების განმეორებითი შეუსაბამობის შემთხვევაში.

ევროკავშირმა შექმნა TRACES, მრავალენოვანი ონლაინ პლატფორმა, სანიტარულ და ფიტოსანიტარულ მოთხოვნებთან დაკავშირებული დოკუმენტების ციფრული გაცვლისთვის. არა ევროკავშირის დონეზე TRACES ნებაყოფლობით საფუძველზე გამოიყენება. პლატფორმას 42'000-ზე მეტი მომხმარებელი იყენებს, მსოფლიოს დაახლოებით 85 ქვეყნიდან (ამ დრომდე საქართველო მათ რიცხვში არ არის).

4.5 მარკეტინგის სტანდარტები

ევროკავშირის განმახორციელებელი რეგულაცია (EU) No 543/2011 განსაზღვრავს მარკეტინგის ზოგად სტანდარტებს (I დანართის A ნაწილი), რომლებიც ეხება ნებისმიერ ხილს ან ბოსტნეულს, მცირედი გამოწვლის გარდა (ქვემოთ ჩამოთვლილი), ასევე მარკეტინგის კონკრეტულ სტანდარტებს (I დანართის B ნაწილი) შემდეგი ათი პროდუქტისთვის: ვაშლი; ციტრუსი; კივი; მწვანე სალათი; ხვეულფოთლოვანი და ფართოფოთლოვანი ენდივები; ატამი და ვაშლატამა; მსხალი; მარწყვი; ტკბილი წინაკა; სუფრის ყურძენი; პომიდორი. ეს უკანასკნელი პროდუქტები მოითხოვენ შესაბამისობის სერთიფიკატს (როგორც განსაზღვრულია III დანართში), რომელსაც გასცემენ ევროპული მაკონტროლებელი ორგანოები. სერთიფიკატებზე პასუხისმგებელი ორგანო დამოკიდებულია დანიშნულების ქვეყანაზე და მისი მოძიება შესაძლებელია ვებგვერდზე Access2Markets, ექსპორტის დეტალების შეტანისას ველში „იმპორტის მოთხოვნები“ - „კონკრეტული“ - „მარკეტინგის სტანდარტები ახალი ხილისა და ბოსტნეულისთვის“.

მარკეტინგის ზოგადი სტანდარტები მოიცავს შემდეგს:

1. მინიმალური მოთხოვნები: პროდუქტები უნდა იყოს ხელუხლებელი, ჯანსაღი, სუფთა, პრაქტიკულად თავისუფალი მავნე ორგანიზმებისგან, არ უნდა იყოს დაზიანებული რბილობზე გავლენის მქონე მავნე ორგანიზმებით, უნდა იყოს ანომალური გარე ტენიანობის გარეშე, და თავისუფალი ყოველგვარი უცხო სუნისა და / ან გემოსაგან. პროდუქციის მდგომარეობა უნდა იყოს ისეთი, რომ უძლებდეს ტრანსპორტირებას და დამუშავებას, რათა დანიშნულების ადგილზე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მივიდეს.

2. სიმწიფის მინიმალური მოთხოვნები: პროდუქტი უნდა იყოს სათანადოდ და არა გადამეტებულად განვითარებული; და ხილი უნდა უჩვენებდეს დამაკმაყოფილებელ სიმწიფეს და არა გადამწიფებულ მდგომარეობას. პროდუქტის განვითარებისა და სიმწიფის მდგომარეობა ისეთი უნდა იყოს, რომ აძლევდეს მას საშუალებას განაგრძოს მწიფობის პროცესი და მიაღწიოს სიმწიფის დამაკმაყოფილებელ დონეს.

3. დაშვება: ლოტის მხოლოდ 10% შეიძლება იყოს გადახრილი მინიმალური მოთხოვნებისაგან; დამაქსიმუმ 2% შეიძლება

შედგებოდეს ლპობით დაზიანებული პროდუქტებისაგან.

4. მარკირება: ხილვადი, ნაკითხვადი და არა ნაშლადი ეტიკეტი, წარმოშობის ქვეყნის და შემფუთველის ან დისპერსიის ან წინასწარი შეფუთვის შემთხვევაში - ევროკავშირში დატუქნებული გამყიდვლის სახელის და ფიზიკური მისამართის (ან კოდის ნიშნის) მითითებით.

მარკეტინგის ზოგადი სტანდარტებისაგან განთავისუფლებული პროდუქტებია: არა კულტივირებული სოკო; კაპერი, მწარე ნუში, გარჩეული ნუში, გარჩეული თხილი, გარჩეული კაკალი, კედრის კაკალი, ფისტა, მაკადამია, პეკანი, სხვა თხილი, გამხმარი ბანანი, გამხმარი ციტრუსი ტროპიკული თხილის მიქსი, სხვა თხილის მიქსი, და ზაფრანა (მუხლი 4.6; შესაბამისი CN კოდები არ არის აქ ჩამოთვლილი ნაკითხვადობის მიზნებისთვის).

მარკეტინგის სპეციალური სტანდარტები მოიცავს ინფორმაციას შემდეგი ასპექტების შესახებ:

1. პროდუქტის განსაზღვრა
2. დებულებები ხარისხთან დაკავშირებით (მინიმალური მოთხოვნები, სიმწიფის მოთხოვნები და კლასიფიკაცია)

3. ზომასთან დაკავშირებული დებულებები
4. დაშვებასთან დაკავშირებული დებულებები
5. გაფორმებასთან დაკავშირებული დებულებები
6. მარკირებასთან დაკავშირებული დებულებები

სტანდარტებთან შეუსაბამო პროდუქტები შესაძლოა დაშვებულ იქნას ევროკავშირში იმპორტისთვის, თუ ისინი გამიზნულია გადამუშავებისთვის, ცხოველის საკვებად ან არა სასურსათო მოხმარებისთვის და მკაფიოდ მარკირებულია სიტყვებით: „გამიზნულია გადამუშავებისთვის“ ან მსგავსი ინფორმაციით.

გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ (UNECE) შეიმუშავა მინიმალური ხარისხის სპეციფიკაციები ახალი ხილისა და ბოსტნეულისთვის (UNECE-MQS), ახალი ხილის და ბოსტნეულის 50 – ზე მეტი მარკეტინგის სპეციალური სტანდარტი და მშრალი და გამხმარი პროდუქციის 30 – ზე მეტი მარკეტინგის სპეციალური სტანდარტი. ასევე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ გამოქვეყნებული Codex Alimentarius განსაზღვრავს დიდი რაოდენობით ახალი და გადამუშავებული პროდუქტების მარკეტინგის სტანდარტებს.

4.6 სურსათის შემადგენლობის მოთხოვნები

გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის სექტორში ხშირად ჩნდება სირთულეები კონსერვანტების (მაგ. სულფიტი ჩირში, ბენზოინის მჟავა დამწნილებულ ბოსტნეულში) და საღებავების (მაგ. E110 პიურებში, E102 სპრედებში) არადეკლარირებული ან გადაჭარბებული

გამოყენების გამო (CBI 2021e). ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ სურსათის გაუმჯობესების აგენტებთან (4.6.1) და საკვებ დანამატებთან (4.6.2) დაკავშირებული წესების, ასევე კონკრეტულ პროდუქტებთან (4.6.3) დაკავშირებული რეგულაციების შესახებ.

4.6.1 საკვები პროდუქტების გამაუმჯობესებელი აგენტები

საკვები პროდუქტების გამაუმჯობესებელი აგენტები მოიცავს შემდეგ ნივთიერებებს:

» საკვები ფერმენტები, ანუ მცენარეების, ცხოველების ან მიკროორგანიზმებისგან

მიღებული პროდუქტები, რომლებსაც შეუძლიათ ბიოქიმიური რეაქციის გამონწვევა და გამოიყენება საკვების წარმოებაში, დამუშავებაში, მომზადებაში, შეფუთვაში, ტრანსპორტირებაში ან შენახვაში. საკვები ფერმენტები ძირითადად გამოიყენება ცხობაში, ღვინისა და ყველის წარმოებაში, ასევე ხილის წვენების წარმოებაში. დამტკიცებული ფერმენტები და მათი გამოყენების და ეტიკეტირების პირობები აღწერილია რეგულაციაში No1332/2008.

» **საკვები დანამატები**, ანუ ნივთიერებები რომლებიც გამოიყენება საკვებში სხვადასხვა მიზნებით, მაგალითად, როგორც დამატკობელი, საღებავი ან კონსერვანტი (საერთო ჯამში, ევროკავშირის კანონმდებლობა განსაზღვრავს 26 "ტექნოლოგიურ მიზანს"). დამტკიცებული საკვები დანამატები და მათი გამოყენების პირობები და ეტიკეტირება აღწერილია No1333/2008 რეგულაციაში.

» **არომატიზატორები**, ანუ ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება საკვების სუნის და გემოს შესაქმნელად ან შესაცვლელად. ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, არსებობს ექვსი სხვადასხვა სახის არომატიზატორი. დამტკიცებული არომატიზატორები და მათი გამოყენების და ეტიკეტირების პირობები აღწერილია No1334/2008 რეგულაციაში.

არსებობს საკვები დანამატების და საკვების არომატიზატორების მონაცემთა ბაზები, საიდანაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება დამტკიცებული აგენტების და მათი მაქსიმალური ზღვრების შესახებ, სურსათის სხვადასხვა კატეგორიებთან მიმართებით, მათ შორის სხვა და გადაუმუშავებულ ხილსა და ბოსტნეულთან. მნიშვნელოვანია ამ ბაზების რეგულარულად გადამოწმება, რაკი ყველა აგენტი პერიოდულად ხელახლა თვასდება.

4.6.2 საკვები შემავსებელი

საკვები შემავსებლები არის საკვები ნივთიერებები და ინგრედიენტები, როგორცაა ვიტამინები, მინერალები, ამინომჟავები, აუცილებელი ცხიმოვანი მჟავები, ბოჭკოები და სხვადასხვა მცენარეული და ბალახოვანი ექსტრაქტები. ისინი ემატება საკვებს მისი „შევსების“ ან „გამდიდრების“ მიზნით, კერძოდ, საკვებისათვის განსაკუთრებული მახასიათებლების დამატების ან არსებულის ხაზგასმის მიზნით. (EC 2021a).

რეგულაცია (EC) No1925/2006 განსაზღვრავს ევროკავშირის წესებს ამ შემავსებლების

დამატებასთან დაკავშირებით. ის შეიცავს დამტკიცებული ვიტამინების, მინერალების და სხვა ნივთიერებების ჩამონათვალს, ასევე ინფორმაციას მათი მაქსიმალური ოდენობების შესახებ, რომელიც შეიძლება საკვებ პროდუქტს დაემატოს. ვიტამინები და მინერალები შესაძლოა ვერ დაემატოს გადაუმუშავებელ საკვებს, მათ შორის ახალ ხილს და ბოსტნეულს. მათი გამოყენება შესაძლებელია ხილის წვენების და ნექტარის წარმოებისას. მაქსიმალური დონეები ჯერ არ არის დადგენილი, მაგრამ ევროპის კომისია წინადადებაზე მუშაობს. (CBI 2021e)

4.6.3 რეგულაციები კონკრეტული პროდუქტების შესახებ

არსებობს სპეციალური კანონმდებლობა შემდეგი გადაუმუშავებელი ხილის და ბოსტნეულის პროდუქტებისთვის:

» **ხილის წვენები და მსგავსი პროდუქტები:** საბჭოს დირექტივა 2001/112/EC ეტიკეტირების შესახებ ინსტრუქციებთან ერთად განსაზღვრავს: ხილის წვენების

და მსგავსი პროდუქტების წარმოებისას გამოსაყენებელ ნედლეულს, ავტორიზებულ დანამატებს და ხილის წვენი და/ან პიურეს მინიმალურ შემადგენლობას.

» ხილის ჯემები, უელე, მარმელადი და ნაბლის ტკბილი პიურე: [საბჭოს დირექტივა 2001/113/EC](#) ეტიკეტირების შესახებ ინსტრუქციებთან ერთად II დანართში განსაზღვრავს ავტორიზებული დანამატების ჩამონათვალს.

4.7 საკვებთან კონტაქტში მყოფი მასალები, მათ შორის შეფუთვა

საკვებთან კონტაქტში მყოფი მასალები (FCM) არის მასალები და ნაწილაკები რომლებიც გამოიყენება სურსათის მინოდების ჯაჭვის განმავლობაში, მაგალითად: ტრანსპორტირების კონტეინერები, გადამამუშავებელი დანადგარები და შესაფუთი მასალები. საკვებთან კონტაქტში მყოფ მასალებთან დაკავშირებული რეგულაციების ძირითადი მიზანია მომხმარებლის ჯანმრთელობის და გარემოს დაცვა.

[რეგულაცია \(EC\) No 1935/2004](#) უზრუნველყოფს ევროკავშირის ზოგად ჰარმონიზებულ სამართლებრივ ჩარჩოს, საკვებთან კონტაქტში მყოფი მასალებისთვის. ეს კანონმდებლობა განსაზღვრავს რომ, საკვებთან კონტაქტში მყოფი მასალები უნდა იყოს საკმარისად ინერტული, ისე რომ მათი შემადგენლობა არ ახდენდეს გავლენას მომხმარებლის ჯანმრთელობასა და სურსათის ხარისხზე (მაგალითად: შემადგენლობის, გემოს ან სუნის მიუღებელი ცვლილებები). ის განსაზღვრავს მასალების 17 ჯგუფს, სადაც შესაძლებელია სპეციალური ზომების ფორმულირება, მაგალითად: სინმინდის სტანდარტების ან ნებადართული ნივთიერებების აღნიშნულზე დაყრდნობით. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობას აქვს ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ინდივიდუალურ წესებს განსაზღვრავს. ზოგადი აქტის გარდა, არსებობენ შემდეგი კანონები:

» სპეციალური მასალები, კერძოდ ახალი პლასტმასის მასალები ([კომისიის რეგულაცია \(EU\) No 10/2011](#)),

გადამამუშავებელი პლასტმასის მასალები ([კომისიის რეგულაცია \(EC\) No 282/2008](#)), აქტიური და ჰივიანი მასალები და ნაწილაკები ([კომისიის რეგულაცია \(EC\) No 450/2009](#)), კერამიკა ([საბჭოს დირექტივა 84/500/EEC](#)) და რეგენერირებული ცელოლოზის ფირი ([კომისიის დირექტივა 2007/42/EC](#)); და

» სპეციფიური ნივთიერებები, კერძოდ ეპოქსიდური წარმოებულები ([რეგულაცია \(EC\) No 1895/2005](#)) და ბისფენოლ A ([კომისიის რეგულაცია \(EU\) 2018/213](#)), ნივთიერება რომელიც ხშირად გამოიყენება პლასტმასის ბოთლებში და ქილის სახურავების შიდა საფარში (CBI 2020e).

პლასტმასის მასალებისთვის, რეგულაციები ხშირად უფრო მკაცრია - [დირექტივა \(EU\) 2019/904](#) რიგი პლასტმასის პროდუქტების გარემოზე ზეგავლენის შემცირების შესახებ და [ევროპული სტრატეგია ცირკულარულ ეკონომიკაში პლასტმასის შესახებ](#) რამაც მოამზადა საფუძველი ერთჯერადი გამოყენების პლასტმასის დირექტივის შესახებ წინადადებისთვის.

საკვებთან კონტაქტში მყოფი ყველა მასალა შესაბამისობაში უნდა იყოს ზემოთ აღნიშნულ რეგულაციებთან, თუმცა ყველაზე მეტი რისკის შემცველი და ყველაზე კონტროლირებადი როგორც ჩანს შეფუთვაა. შესაბამისად, შეფუთვისასთან დაკავშირებით საჭიროა დამატებითი რეგულაციების გათვალისწინება:

» [დირექტივა 94/62/EC](#) განსაზღვრავს, ევროკავშირის წესებს შეფუთვისასა და

შესაფუთ ნარჩენებს ბოლოდროინდელი შესწორებებსაც, მოიცავს შესაფუთი ნარჩენების შემცირებას და ეკოლოგიურად სუფთა მეორეულ გამოყენებასა და და გადამუშავების ხელშეწყობას, მომხმარებელთა და საკვების უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით.

» საბჭოს დირექტივა 76/211/EEC განსაზღვრავს, რომ შემფუთველი ან იმპორტიორი პასუხისმგებელია წინასწარ შეფუთული საქონლის ეტიკეტირებაზე, ნომინალური წონის

ან მოცულობის მითითებით, და რომ შიგთავსი შეესაბამებოდეს მითითებულ რაოდენობას. ევროკავშირის წევრი ქვეყნების პასუხისმგებელი ორგანოები შემფუთველის ან იმპორტიორის ობიექტებზე შერჩევით ამოწმებენ წინასწარ შეფუთულ საქონელს.

» ამჟამად მიმდინარეობს საკვებთან კონტაქტში მყოფი მასალების შესახებ ევროკავშირის წესების გადასინჯვის პროცესი. სამეცნიერო და ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ევროკავშირის FCM საცნობარო ლაბორატორია.

4.8 ეტიკეტირება

ეტიკეტირების წესები მნიშვნელოვანია, რადგან უზრუნველყოფს მომხმარებელს საკვები პროდუქტის შემცველობის და შემადგენლობის შესახებ ყოველისმომცველი ინფორმაციით, რომელიც არ არის დამაბნეველი და იძლევა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. არსებობს ეტიკეტირების შესახებ ორი ტიპის დებულება, რომლებიც

ეხება საკვებს: სურსათის ეტიკეტირების ზოგადი წესები (7.1) და სპეციალური წესები პროდუქტების გარკვეული ჯგუფებისთვის (7.2). სურსათის ეტიკეტირების საინფორმაციო სისტემა (FLIS) ნებისმიერი შერჩეული პროდუქტისთვის ევროკავშირის ეტიკეტირების აღნიშვნის ამოღების შესაძლებლობას იძლევა.

4.8.1 ზოგადი წესები

რეგულაცია (EU) No 1169/2011 ადგენს ევროკავშირის ზოგად პრინციპებს, მოთხოვნებს და პასუხისმგებლობებს მომხმარებლისთვის საკვების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და ეტიკეტირების შესახებ. ეს მოიცავს წესებს სურსათის სავალდებულო ეტიკეტირების, წინასწარ შეფუთული და წინასწარ შეუფუთავი

სურსათისთვის, სურსათის ნებაყოფლობით ეტიკეტირებას, კვებითი თვისებების და წარმოშობის ეტიკეტირებას, ასევე სურსათის შესახებ ინფორმაციის ენას და პრეზენტაციას. შესაბამისი მიმოხილვა მოცემულია ვებგვერდზე Access2Markets.

4.8.2 სპეციალური წესები რიგი პროდუქტებისათვის

არსებობს ეტიკეტირების რიგი სპეციალური წესები შემდეგი პროდუქტებისათვის:

» გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები და ახალი სურსათი: რეგულაცია (EC) No 1829/2003 და რეგულაცია (EC)

No 1830/2003. ოპერატორებმა ეტიკეტზე უნდა მიუთითონ: “ეს პროდუქტი შეიცავს გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს”.

» სპეციალური დანიშნულების საკვები პროდუქტი (ბავშვთა კვება,

დიეტური საკვები კონკრეტული სამედიცინო მიზნებისთვის, საკვები წონის კლებისათვის, საკვები სპორტსმენებისთვის, და სხვა.): რეგულაცია (EU) No 609/2013. ეს პროდუქტები შესაბამისობაში უნდა იყოს მათ გაცხადებულ მიზნებთან და უნდა იყოს მითითება ამ შესაბამისობის შესახებ.

» საკვები დანამატები და არომატიზატორები: [რეგულაცია \(EC\) No 1333/2008](#) და [რეგულაცია \(EC\) No 1334/2008](#). დანამატების და არომატიზატორების შესახებ ინფორმაცია

ყოველთვის უნდა იყოს დატანილი საკვები პროდუქტების ეტიკეტზე, მათი კატეგორიის (ანტიოქსიდანტი, კონსერვანტი, საღებავი და სხვა) და სახელის ან ელექტრონული ნომრის მითითებით.

» კონკრეტული საკვები - ხილსა და ბოსტნეულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, შემდეგი: ხილის წვენები და მსგავსი პროდუქტები ([საბჭოს დირექტივა 2001/112/EC](#)); ხილის ჯემები და ტკბილი წაბლის პიურე ([საბჭოს დირექტივა 2001/113/EC](#)).

4.9 განბაჟება

საკავშირო საბაჟო კოდექსი (UCC), შესაბამის განმარტებულ კანონმდებლობასთან ერთად, მოიცავს ევროკავშირის ფარგლებს გარეთ ქვეყნებთან ვაჭრობასთან დაკავშირებულ პრინციპულ საკითხებს. ევროკავშირის ფარგლებს გარეთ დაფუძნებულ ეკონომიკურ ოპერატორებს ნევრმაქვეყანამ უნდა მიაწოდოს ეკონომიკური ოპერატორის სარეგისტრაციო და საიდენტიფიკაციო (EORI) ნომერი, რომელიც მერე შესაძლოა გამოყენებული იქნას ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე, საბაჟო დეკლარაციის, შესვლის შემატყამებელი დეკლარაციის (ENS) ან გასვლის შემატყამებელი დეკლარაციის (EXS) წარსადგენად.

შესვლის შემატყამებელი დეკლარაცია არის წინასწარი ინფორმაცია საქონლის შესახებ, რომელიც გადამზიდვმა წინასწარ უნდა წარუდგინოს ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლის პირველ საბაჟო სამსახურს.

ევროკავშირის საზღვართან მისვლისას, ევროკავშირში იმპორტირებული საქონლის შესახებ დეკლარაცია უნდა წარუდგინოს შესაბამისი წევრი ქვეყნის საბაჟო სამსახურს, **ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტის (SAD)** მეშვეობით. ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტი შედგება

რვა პირისაგან, იმპორტის შემთხვევაში ძირითადად სამი პირია საჭირო (ერთი ოფიციალური უწყებისთვის, ერთი სტატისტიკური მიზნებისთვის და ერთი ტვირთის მიმღებისთვის) ერთიან ადმინისტრაციულ დოკუმენტს უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ვებგვერდი [Access2Markets website](#) იმპორტის მოთხოვნების ველი ზოგადი):

» ოპერატორის მიერ გაცემული კომერციული ინვოისი

» საბაჟო ღირებულების დეკლარაცია, თუ პროდუქტის ღირებულება აღემატება 20'000 ევროს

» ექსპორტიორის მიერ მომზადებული შეფუთვის სია (P / L)

» ნომინირებული გადამზიდველის მიერ გაცემული სატვირთო დოკუმენტი

» ტვირთის დაზღვევა

იმპორტირებული პროდუქტის ბუნებიდან გამომდინარე, ერთიან ადმინისტრაციულ დოკუმენტს შესაძლოა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

» წარმოშობის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება

შელავათიანი ტარიფის მისაღებად (იხ. ნაწილი 4.3.1)

» ინსპექტირების სერთიფიკატები, მაგალითად:

» ფიტოსანიტარული სერთიფიკატი ექსპორტირებული პროდუქტისა და შესაძლოა შესაფუთი მასალისთვის (იხ. ნაწილი 4.4)

» ევროკავშირის სპეციფიკურ მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის სერთიფიკატი (იხ. ნაწილი 4.5)

» ჰიგიენის სერთიფიკატი, თუ ამას ითხოვს იმპორტიორი

» იმპორტის ლიცენზიები (კომისიის განმარტებული რეგულაციის (EU) 2020/761 თანახმად, ეს მხოლოდ Agaricus-ის გვარის ნიორსა და სოკოებს ეხება)

» საზოგადოებრივი მეთვალყურეობის დოკუმენტი

» სატარიფო კვოტის მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტები

» აქციზის მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტი

» მტკიცებულებები, რომლებიც ამტკიცებენ დღგ-ს შეღავათის მოთხოვნას

საქონელი "თავისუფალ მიმოქცევაში გადის", როდესაც ევროკავშირში იმპორტთან დაკავშირებული ყველა პირობა სათანადოდ შესრულებულია, მათ შორის სხვადასხვა გადასახადების გადახდა, როგორცაა აქციზის გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). ექსპორტი საქართველოდან ხდება გადასახადის გარეშე.

4.10 ერთიანი ნებაყოფლობითი სტანდარტები და სასერთიფიკატო პროგრამები

ევროკავშირის კანონმდებლობა წარმოადგენს ბაზარზე შესვლის მინიმალურ მოთხოვნას. ამასთან, მსხვილი საცალო მოვაჭრეები და ზოგიერთი სავაჭრო ობიექტი მოითხოვს დამოუკიდებლად გადამოწმებული კერძო სტანდარტების დაცვას (Graffham 2006, 12). შემდეგში

წარმოდგენილია პოპულარული ინიციატივები და სასერთიფიკატო პროგრამები, რომლებიც ეხება საკვების უსაფრთხოებას და ხარისხის მენეჯმენტს, სოციალურ, ეთიკურ, ეთნიკურ, ეკოლოგიურ და მდგრადობის სტანდარტებს.

ISO სტანდარტები

4.10.1 ISO სტანდარტები

[სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია \(ISO\)](#) არის დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 165 ქვეყნის ეროვნული სტანდარტების ორგანოებს. სხვადასხვა ტექნიკური კომიტეტები (TC) და ქვეკომიტეტები (SC) ქმნიან კონსენსუსზე დაფუძნებულ ნებაყოფლობით საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებსაც როგორც ბაზას, ხშირად იყენებენ კერძო სტანდარტების ორგანიზაციები (ISO n.a.).

სტანდარტიდან 1'600 -ზე მეტი დაკავშირებულია სურსათის სექტორთან, ასევე ბევრი განვითარების პროცესშია. ძირითადი სტანდარტები ჩამოთვლილია თავში [76 – სურსათის ტექნოლოგია](#), მათი უმეტესობა მოდის დოკუმენტიდან [TC 34 საკვები პროდუქტების შესახებ \(ISO/TC 34\)](#). ეს უკანასკნელი მოიცავს სტანდარტებსა და სახელმძღვანელო მითითებებს სურსათის მრეწველობაში მიმდინარე პროცესებისთვის, რომელთა შორისაა: საკვების ჰიგიენა, სურსათის უვნებლობის მენეჯმენტი ([ISO 22000](#)), სოციალური პასუხისმგებლობა და

23'000-ზე მეტი საერთაშორისო

მდგრადი განვითარება ([ISO/TS 26030](#)); სხვადასხვა ნივთიერებების და საკვები პროდუქტების, საკვებთან კონტაქტში მყოფი ნივთიერებების და სხვათა ტესტირების და ანალიზის მეთოდები.

ISO-ს ასევე აქვს [შესაბამისობის შეფასების კომიტეტი \(CASCO\)](#) რომელიც ქმნის ზოგად სტანდარტებს და სახელმძღვანელო მითითებებს სხვადასხვა CAB-ებისთვის,

როგორცაა [ISO 17011](#) აკრედიტაციის ორგანოებისთვის, [ISO 17020](#) ინსპექტირების ორგანოებისთვის, [ISO 17025](#) ტესტირების და საკალიბრო ლაბორატორიებისთვის, [ISO 17034](#) საცნობარო მასალების მწარმოებლებისთვის, [ISO 17043](#) კვალიფიკაციის შემოწმებისთვის, და [ISO 17065](#) პროდუქციის, პროცესებისა და მომსახურების სერტიფიცირების ორგანოებისთვის.

4.10.2 GFSI-სურსათის უვნებლობის სერტიფიცირების პროგრამები

სურსათის უვნებლობის გლობალური ინიციატივა (GFSI) არის სამომხმარებლო საქონლის ფორუმის საეტაპო ინიციატივა (CGF). მან შეიმუშავა ბენჩმარკინგის მოთხოვნები, მსოფლიოს მასშტაბით სურსათის უვნებლობის პროგრამების ჰარმონიზაციის მიზნით. GFSI ნიშნულების განსაზღვრის მოთხოვნები პირველად შეიქმნა 2001 წელს და ხშირად განახლდება. GFSI აღიარება უზრუნველყოფს «პასპორტს» გლობალურ ბაზარზე ფუნქციონირებისთვის, როგორც აღიარებული სასერტიფიკატო პროგრამის მფლობელებისთვის (CPO), ასევე სერტიფიცირებული კომპანიებისთვის. GFSI-ს შემატყობველი ცხრილი უზრუნველყოფს კარგ მიმოხილვას აღიარებული CPO-ებისა და მათი აღიარების სფეროს შესახებ, სურსათის მიწოდების ჯაჭვის მანძილზე. ამ დროისთვის არსებობს თორმეტი GFSI-ს მიერ აღიარებული CPO (ამჟამად მიმდინარეობს GFSI კრიტერიუმების V2020 შეფასების ეტალონური პროცესი), მათ შორის

ბრენდის რეპუტაციის შესაბამისობის გლობალური სტანდარტები ([BRCGS](#)) სურსათისათვის (საკითხი 8), შენახვა და დისტრიბუცია (საკითხი 3, საკითხი 4 გადის ბენჩმარკინგს), შეფუთვა და შესაფუთი მასალები (საკითხი 6), და აგენტები და ბროკერები (საკითხი 2). გარდა ამისა, BRCGS-მა ჩამოაყალიბა სტანდარტები საცალო ვაჭრობისთვის, გლუტენისგან თავისუფალი, მცენარეული, აგრეთვე

ეთიკური ვაჭრობისა და პასუხისმგებელი წყაროების შესახებ..

» **სურსათის უვნებლობის სისტემის სერტიფიკატი 22000 ([FSSC 22000](#))**, სურსათის უსაფრთხოების აუდიტისა და სერტიფიცირების სრული სქემა. მენეჯმენტის სისტემები (FSMS) მათ შორის სამი კომპონენტი: ISO 22000, სექტორისათვის სპეციფიკური წინასწარი პროგრამები FSSC 22000-ის მოთხოვნები. FSSC 22000 საკვების გადამამუშავების, შენახვისა და განაწილების, აგრეთვე შეფუთვის სფეროში აღიარებულია GFSI-ის მიერ. ასევე არსებობს FSSC 22000-ხარისხის ვერსია, რომელიც აერთიანებს FSMS სერტიფიცირებას და ხარისხის მენეჯმენტს ISO 9001 სრული აუდიტის დამატებით.

» **საერთაშორისო სტანდარტები ([IFS](#))** სურსათისთვის (ვერსიები 6.1 და 7) საკვები დამამზადებლებისა და შემფუთავებისთვის; ლოგისტიკის შესახებ (ვერსია 2.2) კომპანიებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ პროდუქციის ტრანსპორტირებასა და (არ) ჩატვირთვაში; ბროკერებისთვის (ვერსია 3) ვაჭრობაში მონაწილე კომპანიებისთვის; და PACsecure (ვერსია 1.1) შესაფუთი მასალის მწარმოებლებისთვის. გარდა ამისა, არსებობს საბითუმო ვაჭრობის / ფულადი სახსრებისა და გადაზიდვის IFS სტანდარტი (არ არის აღიარებული GFSI-ს მიერ).

» **უსაფრთხო ხარისხის საკვები ([SQF](#))**

კოდები სურსათის უვნებლობისთვის პირველად წარმოებაში, წარმოებაში, საკვების შეფუთვაში, შენახვასა და დისტრიბუციაში. ამ კოდების 8.1 ვერსია აღიარებულია GFSI-ს მიერ, ხოლო მე-9 ვერსია, ამჟამად, გადის ნიშნულების განსაზღვრის პროცესს. ხსენებული კოდების გარდა, SQF-მ ჩამოაყალიბა სურსათის უვნებლობის კოდექსი საცალო ვაჭრობისა და კვების ობიექტისთვის, ძირითადი კოდები პირველადი წარმოებისა და წარმოებისთვის, ხარისხის კოდექსი და ეთიკური წყაროების კოდექსი (არ არის აღიარებული GFSI-ს მიერ).

» [GLOBALG.A.P.](#) (კარგი სამეურნეო პრაქტიკის გლობალური სტანდარტები)

[ინტეგრირებული მეურნეობის უზრუნველყოფა](#) ხილისა და ბოსტნეულისთვის და [ჰარმონიზებული პროდუქციის უსაფრთხოების სტანდარტი](#). GlobalG.A.P-ის წევრებს შემუშავებული აქვთ სხვადასხვა დამატებები (არ არის აღიარებული GFSI-ის მიერ) მათ შორის [GlobalG.A.P რისკის შეფასება სოციალურ პრაქტიკაში \(GRASP\)](#), ფართოდ მოთხოვნადი მოდული მეურნეობებში სოციალური პრაქტიკის შესაფასებლად.

CGF ამჟამად აწვდის მდგრადი სტანდარტების ბენჩმარკინგის მსგავს სისტემას, მდგრადი მომარაგების ჯაჭვების ინიციატივის (SSCI) მეშვეობით.

4.10.3 ორგანული წარმოება

ორგანული წარმოება არის ნებაყოფლობითი სქემა, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება გარკვეული მეთოდების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია ორგანული მეურნეობის შესახებ საბჭოს რეგულაციით (EC) No 834/2007. ორგანული სტანდარტების მიზანია გარემოს დაცვის ინტეგრირება სოფლის მეურნეობაში და ხარისხიანი პროდუქციის პოპულარიზაცია. ევროკავშირის წესების შესაბამის პროდუქტებს უნდა ჰქონდეთ ევროკავშირის ორგანული მეურნეობის ლოგო, რომელიც მომხმარებელს არწმუნებს, რომ პროდუქტი დამზადებულია ორგანული სტანდარტებთან შესაბამისად. ორგანული ფერმერები ან ექსპორტიორები უნდა დაარეგისტრირდნენ

და დაამტკიცოს კონტროლის ორგანომ, მათ უნდა წარმოადგინონ სერთიფიკატი თითოეულ პროდუქტთან და თითოეულ ტვირთთან დაკავშირებით. კონტროლის სააგენტო ან ორგანო პასუხისმგებელია ოპერატორის მიერ წესების შესრულების შემოწმებაზე. ყოველწლიური შემოწმება ადასტურებს ორგანული წარმოების წესებთან შესაბამისობას. ევროკავშირში იმპორტირებულ ყველა ორგანულ პროდუქტს უნდა ჰქონდეს ინსპექტირების შესაბამისი ელექტრონული სერთიფიკატი (e-COI). ექსპორტიორმა უნდა აცნობოს ევროკავშირის სახელისუფლებო ორგანოებს ექსპორტირების შესახებ (CBI 2020d Fairtrade).

4.10.4 ორმხრივ სარგებელზე დაფუძნებული ვაჭრობა (Fairtrade)

[Fairtrade international](#) -მა შეიმუშავა ახალი ხილის, ახალი ბოსტნეულის, თხილის და გადამამუშავებული ხილის და ბოსტნეულის სპეციალური სტანდარტები მცირე მწარმოებლებისთვის, დაქირავებული შრომისა და კონტრაქტით წარმოებისთვის. ეს სტანდარტები განსაზღვრავს დამცავ ზომებს

ფერმერებისა და გადამამუშავებელი საწარმოების მუშაკთათვის, გადახდის პირობებს, Fairtrade-ს მინიმალურ და პრემიუმ ფასს ჩვეულებრივი და ორგანული პროდუქტებისთვის რამდენიმე ქვეყნიდან და რეგიონიდან.

მწარმოებელს მარტო არ შეუძლია მიმართოს Fairtrade სერტიფიკატის მისაღებად გლობალურ სერტიფიცირების ორგანოს - FLOCERT. მწარმოებლები უნდა იყვნენ ორგანიზებული კოოპერატივები, პლანტაციები ან წარმოადგენდნენ მეტნაკლებად ორგანიზებულ მწარმოებელთა ჯგუფს, რომელსაც მხარს უჭერს მოვაჭრე ან სავაჭრო კომპანია ან

არასამთავრობო ორგანიზაცია (FLO-CERT n.a.). მწარმოებლები უნდა შეესაბამებოდნენ მცირე მწარმოებელი ორგანიზაციების სტანდარტებს, აგრეთვე მათი პროდუქტის სპეციფიკურ სტანდარტებს. მოვაჭრეების სერთიფიცირება ასევე შესაძლებელია მოვაჭრის სტანდარტის შესაბამისად (Fairtrade International n.a.).

4.10.5 სხვა ინიციატივები და სტანდარტები

არსებობს მრავალი სხვა საყურადღებო ინიციატივის სტანდარტი, რომელსაც გარკვეული როლი აქვს ხილის და ბოსტნეულის მიწოდების ჯაჭვებში:

» მდგრადი სოფლის მეურნეობის ინიციატივა (SAI) არის არასამეწარმეო ქსელი, რომელიც 120-ზე მეტ წევრს წარმოადგენს კვებისა და სასმელის სექტორიდან, და მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის მდგრადი პრაქტიკის განვითარებას. მას შემუშავებული აქვს პრინციპები და პრაქტიკა ხილის მდგრადი წარმოებისთვის და სახნავი და ბოსტნეული კულტურების მდგრადი წარმოებისთვის (2009). 2021 წელს SAI -ი უზრუნველყოფს ფერმის მდგრადობის შეფასების (FSA) უახლეს ვერსიას.

» საერთაშორისო მდგრადობა და ნახშირბადის სერთიფიკატი (ISCC) ორიენტირებულია მაღალი ბიომრავალფეროვნებისა და ნახშირბადის მაღალი მარაგის მქონე მიწის დაცვაზე; სასოფლოსამეურნეო პრაქტიკაზე, რომელიც იცავს ნიადაგს, წყალს, ჰაერს; ადამიანის უფლებებზე, შრომით და მიწის უფლებებზე; და სათბური გაზების შემცირებაზე (ISCC n.a.).

» მდგრადი სავაჭრო ინიციატივა (IDH) არის სოციალური საწარმო, რომელიც მუშაობს ბიზნესებთან, ფინანსისტებთან, მთავრობებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან გლობალური ღირებულების ჯაჭვებში მდგრადი ვაჭრობის განსახორციელებლად. IDH's Food Crops & Ingredients პროგრამის ფარგლებში დაიწყო ხილისა და ბოსტნეულისათვის

მნიშვნელოვანი ორი ინიციატივა: მდგრადი ინიციატივა ხილისა და ბოსტნეულისთვის (SIFAV) და შეთანხმება წვენის მდგრადი წარმოების შესახებ.


» amfori არის თემი რომელსაც ქმნის 2'400 საცალო მოვაჭრე, იმპორტიორი, ბრენდი და ასოციაცია 40-ზე მეტი ქვეყნიდან, და რომლის მიზანია გლობალური წყაროების მდგრადობის გაუმჯობესება. მათ აქვთ ქცევის კოდექსი: ბიზნესის სოციალური შესაბამისობა (BSCI) და ბიზნესის გარემოსდაცვითი საქმიანობა (BEPI). Sedex არის წევრი ორგანიზაცია, კომპანიებისთვის გლობალური მიწოდების ჯაჭვებში სამუშაო პირობების მართვისა და გაუმჯობესების მიზნით მსოფლიოს ერთ-ერთ წარმყვან ონლაინ პლატფორმას წარმოადგენს. Sedex-ის წევრების ეთიკური სავაჭრო აუდიტი (SMETA) არის მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გამოყენებული სოციალური აუდიტი.

» ეთიკური ვაჭრობის ინიციატივა (ETI) არის კომპანიების, პროდუქტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წამყვანი ალიანსი, რომელიც ხელს უწყობს მშრომელთა უფლებების პატივისცემას. ETI-ს ყველა კორპორატიული წევრი თანახმაა მიიღოს ETI ბაზისური შრომის პრაქტიკა, რომელიც ემყარება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტებს.

» Sure Global Fair (SGF) არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ხილის წვენების ღირებულების ჯაჭვის სერთიფიცირებას. სერთიფიცირება ორიენტირებულია შემდეგ: პროდუქტების

ავთენტურობა, ხარისხი და მიკვლევადობა;
ჰიგიენური პირობები წარმოების პროცესში,
კომპანიის მდგრადი და პასუხისმგებლიანი
მართვა, მზა და ნახევრად მზა პროდუქტების
ეტიკეტირება, და შესაბამისობა SGF
ნებაყოფლობითი კონტროლის სისტემის
წესებთან (SGF n.a.)

ეთიკური სტანდარტები: ისლამური
(ჰალალ) და ებრაული (ქაშერი) კვების
შესახებ კანონები უზრუნველყოფენ
სპეციფიურ შეზღუდვებს საკვებთან
დაკავშირებით.



5

ქართული ხილის და ბოსტნეულის სექტორი

ამ თავში აღწერილია საქართველოში ზოგადად არსებული ბიზნეს გარემო (5.1), ხილის და ბოსტნეულის წარმოება საქართველოში (5.2), საქართველოს

ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი (5.3), და ხილის და ბოსტნეულის სექტორის მხარდაჭერის რეგულაციური სექციები (5.5).

5.1 ბიზნეს გარემო საქართველოში

ამ ნაწილში აღწერილია საქართველოში ზოგადად არსებული ბიზნეს გარემო, კერძოდ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა (5.1.1) კერძოდ

სექტორის ტექნოლოგიური სტატუსი და კონკურენტუნარიანობა (5.1.2) და სავაჭრო შეთანხმებები საქართველოსთან (5.1.3).

5.1.1 საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა

საქართველოპატარა ქვეყანაა, მდებარეობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე. ქვეყანას უჭირავს 69,700 km², ხოლო მისი მოსახლეობა დაახლოებით 3.7 მილიონი ადამიანია. ერთ სულზე GNI (მთლიანი ეროვნული შემოსავალი) 2019 წელს 4,487 აშშ დოლარს შეადგენდა. ამ მაჩვენებლით საქართველო კლასიფიცირებულია როგორც ზედა საშუალო ეკონომიკის ქვეყანა (მსოფლიო ბანკის კლასიფიკატორი). 2019 წელს

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის განვითარებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ვაჭრობამ (14%), შემდეგ მოყვება: უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა (12%), წარმოება (10%), მშენებლობა (9%) და სოფლის მეურნეობა (7%) (საქსტატი 2021).

საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველომ დაიწყო ინსტიტუციების განვითარება



დაგეგმილიდან საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე გადასვლის მიზნით. 1990-იანი წლების დასაწყისიდან, რიგი რეფორმების წარმატებას ხელი შეუშალა ქვეყნის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ. მხოლოდ რეფორმების მეორე ტალღის შემდეგ, 2004 წელს (ვარდების რევოლუციის შემდეგ), მიაღწია საქართველომ სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას. ამ უკანასკნელი რეფორმების ძირითადი პრინციპები იყო ქვეყნის ეკონომიკის ლიბერალიზაცია, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, მარეგულირებელი და ადმინისტრაციული ტვირთის შემსუბუქება და საგადასახადო სისტემის რეფორმირება (საქართველოს მთავრობა 2014).

საქართველოს საგადასახადო რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადების რაოდენობა (21-დან 6-მდე), და კოეფიციენტები, გაუმჯობესდა გამჭვირვალობა და აღმოიფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები. საგადასახადო და საბაზრო სისტემები გაერთიანდა ერთ კოდექსში-საქართველოს საგადასახადო კოდექსი. ამჟამად, ექვსი გადასახადიდან (კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი, ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი, დღგ, იმპორტის გადასახადი, ქონების გადასახადი, და აქციზი) არც ერთი აჭარბებს 20%-ს. ამასთან ამოქმედდა სპეციალური საგადასახადო სტიმულები (მაგალითად: თავისუფალი სამრეწველო ზონა, შიდა გადამუშავების საბაზო რეჟიმი), ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2011; აწარმოე საქართველოში 2011).

პოლიტიკური სტაბილურობა, მიმზიდველი საგადასახადო რეჟიმები, გაზრდილი გამჭვირვალობა და შემცირებული ბიუროკრატიული ტვირთი, განაპირობებს ბიზნესს და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას საქართველოში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება (FDI) გაიზარდა გასული ათწლეულის განმავლობაში და ბიზნესის საქმიანობა გაუმჯობესდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ბრუნვა, გამოშვება და დასაქმებულების რაოდენობა (საქართველოს მთავრობა 2016). ამ ყველაფრის შედეგად, გაიზარდა მშპ-ს მაჩვენებლები და 2017 წელს ზრდის მაჩვენებელი 13% შეადგინა. 2008 წელს რუსეთის სამხედრო შეტევამ, გლობალურ ფინანსურ კრიზისთან ერთად შეანელა ეს ტენდენცია (მხოლოდ 3.2% 2008 წელს და შემცირება -3.8% 2009 წელს). საქართველო სწრაფად გამოვიდა მდგომარეობიდან, და 2010 – 2015 წლებში დაახლოებით 5%-იანი ზრდა უჩვენა (საქსტატი 2021). COVID-19 -ის პანდემიის გამო, 2020 წელს მოსალოდნელია ქვეყნის ეკონომიკის 6% -ით შემცირება (მსოფლიო ბანკი 2020).

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის წარმატება აისახა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებსა და რეიტინგებში. მსოფლიო ბანკის Ease of Doing Business 2020 (ბიზნესის კეთების სიმარტივე) რეიტინგში საქართველო მე-7 ადგილზეა, 169 ქვეყანას შორის (მსოფლიო ბანკი 2020). ეკონომიკური მეგკვიდრეობის ფონდის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ს რეიტინგში საქართველო მე-12 186 ქვეყანას შორის (მეგკვიდრეობის ფონდი 2021).

5.1.2 კერძო სექტორის ტექნოლოგიური სტატუსი და კონკურენტუნარიანობა

მიუხედავად, კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, დაბალ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და შეზღუდული წვდომა ფინანსებზე კვლავაც რჩება ქვეყნის ეკონომიკური

განვითარების მთავარ ხელშემშლელად (საქართველოს მთავრობა 2014). გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2019 საქართველოს ანიჭებს 74-ე ადგილს 141 ეკონომიკას შორის

(მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი 2019). საქართველოში, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი ინოვაციის ნაკლებობაა; ინვესტირება კვლევასა და განვითარებაში ისევე როგორც ახალი ტექნოლოგიების ათვისება ძალზედ დაბალია. არადივერსიფიცირებული ექსპორტი, დაბალი ღირებულების მატება და სუსტი შესრულება ახალ ბაზრებზე შესვლასთან მიმართებით, საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტებში სახელდება როგორც პრობლემა (საქართველოს მთავრობა 2014; საქართველოს მთავრობა 2016). ცოდნისა და ტექნოლოგიის გადაცემა, როგორც მოსალოდნელი იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების გათვალისწინებით, არ განხორციელებულა. უფრო მეტიც, ვინაიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმეტესი ნაწილი კაპიტალის ინტენსიურ სექტორებზე მიდიოდა, ნაკლები მიღწევებია უმუშევრობის, უთანასწორობისა და სიღარიბის შემცირების მხრივ (საქართველოს მთავრობა 2014) მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმები წარმატებული იყო ინვესტიციების

გენერირებისა და მოკლევადიანი ზრდის თვალსაზრისით, ინკლუზიური, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა კვლავ გამონწვევებთან არის დაკავშირებული

ამ გამონწვევების გათვალისწინებით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში "საქართველო 2020" აღნიშნულია საინვესტიციო კლიმატის შემდგომი გაუმჯობესების, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ინფრასტრუქტურის განვითარების და ექსპორტის ზრდის მნიშვნელობა. გარდა ამისა, პროგრამა "ძლიერი, დემოკრატიული და ერთიანი საქართველოსთვის" (საქართველოს მთავრობა 2015) ხაზს უსვამს უმუშევრობის შემცირების აუცილებლობას კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებით. სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებლობა მენარმეობის ზრდისა და ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით, ასევე ხაზგასმულია სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიაში (MEPA 2019a).

5.1.3 სავაჭრო ხელშეკრულებები საქართველოსთან

საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა ლიბერალურია, იმპორტის ტარიფები დაბალია და საქონლის 85%-ზე ნულოვანია, საშუალო MFN ტარიფი 2%-ია, საშუალო MFN სოფლის მეურნეობის ტარიფი - 6.3%, უზრუნველყოფილია მინიმალური არასატარიფო რეგულაციები და სწრაფი საბაჟო პროცედურები (WTO, ITC, UNCTAD 2016).

2000 წელს საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა. ქვეყანას აქვს ორმხრივი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები თურქეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და თურქმენეთი), ევროკავშირთან და ჩინეთთან. 2016 წელს, საქართველომ

ასევე მოაწერა ხელი თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებას ევროპის თავისუფალი სავაჭრო ასოციაციის (EFTA) ქვეყნებთან: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია. 2017 წლის მაისში ხელი მოეწერა სავაჭრო ხელშეკრულებას საქართველოსა და ჩინეთს შორის. აშშ, კანადა და იაპონია საქართველოსთვის უზრუნველყოფენ უპირატესობის განზოგადოებულ სისტემას (GSP), რაც გულისხმობს შეღავათიანი ტარიფების დანესებას საქართველოდან ექსპორტირებულ 3,400 სახეობის საქონელზე (MoESD 2020).

ასოციირების ხელშეკრულებას (AA) და მის განუყოფელ ნაწილს - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) - ევროკავშირმა და საქართველომ

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოაწერეს; სრულად ძალაში ხელშეკრულება 2016 წლის 1-ელ ივლისს შევიდა. ამ ხელშეკრულებით საქართველო იღებს ვალდებულებას ეტაპობრივად დაუახლოვოს ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და საკანონმდებლო სტანდარტები ევროკავშირის სტანდარტებს. ამისათვის საქართველომ უნდა უზრუნველყოს მისი კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის კანონებთან. აღნიშნული მოიცავს ევროკავშირის პრაქტიკის ასახვას ტექნიკურ რეგულაციებსა და სტანდარტებში, აკრედიტაციაში, შესაბამისობის შეფასებაში, მეტროლოგიასა და სხვა სფეროებში. DCFTA ვრცელდება GSP+ -ზე, ნულოვანი ვალდებულებების დანესებით პროდუქტების კატეგორიის 100%-ზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს ადრე ფარავდა

GSP + სავაჭრო სქემა, ზოგიერთი ახალი პროდუქტის ექსპორტი ევროკავშირში ტარიფების გარეშე არის შესაძლებელი. ასეთ პროდუქტებს მიეკუთვნება ღვინო, ყველი, ცოცხალი ცხოველები, ცხვრისა და თხის ხორცი, იოგურტი, შოკოლადი, ცხოველის ტყავი და მატყლი (ადრე არ იყო გათვალისწინებული GSP + პარამეტრებით), აგრეთვე კენკრა, ხილი, ბოსტნეული (მათ შორის დაკონსერვებული და დამუშავებული) და ხილის წვენები (ადრე სარგებლობდა ნაწილობრივი უპირატესობებით GSP +). საქართველოს მთავრობა EU4Business- ის მხარდაჭერით მართავს ვებ - გვერდს DCFTA- ზე, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია, ფართო საზოგადოებისა და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, ევროკავშირის მოთხოვნებისა და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.

5.2 ქართული ხილის და ბოსტნეულის წარმოება


სოფლის მეურნეობა არის საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი, რომლის წილი 7,4% -ია მშპ-ში (2019 წელს) და დაახლოებით 40% - დასაქმებაში (საქსტატი 2021). სექტორი ხასიათდება მცირე, არსებობისთვის საკმარის მეურნეობით და სოფლის მეურნეობის პროდუქტების უმეტესობის უაღრესად დაბალი პროდუქტიულობით. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა სამჯერ დაბალია ევროკავშირის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით (ProDoc 2020).

92%-ია, ხოლო ბოსტნეულის წარმოებაში - 96% (საქსტატი 2021).

საქსტატის მონაცემები განასხვავებს ხილის შემდეგ კატეგორიებს: ყურძენი, ციტრუსები და ყველა სხვა ხილი. ეს უკანასკნელი მოიცავს ბროწეულს, კურკოვან ხილს, კენკრას, კაკალს და სუბტროპიკულ ხილს. მე-8 დიაგრამა გვიჩვენებს 2014-2019 წლებში საქართველოში ხილის ძირითადი ტიპების წარმოების მაჩვენებლებს.

ნიადაგების (49) და კლიმატური ზონების (12) მრავალფეროვნება საქართველოში ხილის და ბოსტნეულის ფართო სპექტრის წარმოების საშუალებას იძლევა. 2019 წელს საქართველოში წარმოებული იქნა 502 ათასი ტონა ხილი და 536 ათასი ტონა ბოსტნეული. ხილს და ბოსტნეულს საქართველოში ძირითადად საოჯახო მეურნეობები აწარმოებენ: საოჯახო მეურნეობების წილი ხილის წარმოებაში

სურათი 8: ხილის წარმოება საქართველოში (ათასი ტონა)




(წყარო: საქსტატი 2020)

ხილის მთლიან წარმოებაში ყურძნის წილი ყველაზე მაღალია (48%), შემდეგ მოდის ციტრუსები (15%), თესლოვანი ხილი (14%), კურკოვანი ხილი (11%), კაკალი (7%), სუბტროპიკული ხილი (4%) და კენკრა (0,5%). ციტრუსების კატეგორიაში მანდარინი მთავარი კულტურაა, რომლის საშუალო წილი 93% -ია. კენკრის კატეგორიაში მარწყვი არის მთავარი კულტურა, რომელს საშუალო წილი ბოლო 6 წლის განმავლობაში 72% -ს შეადგენს. ყურძენი ძირითადად იწარმოება კახეთში (დაახლოებით 70%) და იმერეთში (დაახლოებით 10%). აჭარა ავტონომიური რესპუბლიკა და გურია ციტრუსის წარმოების რეგიონებია, წარმოების წილი, შესაბამისად, 70% და 20%-ია. კაკალი ძირითადად იწარმოება სამეგრელოს, გურიის, აჭარისა და კახეთის რეგიონებში.

შიდა ქართლი ლიდერობს თესლოვანი ხილის წარმოების მხრივ (დაახლოებით 65%) რაც შეეხება კურკოვანი ხილს, დაახლოებით 55% კახეთის რეგიონში იწარმოება, ხოლო დაახლოებით 20% - შიდა ქართლის რეგიონში (საქსტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიკაციები 2017-2019).

9-ე დიაგრამა უჩვენებს 2014-2019 წლებში საქართველოში წარმოებული ბოსტნეულის ძირითად სახეობებს. კარტოფილი წამყვანი ბოსტნეულია, მისი წილი დაახლოებით 50% -ია, შემდეგ მოდის ნესვი (17%), პომიდორი (12%), კიტრი (6%), კომბოსტო და ბროკოლი (5%), ხახვი (3%) და მწვანე (2%). ბალჩეულის კატეგორიაში წამყვანი კულტურა საზამთროა (84%).

სურათი 9: ბოსტნეულის წარმოება საქართველოში (ათასი ტონა)



(წყარო: საქსტატი 2020)

კარტოფილის წარმოება ძირითადად კონცენტრირებულია სამცხე-ჯავახეთის (60-65%) და ქვემო ქართლის (დაახლოებით 20%) რეგიონებში. სხვა ბოსტნეული ძირითადად იწარმოება ქვემო ქართლში (დაახლოებით 30%) და შიდა ქართლში (30%). მწვანელის წარმოება ხდება

იმერეთში (63%) და ქვემო ქართლში (14%). რაც შეეხება ბალჩიულ კულტურებს, დაახლოებით 80% იწარმოება კახეთში და 15% იმერეთში (საქსტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიკაციები 2017-2019).

5.3 ქართული ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი

5.3.1 ქართული ხილის და ბოსტნეულის ექსპორტის მიმოხილვა

სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი წილი აქვს ქვეყნის ექსპორტში: 2014 - 2018 წლებში სოფლის მეურნეობის ექსპორტმა შეადგინა საქართველოს მთლიანი ექსპორტის 25-30% (დებისაძე და სხვ. 2019). ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, როგორც სოფლის მეურნეობის ექსპორტმა, ასევე სოფლის მეურნეობის იმპორტმა ზრდის ტენდენცია აჩვენა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სავაჭრო ბალანსი უარყოფითია. 2018 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის მთავარი მიმართულებები იყო რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი და სომხეთი. სოფლის მეურნეობის ექსპორტის დიდი წილი დსთ-ს ქვეყნებზე მოდის; 2018 წელს ეს წილი 59% იყო დსთ-ს ყველა ქვეყნისთვის და - 25% რუსეთის ფედერაციისთვის. დსთ-ს ბაზრებზე ტრადიციული კავშირების არსებობა, სიახლოვე, დაბალი კონკურენცია

და ხარისხის მიმართ შედარებით დაბალი მოთხოვნები ხელს უწყობს ამ ტენდენციას (მამარდაშვილი და სხვ. 2020).

2020 წელს საქართველოში ხილის სავაჭრო ბალანსი დადებითი იყო (პროდუქტის კოდი 08: საკვები ხილი და კაკალი; ციტრუსის კანი ან ბალჩიული), დაახლოებით 116 მილიონი აშშ დოლარი. ბოსტნეულის სავაჭრო ბალანსი უარყოფითი იყო (პროდუქტის კოდი 07: საკვები ბოსტნეული და გარკვეული ფესვები და ტუბერები) და შეადგინა დაახლოებით 29 მილიონი აშშ დოლარი. საქართველომ 2020 წელს ექსპორტზე გაიტანა 157.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ხილი და 8.7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბოსტნეული. 2019 წელს საქართველომ ხილის მსოფლიო ექსპორტში 78 – ე ადგილი დაიკავა, ხოლო ბოსტნეულის მსოფლიო ექსპორტში - 107 – ე (სავაჭრო რუკა 2021).

მე-2 ცხრილი უჩვენებს საქართველოს ხილით და ბოსტნეულით ვაჭრობის სტატისტიკას (ექსპორტი, იმპორტი და სავაჭრო ბალანსი) 2010-2020 წლებისთვის.

ცხრილი 2: 2010-2020 წლებში საქართველოს ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი, იმპორტი და სავაჭრო ბალანსი (წყარო: სავაჭრო რუკა 2021)


	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
ხილის ექსპორტი (mio USD)	93.4	140.0	97.7	194.0	206.6	193.6	195.8	100.8	78.6	108.7	157.2
ხილის იმპორტი (mio USD)	26.0	38.4	36.9	48.4	55.5	40.0	40.0	46.3	56.5	48.7	40.7
სავაჭრო ბალანსი ხილი (mio USD)	67.3	101.6	60.9	145.6	151.1	153.7	155.8	54.5	22.1	60.0	116.5
ბოსტნეულის ექსპორტი (mio USD)	5.2	4.9	6.1	11.9	8.9	6.8	9.6	15.1	15.6	10.8	8.7
ბოსტნეულის იმპორტი (mio USD)	32.6	60.4	43.5	47.7	59.5	45.8	46.0	37.7	52.8	38.0	38.1
სავაჭრო ბალანსი ბოსტნეული (mio USD)	-27.6	-55.5	-37.3	-35.7	-50.6	-39.1	-36.4	-22.6	-37.2	-27.2	-29.4

(წყარო: საქსტატი 2020)

10-ე დიაგრამა უჩვენებს საქართველოს ხილის ექსპორტის მზარდ ტენდენციას წლიდან წლამდე რყევებით. ექსპორტირებული ხილის ღირებულება 2020 წელს 13.5-ჯერ მეტი იყო 2001 წელთან შედარებით (2001 წელს 11.6 მილიონი აშშ დოლარი / 2020 წელს 157.2 მილიონი

აშშ დოლარი). ქართული ბოსტნეულის ექსპორტის ასევე ზრდის ტენდენცია ახასიათებს. 2020 წელს ექსპორტირებული ბოსტნეულის ღირებულება 18,5-ჯერ მეტი იყო 2001 წელთან შედარებით (2001 წელს 0,47 მლნ აშშ დოლარი და 2020 წელს 8,7 მლნ აშშ დოლარი).

სურათი 10: საქართველოში ხილის (თხილის ჩათვლით) და ბოსტნეულის ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)



(წყარო: სავაჭრო რუკა 2021)

2020 წელს საქართველოში ხილის ექსპორტის ლიდერი იყო გარჩეული თხილი (82.8 მლნ აშშ დოლარი; ამ კატეგორიის მთლიანი ექსპორტის 52.7%), შემდეგ მოდის ატამი / ვაშლატამა (21.3 მლნ აშშ დოლარი; 13.5%), მანდარინი (16.6


მლნ აშშ დოლარი); 10.6%), თხილი ნაჭუჭში (9 მლნ აშშ დოლარი; 5,7%), ხურმა (6 მლნ აშშ დოლარი; 3,8%) და ახალი ვაშლი (4,4 მლნ აშშ დოლარი; 2,7%). რაც შეეხება ბოსტნეულის ექსპორტს, ამ ჩამონათვალში პირველ ადგილზე მწვანილია (3.2 მლნ აშშ

დოლარი 36.8%), შემდეგ ჰომიდორი (1.7 მლნ აშშ დოლარი 19.5%), კარტოფილი (1 მლნ აშშ დოლარი 11%), სოკო (0.8 მლნ აშშ დოლარი 9%), კიტრი (0.7 მილიონი აშშ დოლარი 8.4%) და ბადრიჯანი (0.3 მილიონი აშშ დოლარი 3.4%) (სავაჭრო რუკა 2021).

2020 წელს საქართველომ ექსპორტზე გაიტანა ხილი 56 სხვადასხვა ქვეყანაში და ბოსტნეული 15 სხვადასხვა ქვეყანაში. 11-ე დიაგრამა უჩვენებს საქართველოს ექსპორტის ძირითადი დანიშნულების ქვეყნებს ხილისა და ბოსტნეულისთვის, 2020 წელს. როგორც ხილის, ისე ბოსტნეულის დიდი წილი ექსპორტირებულია დსთ-ს

ქვეყნებში და განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში. ამ უკანასკნელზე 2020 წელს ხილის ექსპორტის 32% და ბოსტნეულის ექსპორტის 67% მოვიდა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ხილის 47% და ბოსტნეულის მხოლოდ 12% გავიდა ევროკავშირის ქვეყნებში. 2011-2020 წლებში (საშუალო წილი 2011 – დან 2020 წლამდე), ხილის ექსპორტს ლიდერობდა ყაზახეთი (20%), შემდეგ მოდიოდა გერმანია (19%), იტალია (17%), რუსეთის ფედერაცია (14%) და უკრაინა (6) %), ხოლო ბოსტნეულის ექსპორტი ძირითადად განხორციელდა რუსეთის ფედერაციაში (33%), აზერბაიჯანში (24%), ბელორუსში (14%), უკრაინაში (12%) და სომხეთში (3%) (სავაჭრო რუკა 2021).

სურათი 11: საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის მიმართულებები, 2019 წ.



(წყარო: სავაჭრო რუკა 2021)

საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტმა ასევე მზარდი ტენდენცია უჩვენა, ბოლო 20 წლის განმავლობაში. 2020 წელთან შედარებით 2001 წელს ხილის იმპორტი 16-ჯერ გაიზარდა, ხოლო ბოსტნეულის იმპორტი 6-ჯერ (სავაჭრო რუკა 2021). 2020 წელს საქართველომ ხილი ძირითადად შემოიტანა შემდეგი

ქვეყნებიდან: ეკვადორი, თურქეთი, ირანი, ნიდერლანდები და გერმანია. რაც შეეხება ბოსტნეულის იმპორტს, საქართველოს მთავარი იმპორტიორი პარტნიორები იყვნენ თურქეთი, უზბეკეთი, რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი და ყაზახეთი (სავაჭრო რუკა 2021).

5.3.2 ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი საქართველოდან ევროკავშირში

ევროკავშირის ქვეყნების წილი საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტში 2002-2018 წლებში საშუალო იყო, 9-38% შორის მერყეობდა. 2017 წელს

დაფიქსირდა ევროკავშირში სოფლის მეურნეობის ექსპორტის მკვეთრი შემცირება, რაც ასახავს თხილის წარმოების შემცირებას, ძირითადად აზიური ფაროსანას შემოჭრის გამო (მამარდაშვილი და სხვ. 2020).

2020 წელს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტმა ევროკავშირში (EU 28) შეადგინა 74,2 მილიონი აშშ დოლარი და 1,1 მილიონი აშშ დოლარი, შესაბამისად. ხილის ექსპორტში საქართველოს ძირითადი პარტნიორი წევრი ქვეყნები იყვნენ გერმანია, იტალია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესპანეთი და ლიეტუვა. რაც შეეხება ბოსტნეულის ექსპორტს, საქართველოს პარტნიორი წევრი ქვეყნები იყვნენ რუმინეთი, ლატვია, საბერძნეთი, გერმანია და პოლონეთი. ხილის კატეგორიაში, ევროკავშირში ექსპორტირებული ძირითადი პროდუქტი იყო თხილი (ნაჭუჭით და გარჩეული), შემდეგ მოყვებოდა ხმელი ატამი/მსხალი, ხმელი ვაშლი, ციტრუსის კანი ან ბალჩიული. 2017

– 2020 წლებში, თხილის საშუალო წილი ევროკავშირში ხილისა და კაკლის მთლიანი ექსპორტის 97% იყო, ხოლო უკანასკნელი სამი ქვეკატეგორიის ექსპორტირებული რაოდენობა ძალიან მცირე იყო. ამავდროულად, საქართველოდან ექსპორტირებული თხილი შეადგენდა ევროკავშირის იმპორტის მხოლოდ 0,5% -ს. ევროკავშირში მცირე რაოდენობით იყო ექსპორტირებული „ახალი ან გაციებული ბოსტნეული“ (მათ შორის მწვანელი) და „ხმელი ბოსტნეული და ბოსტნეულის მიქსი“. მთლიანობაში, საქართველოდან ხილის ექსპორტის 47% და ბოსტნეულის ექსპორტის 12% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა 2020 წელს (სავაჭრო რუკა 2021).

5.3.3 ქართული ხილის და ბოსტნეულის ექსპორტის პოტენციალი

გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის (RCA) ინდექსი (ბალასას ინდექსი) იძლევა საშუალებას შეფასდეს ქვეყნის ფაქტიური უპირატესობა კონკრეტული სექტორის პროდუქტებთან მიმართებით. ინდექსი წარმოადგენს ორი ნაწილის თანაფარდობას: ეს არის, კონკრეტული პროდუქტის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში, გაყოფილი ამ კონკრეტული პროდუქტის წილზე მსოფლიოს ექსპორტში. ამინდექსის ინტერპრეტირება ხდება შემდეგი ფორმით: თუ კონკრეტული პროდუქტის ქვეყნის ექსპორტს იგივე მახასიათებლები აქვს რაც ამავე საქონლის ექსპორტს მსოფლიოში, მაშინ RCA ინდექსი ერთს ტოლია. შესაბამისად, ერთზე მეტი RCA ინდექსი უჩვენებს ქვეყნის უპირატესობას ამ კონკრეტული პროდუქტის წარმოებაში. რაც შეეხება საქართველოს, ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტებს ჰქონდათ $RCA > 1$ გასული 6 წლის განმავლობაში (სავაჭრო რუკა 2020): ახალი ან გაციებული ბოსტნეული (მათ შორის მწვანელი), სანელებლები, მანდარინი, ვაშლი (ხმელი), ატამი და ვაშლატამა, ხურმა, თხილი (გარჩეული), თხილი (ნაჭუჭით), ხილი, თხილი და მცენარეების სხვა საკვებად ვარგისი ნაწილები (მომზადებული ან კონსერვირებული), ხილის წვენები (არაფერმენტირებული), ჯემები, ხილის

ჟელეები, მარმელადები, ხილის ან თხილის შიურე და ხილის ან თხილის პასტები.

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრმა (ITC) შეიმუშავა ორი ინდიკატორი, ამჟამად ექსპორტირებული პროდუქტებისთვის ქვეყნის ექსპორტის გამოუყენებელი პოტენციალის იდენტიფიცირებისთვის, ასევე მსოფლიოში ან კონკრეტულ ქვეყნებსა და ქვე რეგიონებში პოტენციური პროდუქტების გამოსავლენად, ექსპორტის დივერსიფიკაციის მიზნებისთვის. მეთოდი აქ არის განმარტებული. ცხრილი 3 უჩვენებს ტოპ 50 მსოფლიო ბაზარზე ზოგადად და კერძოდ ევროკავშირსა და დასავლეთ ევროპაში ექსპორტირებულ პროდუქტს შორის ჩამოთვლილ ხილსა და ბოსტნეულს, ხოლო შედეგები ნაჩვენებია 6-ე დანართში.

ცხრილი 3: ქართული ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი და პროდუქტის დივერსიფიკაციის პოტენციალი მსოფლიოს, ევროკავშირისა და დასავლეთ ევროპისთვის, რანგირება ფრჩხილებში

მსოფლიოში ქართული ექსპორტის პოტენციალი...		ქართული საექსპორტო პროდუქტის დივერსიფიკაციის პოტენციალი ...	
მსოფლიო	EU & დასავლეთ ევროპა	მსოფლიო	EU & დასავლეთ ევროპა
» თხილი, გარჩეული (8)	» თხილი, გარჩეული (3)	» ალუბალი, ახალი (6)	» ავოკადო, ახალი (6)
» ციტრუსი, ახალი ან ხმელი (9)	» ციტრუსი, ახალი ან ხმელი (10)	» წინაკა (Capsicum ან Pimenta), ახალი (7)	» წინაკა ახალი (7)
» ატამი & ვაშლატამა, ახალი (13)	» ატამი & ვაშლატამა, ახალი (11)	» ავოკადო, ახალი (10)	» ალუბალი, ახალი (8)
» თხილი & სხვა თესლეული, მომზადებული ან კონსერვირებული (22)	» თხილი & სხვა თესლეული, მომზადებული ან კონსერვირებული (16)	» ხახვი & შალოტი, ახალი (12)	» ხახვი & შალოტი, ახალი (9)
» ხილი, ახალი (34)	» ხილი, ახალი (29)	» ფორთოხალი, ახალი ან ხმელი (13)	» ფორთოხალი, ახალი ან ხმელი (11)
» პომიდორი, ახალი (40)	» ხილის ან ბოსტნეულის წვენი, არაფერმენტირებული (36)	» ლიმონი & ლაიმი, ახალი ან ხმელი (21)	» ახალი ან ხმელი ნუში, გარჩეული (12)
» კარტოფილი, ახალი (43)	» ხილის ან ბოსტნეულის წვენი, არაფერმენტირებული (36)	» ყურძენი, ახალი (22)	» ყურძენი, ახალი (17)
» ხილის ან ბოსტნეულის წვენი, არაფერმენტირებული (47)	» სამკურნალო მცენარეები, მწვანილი და სხვა (39)	» ახალი ან ხმელი ნუში, გარჩეული (24)	» ლიმონი & ლაიმი, ახალი ან ხმელი (18)
» თხილი, ნაჭუჭით (50)	» ბოსტნეული, ახალი ან გაციებული (41)	» ბალჩეული, ახალი, საზამთროს გარდა (25)	» კაკალი გარჩეული (20)
» ახალი ვაშლი	» თხილი, ნაჭუჭით (44)	» გარგარი, ახალი (31)	» ბალჩეული, ახალი, საზამთროს გარდა (21)
	» პომიდორი, ახალი (48)	» შავი ქლიავი, ხმელი (35)	» შავი ქლიავი, ხმელი (23)
	» კარტოფილი ახალი ან გაციებული	» კაკალი გარჩეული (38)	» გარგარი, ახალი (28)
		» ქლიავი & ღოღონო, ახალი (43)	» ლობიო «Vigna spp., Phaseolus spp.», ახალი (30)
		» მარწყვი, ახალი (45)	» ჯოლო, მაცვალი და ა.შ., ნედლი, ორთქლზე მომზადებული ან მოხარშული, გაყინული (37)
			» გარგარი, ახალი (45)
			» მარწყვი, ახალი (46)
			» ხილი & თხილი, ნედლი, ორთქლზე მომზადებული ან მოხარშული, გაყინული (48)

(წყარო: www.intracen.org)

5.4 ასოციაციები

არსებობენ სხვადასხვა ადგილობრივი ასოციაციები, რომლებიც მნიშვნელოვანნი არიან ქართული ხილის და ბოსტნეულის სექტორისთვის. ქვემოთ ჩამოთვლილია ძირითადი ასოციაციები - ზოგადი პროფილის და კონკრეტულად ოთხ შერჩეულ კულტურაზე ორიენტირებული. ყოველი ასოციაციის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია მე-7 დანართში, ცალკე ექსელის ფაილში.

» საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA): GFA შეიქმნა 2012 წელს და ამჟამად დაახლოებით 4000 წევრი ჰყავს (ფერმერები საქართველოს ყველა რეგიონიდან). მისი ძირითადი საქმიანობა არის ადვოკატირება, შესაძლებლობების გაუმჯობესება და ქსელის ფორმირება. ასოციაციის მიზანია საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის გაძლიერება, კარგი სასოფლო სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა ადგილობრივი სერტიფიკატის GeoGAP მეშვეობით, ასევე ინფორმაციის გაზიარება სხვადასხვა თემებზე, რომელთა შორისაა: მემცენარეობის შესახებ საინფორმაციო ბიულეტენები, ექსპორტის ბაზრის ანალიზი და სხვა, ვებ გვერდების და მობილური აპლიკაციის - აგრონავთი - მეშვეობით.

» ასოციაცია «მომავლის ფერმერი»: ასოციაცია შეიქმნა 2007 წელს, ქართულ სოფლის მეურნეობაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით. ის აერთიანებს ფერმერებს, ვეტერინარებს და ვეტერინარულ ფარმაცევტებს და მეცნიერებს, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროდან. ორგანიზაციას წარმადგენელი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჰყავს.

» ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა: ელკანა დაარსდა 1994 წელს და ამჟამად ითვლის 900-ზე მეტ წევრს, მათ შორის არიან: ფერმერთა ჯგუფები, ასოციაციები, კოოპერატივები, საწარმოები და ა.შ., რომელთა მიზანია ორგანული

მეურნეობის განვითარება საქართველოში. მათი ფილოსოფია / სტრატეგია მოიცავს: თანამედროვე აზროვნებას ეროვნული ტრადიციების შესაბამისად; ქვეყნის ცხოვრებასა და განვითარებაში სოფლის მოსახლეობის აქტიური ჩართულობას; მორალურ პრინციპებს; ტრენინგსა და პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობას; გარემოსდაცვით ეთიკას და პროფესიონალიზმს.

» საქართველოს თესლის და ნერგების მწარმოებელთა ასოციაცია (GEOSSA): GEOSSA შეიქმნა 2021 წელს, პროექტის - „ევროკავშირის ინოვაციური პროექტი საქართველოში კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის“ - ფარგლებში. ასოციაციის ძირითადი იდეაა თესლის და ნერგების მწარმოებელთა გაერთიანება, მაღალი ხარისხის თესლის და მცენარეული მასალის წარმოების ხელშეწყობის მიზნით, სერტიფიცირების სისტემის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ თანხვედრაშია საერთაშორისო კანონმდებლობასთან (ევროკავშირის ახალი კანონმდებლობა).

» საქართველოს ხილის მწარმოებელთა ასოციაცია: ასოციაცია შეიქმნა 2019 წელს და ამჟამად მხოლოდ რამდენიმე წევრს ითვლის, თუმცა წევრებისა და აქტივობის ზრდა მომდევნო წლებშია მოსალოდნელი. ასოციაციის მიზნებია: ფერმერების საჭიროებების განსაზღვრა და ქართული მეხილეობისა და ექსპორტის მდგრადი განვითარების შესაბამისი მხარდაჭერა. რაკი რიგი აქტიური წევრები ვაშლის მწარმოებლები არიან, ამჟამად ვაშლს ეთმობა განსაკუთრებული ყურადღება.

» საქართველოს კენკრის მწარმოებელთა ასოციაცია (GBFA): ასოციაცია შეიქმნა 2017 წელს და ახლა 70-100 წევრს აერთიანებს. ასოციაციის ძირითადი საქმიანობებია: კენკრის წარმოების და გადამუშავების დანერგვა და პოპულარიზაცია; სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა

კანონმდებლობის ლობირება; მომხმარებელთა უფლებების დაცვა; ფერმერებისთვის კვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა; კენკრის პროდუქტების ბაზრის შექმნა და პოპულარიზაცია; ფერმერების წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირება; საკონსულტაციო ტრენინგ სესიების უზრუნველყოფა ფერმერებისთვის, ფერმისა და ხარისხის მენეჯმენტში მათი დახმარების მიზნით; სურსათის უვნებლობის პრინციპები; რეგულაციები; ქსელების ფორმირება და თანამშრომლობა ფერმერთა კაშირებთან, ასოციაციებთან, სახელმწიფო უწყებებსა და დონორებთან; (ექსპორტის) ბაზრის კვლევები. ასოციაციამ მიიღო გრანტი USAID-საგან, ზემოთ აღნიშნული აქტივობების განხორციელებისა და გაუმჯობესებისთვის.

» [საქართველოს ლურჯი მოცვის მწარმოებელთა საბჭო](#): საბჭო შეიქმნა 2020 წელს და ამჟამად შედგება საქართველოს ექვსი უდიდესი ლურჯი მოცვის მწარმოებლისგან, მათ შორის არიან: „ლურჯი ველი“, „ლურჯი მოცვი“, „Agrolane“, „FCO“ და „Agritouch“. მათი მომსახურებებია: აგრონომის მიერ განეული კონსულტაციები, ნიადაგის სწორად კულტივირებისა და სადრენაჟე არხების მონწყობასთან დაკავშირებით.

» [ნუშისა და კაკლის მწარმოებელთა ასოციაცია \(AWPA\)](#): AWPA შეიქმნა

2018 წელს და ახლა აერთიანებს 500-დან დაახლოებით 200 ნუშისა და კაკლის მწარმოებელს. ასოციაციის მთავარი ფუნქციაა მრეწველობის მხარდაჭერა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე, რათა მოხდეს ცოდნის გაზიარება და საუკეთესო პრაქტიკის ათვისება, ხელი შეეწყოს მწარმოებლებს შორის კოორდინაციას, შეიქმნას ქსელის ფორმირების შესაძლებლობები და მომზადდეს მრეწველობის განვითარების გეგმა, მათ შორის პრიორიტეტების და ექსპორტის ბაზრის კვლევა და გაყიდვების სტრატეგია.

» [საქართველოს მწვანე მწარმოებელთა ასოციაცია](#): ასოციაცია შეიქმნა 2017 წელს და აერთიანებს 13 დამფუძნებელს, მათ შორის არის „ჭერბია“. მწარმოებლების მხოლოდ მცირე რაოდენობაა ასოციაციის წევრი. ძირითადი მომსახურებები მოიცავს ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებას, ტრენინგ კურსების უზრუნველყოფას და ახალი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

» [საქართველოს შესაფუთი მასალების მწარმოებელთა ასოციაცია \(PMAG\)](#): PMAG შეიქმნა 2020 წელს, „ევროკავშირის ინოვაციური პროექტი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის საქართველოში“ ფარგლებში. ის აერთიანებს შეფუთვის სექტორში ჩართულ პირებს და მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას ღირებულებათა ჯაჭვის მანძილზე კოლაბორაციის გზით.

5.5 მხარდაჭერის სქემები

5.5.1 მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა საქართველოში

ძლიერი კერძო სექტორი (კერძოდ მცირე და საშუალო საწარმოები) საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ ერთი მთავარი პრიორიტეტია, როგორც აღნიშნულია საქართველოს მთავრობის სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში (GoG 2014; GoG 2015; GoG 2016). 2016 წელს, საქართველოს მთავრობამ შემიმუშავა

საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე, სამენარმეო უნარების განვითარებას და მცირე და საშუალო საწარმოების ტექნოლოგიური

გაუმჯობესების ხელშეწყობას. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MoESD) კოორდინაციას უწევს სტრატეგიაში აღნიშნულ საემიანობას. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერი ძირითადი ეროვნული ინსტიტუტებია აწარმოე საქართველოში და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA). აწარმოე საქართველოში არის სამთავრობო პროგრამა, რომელიც 2014 წლის ივნისში დაიწყო. ამ პროგრამის ძირითადი მიზნებია მენარმეობის გაუმჯობესება, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და ახალი ბიზნესის გაფართოების ხელშეწყობა. როგორც საწარმოსაქართველო, ასევე GITA ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში საერთაშორისო ბაზრობებსა და ქსელებში მისი მონაწილეობის მხარდაჭერით (მაგალითად, საწარმოთა ევროპული

ქსელი) (GoG 2016). გარდა ამისა, აწარმოე საქართველოში ამუშავებს ონლაინ სავაჭრო პლატფორმას (Trade with Georgia (ვაჭრობა საქართველოსთან)), რომელიც იძლევა ინფორმაციას ქართული ექსპორტიორი კომპანიების, მათი პროდუქციის, არსებული და პოტენციური მიმართულებების შესახებ. პლატფორმა იძლევა მოვაჭრეებს შორის ინფორმაციის პირდაპირ გაცვლის შესაძლებლობას. ამ პლატფორმიდან მიღებული ინფორმაციის ნაწილი (მაგალითად, სავაჭრო ხელშეკრულებების, ფინანსური და იურიდიული მოსაზრებების, სტატისტიკისა და სიახლეების შესახებ) საკმაოდ მწირი ან ძველია. გარდა ამისა, აწარმოე საქართველოში უზრუნველყოფს ონლაინ კურსს ექსპორტის მენეჯმენტის შესახებ. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებიც ჩართულნი არიან ექსპორტში, ასევე უწყობს ხელს ექსპორტის განვითარების ასოციაცია.

5.5.2 სურსათის ღირებულებათა ჯაჭვის სამთავრობო მხარდაჭერის სქემა

ხილის წარმოება და მოსავლის აღება ხორციელდება რამდენიმე სამთავრობო პროგრამის მხარდაჭერით: 2015 წელს დაწყებული პროგრამა «დანერგე მომავალი» ხელს უწყობს მრავალწლოვანი კულტურების დარგვას, შესაბამისი იმპორტის ჩანაცვლებისა და ექსპორტის პოტენციალის გაზრდის მიზნით. თანადაფინანსებულია სამი განსხვავებული კომპონენტი: i) მრავალწლოვანი ხილის ბაღების კომპონენტი, ii) სანერგეებისა და ნერგების კომპონენტი და III) სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის / ჭაბურღილის/წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის. სამთავრობო დახმარება მოიცავს ბენეფიციარების ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას. ფინანსური დახმარება ხორციელდება ნიადაგის ანალიზის, ნერგების შესყიდვის და წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის მიზნით. ნიადაგისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, პროგრამა იყენებს იმ კულტურების ჩამონათვალს, რომლებიც შესაფერისია

საქართველოს სხვადასხვა რეგიონისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მრავალწლოვანი ნარგავების უმეტესობა თანადაფინანსებას მოითხოვს, კენკრის დარგვისთვის (ტიპისა და რეგიონის მიხედვით) 100% -იანი ფინანსური მხარდაჭერაა დაშვებული. 2015 და 2019 წლებში მთლიანი ინვესტიცია 61.9 მილიონი ლარია (თანადაფინანსება - 34.2 მილიონი ლარი). 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ამ პროგრამით (MEPA 2019a) 7,473 ინტენსიური ბაღი გაშენდა.

საქართველოში არ არსებობს ბოსტნეულის სექტორის ხელშეწყობის კონკრეტული სახელმწიფო პროგრამები. 2020 წლის გაზაფხულზე შემოღებული ექსპორტის მხარდაჭერის ახალი სქემა - „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“, სხვა ზომებთან ერთად, საქართველოს სოფლის მეურნეობაზე COVID-19-ის პანდემიის პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით. ერთწლიანი კულტურები (ბოსტნეულის ჩათვლით) ამ პროგრამის ნაწილი იყო და ახალი

სათბურების მოწყობა და უკვე არსებულის მოდერნიზება დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ. ამ ახალი პროგრამის ბიუჯეტი ძალიან სწრაფად ამოიწურა (გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში).

MEPA – ს სხვა პროექტები, როგორცაა შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა, აგროდაზღვევის პროგრამა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამა,

აგრეთვე სახელმწიფო პროგრამა „ანარმოე საქართველოში“ ასევე ხელს უწყობს ხილისა და ბოსტნეულის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებას საქართველოში. მაგალითად, 2016 – დან 2018 წლამდე პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ თანადაფინანსებით 70 – მდე ხილის საშრობი საწარმო და 20 – ზე მეტი ხილის გადამამუშავებელი (მაგ., ხილის წვენები, ქაყვის ზეთი და ა.შ.) საწარმო დაფინანსდა.

5.5.3 განვითარების პროექტები

არსებობს სხვადასხვა დასრულებული და მიმდინარე განვითარების ინიციატივები, რომლებიც უკავშირდება საქართველოს კვების ღირებულების ჯაჭვებს (მათ შორის ხილის და ბოსტნეულის), სოფლის მეურნეობის ექსპორტს (ევროკავშირში), მცირე და საშუალო ბიზნესის და ხარისხის უზრუნველყოფის განვითარებას. მე-4 და მე-5 და ცხრილები მოკლედ აღწერენ მიმდინარე და ახლახან დასრულებულ

პროექტებს და პოტენციურ სინერგიას GQSP საქართველოსთან.

გარდა დახმარების შესახებ ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემისა (LIMS), სადაც დოკუმენტირებულია პროექტები (მაგრამ არ არის კოორდინირებული ან კაპიტალიზირებული), შესაბამისი და უწყვეტი კოორდინაციის მექანიზმების დადგენა ვერ მოხერხდა.



ცხრილი 4: საქართველოს ხილის და ბოსტნეულის ღირებულების ჯაჭვებსა და ხარისხის უზრუნველყოფის განვითარებასთან დაკავშირებული მიმდინარე პროექტები

პროექტი	აღწერა
<p><u>სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (AMMAR) (2014-2021)</u></p> <p>განმახორციელებელი: MEPA სერვისის მომწოდებლებთან ერთად (მათ შორის ელკანა)</p> <p>დაფინანსება: IFAD, GEF, საქართველოს მთავრობა, DANIDA</p>	<p>შერჩეული ღირებულებების ჯაჭვების კლიმატის მიმართ მდგრადობადა ბაზარზე წვდომის ხელშეწყობა, შემდეგი ქმედებების მეშვეობით:</p> <ul style="list-style-type: none"> » ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ლანდშაფტის აღდგენა; » პოლიტიკური დიალოგი; » შესაძლებლობების განვითარება სადემონსტრაციო ნაკვეთების, ტრენინგების და სასწავლო მასალების მეშვეობით (ზოგადად, წარმოებასა და მარკეტინგზე ორიენტირება, პირდაპირ არ გულისხმობს პროდუქტის სტანდარტებს და მის მიმართ მოთხოვნებს); » გრანტები მწარმოებლებისთვის, გადამამუშავებლებისთვის, ახალგაზრდა მენარმეებისთვის; » ბაზრის კავშირების ხელშეწყობა, პროექტის ბენეფიციარების პოტენციურ მყიდველებთან დაკავშირებით, ბაზრობებში მონაწილეობის მხარდაჭერის და სხვა ღონისძიებების გზით; » შერჩეული ღირებულებების ჯაჭვები მოიცავს სხვადასხვა ხილსა და ბოსტნეულს: კენკრა, დაფნის ფოთოლი, ვაშლი, ატამი, სათბურის ბოსტნეული.
<p><u>FAO-ს სასოფლო სამეურნეო ვაჭრობის ექსპერტთა ქსელი ევროპაში (2014 წლიდან)</u></p>	<p>ქსელი აერთიანებს ექსპერტებს, რომლებიც ატარებენ კვლევებს, ახორციელებენ სასწავლო პროგრამებს და აძლევენ რჩევებს მთავრობებსა და კერძო სექტორს ვაჭრობასა და სავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე.</p>

<p><u>FAO– ს რეგიონალური ინიციატივა კვების სისტემების ტრანსფორმაციის, ბაზარზე დაშვების და ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის (2016 წლიდან)</u></p>	<p>წევრი ქვეყნების მხარდაჭერა მცირე და საშუალო სასოფლო სამეურნეო საწარმოებისთვის აგრო სურსათით ვაჭრობის პოლიტიკის გაუმჯობესების პროცესში.</p> <p>სამი კომპონენტი: სავაჭრო ხელშეკრულებები, გლობალური სტანდარტები, ბაზარზე წვდომა.</p>
<p><u>საქართველოს სურსათის უვნებლობის სააგენტოს ტექნიკური დახმარება, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პრიორიტეტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით (FAO Georgia) (2019-2021)</u></p>	<p>დამატებითი ინფორმაცია არ მოიძებნა.</p>
<p><u>MEPA- შესაძლებლობების გაუმჯობესება ექსტენციის სერვისების მიმართულებით (FAO Georgia) (2021-2022)</u></p>	<p>დამატებითი ინფორმაცია არ მოიძებნა..</p>
<p><u>ევროპული სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის (ENPARD) (ფაზა III: 2018-2021)</u></p> <p>განმახორციელებლით: FAO სხვა პროვაიდერებთან თანამშრომლობით (CARE International, Mercy Corps, UNDP და სხვა)</p> <p>დაფინანსება: EU</p>	<p>საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით:</p> <ul style="list-style-type: none"> » MEPA– ს მხარდაჭერა ეფექტური პოლიტიკის შემუშავების პროცესში; » ფერმერთა შესაძლებლობების განვითარება დემონსტრირების, ინფორმაციის გავრცელების და ტრენინგების მეშვეობით; » შესაბამისი გრანტების უზრუნველყოფა ფერმერებისთვის, სოფლის მენარმეებისთვის, კოოპერატივებისათვის, სხვა მცირე და საშუალო საწარმოებისა და მუნიციპალიტეტებისთვის.

ევროკავშირის ინოვაციური პროექტი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის საქართველოში (2019-2023)

განმახორციელებელი: UNDP, FAO

დაფინანსება: EU, UNIDO

თვინინგის პროექტი „სანიტარული, ფიტოსანიტარული და სურსათის უვნებლობის სისტემის შემდგომი პროგრესის უზრუნველყოფა საქართველოში“

განმახორციელებელი: სურსათის უვნებლობის სააგენტო, ინფორმაცია თვინინგ პარტნიორის შესახებ არ მოიძებნა

დაფინანსება: EU

მენარმეობის და ბიზნესის განვითარება შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით:

- » პოლიტიკოსების და სხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება, კლასტერების იდენტიფიცირებისა და განვითარების მიზნით;
- » კლასტერული მიდგომის შემუშავება და ფუნქციონირება შეფუთვისა და თესლის / ნერგების სექტორებში;
- » კომპანიებში სტრატეგიული ინვესტიციების მხარდაჭერა კლასტერის გაუმჯობესების მიზნით;
- » მიგრაციის ინტეგრირება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში.

სამი ძირითადი კომპონენტი:

- » ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული და საოპერაციო შესაძლებლობების მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის (საკვების გაუმჯობესების აგენტების, საკვებთან დაკავშირებული მასალების, სწრაფად გაყინული საკვების, მავნე ორგანიზმების მენეჯმენტის შესახებ და ა.შ.) ეფექტურად დაახლოების უზრუნველსაყოფად;
- » სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და ფიტოსანიტარიის შესაძლებლობების გაუმჯობესების მხარდაჭერა ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე და პირველადი პროდუქციის ჰიგიენის და უვნებლობის სტანდარტების დანერგვა;
- » სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული ახლად დაახლოებული კანონმდებლობის ქვეყანაში აღსრულების ხელშეწყობა.

<p><u>ლაბორატორია H&S LLL კურსები ახალგაზრდებისთვის დასავლეთ & აღმოსავლეთ საქართველოში (CoLLLab) (2020-?)</u></p> <p>განმახორციელებელი: თსუ, საქართველოს ბიოტექნოლოგიის ასოციაცია (GeBa), NCDC, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (SLA)</p> <p>დაფინანსება: EU</p>	<p>მხარდაჭერა ახალგაზრდა პროფესიონალების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ლაბორატორიული უნარების განვითარებისთვის, შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით:</p> <p>» ბაზარზე და მოთხოვნაზე ორიენტირებული უწყვეტი განათლების კურსები ლაბორატორიის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ;</p> <p>» ტრენინგების ტრენინგის (ToT) პროგრამა ინიციატივის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.</p>
<p><u>Horizon 2020 DEMETER, Pilot 5.1: ბაღების / ვენახების დაავადებების პროგნოზი და მინოდების ჭაჭვის გამჭვირვალობა (2019-2023)</u></p> <p>განმახორციელებელი (საქართველოში): GFA</p> <p>დაფინანსება: EU</p>	<p>წამყვანი ევროპის აგრო-სურსათის სექტორის ციფრულ ტრანსფორმაციაში, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ინტერნეტ – ტექნოლოგიების, მონაცემთა შესახებ მეცნიერების და ჭკვიანი მეურნეობის სწრაფ ათვისებას</p> <p>პილოტური პროექტი 5.1 აქცენტს აკეთებს ვენახებსა და ბაღებში პესტიციდების გამოყენების ოპტიმიზაციასა და მინოდების ჭაჭვის გამჭვირვალობის გაძლიერებაზე agroNET პლატფორმისა და ბლოკჩეინზე დაფუძნებული მონაცემთა გაცვლის პროტოკოლის OriginTrail გამოყენებით.</p>
<p><u>ბალახები ზრდისათვის (HEGO) (2020-2022)</u></p> <p>განმახორციელებლით (საქართველოში): GFA</p> <p>დაფინანსება: EU</p>	<p>ბალახების კულტივირებასთან დაკავშირებული სანარმოების მოდერნიზაცია;</p> <p>» მრავალფეროვანი, მდგრადი, დამატებითი ღირებულების ბალახოვანი პროდუქტების პოპულარიზაცია;</p> <p>» ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესაძლებლობების გაუმჯობესება საბერძნეთის, მოლდოვას, საქართველოსა და სომხეთის ბალახების სანარმოებისთვის.</p>

მაღალი ღირებულების სავაჭრო შესაძლებლობების გაუმჯობესება მებაღეობაში (2017-?)

განმახორციელებელი: ?

დაფინანსება: EBRD

ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი მეხილეობის ღირებულებათა ჯაჭვში ინვესტირების შესაძლებლობების განსაზღვრის მიზნით

» შესაძლებლობების განვითარება მებაღეობის ღირებულების ჯაჭვების პარალელურად, DCFTA- ს განხორციელების მხარდასაჭერად

» ცოდნის გაზიარება და სავაჭრო კავშირები რეგიონის სხვა მონაწილეებთან (მაგალითად, უკრაინა)

სანიტარული და ფიტოსანიტარული (SPS) გამჭვირვალობის გაუმჯობესება (WTO) საქართველოში (2019-?)

განმახორციელებელი: სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი (RAPDI)

დაფინანსება: USDA

პროგრამის მიზანია:

» სანიტარული და ფიტოსანიტარული გამჭვირვალობის და ეფექტურობის ამაღლება, WTO -ს SPS ზომების შესახებ ინფორმირებისას;

» კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდა;

» მარეგულირებელი ლაბორატორიული ქსელის შესაძლებლობების გაძლიერება რისკზე დაფუძნებული წესების დადგენისა და მათი ეფექტურობის ხელშეწყობის მიზნით.;

» ლაბორატორიული ინფრასტრუქტურისა და ადამიანური შესაძლებლობების განვითარების შემძლე ლაბორატორიული სამუშაო ძალის განვითარება, რაც აუცილებელია მარეგულირებელი კანონის აღსრულებისა და ეფექტურობის დადასტურებისთვის;

» ძირითადი ჯგუფების ტრენინგი, რისკზე დაფუძნებული წესების შემუშავების პროცესის და WTO-ს ინფორმირების შესახებ.

ეროვნული SPS შესაძლებლობების განხორციელების და ეფექტურობის ამაღლება ტრენინგისა და განათლების საშუალებით (2020-?)

განმახორციელებლით: კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მომავლის ასოციაციის ფერმერი, Fresno

დაფინანსება: USDA

სურსათის უვნებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების გაუმჯობესება (2019-?)

განმახორციელებელი: ?

დაფინანსება: USDA

საგზაო რუქაზე დაფუძნებული, მანებლების ინტეგრირებული მართვის (IPM) ეროვნული ფიტოსანიტარული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა, ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირება და სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების მენეჯმენტის სისტემის შემუშავება;

» ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის გაუმჯობესება;

» ელექტრონული სერთიფიკატი და კარგი მარეგულირებელი პრაქტიკა, მათ შორის ePhytos - ზე არსებული მაგალითების შესწავლა;

» ლაბორატორიული შესაძლებლობების / ქსელის განვითარება, მარეგულირებელ რეფორმებში ჩართვა.

ეს ინფორმაცია მოდის ProDoc- დან (2020), ინტერნეტში ახალი რამ ვერ მოიძებნა.

საქართველოს უსაფრთხოება და ხარისხიანი ინვესტიცია მეცხოველეობაში SQIL (2019-2024)

განმახორციელებლით: Land O'Lakes Venture 37, GFA

დაფინანსება: USDA

აქტივობა II: სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების გაუმჯობესება ქვეყნის მასშტაბით სურსათის უვნებლობის განვითარების გზით, სურსათის ტესტირების ლაბორატორიების შესაძლებლობების შეფასება და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისათვის საჭირო შესაძლებლობების განვითარება.

ეს ინფორმაცია მოდის ProDoc- დან (2020), ინტერნეტში ახალი რამ ვერ მოიძებნა.

USAID სოფლის მეურნეობის პროგრამა (2018-2023)

განმახორციელებელი: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის განვითარება (SEEDDEV); World Food Logistics Organization (WFLO)

დაფინანსება: USAID

სოფლის მეურნეობის ქვესექტორების ზრდის დაჩქარება, რაც აჩვენებს ძლიერ პოტენციალს სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლების ზრდისა და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) შემოსავლების გაზრდისათვის, შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით:

- » პროდუქტიულობის ამაღლება;
- » ტექნიკური დახმარება საერთაშორისო სტანდარტებისა და სერთიფიკატების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- » საბაზრო კავშირების გაძლიერება;
- » ინოვაციური გრანტები ღირებულების ჯაჭვის მონაწილეებისთვის, კოოპერატივებისათვის, ექსტენციის მომწოდებლებისთვის, ასოციაციებისთვის და სხვა.

მცენარეთა უსათრთხოების სისტემის ინიციატივა (ხანგრძლივობა?)

განმახორციელებელი: სურსათის უვნებლობის სააგენტო

დაფინანსება: USAID

ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების განვითარება ქვეყნის მასშტაბით მავნებლების მართვის სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, ასევე ქართველი ფერმერების მხარდასაჭერად საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატების მიღების პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფა გაძლიერება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (2019-2021)

განმახორციელებელი: Physikalisch-Technische Bundesanstalt Germany, GEOSTM

დაფინანსება: გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო

პროექტს აქვს ორი მიმართულება:

- » კონსულტირება და დახმარება საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ეროვნული საცნობარო ლაბორატორიების შექმნის პროცესში, ინსტიტუციური შესაძლებლობების და საქმიანობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო აღიარების მიღწევის მიზნით;
- » მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

ფერმერული მეურნეობის მხარდაჭერის
ინიციატივა FSI (2018-2021)

განმახორციელებელი: GFA

დაფინანსება: ავსტრიის განვითარების სააგენტო

სოფლის მეურნეობის სექტორში
მცირე ბიზნესის მაღალი
შემოსავლებისა და ბაზრის
გაუმჯობესებული პოზიციის
უზრუნველყოფა, შემდეგი
ღონისძიებების მეშვეობით:

- » მოთხოვნის შესაბამისი
ტრენინგები სასოფლო სამეურნეო
კოოპერატივებისა და ბიზნესზე
ორიენტირებული ფერმერებისთვის;
- » აქტივების უზრუნველყოფა
ტრენინგებისთვის, მათ შორის
სპეციალიზებული ტრენინგი;
- » მაღალი დონის მყიდველებთან
კავშირი, მაგალითად
ხელშეკრულებები სადისტრიბუციო
კომპანიებთან, როგორცაა GFDC;
- » სადემონსტრაციო ნაკვეთები და
ჯვარედინი ვიზიტები;
- » საინფორმაციო კამპანია და
სადემონსტრაციო ნაკვეთები
საძოვრების მართვასთან
დაკავშირებით.

საქართველოში მეურნეობის პროდუქტიულობის
გაუმჯობესება დუალური პროფესიული
განათლებისა და ტრენინგის საშუალებით (II
ფაზა: 2018-2022)

განმახორციელებელი: UNDP

დაფინანსება: SDC

სოფლის მეურნეობის
სექტორში პროდუქტიულობის,
შემოსავლებისა და სამუშაო
ადგილების გაზრდა ფერმერებისა
და სტუდენტების პროფესიული
განათლების საშუალებით. II ფაზა
ორიენტირებულია კოორდინაციის
გაუმჯობესებაზე პროფესიულ
განათლებასა და ექსტენციას
შორის; ასევე კერძო სახელმწიფო
პარტნიორობის ხელშეწყობაზე
თეორიული და პრაქტიკული
ტრენინგების კომბინირებისა
და ციფრული მედიის მეტად
გამოყენების მიზნით.

Multi-Country Investment Climate Programme
MCICP (2017-2024)

განმახორციელებელი: საერთაშორისო
საფინანსო კორპორაცია (IFC)

დაფინანსება: SECO

საინვესტიციო კლიმატის
რეფორმები SECO პარტნიორი
ქვეყნების კონკურენტუნარიანობისა
და მდგრადი ზრდის
გასაუმჯობესებლად. სხვა
საკითხებთან ერთად, რეფორმები
მოიცავს ფირმების შესაბამისობის
ხარჯების შემცირებას,
გამჭვირვალობის გაუმჯობესებას და
კორუფციის შემცირებას.

IAEA ქვეყნის ჩარჩო პროგრამა (2020–2025)

2020-2025 წლების ქვეყნის
ჩარჩო პროგრამის ერთ – ერთი
პრიორიტეტული მიმართულებაა:
სურსათის უვნებლობის
უზრუნველყოფა, სურსათის
კონტროლის სისტემების
გაუმჯობესება და სასოფლო
სამეურნეო პრაქტიკის გაუმჯობესება.

GQSP Georgia-ს მიხედვით, ProDoc
IAEA უზრუნველყოფს გარემოს
დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს ლაბორატორიის
ტექნიკურ მხარდაჭერას, LC-MS-MS
-ს შესყიდვისა და მონტაჟისთვის
და მისი გამოყენებისთვის
მეცხოველეობაში.



ცხრილი 5: საქართველოს ხილის და ბოსტნეული ღირებულების ჯაჭვებთან დაკავშირებული ბოლო დროს დასრულებული

პროექტი	აღწერა
<p>ევროკავშირის მხარდაჭერა სურსათის უვნებლობის სააგენტოსთვის (2012-2019)</p> <p>განმახორციელებელი: NFA</p> <p>დაფინანსება: EU</p>	<p>პროგრამა ითვალისწინებს სურსათის უვნებლობის სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერების, სამართლებრივი დაახლოების პროცესის, აგრეთვე სურსათის უვნებლობის ინსპექტორების შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერას. აღნიშნული ასევე ხელს შეუწყობს სურსათის უვნებლობის სააგენტოს (ცენტრალური და რეგიონალური ოფისები), შემოსავლების სამსახურს (სასაზღვრო ინსპექტირების პუნქტებზე პასუხისმგებელ პირს) და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას (SLA) ფიზიკური ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის გაუმჯობესებაში, ინსპექტირების ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარების მიზნით</p>
<p>საქართველოში აკრედიტაციის გაძლიერების ხელშეწყობა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად (2015-2017)</p> <p>განმახორციელებელი:</p> <p>დაფინანსება: EU</p>	<p>პროექტის მიზანი იყო საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის (GAC) სამართლებრივი, ტექნიკური და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება, ასოცირების ხელშეკრულების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების განხორციელების პროცესში, განსაკუთრებით: აკრედიტაციის სფეროში ცოდნის ტესტირებისას.</p>
<p>სურსათის უვნებლობის სააგენტოს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის (QMS) განვითარება</p> <p>განმახორციელებელი: სურსათის უვნებლობის სააგენტო, ?</p> <p>დაფინანსება: ჰოლანდიის განვითარების სააგენტო</p>	<p>სხვა ინფორმაცია არ იძებნება..</p>

<p>ფიტოსანიტარიული კონტროლის ეროვნული სისტემის შექმნა საქართველოში (2018-2020)</p> <p>განმახორციელებელი: ჩეხეთის მცენარეთა დაცვის სააგენტო, სურსათის უვნებლობის სააგენტო</p> <p>დაფინანსება: ჩეხეთის განვითარების სააგენტო</p>	<p>სხვა ინფორმაცია არ იძებნება.</p>
<p><u>თვინინგის პროექტი საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსთვის (2017-2019)</u></p> <p>განმახორციელებელი: ბრიტანეთის სტანდარტების ინსტიტუტი, დანიის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტი, ლატვიის სტანდარტი, GEOSTM</p> <p>დაფინანსება: EU</p>	<p>მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სერვისების განვითარების ხელშეწყობა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად, შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით:</p> <ul style="list-style-type: none"> » დასაქმებულთა შესაძლებლობების გაუმჯობესება; » ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; » სამუშაო პროცედურების და პროცესების გაუმჯობესება.
<p><u>ZRDA (2016-2020)</u></p> <p>განმახორციელებელი: Chemonics და პარტნიორები</p> <p>დაფინანსება: USAID</p>	<p>ხუთი მიზნობრივი რეგიონის სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორებში ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. სოფლის მეურნეობის განვითარება:</p> <ul style="list-style-type: none"> » საპილოტე, სადემონსტრაციო სათბურის წარმოება და კენკროვანი სანერგეები; » ცივი სათავსების და საშრობი საშუალებების თანადაფინანსება; » ICC- ებისა და ფერმების მომსახურების კერძო ცენტრების დახმარება; » ახალ ბაზრებზე წვდომა მობილური პროგრამით Agronavti, Enhanced Agriculture Platform kalo.ge, GeoGAP სერტიფიცირება, პარტნიორობა საქართველოს აგროჰაუსთან და მოსავლის აღების შემდგომი მენეჯმენტის სასწავლო კურსი

საქართველოს თხილის
გაუმჯობესების პროექტი G-
HIP (2015-2020)

განმახორციელებელი და
დაფინანსება: გლობალური
განვითარების ალიანსი
GDA (USAID, Ferrero, CNFA)

ქართული თხილის ღირებულების ჯაჭვის განვითარება
შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით:

- » შესაძლებლობების გაზრდა ბენეფიციარებისათვის, როგორცაა საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია, მწარმოებელთა ჯგუფები და თხილისა და გადამამუშავებელთა ასოციაცია.;
- » მოსავლის აღების შემდგომი ხარისხის წახალისების სისტემა;
- » მოსავლის აღების შემდგომი ინფრასტრუქტურის ტექნოლოგიის განახლება;
- » ღირებულების ჯაჭვის დაინტერესებული მხარეების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ;
- » მიკვლევადობის გაუმჯობესება და ნიადაგის ტესტირება პროდუქტის ხარისხის გასაუმჯობესებლად.



6

ღირებულებათა ჯაჭვების სიღრმისეული კვლევები



ამ თავში წარმოდგენილია ღირებულების ჯაჭვის (VC) სიღრმისეული კვლევები, ოთხი პროდუქტის მიხედვით, ესენია: ვაშლი (6.1), ლურჯი მოცვი (6.2), კაკალი

(6.3) და მწვანილი (6.4). პროდუქტებს აქვთ ერთნაირი სტრუქტურა და ვიზუალური ფორმა, ერთმანეთთან შედარების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

6.1 ვაშლი

გლობალური წარმოება და ვაჭრობა


ვაშლის გლობალური წარმოება მეტ ნაკლებად სტაბილურად იზრდებოდა გასული 20 წლის მანძილზე; მოსავლის აღების ტენდენცია რამდენადმე მცირდება, რაც პროდუქტიულობის ზრდაზე მიუთითებს (Faostat 2021). 10 ტოპ მწარმოებელია: ჩინეთი, აშშ, პოლონეთი, თურქეთი, ირანი, იტალია, ინდოეთი, საფრანგეთი, ჩილე და რუსეთი (საშუალო წამროებაზე დაყრდნობით 2010-2019; Faostat 2021).

მსოფლიოში (ჩინეთის გამოკლებით) წარმოებული 5 ტოპ სახეობაა: Golden Delicious, Gala, Red Delicious, Fuji და Idared. 2025 წლისათვის მოსალოდნელია შემდეგი სახეობების წარმოების ზრდა: Gala, Fuji, Jonagold, Pink Lady, Jonagored and Honey-crisp. ეგრეთ წოდებული კლუბური ჯიშები, როგორცაა: „Pink Lady®, Kanzi®, Cosmic

Crisp® და Jazz® ასევე იძენენ პოპულარობას, მაგრამ მაინც მცირე მნიშვნელობის არიან დამუშავებული ფართობის თვალსაზრისით. მიმდინარეობს სელექციის მრავალი პროგრამა, სადაც ძირითადი მიმართულება წითელი რბილობი და ქერქის მდგრადობა ძირითადი მიმართულებაა (Produce Report 2018).


ვაშლის 10 ტოპ მწარმოებელია: ჩინეთი, იტალია, პოლონეთი, აშშ, ჩილე, საფრანგეთი, ახალი ზელანდია, ირანი და ჰოლანდია (2010 – 2019 წლების ექსპორტის საშუალოზე დაყრდნობით; სავაჭრო რუკა 2021). ტოპ 10 იმპორტიორია: გერმანია, რუსეთი, გაერთიანებული სამეფო, ჰოლანდია, მექსიკა, ეგვიპტე, აშშ, ინდონეზია, კანადა და ინდოეთი (2010-2019 წლების იმპორტის საშუალო ღირებულებაზე დაყრდნობით; სავაჭრო რუკა 2021).

ვაშლის გლობალური წარმოება და მოსავლის აღების ფართობი (2010-2019))



Source: Faostat 2021

ვაშლის წარმოების მოცულობა, ექსპორტის მოცულობა და ექსპორტის ღირებულება ტოპ 10 ვაშლის გლობალური ექსპორტიორი (საშუალო მაჩვენებელი 2010-2019)



Source: Faostat 2021; Trade Map 2021 – China is excluded from the graph due to extremely high production quantity of almost 40000 ths. tons

Source: Trade Map 2021

ევროკავშირის ვაჭრობა

ევროკავშირის სავაჭრო ბალანსი, ვაშლთან მიმართებით პოზიტიური იყო ბოლო 10 წლის განმავლობაში, გარდა 2018 წლისა (სავაჭრო რუკა 2021). ექსპორტი, ისევე როგორც იმპორტი სუსტად კლებდა ტენდენციას ავლენს. ევროკავშირისათვის 10 ტოპ ვაშლის მიმწოდებელია: იტალია, საფრანგეთი, ჩილე, ახალი ზელანდია, გერმანია, პოლონეთი, ჰოლანდია, სამხრეთ აფრიკა, ბელგია და ესპანეთი (რანგირება ეფუძნება მთლიან მიწოდებულ ოდენობას 2019 წლის ნოემბრიდან


2020 წლის ოქტომბრამდე; სავაჭრო რუკა 2021). მკვეთრად გამოხატულია სემონური განსხვავებები მომწოდებლების თვალსაზრისით: აგვისტოდან აპრილამდე ვაშლის იმპორტში დომინირებს ევროკავშირის შიდა ნაკადები, მაისიდან ივლისამდე მიწოდება ძირითადად სამხრეთ ნახევარსფეროს ქვეყნებიდან ხდება. CBI -ს ვებგვერდზე ვაშლი არ არის ევროკავშირში ექსპორტის თვალსაზრისით პერსპექტიული პროდუქტების ჩამონათვალში (CBI 2020b).

ევროკავშირის ვაშლის ექსპორტი, იმპორტი და სავაჭრო ბალანსი(2010-2019)




Source: Trade Map 2021

ევროკავშირისთვის ვაშლის წამყვანი მომწოდებლები, ყოველთვიურად(Nov 19-Oct 20)




ქართული ვაშლის წარმოება, იმპორტი, ექსპორტი და სავაჭრო ბალანსი (2010-2020)




Source: Trade Map 2021; Geostat 2021

ქართული ვაშლის საექსპორტო მიმართულებები (2010-2020)



საქართველოს ვაშლის ყოველთვიური ექსპორტი (2010-2020)



საქართველოს ექსპორტის პოტენციალი


წარმოება: ვაშლის წარმოების მხრივ საქართველო 62-ე ადგილზეა (Faostat 2021), ხოლო ვაშლის ექსპორტის რაოდენობით მე-60 ადგილზე (სავაჭრო რუკა 2021). წარმოება საკმაოდ მკვეთრად იცვლებოდა, ხოლო ექსპორტი ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ექსპორტირებული პროდუქციის წილი მერყეობდა 1% (2016) და 26% (2019) შორის. სავაჭრო ბალანსი უარყოფითია, გარდა 2019 და 2020 წლებისა, ვაშლის იმპორტი ძირითადად თურქეთიდან, ირანიდან, პოლონეთიდან და უკრაინიდან მოდის (საქსტატი 2021; სავაჭრო რუკა 2021).

ქართული ვაშლი ძირითადად მიეწოდება დაბალ ფასიან სეგმენტს (FAO 2017). გასული წლების განმავლობაში ძალიან მცირე ოდენობებია ექსპორტირებული ევროკავშირში, კერძოდ სლოვენიაში, გერმანიაში, უნგრეთსა და ლატვიაში (სავაჭრო რუკა 2021; EastFruit 2020a; EastFruit 2020b; EastFruit 2021a). ბოლო 10 წლის განმავლობაში, საქართველოს შედარებითი უპირატესობა ვაშლთან მიმართებით (RCA) არ ყოფილა > 1 (სავაჭრო რუკა 2020) და ვაშლი არ გვხვდება ტოპ 50 პროდუქტს შორის, ევროკავშირსა და დასავლეთ ევროპაში ექსპორტირების პოტენციალის ან საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციის პოტენციალის თვალსაზრისით (ITC 2021a; ITC 2021b).

ექსპორტი და საექსპორტო მიმართულებები: ბოლო წლების განმავლობაში ქართული ვაშლის ძირითადი საექსპორტო მიმართულებები იყო რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და თურქმენეთი. ამ ქვეყნებში

ინტერვიუს მონაწილეებისაზრით, რუსეთი არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ასევე ყველაზე არასტაბილური, არაპროგნოზირებადი ბაზარი და მნიშვნელოვანია საექსპორტო

ქართული ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის რუკა



მიმართულებების დივერსიფიკაცია. ამასთან, ისინი არ მიიჩნევენ ევროკავშირის ბაზარს პერსპექტიულ დანიშნულების ადგილად შიდა ჭარბი პროდუქციისა და კონკურენციის, შესვლის ფასის (ასოცირების ხელშეკრულება, დანართი II-B) და ხარისხის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო. მათი აზრით, საქართველოსთვის უფრო პერსპექტიული ბაზრებია სპარსეთის ყურის ქვეყნები (მაგ. საუდის არაბეთი), ინდოეთის ოკეანის მიმდებარე ქვეყნები (მაგ. პაკისტანი, ინდოეთი, ინდონეზია) და შუა აზია (მაგ. ყაზახეთი). როგორც ჩანს, არსებობს შიდა ბაზარზე იმპორტის ჩანაცვლების შესაძლებლობა.

ევროკავშირის მოთხოვნები ექსპორტის მიმართ

» ხილის და ბოსტნეულის ევროკავშირში ექსპორტის მიმართ ზოგადი მოთხოვნები ჩამოთვლილია მე -4 თავში. ვაშლის განსაკუთრებული მახასიათებლები:

» ვაშლი

» მარკეტინგის სტანდარტები: ვაშლთან დაკავშირებით არსებობს ევროკავშირის სპეციალური მარკეტინგული სტანდარტი (ევროკავშირის განმახორციელებელი რეგულაცია (EU) No 543/2011 დანართ I ნაწილ B), UNECE ვაშლის სტანდარტი და Codex Alimentarius სტანდარტი ვაშლისთვის.

» შეფუთვა: ვაშლის შეფუთვა უნდა მოხდეს

ისე, რომ პროდუქტის სათანადოდ დაცვა იყოს უზრუნველყოფილი. კერძოდ, საცალო შეფუთვები, რომელთა წონა 3 კგ-ზე მეტია, საკმარისად მყარი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი დაცვა (ვაშლის დრო ევროპიდან n.a.). მაგალითებია: მუყაოს ყუთები 13-18 კგ და ხის ყუთები 8-16 კგ. (Codru n.a.)

ქართული ვაშლის წარმოება

ქართული ვაშლის წარმოება ხასიათდება ძლიერი რყევებით (იხ. დიაგრამა "საქართველოს საექსპორტო პოტენციალი"). ამის ძირითადი მიზეზი ცვალებადი კლიმატური პირობებია (განსაკუთრებით ყინვა აპრილში დაახლ. ყოველ 10 წელიწადში), რაც აძლიერებს მოსავლის მიღების არაოპტიმალურ მეთოდებსა და დაავადებებს, ასევე სტატისტიკური მონაცემების გარკვეული შეუსაბამობები (FAO 2017; ინტერვიუები). ძირითადი სანარმოო რეგიონია შიდა ქართლი (გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტები), მთლიანი წარმოების საშუალო წილით - 77% (2014-2019; საქსტატი 2020). მოსავლის აღების ძირითადი სეზონი სექტემბრიდან ნოემბრის დასაწყისამდეა.

წარმოების სისტემების კატეგორიზაცია შემდეგნაირად შეიძლება (FAO 2017; ინტერვიუები):

» ტრადიციული: 2005 წლამდე დაარსებული კულტივირების ტრადიციული მეთოდები, ძველი ჯიშები / შტამები, დაბალი სიმკვრივე, რომელსაც ფლობენ „ჩვეულებრივი ფერმერები“. ამ ბალებიდან ბევრი სავარაუდოდ ამოიძირკვება უახლოესი 10-25 წლის განმავლობაში და შესაბამისად დაიკარგება ტრადიციული ცოდნა / პრაქტიკა.

» თანამედროვე ინტენსიური: 2005 წლის შემდეგ შექმნილი, თანამედროვე წარმოება დიდი რესურსებით, მაღალი სიმკვრივე, ჯუჯა ნერგები (M9), ახალი ჯიშები, რომლებიც ეკუთვნით „არა სასოფლო სამეურნეო ფერმერებს“;

» თანამედროვე ნახევრად ინტენსიური: 2005 წლის შემდეგ შექმნილი, თანამედროვე წარმოება საშუალო რესურსებით, საშუალო სიმკვრივე, ნახევრად ჯუჯა ნერგები, ახალი ჯიშები, რომლებსაც ლობენ უფრო მდიდარი „ჩვეულებრივი ფერმერები“ ან ნაკლებად მდიდარი „არა სასოფლო სამეურნეო ინვესტორები“.

თანამედროვე ბალები პოპულარული გახდა საპილოტე ნაკვეთების (2005 წლიდან) და მთავრობის სუბსიდიების, განსაკუთრებით კი პროგრამის დანერგე მომავალი (2015 წლიდან) გამო. 2019 წელს, ტრადიციული ბალები მთლიანი მოცულობის დაახლოებით 80% -ს, ხოლო თანამედროვე ბალები - 20%-ს შეადგენდნენ (FAO და EBRD 2019).

სახეობები (FAO 2017)

» ტრადიციული ბალები: ზამთრის ბანანი, კეხურა, ცარსკი, ანტონოვკა, ბროცკი, სინაპი, ყვითელი ბელფლორი, კანადური რენეტე, შამპანი, იგლოდენი

» თანამედროვე ბალები: გოლდენი და წითელი, Granny Smith, Gala, Fuji etc.

SRCA– ს მიხედვით ქართული კონტექსტისთვის ყველაზე პერსპექტიული ჯიშებია: წითელკანიანი / წითელი ტკბილი, პინოვა, ტოპაზი, ასტრამელი, გრანი ჩელენჯერი.

სახელი	მდებარეობა	წელი	პროდუქტები
სამეგობრო	შიდა ქართლი	1980	ამყამად შეჩერებული
Georgia's Natural Aroma-product	თბილისი	1985	ორგანული გოგრა-ვაშლის წვენი, სამოთხის ვაშლის სიროფი
Bio Juice	შიდა ქართლი	2005	კონცენტრატები, არომატიზატორები
ქართული ნექტარი	შიდა ქართლი	2007	ვაშლის-ჭარხლის წვენი
მარნეულის ხილის ქარხანა	ქვემო ქართლი	2007	ჯემი
Natural 7	შიდა ქართლი	2007	კონცენტრატები, არომატიზატორები
ჯეო კონცენტრატი	შიდა ქართლი	2007	კომპოტი და წვენი
Geo-Flower	რაჭა ლეჩხუმი	2007	ხმელი ხილი
კამპა	მცხეთა	2008	ხილი და ნექტარი
	მთიანეთი		
კულა/ჩიკურა	შიდა ქართლი	2009	წვენი, მურაბა, ხმელი ვაშლი
ზედაზენი/ჩერო	მცხეთა	2011	წვენი და არომატული წყალი
	მთიანეთი		
გემუანი	სამეგრელო	2011	გაცივებული ვაშლი
სობისური	შიდა ქართლი	2012	წვენი პიურე; კომმის, ალუბლის, ქლიავის, ჭარხლის)
შპს ჩინებული / ალალი	კახეთი	2015	წვენი
ქარელის ხილი / ჩიკორი	შიდა ქართლი	2015	ხმელი ვაშლი
ქართული ხილის კომპანია / Kind&Noble	კახეთი	2016	წვენი, ხილი, პიურე
ჯეო ორგანიკი	კახეთი	2018	ხმელი ვაშლი
ავვისტოს ხილის ქარხანა	მცხეთა-მთიანეთი	2019	წვენი და ჯემი
კოლპერატივე ფესვები	კახეთი	2019	წვენი, ჩიფსები, სიდრი
კავკასიის ორგანული ხილი	თბილისი	NA	ხმელი ვაშლი

რამდენიმე დიდი თანამედროვე მწარმოებელი (ინტერვიუები)

- » ტრიფორნის ბალები, კვარხითი აგრო და აგროგორი (შიდა ქართლი, 2014 წლიდან, 28 ჰა)
- » [GU Fruit](#) (ქვემო ქართლი, 2012 წლიდან, 33 ჰა, 7 სახეობა)
- » [ხიჩატელი](#) (მცხეთა მთიანეთი, 50 ჰა, 12 სახეობა)
- » ჩირინა / მპომონო (კახეთი, 10 სახეობა)
- » აგრომაქს დეკორი (კახეთი)
- » [Agro-Com](#) (შიდა ქართლი)
- » ქართული ხილის კომპანია, ახალი ჰორიზონტი, საჩიონო (ვებ გვერდი არ იქებნება)

საერთო რაოდენობის მხრივ, ყველაზე მეტი ვაშლი მაინც „ჩვეულებრივი ფერმერებისგან“ მოდის.

საბითუმო ბაზრები

ვაშლის უმსხვილესი საბითუმო ბაზრები მდებარეობს გორსა და თბილისში («დემერტირები», «ნავთლული», «ვლდანის ბაზარი»).

შიდა საცალო ვაჭრობა

საქართველოში ფუნქციონირებს მრავალი მცირე სასურსათო მაღაზია და დიდი სუპერმარკეტი, კერძოდ: კარფური, გუდვილი, სპარი, ფრესკო, ნიკორა, ორი ნაბიჭი, მაგნიტი, ზღპარი. Covid-19-ის პანდემიამ ასევე გააძლიერა ინტერნეტ-ვაჭრობა, ყოველ შემთხვევაში, თბილისში, მაგ. Glovo-ს, momitane.ge-ს ან Soplidan.ge-ს მეშვეობით.

გადამამუშავებლები

[Trade with Georgia](#), [Global Companies](#), [bia.ge](#), FAO (2017), Google-სა და ინტერვიუების მეშვეობით განსაზღვრული გადამამუშავებლების მიმოხილვა (თანმიმდევრობა განსაზღვრულია დათუქნების წლის მიხედვით; ინფორმაცია

გადამამუშავებელი მოცულობების, ექსპორტის ორიენტაციის და ხარისხის სტანდარტების შესახებ იქებნება დაკავშირებულ ვებგვერდებზე):

ვაშლის მოსავლის დაახლოებით 40% ჩვეულებრივ მუშავდება (ინტერვიუ). ძირითადი გადამამუშავებელი პროდუქტი არის ვაშლის კონცენტრატი / წვენი, თუმცა იკვეთება სხვა დამამუშავებელი პროდუქტების დივერსიფიკაციის ტენდენცია, როგორცაა მაგალითად: გამხმარი / გაყინული ხმელი ვაშლი, მურაბა და ა.შ. (იხილეთ ზემოთ ჩამონათვალი). ქართული ვაშლის კონცენტრატს შედარებით კარგი ფასები აქვს, ვაშლის ტრადიციული ჯიშების მაღალი მუავიანობის გამო. ამავდროულად, FAO (2017) ასკვნის, რომ გამოყენების დონე ხშირად ოპტიმალურზე დაბალია და ბიზნესი საკმაოდ წამგებიანი.

სპეციალიზირებული შემფუთვლები, მოვაჭრეები, ექსპორტიორები

გარდა თანამედროვე კომპანიებისა, რომლებსაც აქვთ ნაწარმის მინიმუმ ნაწილის ადგილზე შენახვის, გადარჩევის და შეფუთვის შესაძლებლობა, ფერმერებს ვაშლი ან ადგილობრივ ღია ბაზრებზე გააქვთ ან პირდაპირ მინდვრიდან ყიდიან მოვაჭრეებზე. არსებობს მოვაჭრეების სამი ტიპი (FAO 2017; ინტერვიუები):

- » მოვაჭრეები, რომლებიც მუშაობენ დაბალი კლასის ვაშლზე და მას გადამამუშავებლებზე ყიდიან;
- » მოვაჭრეები, რომლებიც მუშაობენ მაღალი ხარისხის ვაშლზე, გააქვთ ექსპორტზე ან ყიდიან საბითუმო ბაზრებზე, დასაწყობების გარეშე;
- » მოვაჭრეები, რომლებიც მუშაობენ მაღალხარისხოვან ვაშლზე და ყიდიან მას ადგილობრივ ღია ბაზრებზე, სუპერმარკეტებსა თუ საექსპორტო ბაზრებზე (საკუთარი ან დაქირავებული) სათავსებით. ეს კომპანიები ხშირად ახდენენ დახარისხებას, შეფასებას და შეფუთვის - დღიური მუშახელის გამოყენებით რეგიონიდან, ზოგჯერ კი ფლობენ საკუთარ რეფრეჟერატორებს.

უმეტეს შემთხვევებში **გადარჩევა და დახარისხება** ხელით ხდება, (შესაბამისი) დანადგარები ამ ეტაპზე შეზღუდული რაოდენობითაა. სრულად აღჭურვილი თანამედროვე კომპანიის მაგალითი არის - ქართული ხილის კომპანია. შესაფუთად ძირითადად პლასტმასის ყუთები გამოიყენება, რადგან ეკოლოგიურად სუფთა მუყაო ან ხის ყუთები ძალიან ძვირია. (ინტერვიუები). კონკრეტული (ხილის) სავაჭრო / ექსპორტიორი კომპანიების იდენტიფიცირება რთულია, რადგან ბევრ მათგანს არ აქვს ვებსაიტი. ინტერნეტში ნაპოვნი რამდენიმე მაგალითია: Fruitilia (Angel Logistics) და მომავალი.

რესურსების მომწოდებლები:

» **ნერგები:** არსებობს სხვადასხვა მითითება სანერგეების რაოდენობისა და ადგილმდებარეობის შესახებ, წყაროდან გამომდინარე (PMC Research 2020). პროგრამაში „დანერგე მომავალი“ ჩამოთვლილია [13 სანერგე მეურნეობა](#), რომელიც აწარმოებს ვაშლის ნერგებს (10 შიდა ქართლში, 2 კახეთში, 1 თბილისში) და [15 კომპანია](#), რომელიც იმპორტირებულ ნერგებს აწვდის. FAO (2017) თვლის 19 სანერგეს შიდა ქართლის რეგიონში. ამჟამად ინტენსიური ბაღების ნერგების დიდი ნაწილი (M9 ჯუჯა საძირეები) იმპორტირებულია, ძირითადად ესპანეთიდან, ნიდერლანდებიდან, სერბეთიდან და თურქეთიდან (ინტერვიუ).

» **საირიგაციო სისტემები:** პროგრამაში „დანერგე მომავალი“ ჩამოთვლილია [28 კომპანია](#) რომელიც აწვდის წვეთოვანი მორწყვის სისტემებს.

» **სეტყვის საწინააღმდეგო სისტემები:** კლიმატის ცვლილების გამო, სეტყვით მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი, რეგულარულად ვლინდება. შესაბამისად, თანამედროვე ბაღებში სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის უზრუნველყოფა სტანდარტი გახდა. სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მომწოდებლები არიან: [Agro-Com](#), [Agrosphere](#), [AgroNova](#) და სხვა. ფერმერები, რომლებსაც არ აქვთ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების შექმნის

შესაძლებლობა, ხშირად სარგებლობენ სამთავრობო აგროდაზღვევის პროგრამით. (ინტერვიუ)

» **სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები:** მწარმოებელთა უმრავლესობა იყენებს ქიმიურ სასუქებს და მცენარეთა დაცვის საშუალებებს, რომლებიც მთლიანი დანახარჯების მნიშვნელოვან წილს შეადგენს. არსებობს რამდენიმე დიდი კომპანია, რომელიც პატარა მაღაზიებს ამარაგებს ქალაქებსა და სოფლებში. ძირითადი მოთამაშეები არიან [AgroKartli](#), [Agro-Com](#) და [Cartlis Agrosystems](#) (FAO 2017).

» **მექანიზაცია:** სპეციალურ დანადგარებს, როგორცაა ჰარვესტერი სთავაზობენ [Agro-Com](#), [Agrosphere](#), [Agromotors](#) და სხვა. [არსებობს მოსავლის აღებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების თანადაფინანსების სამთავრობო პროექტი.](#)

ასოციაციები

საქართველოს მეხილეთა ასოციაცია, საქართველოს თესლის მწარმოებელთა და სანერგე მეურნეობების ასოციაცია (GEOS-SA), საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA), ელკანა (ორგანული წარმოების შემთხვევაში), PMAG. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ნაწილი 5.4.

პროექტები

სამთავრობო სქემები:

» **დანერგე მომავალი:** სანერგეების და ხილის ბაღების (ნერგები და ირიგაცია), სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების და ჭაბურღილების მოწყობის თანადაფინანსება; ვაშლის პლანტაციები გათვალისწინებულია ყველა რეგიონისთვის.

» **აგროდაზღვევის პროგრამა** სეტყვის, წყალდიდობის, ქარიშხლისა და საშემოდგომო ყინვის შემთხვევებისთვის.

» **შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი** პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და შენახვისათვის.

» **მოსავლის ამღები მანქანა დანადგარების თანადაფინანსება;**

» [გადამამუშავებელი](#) და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება;

» სუბსიდიები უხარისხო ვაშლისთვის [2014](#), [2016](#) და [2020](#) (FAO 2017; Agenda.ge 2020)

განვითარების პროექტები: კონკრეტულად ვაშლთან დაკავშირებული მიმდინარე განვითარების პროექტები ვერ მოიძებნა. მაგრამ ნაწილში - 0 ჩამოთვლილი პროექტების უმეტესობა გარკვეულწილად მნიშვნელოვანია ვაშლის ღირებულების ჯაჭვისთვის. მაგალითად:

» [სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის პროექტი](#) (2014- 2021, დაფინანსებულია IFAD-ს მიერ, განხორციელებულია MEPA-ს & პარტნიორების მიერ); ის ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას, შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მენარმეობისა და ბაზრის კავშირებს. ვაშლი მათი ერთ-ერთი შერჩეული პროდუქტია.

» [ევროკავშირის ინოვაციური პროექტი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის](#) (2019-2023) ორიენტირებულია თესლის/ნერგების სექტორზე და შეფუთვაზე (ხორციელდება FAO-ს და UNDP-ს მიერ).

განათლება, კვლევა, და ექსტენცია

მნიშვნელოვანი მონაწილეები და ინფორმაციის წყაროები:

» მეგობრები / პარტნიორები ქვეყნებიდან (მაგალითად: პოლონეთი, იტალია) რომლებიც იძლევიან რჩევებს, ვაშლის წარმოებაში საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით (ინტერვიუები);

» კერძო რესურსების მომწოდებლები და კონსულტანტები, მაგალითად: [Agro-Com](#) და [Kalo](#) (FAO 2017);

» სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (SRCA) მცხეთაში, მრავალწლოვანი კულტურების კვლევის ბაზით, რომელიც აფასებს ვაშლის უცხოურ ჯიშებს ქართულ კონტექსტთან მიმართებით, ატარებს ღია საველე დღეებსა და სასწავლო

სემინარებს, ასევე აქვეყნებს პუბლიკაციებს (მაგ. [ცნობები](#) და წიგნი «[ქართული ხილი: ახალი ჯიშები და მათი თავისებურებები](#)»)

» საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრები (ICCs), ექსტენციის სახელმწიფო სერვისი, მუნიციპალიტეტის დონეზე;

» ვაშლის წარმოების შესახებ ქართული ვიდეოები Youtube -ზე, მაგალითად - [Agro Library](#) (აგრო ბიბლიოთეკა).

» მეხილეობა, მათ შორის ვაშლის კულტივირება, სასწავლო საგანია სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მაგალითად საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (AUG) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს [მეხილეობის ინსტიტუტი](#), რომელიც 2013 წელს შეიქმნა. ინსტიტუტის ხელმძღვანელი პომოლოგია (ასოცირებული პროფესორი ზვიად ბობოკაშვილი).

» [„ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი](#) ახორციელებს პროფესიული განათლების პროგრამას მეხილეობაში.

ხარისხის ინფრასტრუქტურა

საქართველოში არსებული ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის ინფრასტრუქტურა აღწერილია მე- 7 თავში. რაკი ვაშლის მთავარი მწარმოებელი რეგიონი თბილისთან საკმაოდ ახლოსაა, ოპერატორები ძირითადად დედაქალაქში არსებულ ხარისხის ინფრასტრუქტურის სერვისებს იყენებენ. STAR Consulting-მა, ვაშლის ერთ ერთ უდიდეს მწარმოებელთან (ტრიფონის ბაღები) დანერგა GLO-BALG.A.P. და წარმატებით აწვდის მომსახურებებს სხვა მწარმოებლებს.

გამონწვევები:

- » ნერგების სერტიფიცირების სისტემის არარსებობა (FAO 2017)
- » არ არსებობს ლაბორატორია რომელიც შეძლებდა ინფიცირებული ნერგების მარაგების იდენტიფიცირებას (FAO 2017)
- » მაღალი ხარჯები და დაბალი ხარისხის სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები (FAO 2017)
- » ნიადაგისა და წყლის დაბინძურება (FAO 2017)
- » არაოპტიმალური კულტივირების მეთოდები (მაგ. არახელსაყრელი სხვლის მეთოდები, «ნიტრატების» ჭარბი გამოყენება, რაც იწვევს უფრო სწრაფად ხრწნას, მოსავლის აღების შემდგომ სასუქის არ გამოყენება გავლენას ახდენს მომავალ წელს კვირტის წარმოქმნაზე) (FAO 2017)
- » წლების განმავლობაში წარმოების რაოდენობის ძლიერი რყევები (საქსტატი 2021)
- » მწარმოებლებს შორის თანამშრომლობის დაბალი დონე (FAO 2017)
- » დასაწყობების არასაკმარისი შესაძლებლობები (FAO 2017; ინტერვიუები)
- » დახარისხების და შეფასების შესაბამისი აღჭურვილობის ნაკლებობა (ინტერვიუები)
- » მოსავლის აღების შემდგომ ტექნოლოგიებში ინვესტირების ნაკლებობა (დახარისხება, შეფასება, შეფუთვა) (ინტერვიუები)
- » შესაბამისი შესაფუთი მასალის მიმწოდებლების ნაკლებობა; მუყაოს და ხის ყუთების მაღალი ფასი (EastFruit 2021b; ინტერვიუები)
- » მოძველებული გადამამუშავებელი მონაცობილობა და გამოყენების დაბალი მაჩვენებელი (FAO 2017)

პოტენციალი:

- » ნერგების სერტიფიცირების ეროვნული სისტემის შემუშავება, საქართველოს თესლის მწარმოებლების და [მენერგეთა ასოციაციის შექმნა](#) და გაუმჯობესებები შეფუთვის სექტორში, საქართველოში [კერძო სექტორის კუნკურენტუნარიანობისთვის ინოვაციური პროექტის](#) ფარგლებში
- » საექსპორტო ბაზრის მოთხოვნების შესრულების ცოდნა და მცდელობები (მათ შორის ევროკავშირის სტანდარტები) ვაშლის „თანამედროვე“ მწარმოებლების მხრიდან
- » ტრადიციული და ახლად დაარსებული გადამამუშავებელი კომპანიების მიერ ადგილობრივი ღირებულების დამატება, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტებს
- » ვაშლის ღირებულების ჯაჭვის ქართველი მონაწილეების კავშირები ევროპულ კოლეგებთან (მაგ. პოლონეთი, პოლანდია), მაგ. წარმოების ახალი მეთოდების შესასწავლად, აღჭურვილობის შეძენისთვის და სხვა
- » მოვაჭრეების/ექსპორტიორების გადამწყვეტი როლი
- » ვაშლის წარმოების შესახებ საინფორმაციო მასალის მიღება სხვადასხვა წყაროდან (SRCA, Elkana, Youtube, რესურსების მომწოდებლები და სხვა)
- » საქართველოს ხილის მწარმოებელთა ასოციაციის ქვემოთ ზემოთ ფორმირება, მდგრად ორგანიზაციად ჩამოყალიბების პოტენციალის მითითებით
- » ექსპერტების/ადვოკატების ჩართულობა ვაშლის წარმოებაში (მკვლევარები, კონსულტანტები, მწარმოებლები)

» ჯერჯერობით დაბალია ქართული მეხილეობის ასოციაციის მოცვა (ვებ – გვერდი არ არის შექმნილი, რამდენიმე ცოტა ყავს)

» არა საკმარისად განვითარებული სურსათის უვნებლობის კონტროლი, მაგ. MRL ტესტირების შესაძლებლობების ნაკლებობა (FAO 2017; ინტერვიუები)

» – ექსპორტის ბაზრის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში (FAO და EBRD 2019)

» – დაბალი ცნობიერება ადგილობრივი ექსპორტის დამხმარე სერვისების შესახებ (საკუთარი დაკვირვება)

» – მიზნობრივ ბაზრებზე ქართული ვაშლის თავისებურებების ხაზგასმით მარკეტინგის ნაკლებობა (მაგალითად გემო) (FAO and EBRD 2019)

» ძლიერი სამთავრობო მხარდაჭერა ვაშლისა და სხვა ხილის წარმოების, გადამუშავებისა და ლოგისტიკის მიმართ

» ვაშლზე მოთხოვნა არაბულ და აზიის ქვეყნებში


6.2 ლურჯი მოცვი

გლობალური წარმოება და ვაჭრობა

ლურჯი მოცვის გლობალურმა წარმოებამ ბრდის ტენდენცია უჩვენა და 2019 წელს 823 328 ტონა შეადგინა, რაც 24% -ით მეტია 2018 წელთან შედარებით. უფრო მეტიც, ძლიერი პოზიტიური ტენდენცია შეინიშნება მოსავლის ადების ტერიტორიაზე (Faostat 2021). მოცვის მოყვანის მიმართ ინტერესი ბევრ ქვეყანაში გაიზარდა, რადგან მოცვის ფასი მაღალია - საშუალოდ 4 დოლარი კვ-ზე 2019 წელს (Faostat 2021).

აშშ არის მოცვის წამყვანი მწარმოებელი მსოფლიოში, 2019 წელს 308 760 ტონა წარმოების მოცულობით. მეორე ადგილზეა კანადა 179,127 ტონით, შემდეგ მოდის პერუ 142,427 ტონა წარმოების მოცულობით. აშშ-მ, კანადამ და პერუმ ერთად 2019 წელს აწარმოეს მსოფლიოს მთლიანი წარმოების 76% (Faostat 2021).


მოცვის წარმოება და მოსავლის ადების ტერიტორია (2010-2019)



Source: Faostat 2021

2019 წელს ჰაზე მსოფლიოში საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა 5,1 ტონა. ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია, ვიდრე წამყვანი მწარმოებელი ქვეყნების საშუალო მოსავალი. 2019 წელს პერუში ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა 16 ტონა იყო, შემდეგ მოდის ესპანეთი და მექსიკა, შესაბამისად, 13 და 11 ტონით (Faostat 2021).

მსოფლიოში მოცვის 10 ტოპ ექსპორტიორის ექსპორტის მოცულობა და ღირებულება (საშუალო 2010-2019)



წყარო: სავაჭრო რუკა 2021 6

მოცვი გამოიყენება სხვადასხვა დამატებული ღირებულების პროდუქტებში: მაგალითად, წვენი, გამხმარი მოცვი, დესერტი, იოგურტები და კონცენტრატები. წარმოებული მოცვის ნახევარზე მეტი გამოიყენება გადამუშავებული ინგრედიენტებისათვის (Express Wire 2021).

და შედარებით მცირე წვიმიან დღეებს მოსავლის მიღების პერიოდში. ამას ემატება სამუშაო ძალა და ლოგისტიკური საშუალებები, რაც იძლევა მოცვის მთელი წლის მანძილზე მოყვანის შესაძლებლობას და საერთაშორისო ბაზარზე გატანას. (2017 წლის ბიზნეს წელი).

სავაჭრო რუქის სტატისტიკა არ იძლევა ცალკე მაჩვენებლებს მოცვით ვაჭრობის შესახებ და იგი გაერთიანებულია HS კოდის 081040 (ახალი მოცვი, მოცვი და ვაქცინის გვარის სხვა ხილი) ფარგლებში. მოცვის მთლიანი ექსპორტი ზრდის ტენდენციას ავლენს; 2019 წელს ის გაიზარდა 17% -ით, 2018 წელთან შედარებით. მოცვის ყველაზე დიდი ექსპორტიორი ქვეყნებია ჩილე, კანადა, აშშ, ესპანეთი, პერუ, ჰოლანდია, პოლონეთი, მაროკო, მექსიკა და სამხრეთ აფრიკა (რანგირება ხდება საშუალო საექსპორტო რაოდენობით 2010-2019 წლების მიხედვით).

რაც შეეხება იმპორტს, მოცვის ტოპ 10 იმპორტიორებს შორის არიან აშშ, კანადა, გაერთიანებული სამეფო, ჰოლანდია, გერმანია, ესპანეთი, ჩინეთი, ჰონგ კონგი, ჩინეთი, საფრანგეთი და პოლონეთი (იმპორტის საშუალო რაოდენობით 2010-2019).


ევროკავშირის ვაჭრობა

ბოლო წლების განმავლობაში განვითარებული ქვეყნებიდან მოცვის იმპორტი გაორმაგდა და ზრდას განაგრძობს. 2019 წელს ევროკავშირში მოცვი ძირითადად ჩილედან, პერუდან და სამხრეთ აფრიკიდან შემოდის. მოცვის იმპორტი ევროკავშირში 2018 წლიდან 2019 წლამდე 37% -ით გაიზარდა (სავაჭრო რუკა 2021). უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2010-2019 წლებში დაფიქსირდა. ევროკავშირი ყოველწლიურად უფრო მეტი რაოდენობით მოცვის იმპორტს ახორციელებს. ევროკავშირისთვის მოცვის ძირითადი მომწოდებლები არიან პერუ, სამხრეთ აფრიკა, ნიდერლანდები, გერმანია, არგენტინა და ესპანეთი.


2019 წელს სიდიდით მეორე ექსპორტიორი იყო პერუ და მოცვის ექსპორტის მოცულობამ 122,449 ტონას მიაღწია. საინტერესოა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში პერუს მოცვის ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა, 2011 წელს დაფიქსირებული 7 ტონიდან (სავაჭრო რუკა 2021).

პერუში მოცვის წარმოების წარმატება უკავშირდება კარგ კლიმატურ პირობებს, მსუბუქ ნიადაგს, კარგი ხარისხის წყალს

ევროკავშირის მოცვის ექსპორტი, იმპორტი და სავაჭრო ბალანსი(2010-2019)



ევროკავშირში მოცვის წამყვანი მომწოდებლები ყოველთვიურად (Nov 2019-Oct 2020)



წყარო: სავაჭრო რუკა 2021 წ

ტენდენციები

ევროკავშირში მოცვის ბაზრის რეალური პოტენციალი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის თუმცა, როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება ზრდას განაგრძობს. სხვა ქვეყნებთან შედარებით ევროკავშირში ერთ სულ მოსახლეზე მოცვის მოხმარება მნიშვნელოვნად დაბალია. დიდი ბრიტანეთი წამყვანი ქვეყანაა, რადგან მოცვის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 0,8 კგ-ს შეადგენს, რაც ორჯერ აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. შესაბამისად, დადგენილია, რომ თუ ევროკავშირში მოხმარება გაიზრდება მომდევნო წლებში, საჭირო იქნება ჯამში 600,000 ტონა მოცვი (CBI 2021a).

ევროპა თითქმის ყოველთვის მოითხოვს მინიმუმ I კლასის მოცვს. დიდი მოცვი ტკბილი გემოთი ამჟამად ყველაზე მოთხოვნადია. სამომავლოდ, როდესაც მოცვის ბაზარი მომწიფდება და კლიენტები უფრო ინფორმირებულები გახდებიან,

შეიძლება განვითარდეს მოთხოვნები სახეობების მიმართ და მეტი ყურადღება დაეთმოს არომატს (CBI n.a.a). გარდა ამისა, ევროკავშირში მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ხილს, რომლის მოხმარება მარტივია. მოცვი შეიძლება შეფუთული იყოს სხვადასხვა ზომებში; ის შესანიშნავია, როგორც ხემსი ან დესერტის ინგრედიენტი (CBI 2021a). დიდი ალბათობით, მოცვის ფასი ევროკავშირის ბაზარზე შემცირდება, გაზრდილი წარმოების გამო. მოცვის წარმოება ესპანეთში 2021 წელს 50% -ით გაიზრდება, 2020 წელთან შედარებით. უკრაინამ შეიძლება კიდევ გააორმაგოს წარმოება 2021 წელს (EastFruit 2021c).

საქართველოს ექსპორტის პოტენციალი


წარმოება: სამწუხაროდ, მოცვის წარმოების ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. რესპონდენტების აზრით, მოცვის წარმოების ძალიან მცირე ნაწილი იყიდება ადგილობრივად, ხოლო დანარჩენი ექსპორტზე გადის. შესაბამისად, ექსპორტის სტატისტიკური მონაცემებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოცვის წარმოებას საქართველოში ზრდის ტენდენცია ახასიათებს. FAO- ს შეფასებით, საქართველოში 2020 წელს 750 ტონა მოცვი იქნა წარმოებული (EastFruit 2021c).

ექსპორტი და საექსპორტო მიმართულებები: საქართველომ მოცვის ექსპორტი 2014 წელს დაიწყო. მოცვის ექსპორტის მოცულობა თითქმის ოთხჯერ გაიზარდა 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით. ახალი მოცვის საქართველოში შემოტანა თითქმის არ ხდება. საქართველოში 2020 წელს მხოლოდ 15 ტონა მოცვი შემოვიდა. შესაბამისად, 2014-2020 წლების სავაჭრო ბალანსი დადებითია (საქსტატი 2021).

მოცვის წარმოება და მოსავლის აღების ტერიტორია (2010-2019)



მოცვის წარმოება და მოსავლის აღების ტერიტორია (2010-2019)



წყარო: სავაჭრო რუკა 2021 წ


2019 წელს საქართველომ, მოცვის 92 ექსპორტიორ ქვეყანას შორის 48-ე ადგილი დაიკავა ექსპორტის რაოდენობის და 46-ე ექსპორტის ღირებულების მიხედვით (სავაჭრო რუკა 2021). წარმოებული მოცვის ყველაზე დიდი წილი ძირითადად ივნისსა და ივლისში იყო ექსპორტირებული, ხოლო წლის სხვა თვეებში ექსპორტი 2019 წლამდე თითქმის არ განხორციელებულა. 2020 წელს მოცვი ექსპორტზე გავიდა მაისიდან დეკემბრამდე, რაც შენახვის შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე მიუთითებს (საქსტატი 2021).

მოცვის ქართული საექსპორტო ბაზარი არ არის დივერსიფიცირებული. საექსპორტო ძირითადი მიმართულებაა რუსეთი და რუსეთში ექსპორტის წილი 2020 წელს 95% იყო. მოცვის ძალიან მცირე რაოდენობა ექსპორტირებული ევროკავშირში (12 ტონა პოლონეთში) 2020 წელს (სავაჭრო რუკა 2021). EastFruit-ის (2021cc) მონაცემებით, საქართველოს აქვს შესანიშნავი საექსპორტო პოტენციალი, მაისის ბოლოს

ინცემა მოსავლის აღების პერიოდი. ეს ის პერიოდია, როდესაც ესპანეთი აჩერებს მოცვის მასობრივ ექსპორტს და მოსავლის აღებამდე ინცებს უკრაინასა და პოლონეთში.

მოცვის საექსპორტო პოტენციალი და ექსპორტის დივერსიფიკაციის პოტენციური მაჩვენებლები: ამ ინსტრუმენტის მიხედვით, მოცვის საექსპორტო პოტენციალი მსოფლიოში 138-ე ადგილზეა, ხოლო ევროკავშირში -109-ე. ამ კატეგორიის პროდუქტის ექსპორტის პოტენციალი მსოფლიოში 613 ათასი აშშ დოლარია. გამოუყენებელი საექსპორტო პოტენციალი ყველაზე მაღალია აშშ-ს ბაზარზე.

ქართული მოცვის საექსპორტო მიმართულებები(2014-2020)



წყარო: სავაჭრო რუკა 2021 წ

ევროკავშირის მოთხოვნები ექსპორტის მიმართ

ხილის და ბოსტნეულის ევროკავშირში ექსპორტის მიმართ ზოგადი მოთხოვნები აღწერილია 4-ე თავში. მოცვის თავისებურებები:

- » პესტიციდების MRL მოცვისთვის
- » მარკეტინგის სტანდარტები: არსებობს კენკროვანი ხილის UNECE სტანდარტი და სწრაფად გაყინული მოცვის Codex Alimentarius სტანდარტი.
- » შეფუთვა: შეფუთვის ტიპი დამოკიდებულია

მყიდველზე. თითოეული შეფუთვის შიგთავსი უნდა იყოს ერთგვაროვანი და შეიცავდეს მხოლოდ ერთი და იგივე წარმოშობის, ჯიშის და ხარისხის კენკროვან ხილს. ტიპურ შეფუთვაში შედის (CBI n.a.a): 3-4 კგ-იანი ჩანთა ნაყარი შეფუთვისთვის; სხვადასხვა ზომის გასაშლელი ჩანთები ან კალათები (მაგ. 12 x 125 გ) და shakers ან თაიგულები 250 გრ ან 5000 გ პირდაპირი მარკეტინგისთვის.

წარმოება

წინა წლებში კენკრას აწარმოებდნენ მხოლოდ თვითმომხმარებლისთვის. შინამეურნეობები ძირითადად ველური მოცვის შეგროვებით და ადგილობრივ ღია ბაზრობებზე რეალიზაციით იყვნენ დაკავებული. მოცვზე მოთხოვნის ზრდამ, 5- 6 წლის წინ გაზარდა ინტერესი კომერციულ ფერმაში მისი წარმოების მიმართ (ინტერვიუები). დადგენილია, რომ საქართველოში მოცვი ყოველწლიურად ირგვება 200- 300 ჰექტარზე (EastFruit 2021c).

მოცვი ძალიან მალეფუჭებადი პროდუქტია, მაცივრის გარეშე მისი ხარისხი სწრაფად უარესდება, ამიტომ მოსავლის აღების შემდეგ სწრაფად უნდა გაიყიდოს. მნიშვნელოვანია კენკრის წინასწარ

გაგრილება უშუალოდ მოსავლის აღების შემდეგ და სრულყოფილი ცივი ჯაჭვის შენარჩუნება (CBI n.a.a). ქართველი მწარმოებლები ძირითადად ახალ მოცვს ყიდიან (ინტერვიუები).


წარმოების რეგიონები

მოცვის მოყვანა საქართველოს ყველა კუთხეშია შესაძლებელი, თუმცა ძირითადად მისი წარმოება ხდება საქართველოს ოთხ რეგიონში - სამეგრელო, იმერეთი, გურია და აჭარა. სამეგრელოს რეგიონი წამყვანი მწარმოებელია (მთლიანი ბაღების 47% გაშენდა პროგრამის” დანერგე მომავალი” ფარგლებში, 2018 წელს).

მეურნეობის ტიპები და მოსავლიანობა

საქართველოში მოცვის რამდენიმე მსხვილი მწარმოებელი და შედარებით დიდი რაოდენობის მცირე მწარმოებელია. მოცვის პლანტაციების საშუალო მოსავლიანობა 1 ტონა / ჰა-ზე ნაკლებია, თუმცა პლანტაციების უმეტესობამ არ მიაღწია ნაყოფის მაქსიმალურ რაოდენობას, რაც დარგვიდან მეხუთე წელს ხდება (EastFruit 2021c).

ქართული მოცვის ღირებულებათა ჯაჭვის რუკა



წყარო: ინტერვიუები; შენიშვნა: წარმოდგენილია ფასების ორი ნაკრები: უფრო მაღალი ფასები უმაღლესი ხარისხის მოცვისთვის და დაბალი ფასები შედარებით დაბალი ხარისხის მოცვისთვის.

წარმოებული სახეობები

საქართველოს კლიმატისა და ტერიტორიისთვის ყველაზე რეკომენდებული სახეობებია Legacy და Bluecrop. ორივე მათგანი გადადის ჩრდილოეთ ჰაიბუშის მოცვის ჯიშებში (AYEG, 2015).

დიდი მწარმოებლები

» მოცვის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია «FCO», რომელიც დაარსდა 2015 წელს. მოცვი იკრიფება 160 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე. კომპანიას აქვს ISO სერთიფიკატი.

» კიდევ ერთი მსხვილი მწარმოებელი – „ლურჯი ველი“ დაარსდა 2015 წელს გურიაში (დასავლეთ საქართველო). კომპანიას მხარი დაუჭირა სოფლის განვითარების სააგენტომ (RDA); ის ფლობს 20 ჰა პლანტაციას 3 ჯიშის მოცვით. კომპანიას აქვს GLOBALG.A.P. სერტიფიკატი.

» „აგრიტაჩი“ ასევე არის მოცვის ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელი, რომელიც დაარსდა 2018 წელს. კომპანია ფლობს 100 ჰა მოცვის პლანტაციას გურიაში. კომპანია ასევე სთავაზობს აგრო კონსულტაციებს და მოცვის პლანტაციების სრულ მენეჯმენტს. მას აქვს 600 კვმ ტევადობის ცივი სათავსები. კომპანიას ექსპორტზე გააქვს როგორც ახალი, ასევე გაყინული მოცვი.

საბითუმო ბაზრები

შედარებით მცირე რაოდენობის ახალი მოცვი იყიდება დიდი ქალაქების მთავარ ბაზრებში. თბილისში არსებული საბითუმო ბაზრები (ღია ბაზრები) როგორცაა «დებერტრები», «ნავთლული», «გლდანის ბაზარი» და «ავლაბრის ბაზარი».

შიდა საცალო ვაჭრობა

მოცვის მსხვილი მწარმოებლები თავიანთ პროდუქციას ყიდიან ადგილობრივი სუპერმარკეტების ქსელებში: კარტური, გუდვილი, სპარი, აგროჰაბი. ქართული

მოცვით ძირითადად სუპერმარკეტები მარაგდება. როდესაც სემონი არ არის, მხოლოდ იმპორტირებული გაყინული მოცვი იყიდება ბაზრებზე.

გადამამუშავებლები

» საქართველოში ერთ ერთი სამიზნე გადამამუშავებელი კომპანია არის „კულა“, რომელიც 2009 წელს დაარსდა. კულა აწარმოებს ჯემებს, წვენებს, კომპოტებს და სხვა პროდუქტებს. ის საქართველოს შიდა ქართლის რეგიონში მდებარეობს. კულა წვენს და კომპოტს ლურჯი მოცვისაგან ამზადებს.

» [LLC Glenberries](#) გადამამუშავებელი კომპანიაა, რომელიც 2018 წელს შეიქმნა. კომპანიის პროფილი მოიცავს ხილის და ბოსტნეულის გაყინვას და წარმოებას. კომპანიამ მხარდაჭერა მიიღო შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში (600,000 ლარი). კომპანია ძირითადად ჩილედან ნედლეულის (გაყინული მოცვის) იმპორტს ახორციელებს. ხდება იმპორტირებული პროდუქციის გადარჩევა და გამოშრობა. ამის შემდეგ ხდება კალიბრირება და საბოლოო პროდუქტი თავსდება შოკურ საყინულეებში მინუს 40 C ტემპერატურაზე ერთი საათის განმავლობაში. პროდუქციის ექსპორტი ძირითადად აშშ – სა და ისრაელში ხდება.

სპეციალიზებული შემფუთვლები, მოვაჭრეები, ექსპორტიორები

მოცვის ექსპორტის ტრანსპორტირების ხარჯი ძალიან მაღალია, რადგან ხშირ შემთხვევაში საგზაო ტრანსპორტი ვერ ამართლებს და მოცვის ტრანსპორტირება საჰაერო გზით ხდება. გარდა ამისა, სატვირთო თვითმფრინავები არ არის ხელმისაწვდომი, პროდუქტი ექსპორტირდება ჩვეულებრივი სამგზავრო ავიახაზებით და 1 კგ მოცვის ტრანსპორტირების ღირებულებაა 3 აშშ დოლარი. ავიაკომპანიებს ასევე აქვთ შეზღუდვები პროდუქტის მოცულობასთან დაკავშირებით და ტემპერატურის რეჟიმები არ არის სწორად დადგენილი

პროდუქტისთვის (ინტერვიუები). ანალოგიურად, ევროკავშირში პროდუქციის საპაერო გზით ექსპორტირების ხარჯი ძალიან მაღალია. ევროკავშირის ბაზარზე კონკურენცია შედარებით მაღალია, ამიტომ ტრანსპორტირების მაღალი ღირებულება ქართულ მოცვს ნაკლებად კონკურენტუნარიანს ხდის. კიდევ ერთი ალტერნატივა არის საავტომობილო ტრანსპორტი, რომელსაც 5-6 დღესჭირდება დანიშნულების ადგილზე მისასვლელად. თუმცა ამ შემთხვევაში, პროდუქტის ხარისხი იკლებს (ინტერვიუები).

ყველა ამ ასპექტის გათვალისწინებით, მრავალი მწარმოებელი რუსეთში ექსპორტს საუკეთესო სტრატეგიად თვლის. ეს არის უახლოესი ბაზარი და ტრანსპორტირება ნაკლებ დროს მოითხოვს. ამასთან, ექსპორტიორები აცნობიერებენ რუსულ ბაზართან დაკავშირებულ რისკებს და ცდილობენ თავიანთი საექსპორტო მიმართულებების დივერსიფიკაციას (ინტერვიუები).

მოცვის ყველა უდიდესი მწარმოებელი ახდენს პროდუქციის ექსპორტს. ერთ-ერთი უდიდესი ექსპორტიორი კომპანიაა «აგრო +». კომპანია მდებარეობს სამტრედიიაში, საქართველოში. კომპანიამ აგრო + მიიღო 100,000 ლარის ოდენობის მხარდაჭერა სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში. კომპანიას აქვს საკუთარი პლანტაციები, აღჭურვილი მაცივრით და სასაწყობე მოწყობილობებით, რაც USAID- მა დააფინანსა. ერთგვაროვანი ხარისხისა და საკმარისი მოცულობების მისაღწევად, «აგრო +» თანამშრომლობს «აგროლანთან». ისინი ძირითადად ახორციელებენ ახალი მოცვის ექსპორტს სპარსეთის ყურის ქვეყნებში და რუსეთში (ინტერვიუები).

რესურსების მომწოდებლები და აღჭურვილობა

ნერგები

ქვეყანაში რამდენიმე ნერგების მწარმოებელი კომპანიაა. მწარმოებლებს საღვარგარეთიდანაც შემოაქვთ ნერგები. მოცვის ნერგებს უზრუნველყოფს პროგრამაში „დანერგე მომავალი“ რეგისტრირებული სამი კომპანია: შპს «სტალკერი» (ბათუმი), შპს «აგრორა-აგორა» (ზუგდიდი და თბილისი), შპს «საქართველოს აგრარული კავშირი» (გურჯაანი).

სასუქები და მცენარეთა დაცვა

სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები ხელმისაწვდომია რესურსების მაღაზიებში საქართველოს ყველა რეგიონში. ამასთან, რადგან მოცვი ახალი კულტურაა საქართველოში, მისი მოვლისა და მოყვანის შესახებ ცოდნა ნაკლებია. რესურსების ერთ-ერთი უდიდესი მომწოდებელია «ქართლისი». კომპანია საქმიანობს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. მასალების გაყიდვის გარდა, კომპანიას აქვს მოცვის სადემონსტრაციო ნაკვეთები და აგრონომები კონსულტაციებს უწევენ ფერმერებს.

ირიგაციის სისტემები

ირიგაციის სისტემები: სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროგრამა „დანერგე მომავალი“ სთავაზობს წვეთოვანი სარწყავი სისტემების მომწოდებელთა ჩამონათვალს, შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით (მაგ. შპს «აგრობესტი», შპს «გვაზა» და ა.შ.)

ასოციაციები

საქართველოს მოცვის მწარმოებელთა საბჭო, საქართველოს კენკრის მწარმოებელთა ასოციაცია, საქართველოს თესლის მწარმოებელთა და მენერგეთა ასოციაცია (GEOSSA), საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA), ელკანა (ორგანული წარმოების შემთხვევაში), PMAG. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ნაწილი 5.4.

ლოგისტიკა

» ამ ეტაპზე, სასაწყობო და სამაცივრო შესაძლებლობები ნაკლებად არის განვითარებული, რის გამოც ფერმერები მოსავლის აღებისთანავე ყიდნიან პროდუქტს (ინტერვიუები). ყველა მსხვილ მწარმოებელს აქვს დამონტაჟებული საკუთარი საწყობი და მაცივარი (ინტერვიუები).

» თუ მოცვი ინახება ჩვეულებრივ მაცივარში, მისი შენახვის ვადაა ერთი კვირა. თუმცა, სწორად შენახვის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება 13 კვირა გაგრძელდეს (ინტერვიუები).

პროექტები

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში ხდება მრავალწლოვანი კულტურების წარმოების, მათ შორის ლურჯი მოცვის ბაღების თანადაფინანსება. საინტერესოა, რომ თუ მოცვის ბაღები 0.15 - 0.5 ჰექტარზეა განლაგებული, ხარჯების 100% ფინანსდება, მათ შორის ნერგების, წვეთოვანი მორწყვის სისტემის და სხვა საჭირო მასალების შესყიდვა და გამართვა. ლურჯი მოცვის წარმოება ფინანსდება შემდეგ რეგიონებში: იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა

განათლება, კვლევა და ექსტენცია

» 2020 წლის ოქტომბერში, დუალური განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს „ლურჯი მოცვის მწარმოებელთა ასოციაციამ“ განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან ერთად უზრუნველყო პრაქტიკული და თეორიული სასწავლო კურსი სტუდენტებისთვის. პროგრამა დააფინანსა EU4Youth პროგრამამ. „ლურჯი მოცვის მწარმოებელთა ასოციაციამ“ წარმატებულ მონაწილეებს სამ თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება შესთავაზა.

» ლურჯი მოცვის წარმოების ტექნიკის შესახებ ტრენინგებს ასევე უზრუნველყოფს „ქართლის აკადემია“.

» „აგროტაჩს“ აქვს საკონსულტაციო სააგენტო, რომელიც ფერმერებს სხვადასხვა მომსახურებებით უზრუნველყოფს.

» სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი- ანასეული, ოზურგეთი, საქართველო. ინსტიტუტი, რომელიც 1930 წლიდან ფუნქციონირებს, სხვა კულტურებთან ერთად კენკრებზეც მუშაობს.

» ექსპორტის განვითარების ასოციაციის (EDA) მიერ შემუშავებული Crop2shop ვებ-გვერდი სთავაზობს ინფორმაციას მოცვის ძირითადი საექსპორტო ბაზრების შესახებ

ხარისხის ინფრასტრუქტურა

საქართველოში არსებული ხილის და ბოსტნეულის ხარისხის ინფრასტრუქტურა აღწერილია მე-7 თავში. ხარისხის ინფრასტრუქტურაში ჩართული შემდეგი პირები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არიან ლურჯი მოცვისთვის: ბათუმსა და ზუგდიდში მდებარე ლაბორატორიები ყველაზე ახლოს არიან მოცვის წარმოების მთავარ რეგიონთან; STAR CONSULTING LTD, ISO CONSULTING LTD, GDCI LTD არის საკონსულტაციო კომპანია, რომელსაც აქვს გამოცდილება მოცვის წარმოებაში სერთიფიკატების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

გამონწვევები:

- » მოცვის წარმოებაში ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა, რადგან საქართველოში კულტურა შედარებით ახალია (არატრადიციული კულტურა);
- » კომერციული ბალების ნაკლებობა, შესაბამისად წარმოების დაბალი დონე;
- » ინტენსიური ბალების ნაკლებობა;
- » დაბალი ხარისხის ნერგები და რესურსები;
- » დახარისხების ხელსაწყოების ნაკლებობა;
- » სრულყოფილი ეგრეთ წოდებული „ცივი ჯაჭვის“ მისაღწევად საჭირო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა (კენკრის გაგრილება მოძრავი ჰაერით გაზრდის ლურჯი მოცვის შენახვის ვადას);
- » სათანადო მაცივრების ნაკლებობა;
- » მოსავლის აღების და შემდგომი სამუშაოების ცუდი მენეჯმენტი;
- » ჰიგიენის ცუდი პრაქტიკა მოსავლის აღების და შეფუთვის პროცესებში;
- » სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის ცუდი პრაქტიკა ბაზრებზე;
- » ტრანსპორტირების მაღალი ხარჯი;
- » საკონტრაქტო მეურნეობის არარსებობა საბითუმო ვაჭრობაში (სპორადული ვაჭრობა);
- » სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ბალების დაბალი ფინანსური მდგრადობა სახელმწიფო დახმარების პროგრამის დასრულების შემდეგ;
- » კვალიფიციური აგრონომების ნაკლებობა;
- » თანამშრომლობის ნაკლებობა;
- » მოცვის წარმოებასთან დაკავშირებით კვლევებისა და შესაბამისი ლიტერატურის ნაკლებობა;

პოტენციალი:

- » მზარდი მოთხოვნა საერთაშორისო ბაზრებზე;
- » ხელსაყრელი კლიმატური პირობები და შედარებითი უპირატესობა წარმოების პერიოდში;
- » იაფი რესურსები - ელექტროენერჯია, წყალი, მუშახელი;
- » მცირე და საშუალო ფერმერების სახელმწიფო დახმარება სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით;
- » სექტორში ლიდერების არსებობა (ახლახან დაარსებული მსხვილი მწარმოებლები, რომლებიც იყენებენ თანამედროვე წარმოების ტექნოლოგიებს);
- » მსხვილი თანამედროვე მწარმოებლების მიერ საქართველოს მოცვის მწარმოებელთა ასოციაციის ჩამოყალიბება;
- » მოცვის სეზონი მწარმოებელ უმეტეს ქვეყნებში შედარებით ხანმოკლეა; ვინაიდან საქართველოს წარმოების სეზონი მხოლოდ ჰოლანდიას, გერმანიას, პოლონეთს, კანადასა და აშშ-ს ემთხვევა (გელაშვილი 2019), იაფი რესურსები უზრუნველყოფს ქართველი მწარმოებლების ხარჯების უპირატესობას;
- » ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა: ადვილად ხელმისაწვდომი ევროპული, დსთ-ს და აზიის ბაზრები;
- » ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA).



6.3 კაკალი

გლობალური წარმოება და ვაჭრობა


ბოლო 10 წლის განმავლობაში (2010-2019) კაკლის გლობალური წარმოება ზრდის ტენდენციით ხასიათდება (Faostat 2021). ამ პერიოდის განმავლობაში (2010 წლიდან 2019 წლამდე) წარმოება 63%-ით გაიზარდა, კერძოდ 2.8 მლნ. ტონიდან 4,5 მლნ. ტონამდე. მსოფლიო მასშტაბით კაკლის ხის ყველაზე პოპულარული სახეობებია: შავი კაკალი (*Juglans nigra*), რუხი კაკალი (*Juglans cinerea*) ან თეთრი კაკლის ხეები და ინგლისური კაკლის (*Juglans regia*) ხეები (Worldatlas 2018).

თვალსაზრისით, კაკლის 71% იწარმოება აზიაში, 20% - ამერიკაში, 8% - ევროპაში, 1% - აფრიკაში და 0,1% - ოკეანეთში (Faostat 2021)

2019 წელს, მსოფლიოს ტოპ 10 კაკლის მწარმოებელი იყო ჩინეთი (გლობალური წარმოების 56.1%), აშშ (13.2%), ირანის ისლამური რესპუბლიკა (7.1%), თურქეთი (5.0%), მექსიკა (3.8%), უკრაინა (2.8%), ჩილე (2.7%), უზბეკეთი (1.1%), რუმინეთი (1.1%) და საფრანგეთი (0.8%). საქართველოს წილი 0.1%-ია, რომლის წარმოების მოცულობა შეადგენს 6600 ტონას და უკავია 26-ე ადგილი (Faostat 2021).


რეგიონალური განაწილების

კაკლის წარმოება და მოსავლის აღების ფართობი (2010-2019)



Source: Faostat 2021

ექსპორტის მოცულობა და ექსპორტის ღირებულება ტოპ 10 კაკლის გლობალური ექსპორტიორი (საშუალო მაჩვენებელი 2010-2019)





Source: Faostat 2021

■ Export quantity, shelled, tons ■ Export quantity, in shell, tons

კაკალი იყიდება როგორც ნაჭუჭიანი კაკლის, ასევე გარჩეული კაკლის სახით. ნაჭუჭიანი კაკლის გაყიდული რაოდენობა გაცილებით აღემატება გარჩეული კაკლის რაოდენობას, თუმცა ამ უკანასკნელის ღირებულება გაცილებით მაღალია.

რაოდენობის მხრივ გარჩეული კაკლის ძირითადი მწარმოებლები მსოფლიოში არიან აშშ, მექსიკა, უკრაინა, ჩილე, მოლდოვის რესპუბლიკა, ჩინეთი, გერმანია, რუმინეთი, უზბეკეთი და ინდოეთი. ასევე ნაჭუჭიანი კაკლის (რაოდენობის მიხედვით) წამყვანი ექსპორტიორები არიან აშშ, მექსიკა და ჩილე. რაც შეეხება ექსპორტის ღირებულებას, აშშ-ს წამყვანი აგილი უჭირავს როგორც გარჩეული, ასევე ნაჭუჭიანი კაკლის ექსპორტში. ხოლო რაც შეეხება იმპორტს, 2019 წელს გარჩეული კაკლის ძირითადი იმპორტიორები იყვნენ გერმანია (16.5%), ესპანეთი (7.5%), იაპონია (7.1%), კორეის რესპუბლიკა (5.3%) და ნიდერლანდები (4.9%) (სავაჭრო რუკა 2021).



Source: Trade Map 2021

ევროკავშირის ვაჭრობა

ევროკავშირი არის კაკლის მსხვილი იმპორტიორი. მისი სავაჭრო ბალანსი არის უარყოფითი, ხოლო იმპორტი აჩვენებს ზრდის ტენდენციას. ევროკავშირში გარჩეული კაკლის ძირითადი იმპორტიორები არიან გერმანია, ესპანეთი, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო და საფრანგეთი. ნაჭუჭიანი კაკლის იმპორტიორები უმეტესად არიან იტალია, ესპანეთი, გერმანია, ბელგია და ნიდერლანდები.

ევროკავშირში გარჩეული კაკლის ძირითადი მიმწოდებლები არიან ჩილე, აშშ, გერმანია, ნიდერლანდები, უკრაინა, ჩინეთი, საფრანგეთი, მოლდოვის რესპუბლიკა, ვიეტნამი და რუმინეთი.

ხოლო ნაჭუჭიანი კაკლის მიმწოდებლები უმეტესად არიან აშშ, საფრანგეთი, ჩილე, ავსტრალია, არგენტინა, გერმანია, ნიდერლანდები, იტალია, უნგრეთი და ესპანეთი.

ევროკავშირის ვაჭრობა

ევროკავშირი არის კაკლის მსხვილი იმპორტიორი. მისი სავაჭრო ბალანსი არის უარყოფითი, ხოლო იმპორტი აჩვენებს ზრდის ტენდენციას. ევროკავშირში გარჩეული კაკლის ძირითადი იმპორტიორები არიან გერმანია, ესპანეთი, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო და საფრანგეთი. ნაჭუჭიანი კაკლის იმპორტიორები უმეტესად არიან იტალია, ესპანეთი, გერმანია, ბელგია და ნიდერლანდები.

ევროკავშირში გარჩეული კაკლის ძირითადი მიმწოდებლები არიან ჩილე, აშშ, გერმანია, ნიდერლანდები, უკრაინა, ჩინეთი, საფრანგეთი, მოლდოვის რესპუბლიკა, ვიეტნამი და რუმინეთი.

ხოლო ნაჭუჭიანი კაკლის მიმწოდებლები უმეტესად არიან აშშ, საფრანგეთი, ჩილე, ავსტრალია, არგენტინა, გერმანია,

ნიდერლანდები, იტალია, უნგრეთი და ესპანეთი.

ტენდენცია

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირის კაკლის ბაზარზე შეინიშნებოდა შემდეგი ტენდენციები (CBI 2021b):

» კაკლის მოხმარება იზრდება, რადგან ჯანსაღი კვების ტენდენცია უფრო შესამჩნევი ხდება.

» მწარმოებლები დიდ ყურადღებას აქცევენ კაკლის პროდუქციის დივერსიფიკაციას, ვიდრე მონოღებული კაკლის რაოდენობის გაზრდას. ისეთი პროდუქტები, როგორცაა კაკლის ზეთი (სულ უფრო მეტად გამოიყენება კოსმეტიკის ინდუსტრიაში), კაკლის რძე, კაკლის კარაქი, კაკლის ხემსები, კაკლის შემცველები და ჰუმუსის მსგავსი კაკლის სპრედები სულ უფრო პოპულარული ხდება ევროპულ და საერთაშორისო ბაზრებზე.

» ევროპის თხილის წამყვანი სავაჭრო კომპანიები ირჩევენ ვერტიკალურ ინტეგრაციას და განიხილავენ ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპის ხეილის ბალებში ინვესტირებას.

» ევროპულ ბაზარზე კაკლის პროდუქტის კონკურენცია მოიცავს ყველა სხვა სახის საჭმელად ვარგის თხილს. ნუში, ფისტა და კაშუს თხილი უფრო ხშირად გამოიყენება მარილიან ხემსად, ხოლო კაკალი უმეტესად გამოიყენება ინგრედიენტის სახით.

» ძირითადი კონკურენტები არიან კაკლის მწარმოებელი წამყვანი ქვეყნები და განვითარებადი ქვეყნები, როგორცაა აშშ, ჩილე და საფრანგეთი, და ასევე კაკლის მწარმოებელი დინამიურად მზარდი ქვეყნები, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი და ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

» ევროპულ ბაზარზე კაკლის პროდუქტის კონკურენცია მოიცავს ყველა სხვა სახის საჭმელად ვარგის თხილს. ნუში, ფისტა და კაშუს თხილი უფრო ხშირად გამოიყენება

მარილიან ხემსად, ხოლო კაკალი უმეტესად გამოიყენება ინგრედიენტის სახით.

» ძირითადი კონკურენტები არიან კაკლის მწარმოებელი წამყვანი ქვეყნები და განვითარებადი ქვეყნები, როგორცაა აშშ, ჩილე და საფრანგეთი, და ასევე კაკლის მწარმოებელი დინამიურად მზარდი ქვეყნები, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი და ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

» მოსავლის აღების ტერიტორიის და წარმოების ზრდის მაღალი ტემპის გათვალისწინებით (15-20%), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩილე გახდება ძირითადი კონკურენტი საერთაშორისო ბაზარზე.

» იმპორტიორები და შუამავლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კაკლის ღირებულებათა ჯაჭვში. ჯერ-ჯერობით მწარმოებელს შეუძლია პროდუქციის პირდაპირ მინოდება ბაზარზე. უმეტეს შემთხვევაში, იმპორტიორები და საბითუმო მოვაჭრეები „ქმნიან პირველი შესვლის წერტილს“ კაკლის მინოდების ჯაჭვში განვითარებადი ქვეყნებიდან. კაკლის ევროპელი იმპორტიორების მაგალითებს წარმოადგენენ Besana, Märsch, Nutwork, Global Trading, Catz International, Chelmer Foods, Community Foods და Free World Trading.

» პრაქტიკაში, კაკლის ხარისხი და ფასი ჩვეულებრივ განისაზღვრება პროდუქტის ტიპის (მთლიანი, ნარევი ან ნაჭრები) კომბინაციის, შიგთავსის, ჯიშის და მრავალფეროვნების მიხედვით. ზოგადად, მაღალ ფასებს განაპირობებს ღია ფერის მქონე გულის (შიგთავსის), როგორცაა Chandler, და უფრო დიდი ზომის ჯიშები. (CBI n.a.c)

საქართველოს საექსპორტო პოტენციალი

წარმოება: ბოლო 6 წლის განმავლობაში საქართველოს წარმოება ხასიათდება ზრდის ტენდენციით.

ექსპორტი და საექსპორტო მიმართულებები: საქართველოს აქვს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და კაკლის იმპორტი განსაკუთრებით მაღალი იყო 2017-2019 წლებში. იმპორტის მსგავსად, ექსპორტმაც დაიწყო ზრდა, მაგრამ 2020 წელს შემცირდა.

ექსპორტი საკმაოდ არასტაბილურია, მკვეთრი ზრდით და ნულოვანი მნიშვნელობებით ზოგიერთ პერიოდში, მაგალითად, როგორცაა მარტი და აგვისტო. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საქართველო ახდენდა კაკლის ყოველთვიურ ექსპორტს, რაც არცერთ სხვა წელს არ მომხდარა. ეს შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო გაზრდილი წარმოებით.


საქართველო ძირითადად ორიენტირებულია დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტზე, თუმცა ზოგჯერ (2010 წლიდან ერთხელ ან ორჯერ) მცირე რაოდენობით ექსპორტს ახორციელებს ევროკავშირის შემდეგ ქვეყნებში: ბულგარეთი, ჩეხეთი, დანია, ფინეთი, საბერძნეთი, გერმანია, შვედეთი, ფინეთი, საფრანგეთი და იტალია.

რაც შეეხება საქართველოს პოზიციას საერთაშორისო საექსპორტო ბაზარზე, ნაჭუჭიანი კაკლის საექსპორტო ღირებულებით საქართველოს უჭირავს 57-ე ადგილი, გარჩეული კაკლის საექსპორტო ღირებულებით - 61-ე, ნაჭუჭიანი კაკლის საექსპორტო მოცულობით - 51-ე, ხოლო გარჩეული კაკლის საექსპორტო მოცულობით - 57-ე.

უკრაინა და თურქეთი ითვლებიან საქართველოს მთავარ კონკურენტებად.


გამოვლენილი შედარებითი უპირატესობა (RCA): 2001-2019 წლებში გარჩეული კაკლის RCA-ს მაჩვენებელი იყო საშუალოდ ერთზე ნაკლები, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს არ გამოუვლენია შედარებითი უპირატესობა გარჩეულ კაკალთან მიმართებაში. თუმცა, 2019 წელს გარჩეული კაკლის RCA იყო 4.1, რაც იმედისმომცემი მაჩვენებელია. ბოლო 20 წლის განმავლობაში, ნაჭუჭიანი კაკლის

ქართული კაკლის წარმოება, იმპორტი, ექსპორტი და სავაჭრო ბალანსი (2010-2020)




Source: Geostat 2021

ქართული კაკლის საექსპორტო მიმართულებები (2010-2020)



საქართველოდან კაკლის ყოველთვიური ექსპორტი



Source: Trade Map 2021

RCA მხოლოდ ერთხელ იყო ერთზე მაღალი. შესაბამისად, საქართველოს არ გამოუვლენია შედარებითი უპირატესობა ნაჭუჭიან კაკალთან მიმართებაში.

ICT-ს საექსპორტო პოტენციალი და ექსპორტის დივერსიფიკაციის პოტენციური მაჩვენებლები: ამ ინსტრუმენტში, გარჩეული კაკალი შედის მსოფლიოში საექსპორტო პოტენციალის მქონე ტოპ 50 პროდუქტს შორის და უკავია 38-ე ადგილი. ის ასევე

შესულია ევროკავშირისა და დასავლეთ ევროპაში საექსპორტო პოტენციალის მქონე 50 ძირითად პროდუქტს შორის და უკავია მე-20 ადგილი.

ევროკავშირის მოთხოვნები

ექსპორტის მიმართ

ევროკავშირში ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის ზოგადი მოთხოვნები ჩამოთვლილია მე-4 თავში. განსაკუთრებული მოთხოვნები კაკალთან მიმართებაში:

- » პესტიციდების MRL კაკლისთვის
- » არსებობს აფლატოქსინით დაბინძურების მაქსიმალური ზღვრები
- » მარკეტინგული სტანდარტები : ევროკავშირის ზოგადი მარკეტინგული სტანდარტები (ევროკავშირის განმარტებული რეგულაცია (EU) No 543/2011, დანართი 1, ნაწილი A) ვრცელდება ნაჭუჭიან კაკალზე , მაგრამ არა გარჩეულ კაკალზე. სხვა ოფიციალური სტანდარტებია: UNECE კაკლის გულის სტანდარტი და UNECE სტანდარტი ნაჭუჭიანი კაკლისთვის.
- » შეფუთვა : ნაჭუჭიანი თხილის შეფუთვა ჩვეულებრივ ხდება ბადისებრ ტომრებში,

პოლიეთილენის პაკეტებში, მუყაოს ყუთებსა და ბრტყელ ტომრებში. თხილის გულები ჩვეულებრივ იფუთება 5 ან 10 კილოგრამიან ვაკუუმის ტომრებში, რომლებიც თავსდება მუყაოს ყუთებში (CBI n.a.c).

» კაკალი არის ყველაზე გავრცელებული საკვები ალერგენი, ამიტომ საცალო შეფუთვაზე მკაფიოდ უნდა ჩანდეს მითითება ალერგენის შესახებ.


წარმოება

» მოხსენიებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-VI საუკუნეებში საქართველოში წარმოებულ სხვა მცენარეებს შორის (ავროკავშირში 2020)

» ინარმოება საქართველოს ყველა რეგიონში, მაგრამ წარმოადგენს შედარებით ახალ ინდუსტრიას, რომელმაც კომერციულად განვითარება დაიწყო 2015 წლიდან (ინტერვიუები)

» მთლიანობაში არის 307 ხეხილის ბაღი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად რეგიონების მიხედვით: კახეთი (42%), ქვემო ქართლი (25%), შიდა ქართლი (19%), იმერეთი (9%), მცხეთა-მთიანეთი (3%) და შესაბამისად 1% -ზე ნაკლები გურიის, აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები (AWPA 2018)

ქართული კაკლის ღირებულებათა ჯაჭვის რუკა



Source: Adapted from the publication <http://www.schubert.it>, study: Walnut Market Structure and Value Chain Opportunities in Georgia, 2010

» 500 ფერმერი, რომელთა ხეხილის ბაღების მთლიანი ფართობი შეადგენს 3500 ჰა-ს (AWPA 2021); 3500 ჰა ხეხილის ბაღიდან, 2809 ჰა აშენდა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამით (AWPA 2020).

» მიუხედავად იმისა, რომ აჭარის რეგიონის წილი ხეხილის ბაღების რაოდენობის მხრივ ძალიან მცირეა, ის არის წამყვანი მწარმოებელი, რომლის წილი შეადგენს 30%-ს 2019 წლის წარმოების საერთო მოცულობიდან (საქსტატი 2019).

» მოსალოდნელია, რომ 2026 წლისთვის, სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ხეხილის ბაღებიდან მოხდეს 17,000 ტონა კაკლის წარმოება (პროგნოზი ეფუძნება სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკას და წარმოდგენილია AWPA-ს მიერ)

» კომერციული მიზნებისთვის, კაკლის ბაღების გაშენება რეკომენდირებულია იმერეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში (ნარჩემაშვილი 2019)

წარმოებული ჯიშები

კულტივირებული ჯიშები - ჩვეულებრივი, შამირა, შავი, რუხი, გულისებრი, მანჯურული, იდეალი, ფრანკეტა, ლარა, პედრო, პეკანი და ჩანდლერი ((AWPA 2020, PMCG 2016).

მეურნეობის ტიპი: 60-70% - 5 ჰა-მდე, 20% - 5-20 ჰა, 10% - 20 ჰა-ზე მეტი

დიდი მწარმოებლები

» აგროლაინი (200 ჰა ხეხილის ბაღი)

» შპს „თენვო“ (84 ჰა ხეხილის ბაღი კახეთის რეგიონში, დაფინანსებული ევროკავშირის მიერ)

» რეგისტრირებული NATS (კერძო ინვესტიციები)

» შპს „დევეპლუსი“ (5 ჰა ხეხილის ბაღი ბოლნისში, ქვემო ქართლის რეგიონში, დაფინანსებული სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის მიერ)

» ინდივიდუალური მენარმე მ. ჩეგოშვილი (7.3 ჰა კახეთის რეგიონის სოფელ ვაზისუბანში, სახელმწიფო მხარდაჭერის ფარგლებში)

საბითუმო ბაზრები

რეგიონული საბითუმო ბაზრები და თბილისში მდებარე საბითუმო ბაზრები (ღია ბაზრები), კერძოდ „დემერტირები“, „ნავთლული“, „გლდანის ბაზარი“ და „ავლაბრის ბაზარი“.

შიდა საცალო ვაჭრობა

» წლის განმავლობაში ქართული სუპერმარკეტები ყიდიან დაახლოებით 100-150 ტონა გარჩეულ კაკალს (ინტერვიუები)

» შიდა მოხმარება ყველაზე მაღალია ახალი წლის წინა დღეებში

» სუპერმარკეტები : კარფური, გუდვილი, სპარი, ორი ნაბიჯი, ფრესკო, მაგნიტი, ზღაპარი

გადამამუშავებელი საწარმოები

საერთო ჯამში, მალე გაიხსნება ოთხი გადამამუშავებელი საწარმო კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და ქვემო ქართლში. ამერიკული საინვესტიციო კომპანია “G Investment Corp” ხსნის გადამამუშავებელ საწარმოს ნიჩბისში (მცხეთა-მთიანეთი).

სპეციალიზებული შემფუთავები,

მოვაჭრები, ექსპორტიორები

კაკლის ტრანსპორტირება ძირითადად ხდება სატვირთო მანქანებით, შეფუთვის გარეშე. კაკლის ნერგების ტრანსპორტირება ხორციელდება სატვირთო რეფრიჟერატორებით. თითო მანქანაში ეტევა 20-25 ათასი ნერგი და ნერგების ტრანსპორტირების ფასი თითო სატვირთოზე არის 2000-2500 აშშ დოლარი.

რესურსების მომწოდებლები და აღჭურვილობა

ნერგები

ნერგების 90%-ის იმპორტირება ხდება თურქეთიდან, იტალიიდან და აშშ-დან. ადგილობრივი სანერგეებია: [Gogra.ge](#), შპს „WalTree“, შპს „მწვანე სახლი“, კოოპერატივი „ნიქოზი“, შპს „პადემი“, კოოპერატივი „ნერგები“, შპს „კაკალი“, შპს „საქართველოს აგრარული გაერთიანება“.

სასუქები და მცენარეთა დაცვა

სასუქები ხელმისაწვდომია ყველა რეგიონში სანყოფის საშუალებით, რომელთა მომარაგება ძირითადად ხდება თბილისიდან ისეთი კომპანიების მიერ, როგორცაა მაგალითად, ქართლიი.

საირიგაციო სისტემები

სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამაში „დანერგე მომავალი“ წარმოდგენილია წვეთოვანი სარწყავი სისტემის მომწოდებლების სია და მათი საკონტაქტო ინფორმაცია. (მაგალითად, შპს „აგრობესტი“, შპს „გვაზა“ და ა.შ.)

ასოციაციები

ნუშის და კაკლის მწარმოებელთა ასოციაცია (AWPA), საქართველოს თესლის მწარმოებელთა და სანერგე მეურნეობების ასოციაცია (GEOSSA), საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA), ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ (ორგანული წარმოების შემთხვევაში), საქართველოს შესაფუთი მასალების მწარმოებელთა ასოციაცია (PMAG). დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ნაწილი 5.4.

ლოგისტიკა

კომპანია „აგროლიდერი“ სოფელ ფცაში (ქარელი) აშენებს სანყოფს (756 ტონა) და

გადამამუშავებელ სანარმოს.

პროექტები

» აჭარის სოფლის მეურნეობის პროგრამა: პროექტის ხარჯის 80% დაფარა სამინისტრომ, 20% ფერმერებმა.

» „დანერგე მომავალი“ - განხორციელებული სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ

» ENPARD-ის დახმარებით აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში (2014-2015) შეიქმნა ჩანდლერის (Chandler) სადემონსტრაციო ფერმები.

» USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის გრანტი AWPA-ს ორგანიზაციული განვითარებისთვის.

» AWPA-ს ტრენინგები, ჯგუფური ჩატები სოციალურ ქსელებში და კაკლის მწარმოებელთა მონაცემთა ბაზა

განათლება, კვლევა და ექსტენცია

» აგრო საკონსულტაციო ცენტრი (ACC) ფერმერებს სთავაზობს ერთნლიან საკონსულტაციო პაკეტს, რომელშიც შედის ონლაინ და სატელეფონო კონსულტაციები და ორი ვიზიტი ხეხილის ბაღში; ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზი; ქიმიკატები და ნერგები; აგრო-კალენდრების, საინფორმაციო ბროშურების და ტრენინგების მომზადება.

» შპს „Agro Solutions“ გთავაზობთ ბაზრის კვლევას, ბიზნეს გეგმის შემუშავებას, აგრო-ტექნოლოგიური რუკების მომზადებას, ლაბორატორიულ მომსახურებას, ბაღების კულტივირებას, ტექნიკურ მომსახურებას და ა.შ.

» საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) მუნიციპალური ექსტენციის ცენტრები მწარმოებლებს სთავაზობენ კონსულტაციებს და აწვდიან ინფორმაციას სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების შესახებ.

ხარისხის ინფრასტრუქტურა

საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის საერთო ხარისხის ინფრასტრუქტურა აღწერილია მე-7 თავში. ვინაიდან კაკლის წარმოება საქართველოში შედარებით

ახალია და პლანტაციები შეიქმნა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს ხარისხის ინფრასტრუქტურის სამსახურები და დაინტერესებული მხარეები, რომლებსაც გააჩნიათ სპეციალური ცოდნა კაკლის შესახებ.

გამონვევები:

- » ყინვაგამძლე ჯიშების ნაკლებობა (ინტერვიუები)
- » წარმოების მოძველებული ტექნოლოგიები (შპს „Agro Solutions“ 2017)
- » პროდუქტის დაბალი ხარისხი (შპს „Agro Solutions“ 2017)
- » კომერციული ხეილის ბაღების ნაკლებობა (PMCG 2016)
- » თანამედროვე ჯიშებთან გამოცდილების ნაკლებობა
- » წარმოების გამოცდილების არქონა, ვინაიდან კაკალი საქართველოში არის შედარებით ახალი პროდუქტი (ინტერვიუები)
- » ჩანდლერის ჯიშთან მუშაობის გამოცდილების არქონა, რადგან აღმოჩნდა რომ იგი არ იყო თავსებადი შერჩეული რეგიონების კლიმატურ პირობებთან (ინტერვიუები)
- » ღია ბაზრებში ცუდი ჰიგიენა
- » სპორადული საბითუმო ვაჭრობა
- » გადამამუშავებლის არარსებობა (PMCG 2016; ინტერვიუები)
- » მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების ცუდი პრაქტიკა (კრეკინგის და დამხარისხებელი მონაცემების არარსებობა) (PMCG 2016)
- » არა დივერსიფიცირებული წარმოება (უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქტების ნაკლებობა, როგორცაა კაკლის ზეთი, კაკლის კარაქი და ა.შ.)(PMCG 2016)

პოტენციალი:

- » მაღალი ხარისხის მოსავალი
- » ევროკავშირისა და მსოფლიო ბაზარზე მაღალი საექსპორტო პოტენციალი
- » კაკლის ბაღების განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების არსებობა
- » AWPA-ს და ღონის დაფინანსების არსებობა მისი შემდგომი განვითარებისთვის

გამონვევები:

- » შეფუთვის არარსებობა (შპს „Agro Solutions“ 2017);
- » სანდო კვლევების არარსებობა კაკლის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე (AWPA 2021)
- » მაღალი ხარისხის ნერგების მწარმოებელი სანერგების არარსებობა PMCG 2016)
- » ნერგების წარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობის არარსებობა
- » ნერგების მაღალი ღირებულება (PMCG 2016)
- » სერტიფიცირების სახელმწიფო სისტემის არარსებობა, თუმცა SRCA-მ დაიწყო ნერგების სერტიფიცირების პროგრამა (შპს „Agro Solutions“ 2017)
- » აგრონომების ნაკლებობა (ინტერვიუები)
- » ნაკლებად კონკურენტუნარიანი ქართული ნერგები (არა-სტანდარტიზებული) (PMCG 2016)
- » სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ხეხილის ბალების დაბალი მდგრადობა, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის დასრულების შემდეგ
- » ასოციაციის ორგანიზაციული და ტექნიკური განვითარების ნაკლებობა (AWPA 2020)
- » ასოციაციის დაბალი ხილვადობა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე (AWPA 2020)
- » სახელმწიფო პროგრამებისთვის „გასვლის სტრატეგიის“ (საქმიანობის გაგრძელება პროგრამის დასრულების შემდეგ) არარსებობა



6.4 მწვანილი

ამ კვლევაში, მწვანილი განიმარტება, ახალი კულინარიული დანიშნულების მცენარეების სახით (ახალი ფოთლები გამოიყენება საკვების არომატიზაციისთვის). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ამ მიზნით ასობით მცენარე მოჰყავთ, ყველაზე პოპულარულ მწვანილთა რიცხვს მიეკუთვნება როზმარინი (*Rosmarinus of cinalis*), დიდი კამა-ცერეცო (*Foeniculum vulgare*), პიტნა (*Mentha*), ოხრახუმი (*Petroselinum crispum*), ორეგანო (*Origanum vulgare*), ბოსტნის რეჰანი (*Ocimum basilicum*), ქინძი (*Coriandrum sativum*), პრასის სახეობა (*Allium schoenoprasum*), სალბი (*Salvia of cinalis*), კამა (*Anethum graveolens*), ტარხუნა (*Artemisia dracunculus*), პირმუშა (*Armoracia rusticana*), და ბეგქონდარა (*Thymus vulgaris*) (AgriOrbit 2020; Kaiser and Ernst 2020). ევროპაში ყველაზე გავრცელებული მწვანილებია ბოსტნის რეჰანი, ოხრახუმი, ქინძი, პრასის სახეობა, ბეგქონდარა, ორეგანო, როზმარინი, კამა, პიტნა, სალბი, ტარხუნა (*Artemisia dracunculus*), ჩერვილო (*Anthriscus cerefolium*), მაიორანი (*Origanum majorana*), და ლიმონის ურო (*Cymbopogon citratus*). რეჰანი შეადგენს ევროკავშირში მწვანილების მთლიანი მოხმარების 60-75%-ს (CBI 2020f).


გლობალური წარმოება და ვაჭრობა

მსოფლიო სტატისტიკა არ იძლევა

ცალკეულ ციფრებს მწვანილების წარმოებასთან დაკავშირებით. FAOSTAT-ის მონაცემებში, მწვანილი შედის კატეგორიაში «ახალი ბოსტნეული» (Vegetables, Fresh NES). ამ კატეგორიაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება 2010 წლიდან 2019 წლამდე 260 მილიონი ტონიდან 312 მილიონ ტონამდე გაიზარდა. ამას აქვს ყველაზე დიდი საშუალო (2010-2019) წილი (87%), ამის შემდეგ მოდის აფრიკა (6.8%), ევროპა (3.4%), ამერიკა (2.7%) და ოკეანეთი (0.2%) (Faostat 2021). 2019 წელს «ახალი ბოსტნეულის» (Vegetables, Fresh NES) მსოფლიოს ტოპ 10 მწარმოებელი იყო ჩინეთი (60%), ინდოეთი (12%), ვიეტნამი (4%), ნიგერია (2%), ფილიპინები (2%), მიანმარი (1%), ნეპალი (1%), კორეის რესპუბლიკა (1%), ბრაზილია (1%) და იაპონია (1%), საქართველოს წილი გლობალურ წარმოებაში მცირეა და 0.006%-ს შეადგენს (Faostat 2021).

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მწვანილის მსოფლიო იმპორტმა (HS კოდი: 070999) გამოავლინა მზარდი ტენდენცია და 2019 წელს დაახლოებით 2.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. 2015-2019 წლებში, მწვანილის იმპორტის ღირებულების წლიურმა ზრდამ 5% შეადგინა. ამავე პერიოდში, იმპორტის მოცულობის წლიური ზრდა იყო უარყოფითი და შეადგინა -3% (სავაჭრო რუკა 2021).

ექსპორტის მოცულობა და ექსპორტის ღირებულება ტოპ 10 მწვანილის გლობალური ექსპორტიორი (საშუალო მაჩვენებელი 2012-2019)



Source: Trade Map 2021

■ Exported quantity (ths. tons) ● Exported value (ths. USD)

მსოფლიოში მწვანელების ტოპ 10 ექსპორტიორია ჩინეთი, მექსიკა, იტალია, აშშ, ნიდერლანდები, ინდოეთი, პაკისტანი, ესპანეთი, საფრანგეთი და ირანი (რანჟირებულია 2012-2019 წლებში ექსპორტის საშუალო მოცულობის მიხედვით). მწვანელების ტოპ 10 იმპორტიორია არაბთა გაერთიანებული საამიროები, საფრანგეთი, გერმანია, მავრიტანია, აშშ, ჰონგ-კონგი, ჩინეთი, ნიდერლანდები, კანადა, რუსეთის ფედერაცია და სინგაპური (რანჟირება 2012-2019 წლებში იმპორტის საშუალო მოცულობის მიხედვით) (სავაჭრო რუკა 2021) (შენიშვნა: ამ კვლევაში წარმოდგენილია 2012-2020 წლების მწვანელით ვაჭრობის სტატისტიკა, რადგან 2012 წელს შეიცვალა მწვანელების სახეობების HS კოდი).

საქართველო, ექსპორტის მოცულობის მიხედვით 34-ე, ხოლო ექსპორტის ღირებულებით 43-ე ადგილს იკავებს მწვანელების მსოფლიო ექსპორტიორებს შორის (2012-2020 წლების საშუალო მაჩვენებლები) (სავაჭრო რუკა 2021).

ევროკავშირის ვაჭრობა


2012-2019 წლებში ევროკავშირის სავაჭრო ბალანსი მწვანელებთან მიმართებაში იყო უარყოფითი. ბოლო რვა წლის განმავლობაში როგორც ექსპორტში, ასევე იმპორტში შეინიშნებოდა ზრდის ტენდენცია (სავაჭრო რუკა 2021).

ევროკავშირის მწვანელით ვაჭრობაში დომინირებს შიდა ნაკადები. ევროკავშირში მწვანელების ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია (ღირებულებით, 2012-2019 წლების საშუალო მაჩვენებელი) გერმანია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ავსტრია, ბელგია, შვედეთი, დანია, იტალია და ჩეხეთის რესპუბლიკა. ევროკავშირისთვის მწვანელების ტოპ 10 მიმწოდებელია (ღირებულებით, 2012-2019 წლების საშუალო მაჩვენებელი): იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, კენია, ინდოეთი, მაროკო და ტაილანდი (სავაჭრო რუკა 2021).

ევროკავშირის მწვანელების ექსპორტი, იმპორტი და სავაჭრო ბალანსი (2012-2019)



ევროკავშირისთვის მწვანელების წამყვანი მიმწოდებლები, ყოველთვიურად (2019 წლის ნოემბერი - 2020 წლის ოქტომბერი)



Source: Trade Map 2021

ტენდენციები

ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირის მწვანელების ბაზარზე შეინიშნებოდა შემდეგი ტენდენციები (CBI 2019; CBI 2020f; CBI 2020g; სავაჭრო რუკა 2021; Market Research Future 2021)

» მწვანელებზე გაზრდილი მოთხოვნა ; ევროკავშირის მომხმარებლების მზარდი ინტერესი კულინარიის, ნატურალური და ჯანსაღი საკვები პროდუქტების მიმართ.

» გაზრდილი იმპორტი

» ევროკავშირის ვაჭრობაში ევროკავშირის მწარმოებლების დომინირება (ესპანეთზე, იტალიასა და ნიდერლანდებზე მთლიანობაში მოდის ევროკავშირისთვის მიწოდებული მწვანელების 60%-ი).

» ევროკავშირის არანევრი მწარმოებლებისგან მწვანელების სტაბილური მიწოდება (იმპორტის 5-10% მოდის ევროკავშირის არანევრ ქვეყნებზე)

» ევროკავშირის ქვეყნებში მწვანე მწვანის წარმოების სწრაფი ზრდა; მომხმარებლები/სუპერმარკეტები ამჟამინებინ ადგილობრივად წარმოებულ მწვანეებს (ევროკავშირის ქვეყნებში იზრდება რეგიონალური წარმოების პოპულარობა); ზაფხულის სეზონზე რთულია ევრო კავშირის მწარმოებლებისთვის კონკურენციის განევა (მწვანეების ყველაზე მეტი იმპორტი ხდება ოქტომბრიდან მარტამდე).

» იმის გამო, რომ მსოფლიოს მასშტაბით მწვანისუმეტესობის გაყიდვა ხდებოდა უშუალოდ რესტორნებზე, COVID-19 პანდემიის დროს ამ სადისტრიბუციო არხის გაჩერებამ სერიოზული გავლენა იქონია მწვანის ბაზარზე.

» მზარდი მოთხოვნა მწვანეებზე, რომელიც იწარმოება ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდების გამოყენებით (მაგალითად, [GFSI](#)); მზარდი მოთხოვნა ორგანულ მწვანეებზე.

» მზარდი მოთხოვნა ქოთნის მწვანეებზე (მწვანეები, რომლებიც იყიდება ქოთანში). ეს მარკეტინგული მიმართულება დაკავშირებულია ტრანსპორტირების უფრო მაღალ ხარჯებთან და დამატებით მკაცრ ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან (ქოთნის მწვანეების მიწოდება თითქმის ყოველთვის ხდება ადგილობრივი მწარმოებლების მიერ).

» ძლიერი კონკურენცია (ზოგადად ახალი ხილისა და ბოსტნეულის ბაზრებზე); მყიდველთა წესები მნიშვნელოვანია.

» სტაბილურ რაოდენობასთან ერთად, ხარისხი, სიახლე, გარეგნული სახე, გემო და სერტიფიცირება (მაგ., GLOBALG.A.P. წარმოებისთვის და BRCGS, IFC და HACCP-ზე დაფუძნებული შეფუთვის მართვის სხვა სისტემები) წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს ევროკავშირის მწვანის ბაზარზე შესასვლელად; მომწოდებლებს სთხოვენ რომ იყვნენ გამჭვირვალენი მწვანის ღირებულებათა ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე

» რეგიონალური განსხვავებები მოთხოვნადი ჯიშების მხრივ, რომელიც ეფუძნება კულინარიულ ტრადიციებს (მაგალითად, პრასის სახეობა, ტარხუნა, ოხრახუმი და

ჩერვილო საფრანგეთში, სკანდინავიურ ბაზარზე კამა, გერმანიაში პიტნა, ოხრახუმი და პრასი, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში კამა, ოხრახუმი და ორეგანო).

» განსხვავებები სტაბილურობისა და მკაცრი მოთხოვნების მხრივ ჩრდილო-დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებს შორის. პირველი უფრო სტაბილური ბაზარია, ხოლო მეორე ნაკლებად მკაცრია შეფუთვის სტანდარტების მიმართ.

საქართველოს საექსპორტო

პოტენციალი


წარმოება: საქართველო ყოველწლიურად აწარმოებს დაახლოებით 8 ტონა მწვანეებს. საქართველოში, მწვანეების წარმოების მხრივ იმერეთი ძირითადი რეგიონია (63 %; 2016-2019 წლების საშუალო მაჩვენებელი), მის შემდეგ მოდის ქვემო ქართლი (14%; 2016-2019 წლების საშუალო მაჩვენებელი) (საქსტატი 2021).

ექსპორტი და საექსპორტო

მიმართულებები: 2012-2019 წლებში ქვეყნის სავაჭრობალანსი მწვანეებთან მიმართებაში (HS კოდი 070999) იყო დადებითი, ხოლო ექსპორტი მნიშვნელოვნად აღემატებოდა იმპორტს. ბოლო 8 წლის განმავლობაში ექსპორტის რაოდენობა ოდნავ შემცირდა (საქსტატი 2021; სავაჭრო რუკა 2021). კამის (ძირითადი საექსპორტო მცენარე), ქინძის და ოხრახუმის გარდა, 2020 წელს საქართველომ ასევე მოახდინა დაახლოებით 10 ტონა (ექსპორტის ღირებულება - 14 ათასი აშშ დოლარი) ნიახურის (HS კოდი 070940) ექსპორტი.


წარმოების სეზონის შესაბამისად, საქართველოდან მწვანის ექსპორტი ხდება ნოემბრიდან მაისამდე, ხოლო პიკს ალწევს მარტსა და აპრილში. მაისში და ოქტომბერში თითქმის არ ხდება ექსპორტი (საქსტატი 2021). ქართული მწვანის ძირითადი საექსპორტო მიმართულებები იყო (როგორც რაოდენობის, ისე ღირებულების თვალსაზრისით) რუსეთის ფედერაცია, ბელორუსია, უკრაინა, ყაზახეთი და აზერბაიჯანი. მწვანეების

ქართული მწვანილის წარმოება, იმპორტი, ექსპორტი და სავაჭრო ბალანსი 2012-2020




მხოლოდ მცირე რაოდენობა იყო ექსპორტირებული ევროკავშირში (რუმინეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, ლატვია, ლიტვა და ბულგარეთი). 2012-2020 წლებში, ევროკავშირის ქვეყნების წილი ქართული მწვანილების ექსპორტში საშუალოდ შეადგენდა დაახლოებით 6%-ს (სავაჭრო რუკა 2021).

საქართველოს მწვანილის ყოველთვიური ექსპორტი (2012-2019)



ქართული მწვანილის საექსპორტო მიმართულებები (2012-2020)



Source: Trade Map 2021

რესპოდენტების თქმით, ირანი ამჟამად არის საქართველოს მთავარი კონკურენტი დსთ-ს ბაზრებზე. (მაგალითად, რუსეთი, უკრაინა). ირანელ მწარმოებლებს

შედარებით დიდი უპირატესობა აქვთ დანახარჯების თვალსაზრისით, რაც განპირობებულია სამუშაო ძალაზე გაცილებით დაბალი ხარჯებით საქართველოსთან შედარებით და ასევე, მათი წარმოების სისტემით - სათბურების გარეშე მწვანილის მოყვანა. ვინაიდან ეს უკანასკნელი ირანში შესაძლებელია დაახლოებით თებერვლამდე, მხოლოდ თებერვლის შემდეგ ქართული მწვანილი ხდება უფრო კონკურენტუნარიანი. ამას ადასტურებს ქართული მწვანილის ექსპორტის ყოველთვიური სავაჭრო სტატისტიკაც, რომლის პიკი, როგორც წესი, მარტსა და აპრილზე მოდის. უზბეკეთი არის საქართველოს კიდევ ერთი კონკურენტი რუსეთის მწვანილის ბაზარზე.

მწვანილი შედის CBI-ს ევროკავშირში საექსპორტო პოტენციალის მექონე ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტების ჩამონათვალში (ცოცხალი მწვანილი) (CBI 2020b). ევროკავშირის მწვანილების იმპორტზე ნაკლებად იმოქმედა ეკონომიკურმა კრიზისმა (დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით). ბოლო ათწლეულების განმავლობაში, იმპორტის მოცულობა იზრდებოდა ფასების ვარდნის გარეშე. იმის გამო, რომ მწვანილი არის მნიშვნელოვანი კულინარიული ინგრედიენტი და კერძების საბოლოო ღირებულებაში მისი წილი არის მცირე, მასზე მოთხოვნა არაელასტიურია. Eurostat-ის პროგნოზის თანახმად, ევროკავშირის ბაზრებზე მწვანილებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება, რაც უზრუნველყოფს იმპორტის კარგ შესაძლებლობას იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში (GIDG 2015).

გამოვლენილი შედარებითი უპირატესობა (RCA): 2012 – 2020 წლებში საქართველოს გამოვლენილი შედარებითი უპირატესობა მწვანილთან მიმართებაში მუდმივად იყო > 1 (სავაჭრო რუკა 2021), რაც მიუთითებს ქვეყანის გამოვლენილ შედარებით უპირატესობაზე ამ პროდუქტთან მიმართებით.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო

ტექნოლოგიის საექსპორტო პოტენციალი და ექსპორტის დივერსიფიკაციის პოტენციალის მაჩვენებლები: ამ დოკუმენტში, მწვანილი არ არის წარმოდგენილი ცალკე კატეგორიის სახით (მხოლოდ, როგორც ბოსტნეულის ნაწილი, ცოცხალი ან გაყინული; HS კოდი 0709XX). პროდუქტის ეს უკანასკნელი კატეგორია ჩამოთვლილია ევროკავშირსა და დასავლეთ ევროპაში საექსპორტო პოტენციალის მქონე ტოპ 50 პროდუქტს შორის და უკავია 41-ე ადგილი. საქართველოს ამ კატეგორიის პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი მსოფლიოში 4.1 მილიონი აშშ დოლარია, ხოლო საექსპორტო პოტენციალი ევროკავშირსა და დასავლეთ ევროპაში 1.4 მილიონი აშშ დოლარია. პროდუქტის კატეგორია არ არის ჩამოთვლილი საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციის პოტენციალის მქონე ტოპ 50 პროდუქტს შორის (ITC 2021a; ITC 2021b).

ევროკავშირის მოთხოვნები ექსპორტის მიმართ


ევროკავშირში ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის ზოგადი მოთხოვნები მოცემულია მე-4 თავში. განსაკუთრებული მოთხოვნები კაკლისთვის:

» პესტიციდების MRL, კამისტვის, ქინძისთვის და ოხრახუმისთვის

» მარკეტინგის სტანდარტები: არსებობს ევროკავშირის ზოგადი მარკეტინგული სტანდარტი (ევროკავშირის განმახორციელებელი რეგულაცია (EU) No 543/2011, დანართი I ნაწილი A). მწვანილთან მიმართებაში სხვა ოფიციალური საერთაშორისო სტანდარტები არ არსებობს. ზოგიერთი სტანდარტის განსაზღვრისას, მაგალითად ძირითადი ან ყველაზე მკაცრი მყიდველების მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელია ხშირი უარის თავიდან აცილება. ამის გაკეთება ნებისმიერს შეუძლია, მაგრამ უფრო დიდი მასშტაბები, როგორცაა ეროვნული დონე, ყველაზე გონივრული ჩანს (მაგალითად ისრაელი).

» შეფუთვა: ცოცხალ მწვანილს ესაჭიროება დამცავი შეფუთვა იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ხარისხი და იყოს ქორფა. შეფუთვა განსხვავდება ღირებულებათა ჯაჭვის ეტაპების მიხედვით და ჩვეულებრივ გამოიყურება შემდეგნაირად: მუყაოს ყუთები პლასტმასის საფენით, პოლიეთილენის ან პოლიპროპილენის ტომრები გამოიყენება „გაგზავნა ხელახლა შესაფუთად“ და „საბითუმო“, რომელთა წონა არის 1-3 კგ და 0.05-1 კგ, შესაბამისად. რაც შეეხება „საცალო ვაჭრობას“, გამოიყენება მოსახერხებელი „ფლოუ პარკები“ (გასაბერი პარკები), დალუქული პლასტმასის ყუთები, ხელმეორედ ჰერმეტიზებული ყუთები (კონტეინერები), რომელთა წონა 10-60 გრამია.

ქართულის მწვანილის ღირებულებათა ჯაჭვის რუკა



წარმოება

წარმოებული ჯიშები

საქართველოს აქვს სხვადასხვა სახის მწვანილის მოყვანის უძველესი ტრადიცია (25-ზე მეტი სახეობა). კამა, ქინძი და ოხრახუმი მწვანილის სამი ძირითადი სახეობაა. ასევე ხშირად წარმოებულ მწვანილის რიცხვს მიეკუთვნება ფოთლოვანი ნიახური (*Apium graveolens* var. *secalinum* Alef.), წინმატი (*Lepidium sativum*) და იისფერი რეჰანი (*Ocimum basilicum*, cultivar *Osmin Purple*). ზოგიერთმა მწარმოებელმა ბოლო დროს დაიწყო ახალი სახეობების კულტივირება (საქართველოში აქამდე უცნობი სახეობები) როგორცაა, რუკოლა, რეჰანი (მწვანე) და როზმარინი.

წარმოების სეზონი

მწვანილის წარმოების ძირითადი სეზონი (სათბურებში) ნოემბრიდან მაისამდეა. ქინძი და ოხრახუმი (მაგრამ არა კამა) ასევე შეიძლება გაიზარდოს ღია ცის ქვეშ აპრილის ბოლოდან. ზაფხულში, მწვანილი იწარმოება ადგილობრივი ბაზრებისთვის (ზაფხულის თვეებში არ ხდება ექსპორტი) (ინტერვიუები).

წარმოების რეგიონები

» მთავარი მწარმოებელი რეგიონი არის იმერეთი, რომლის საშუალო წილი 2016-2019 წლებში შეადგენდა 63%-ს (საქსტატი 2021). განსაკუთრებით ცნობილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შედარებით მოკლე ზამთრით, ცხელი ზაფხულით და საშუალო წლიური ტემპერატურით 15°C). მუნიციპალიტეტში მუშაობს დაახლოებით 12,000 სათბური (GIDG 2015; CZU, PIN and AYESG 2015). რესპოდენტების თანახმად, ამჟამად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მწვანილი მოჰყავთ დაახლოებით 1000 ჰა-ზე.

» კიდევ ერთი განვითარებად რეგიონი არის ქვემო ქართლი, რომელიც ქვეყანაში საშუალოდ აწარმოებს მწვანილის 14%-

ს. (საქსტატი 2021). რეგიონში მწვანილის მოსაყვანად განკუთვნილი 477 ჰა-დან, 400 ჰა მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში (ანგულაძე და თელიაშვილი 2018).

მეურნეობის ტიპები და მოსავლიანობა

» მწვანილს ძირითადად აწარმოებენ საოჯახო მეურნეობები, რომლებიც ამუშავებენ დაახლოებით 500მ² პატარა სათბურებს.

» სეზონზე, მწვანილის აღება ხდება 8-10 ჯერ. საქართველოში მოსავალს იღებენ მხოლოდ ხელით. რესპოდენტების თანახმად, სამუშაო ძალის არსებობა არ წარმოადგენს პრობლემას.

» მწვანილის საშუალო მოსავლიანობა არის 15-20ტ/ჰა (ინტერვიუები)

» შეუფერებელი სასოფლო-სამეურნეო მეთოდების, კლიმატური პირობების და დაავადებების გამო იკარგება წარმოებული საკვების დაახლოებით 15%-ი. ფერმერები განიცდიან დამატებით დანაკარგებს იმ წლების განმავლობაში, როდესაც ბაზარზე პროდუქტის ჭარბი მოთხოვნაა (მაგალითად, 2017-2018 წლები) (ანგულაძე და თელიაშვილი 2018).

დიდი მწარმოებლები

» არსებობს ერთი მსხვილი მწარმოებელი - შპს „ჭერბია“ (დაარსდა 2006 წელს), რომელსაც დასაქმებული ჰყავს დაახლოებით 150 ადამიანი და ამუშავებს დაახლოებით 25 ჰა სათბურებს. „ჭერბიას“ აქვს მწვანილის სრულად ინტეგრირებული ღირებულებათა ჯაჭვი (საკუთარი წარმოება, შეგროვება, დახარისხება, შეფუთვა და ტრანსპორტირება) და ამარაგებს ადგილობრივ სუპერმარკეტებს (პროდუქციის 95%) და საექსპორტო ბაზრებს (5%). საკუთარი წარმოების გარდა, კომპანია მწვანილს ყიდულობს ადგილობრივი მწარმოებლებისგან (დაახლოებით 100 მწარმოებელი) კონტრაქტის პირობების შესაბამისად (მაგ. რაოდენობა განსაზღვრულია, მაგრამ

ფასები იცვლება ბაზრიდან გამომდინარე; 1კგ. მწვანილზე „ჰერბია“ სთავაზობს 0.50-1.0 ლარს, რომელიც ჩვეულებრივ საბაზრო ფასზე მეტია). „ჰერბია“ არის მწვანილის ერთადერთი მწარმოებელი კომპანია საქართველოში, რომელსაც აქვს Global G.A.P. სერტიფიკატი (მიიღო 2009 წელს) (ინტერვიუები).

» არსებობს რამდენიმე ახლად შექმნილი კოოპერატივი, რომელშიც შედის „იმერული ბოსტნეული“ (17 წევრი, რომელთაც შეუძლიათ 100 ტონამდე მწვანილის წარმოება სეზონზე (ინტერვიუები)), „გეგუთი“ და „დოვლათი“.

» **“Imereti Greenery”** (მაღალტექნოლოგიური ჰიდროფონული სადგური, რომელიც წელიწადში აწარმოებს მილიონზე მეტ სალათის ფოთოლს) და შპს “Smart Logistics” (სალათის მსხვილი მწარმოებელი), რომელიც ასევე ფლობს GLOBAL G.A.P. სერტიფიკატს, მაგრამ არ აწარმოებს კულინარიული დანიშნულების მქონე მცენარეებს.

საბითუმო ბაზრები

» იმერეთში წარმოებული მწვანილი მიაქვთ ქუთაისის საბითუმო ბაზარზე (ბაზარი „ნიკეა“). იქიდან კი მწვანილის ტრანსპორტირება ხდება საქართველოს სხვა საბითუმო ბაზრებზე. (მაგალითად, თბილისი, გორი, ბათუმი) (ინტერვიუები)

» ქვემო ქართლში წარმოებული მწვანილი მიეწოდება ადგილობრივ საბითუმო ბაზრებს, ასევე თბილისს. (ინტერვიუები)

შიდა საცალო ვაჭრობა

» მწვანილი არის ქართული სამზარეულოს მნიშვნელოვანი ინგრედიენტი. საქართველოში, ერთ სულ მოსახლეზე მწვანილის მოხმარების შესახებ სტატისტიკა არ არსებობს; ერთადერთი ხელმისაწვდომი კატეგორია არის ბოსტნეულის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ავლენს სუსტად კლებად ტენდენციას (საქსტატი 2021).

» ადგილობრივი წარმოება თვარავს შიდა

მოთხოვნის თითქმის 100%-ს (CZU, PIN და AYESG 2015; საქსტატი 2021). იმპორტის მცირე რაოდენობა მოიცავს სპეციფიურ მწვანილს, რომელსაც იყენებენ ხმელთაშუა ზღვისა და აზიის სამზარეულოში, და რომელზე მოთხოვნაც არის რესტორნების და მსხვილი სუპერმარკეტების მხრიდან (ინტერვიუები).

» მწვანილი იყიდება ადგილობრივ ბაზრებზე (ღია ბაზრები), ხილისა და ბოსტნეულის პატარა მაღაზიებში ან სუპერმარკეტის ქსელებში (კარფური, გუდვილი, სპარი, ფრესკო, ნიკორა, ორი ნაბიჯი, მაგნიტი, ზლაპარი).

» მწვანილის ფასები განსხვავდება რეგიონების მიხედვით, ყველაზე მაღალია თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებლების და ბითუმად მოვაჭრეების ფასები განსხვავდება სახეობებიდან გამომდინარე, საცალო ვაჭრობის ფასები ერთნაირია მწვანილის ყველა ძირითადი კატეგორიისთვის. საცალო მოვაჭრეების საშუალო ფასნამატი დაახლოებით 30%-ია (CZU, PIN და AYESG 2015).

გადამამუშავებლები

» საქართველოში წარმოებული მწვანილის უმეტესობა არ მუშავდება. დაზიანებული და დამჭკნარი მწვანილის დახარისხება ხდება მწარმოებლების მიერ. (ანგულაძე და თელიაშვილი 2018).

» “ჰერბია“ არის მწვანილის მწარმოებელი ერთადერთი კომპანია საქართველოში. კომპანიამ ცოტა ხნის წინ დაიწყო მცენარეული სოუსებისა და მარინადების წარმოება, რომელიც აერთიანებს როგორც იტალიურ, ასევე ქართულ რეცეპტებს. ახალ პროდუქტებს შორისაა კამის სოუსი, წითელი აჯიკა, მწვანე აჯიკა, რეჰანის პესტო და ოხრახუმის პესტო (EastFruit 2020c).

» მიუხედავად იმისა, რომ ხმელი მცენარეები (სანელებლები) ინარჩუნებენ საქართველოში, ისინი ძირითადად მზადდება სხვა მცენარეებისგან (ხშირად ველური) და არა ძირითადად წარმოებული მცენარეებისგან (კამა, ოხრახუმი და ქინძი). სანელებლების მწარმოებელ სხვა კომპანიებს შორის არიან

„სუნელის სახლი“, ჯეო“, „მარნეულის სასურსათო ქარხანა“, „სუნელი“, „ოჯახური“, შპს „Georgian Herbs“ და „[Waime Spices](#)“.

სპეციალიზებული შემფუთვლები, მოვაჭრეები, ექსპორტიორები

შეფუთვა

» არ არსებობს სერვისის სპეციალიზებული მომწოდებლები, როგორცაა დასუფთავება, დახარისხება, კლასიფიცირება ან შეფუთვა.

» მწარმოებლები მწვანილს ამზადებენ ან ადგილობრივი ბაზრებისთვის (იფუთება კონებად და იკვრება რეზინით) ან ექსპორტისთვის (იფუთება 30კგ ტევადობის მუყაოს კოლოფებში). უკანასკნელის შეფუთვის ღირებულება შეადგენს 10 ლარს, ყოველ 30კგ-იან მუყაოს კოლოფზე (ანგულაძე და თელიაშვილი 2018).

» „ჭერბიას“ მართავს მწვანილის რამდენიმე დასახარისხებელ და შესაფუთ ცენტრს. მწვანილი იკვრება ან 50-80-100გ კონებად (იღება 1-1.3კგ მუყაოს კოლოფებში) ან 150-300გ კონებად (იღება 23-30კგ მუყაოს კოლოფებში). ტრანსპორტირების დროს ხარისხის შესანარჩუნებლად გამოიყენება ცინულის აგურები (GIDG 2015).

» „Spar“ ჯგუფმა საქართველოში ცოტა ხნის წინ შეიმუშავა «Lileo» - ეს არის ბრენდი, რომელიც ფუთავს მწვანილს ადგილობრივ სუპერმარკეტებში გასაყიდად. ისინი ძირითადად ყიდულობენ მწვანილს თბილისის ადგილობრივ ღია ბაზრებში (ინტერვიუები).

» ბითუმად მოვაჭრეები, ექსპორტიორები

» რესპოდენტების თანახმად, იმერეთში არის 10-15 ექსპორტიორი (ადგილობრივი შუამავლები), რომლებიც ახდენენ მწვანილის საექსპორტოდ მომზადებას (შეგროვება, შეფუთვა და შენახვა) და ტრანსპორტირებას.

» ზოგიერთი ექსპორტიორი ფლობს სამაცივრე საწყობებს. სხვები იყენებენ სამაცივრე კონტეინერებს არამართო ტრანსპორტირებისთვის, არამედ მწვანილების შესანახად (ანგულაძე და თელიაშვილი 2018).

» სახმელეთო გზით ქართული მწვანილის სხვადასხვა ქვეყნებში ტრანსპორტირებას სჭირდება 3-დან 7 დღემდე. სატვირთო რეფრიჟერატორებით ტრანსპორტირება მოლდოვაში ღირს დაახლოებით 700 აშშ დოლარი/ტონაზე და რუმინეთში დაახლოებით 1000 აშშ დოლარი/ტონაზე (ანგულაძე და თელიაშვილი 2018). უკრაინაში ექსპორტის ღირებულება (სახმელეთო) შეადგენს 1500 აშშ დოლარს / ტონაზე. საჰაერო გზით მწვანილის ექსპორტის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 2500 აშშ დოლარს/ტონაზე.(GIDG 2015).

რესურსების მომწოდებლები და ალჭურვილობა

მწვანილის წარმოებაში გამოიყენება შემდეგი ძირითადი რესურსები: თესლები, პესტიციდები, სათბურისთვის განკუთვნილი სასუქები და ირიგაცია.

რესურსების მომწოდებლები და ალჭურვილობა

მწვანილის წარმოებაში გამოიყენება შემდეგი ძირითადი რესურსები: თესლები, პესტიციდები, სათბურისთვის განკუთვნილი სასუქები და ირიგაცია.

თესლი

» თესლის იმპორტირება ხდება უკრაინიდან, რუსეთიდან, შვეიცარიიდან, იტალიიდან და ნიდერლანდებიდან. შემოტანილი თესლის ძირითადი ბრენდებია „Zaden“ და “Braker’s Brothers” ” (CZU, PIN და AYEG 2015; ანგულაძე და თელიაშვილი 2018). იმერეთში მწვანილის მწარმოებლებისთვის მიყიდულ თესლს ჩვეულებრივ იძენენ თბილისის აგრომაღაზიებში (CZU, PIN და AYEG 2015).

» ზოგიერთი ფერმერი იყენებს საკუთარი წარმოების თესლს. გარდა ამისა, მცირე ფერმერების მიერ შეძენილი თესლი უმეტესად არის დაბალი ხარისხის და ნაკლებ პროდუქტიული (CZU, PIN და AYEG 2015). თესლის ხარისხში სხვაობა ასევე აისახება

» ფასებზე, დაწყებული 15 ლარიდან/კგ - 350 ლარამდე/კგ (ანგულაძე და თელიაშვილი 2018).

» „ჰერბია“ ძირითადად იყენებს “ENZA Seeds”-ის თესლს (ინტერვიუები)

მცენარეთა დაცვა

რაც შეეხება პესტიციდებს და ჰერბიციდებს, ძირითადად გამოიყენება შემდეგი პროდუქტები: Ridomin Gold (პესტიციდი, შვეიცარია), “Corz Super” (პესტიციდი, ბულგარეთი), “Prome Gold” (ჰერბიციდი, ბულგარეთი) და “Shock” (ჰერბიციდი, ჩინეთი) (CZU, PIN და AYEG 2015).

სასუქები

ფერმერების უმეტესობა იყენებს ადგილობრივი წარმოების ორგანულ სასუქებს (ინტერვიუები)

სათბურები

» ძირითადად არსებობს დაბალი და მაღალი სათბურები (CZU, PIN და AYEG 2015)

» სათბურები ჩვეულებრივ მზადდება პოლიეთილენისაგან(შუშის სათბურები ძალიან იშვიათია)

» სათბური შესაძლოა არ საჭიროებდეს დამატებით გათბობას და იყოს დაბალტექნოლოგიური (სადაცარ ხდება ვენტილაცია, ტემპერატურის კონტროლი და არ არის უზრუნველყოფილი სადრენაჟო სისტემა) (CZU, PIN და AYEG 2015).

» დამატებითი გათბობის საჭიროების არ არსებობის და ამგვარი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, სათბურის საინვესტიციო ხარჯი მნიშვნელოვნად განსხვავდება; 15 აშშ დოლარი/მ2 და 60 აშშ დოლარი/მ2 გ, შესაბამისად (ანგულაძე და თელიაშვილი 2018).

ირიგაციის სისტემები

მწარმოებლების უმეტესობას არ აქვს

დამონტაჟებული სპეციალური ირიგაციის სისტემები და მცენარეებს ხელით რწყავენ. გენერატორები გამოიყენება მიწიდან და სარწყავი ტემებიდან წყლის ამოსატუმბად. მხოლოდ რამდენიმე მწარმოებელი იყენებს წვეთოვან სარწყავ სისტემას. ზამთრის თვეებში, მწვანილი ირწყვება მხოლოდ თვეში ერთხელ ან ორჯერ (ანგულაძე და თელიაშვილი 2018).

ასოციაციები

საქართველოს მწვანილის მწარმოებელთა ასოციაცია, საქართველოს თესლის მწარმოებელთა და სანერგე მეურნეობების ასოციაცია (GEOSSA), საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA), ელკანა (ორგანული წარმოების შემთხვევაში), საქართველოს შესაფუთი მასალების მწარმოებელთა ასოციაცია (PMAG). დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ნაწილი 5.4. იმერეთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატა არის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ნაწილი (GCCCI). GCCCI ეხმარება ქართველ მწარმოებებს საექსპორტო ბაზრების შესწავლაში და საზღვარგარეთ ბიზნეს პარტნიორების მოძიებაში.

ლოგისტიკა

» არ არსებობს მწვანილის გადამზიდიდა სასაწყობე სპეციალური კომპანიები.

» მწარმოებლების უმეტესობა მწვანილს ყიდის მოსავლის აღებისთანავე (მოსავლის აღება ჩვეულებრივ იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შუამავალი შეუკვეთავს მწვანილის გარკვეულ რაოდენობას). მწარმოებლებს, რომლებსაც მწვანილი გააქვთ უცხოეთის ბაზრებზე, მისიშენახვა უწევთ რამდენიმე დღის განმავლობაში. ამისათვის, ძირითადად იყენებენ სახლის სარდაფებს ან რამდენიმე თავისუფალ ოთახს. მხოლოდ რამდენიმე მწარმოებელი იყენებს სამაცივრე საწყობებს, სადაც მწვანილი ინახება -2 °C-ტემპერატურაზე (ანგულაძე და თელიაშვილი 2018; ინტერვიუები). შენახვის რეკომენდებული ტემპერატურაა 0-დან 3°C-მდე და ამას მხოლოდ «ჰერბია» იყენებს. 2016 წელს,

წყალტუბოში ფუნქციონირებდა 8 სამაცივრე საწყობი (რომლის მთლიანი ტევადობა იყო დაახლოებით 900 ტონა). მათი გამოყენების დონე იყო ძალიან დაბალი, 3%-დან 10%-მდე (ანგულაძე და თელიაშვილი 2018).

» ბოსტნეულის ტრანსპორტირება ხორციელდება საგზაო სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით. მიუხედავად იმისა, რომ საჰაერო ტრანსპორტირება ყველგან სწრაფი ვარიანტია, ის ასევე ძალიან ძვირიცაა. საგზაო ტრანსპორტი (როგორც მაცივრის გარეშე, ასევე მაცივრით) საჰაერო ტრანსპორტზე იაფია, მაგრამ უფრო ნელია (ანგულაძე და თელიაშვილი 2018).

პროექტები

» საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა ორი ახალი სათბურის შექმნას და 34 სათბურის გაფართოებას იმერეთის რეგიონში. საქართველოს მთავრობამ ასევე ფინანსური მხარდაჭერა გაუწია შპს „ჭერბის“ მიერ შექმნილ თანამედროვე სათბურს (MEPA 2019b).

» 2018 წელს, ქუთაისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ქართული მწვანილი“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის კულინარიული დანიშნულების მქონე ცოცხალი მცენარეების ექსპორტის ხელშეწყობა. ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 60-მა ინდუსტრიულმა კომპანიამ, ორგანიზებული იყო EU, EBRD და FAO-ს მიერ EU4Business Initiative-ის ფარგლებში (FAO 2018).

» პროექტი „მცენარეები განვითარების მხარდაჭერისათვის“ (HEGO) მიზნად ისახავს მცენარეთა სექტორის მაჩვენებლების გაუმჯობესებას და მცენარეთა ენდემური სახეობების დაცვას საბერძნეთში, მოლდოვაში, სომხეთში და საქართველოში.

» TBSC-ის სასათბურე კლასტერის დიაგნოსტიკური ჯგუფი ამჟამად მუშაობს იმერეთის რეგიონში სასათბურე კლასტერის კვლევაზე. ეს არის UNIDO-ს მიერ ჩატარებული კვლევის შემდგომი პროექტი, საქართველოში განვითარებადი და პოტენციური წარმოების და აგრობიზნესის კლასტერების რუკაზე დატანის შესახებ. სავარაუდოდ, შედეგები სასათბურე კლასტერთან დაკავშირებით

წარმოდგენილი იქნება 2021 წლის აპრილისთვის (ინტერვიუები).

განათლება, კვლევა და ექსტენცია

» მებოსტნეობის შესახებ კურსი ისწავლება საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრონომიის და აგროტექნოლოგიის პროგრამებში. არ არსებობს სპეციალური ლექცია მცენარეების შესახებ.

» საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრები (ICCs), ექსტენციის სახელმწიფო სერვისის მუნიციპალიტეტის დონეზე;

» 2018 წლის მაისში, EU4Business-ის ინიციატივის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი მცენარეების თანამედროვე წარმოებასა და მარკეტინგზე (FAO 2018).

» MEPA-ს ელექტრონული ბიბლიოთეკა მოიცავს ქართულენოვან პუბლიკაციებს ოხრახუშისა და კამის მოყვანის შესახებ

» ექსპორტის განვითარების ასოციაციის (EDA) მიერ შემუშავებული [Crop2shop ვებ-გვერდი უზრუნველყოფს ინფორმაციას მწვანილის ძირითადი საექსპორტო ბაზრების შესახებ.](#)

» ერთწლიანი კულტურების სადემონსტრაციო ბაზა (წილკანში, მცხეთაში)

ხარისხის ინფრასტრუქტურა

საქართველოში არსებული ხილის და ბოსტნეულის ხარისხის ინფრასტრუქტურა აღწერილია მე-7 თავში. ხარისხის ინფრასტრუქტურაში ჩართული შემდეგი პირები და სამსახურები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არიან მწვანილთან მიმართებით: ქუთაისში (შპს „მიკრობიოლოგი“) და ზუგდიდში (შპს „აგრო ლაბი“) მდებარე ლაბორატორიები ყველაზე ახლოს არიან მწვანილის წარმოების მთავარ რეგიონთან; [ISO CONSULTING LTD](#), [GDCI LTD](#) და ნათელა ხურციძე არის საკონსულტაციო კომპანია, რომელიც კონსულტაციას უწევს მწვანილის მწარმოებლებს სურსათის უვნებლობასა და ხარისხის სტანდარტებთან, ასევე სერტიფიცირებასთან დაკავშირებით.

გამონწვევები:

» პატარა, არასტანდარტული მოცულობა რომელიც დაკავშირებულია (i) მცირე წარმოებასთან; (ii) სოფლის მეურნეობის წარმოების თანამედროვე მეთოდების არარსებობა; და (iii) დაბალი მწარმოებლურობა (ბოლო ათწლეულის განმავლობაში 2-3-ჯერ გაზრდის მიუხედავად (GIDG 2015), ის დაბალი რჩება ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით (ProDoc 2020))

» შეტეროგენული ხარისხი (ინტერვიუები)

» არ შეესაბამება GLOBALG.A.P. სტანდარტს. მცირე მწარმოებლებს არ აქვთ სრტიფიცირებასთან დაკავშირებული თანხების გადახდა: GLOBALG.A.P. სერტიფიცირების ღირებულება არის დაახლოებით 50,000 ევრო (GIDG 2015). ამასთან, წელიწადში დაახლოებით 5000 ევრო უნდა დაიგვემოს შესაბამისი შემონმებისთვის. (ინტერვიუები).

» გრძელ ვადიანი ურთიერთობების არარსებობა ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს შორის; ყველაზე მეტად გავრცელებულია რეალური საქონლის ბაზარზე გარიგებები (CZU, PIN და AYESG 2015)

» – პრაქტიკულად არ ხდება გადამუშავება და, შესაბამისად, დამატებითი ღირებულება მწვანე ღირებულებათა ჯაჭვში ძალიან შეზღუდულია (შეზღუდული მოსავლის აღების შემდგომი დამატებული ღირებულება)

» მოსავლის აღების შემდგომი დამუშავებისთვის საჭირო ობიექტების არარსებობა (შემგროვებელი და შესაფუთი ცენტრები) (CZU, PIN და AYESG 2015)

» ექსპორტიორებსა და მწარმოებლებს / ექსპორტიორებსა და უცხოელ მყიდველებს შორის ხელშეკრულებების არარსებობა (ანგულაძე და თელიაშვილი 2018)

პოტენციალი:

» მსოფლიო და ევროკავშირის ბაზრებზე იზრდება მწვანე მოთხოვნა

» ხარჯთან დაკავშირებული უპირატესობა: ქართველი მწარმოებლების ხარჯებს მნიშვნელოვანად ამცირებს, ის რომ სათბურები არ საჭიროებენ დამატებით გათბობას. იმერეთის მუნიციპალიტეტსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის საშუალო მოსავლიანობის შედარებამ აჩვენა, რომ საქართველოში მოსავლიანობა ჩრდილოეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში სათბურები ძირითადად დამატებით თბება და სანარმოო ხარჯების დიდი წილი გათბობაზე მოდის.. (ანგულაძე და თელიაშვილი 2018).

» ხარისხის უპირატესობა: რესპონდენტები ქართული მცენარეების საერთო ხარისხს აფასებენ (გემოს ჩათვლით) როგორც „კარგი“, რაც უზრუნველყოფს შემდგომ კონკურენტულ უპირატესობას.

» ცოტა ხნის წინ შექმნილი კოოპერატივები, რომლებიც ცდილობენ გაზარდონ მოცულობები და ერთობლივად შეფუთონ მწვანე ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის.

» ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის არსებობა (იმერეთი - რეგიონი სადაც ინარმოება მწვანე)

» ეს სექტორი არის MEPA-ს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება

» სასათბურე კლასტერი იმერეთში - “იმერეთის აგრო ზონა” შეიქმნა საჭირო რაოდენობის მცენარეების მდგრადი მიწოდების მიზნით, ასევე საექსპორტო ბაზრების ხარისხის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად (მათ შორის EU) (FAO 2018, MEPA 2019b)

გამონვევები:

» ექსპორტიორები ძირითადად ორიენტირებულნი არიან დსთ-ს ბაზრებზე

» საქართველოს მწვანილის მწარმოებელთა ასოციაცია განვითარების სანყის ეტაპზეა; ინფორმაციის ან შესაბამის საქმიანობასთან ინტერესის ნაკლებობა (ინტერვიუები)

» მწვანილის შესანახად სარდაფების გამოყენება იწვევს დანაკარგებს, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. ცივი ჯაჭვის საშუალებების გამოყენება (წინასწარ გავრილება, მაცივარში შენახვა, ტრანსპორტირება და დატვირთვა) შეზღუდულია (ინტერვიუები)

» სამაცივრე ტრანსპორტირებას იყენებს რამდენიმე და არა ყველა ექსპორტიორი; ექსპორტიორები ხანდახან იყენებენ ყინულის აგურებს ან საერთოდ არ აცივებენ (ინტერვიუები)

» საჰაერო ტრანსპორტირება მხოლოდ თბილისიდან არის შესაძლებელი (თურქეთის ავიახაზებით სტამბულში ან Cargolux-ით ლუქსემბურგში) (ანგულაძე და თელიაშვილი 2018)

» საქართველოში არ არსებობს კონკრეტული პროექტები ბოსტნეულის წარმოებასთან დაკავშირებით („დანერგე მომავალი“-ს მსგავსი, რომელიც მხარს უჭერს ხილის პლანტაციების განვითარებას საქართველოში)

» ბოსტნეულის შესახებ ყველაზე ბოლო ქართულენოვანი წიგნი, რომელიც ასევე მოიცავს მწვანილის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას, გამოცემულია 1965 წელს და არ არის რეკომენდებული მისი გამოყენება (GIDG 2015)






ხარისხის ინფრასტრუქტურა საქართველოში

ხილის და ბოსტნეულის ახალ ბაზრებზე წვდომისა და კონკურენციის მთავარი ფაქტორი - მაგალითად, ქართული მოცვის ექსპორტი გერმანიაში - არის პროდუქტის ხარისხისა და უვნებლობის, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დემონსტრირება დანიშნულების ბაზრებისათვის. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ხარისხის ინფრასტრუქტურის (QI) სისტემა, განსაკუთრებით კი შესაბამისობის შეფასება, ბაზრის მოთხოვნებთან ადეკვატურობის/ შესაბამისობის დასადასტურებლად.

აღნიშნული თავის მიზანია, საქართველოში ხილსა და ბოსტნეულთან დაკავშირებული ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის უფრო დეტალური განხილვა. იგი აერთიანებს და წარმოაჩენს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ მნიშვნელოვან შეხედულებებს, კერძოდ, როგორცაა შესაბამისი, დაინტერესებული მხარეების, ჯგუფების, ექსპერტებთან ჩატარებული უამრავი ინტერვიუ, სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის კომპეტენტურობა და შესაბამისი ონლაინ რესურსები და პუბლიკაციები (მაგ. UNIDO-ს QI მიდგომა, მსოფლიო ბანკის QIS Diagnostic Toolkit)

სურათი 12: საქართველოს სურსათის უვნებლობის სისტემის ინფოგრაფიკა



საქართველოს ინფრასტრუქტურა, ძირითადი ტექნიკური კომპონენტების სახით, მოიცავს ასპექტებს, რომლებიც დაკავშირებულია მეტროლოგიასთან, სტანდარტიზაციასთან, აკრედიტაციასთან და შესაბამისობის შეფასებასთან (ტესტირება, შემოწმება და სერტიფიცირება). სახელმწიფოს, მხრიდან, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სამინისტროები/ შესაბამისი დეპარტამენტები / სააგენტო, განსაკუთრებით საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM), საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი (GAC) და სურსათის ეროვნული სააგენტო (NFA). გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კერძო სექტორი, დაწყებული შესაბამისობის შეფასების, ტესტირების ლაბორატორიებიდან, დამთავრებული სურსათის უვნებლობის საკონსულტაციო კომპანიებით და სერტიფიცირების ორგანოებით. საქართველოში სურსათის უვნებლობის სისტემასთან დაკავშირებული მიმოხილვა იხილეთ მე-12 სურათზე. სურათი 12: საქართველოს სურსათის უვნებლობის სისტემის ინფოგრაფიკა (წყარო: EPFOUND 2018)

საქართველოში ხარისხის ინფრასტრუქტურის შექმნის ინსტიტუციონალური დეტალების სიღრმისეულად შესწავლამდე აუცილებელია ორი საკითხის გარკვევა: პირველ რიგში, საყურადღებოა შესაბამისობის შეფასება - ეს არის პროცესი, რომელსაც ახორციელებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანო (CAB) იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა წარმოებული პროდუქტი / მომსახურება ღირეფტივებს / სტანდარტებს / ტექნიკურ რეგულაციებს - მაგალითად, ევროკავშირის ღირეფტივას. ეს კეთდება შესაბამისობის სერთიფიკატის გაცემის მიზნით. საქართველოში გაიცემა კვების მრეწველობის შემდეგი სახის სერტიფიკატები: ჰიგიენური,, ვეტერინარული,, ფიტოსანიტარული,, კალიბრირებისა და პროდუქტის წარმოების დამადასტურებელი (EUR1).

» ლაბორატორიები (SST ISO/IEC17025): ტესტირების, საკალიბრო, სამედიცინო (SST ISO15189);

» სერტიფიცირების ორგანოები (SST

ISO/IEC17065): პროდუქტი, პროცესი, მომსახურება; პირები (SST ISO/IEC 17024), აუდიტის და მენეჯმენტის სისტემები (SST ISO/IEC 17021);

» ინსპექტირების ორგანოები (SST ISO/IEC17020): მანქანის დათვალიერება, ლეგალიზებული გასაზომი საშუალებების შემოწმება;

» კვალიფიკაციის შემოწმების პროვაიდერები (ISO 17043);

» სტანდარტებთან შესაბამისი მასალების მასალების მიმწოდებელი (ISO 17034).

მეორე - ინსპექტირება და ბაზრის მეთვალყურეობა წარმოადგენს ოფიციალური კონტროლის სფეროებს, რომელსაც უზრუნველყოფს ეროვნული ხელისუფლება. საქართველოში ეს არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი (MEPA) სურსათის ეროვნული სააგენტო (NFA), რომელიც ახორციელებს ოფიციალურ შემოწმებას და ბაზრის ზედამხედველობას სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარულ სფეროებთან მიმართებაში.

ამ თავში ძირითადი ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილების სახით. მასში მოცემულია ჩამონათვალი და მოკლედ დაახასიათებელი საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეები (QI დაინტერესებული მხარეების აღწერა), ასევე მათი პრობლემები და პოტენციური, რასაც მიყვავართ მნიშვნელოვანი, განხორციელებადი და ეფექტური რეკომენდაციების შემუშავებისკენ (თავი 8). ეს თავი ასევე წარმოადგენს საწყის წერტილს ოთხი შერჩეული კონკრეტული პროდუქტის ღირებულების ჯაჭვის სიღრმისეული ანალიზისთვის. (თავი 6).

საქართველოში QI სისტემის ანალიზი ხდება შემდეგი დაინტერესებული ჯგუფების მიხედვით: ძირითადი სამთავრობო დაწესებულებები (7.1), მხარდამჭერი სამთავრობო დაწესებულებები (7.2), ტესტირების (და დაკალიბრების)

ლაბორატორიები (7.3), სერტიფიცირების ორგანოები და საკონსულტაციო კომპანიები (7.4), ბაზრის ზედამხედველობისა და ინსპექტირების ორგანოები (7.5), საგანმანათლებლო დაწესებულებები (7.6), ხარისხის საექსტენციო სამსახურები (7.7) და

მიკვლევადობის სერვისის პროვაიდერები (7.8). თითოეული წარმოდგენილი დაინტერესებული მხარის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია მე-7 დანართში და Excel-ის ცალკეულ ფაილში.

7.1 ძირითადი სამთავრობო/სახელმწიფო დაწესებულებები

საქართველოში სახელმწიფო დაწესებულებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასუსართო/კვების პროდუქტების სისტემების ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის განსაზღვრაში. აღნიშნული დაწესებულებები მონაწილეობას იღებენ სტრუქტურის შექმნასა და მათ უზრუნველყოფაში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესების მოთხოვნების დაცვას (მაგ. ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემო). უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საქართველოს მოსახლეობას და ადგილობრივი ბაზრის დაცვას. საქართველოს კანონი „კოდექსი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ აერთიანებს ყველა შესაბამის კანონმდებლობას QI სფეროში და ასევე ასახავს ორი ჰორიზონტალური ევროპული დირექტივის მოთხოვნებს, კერძოდ, „პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა“ და დირექტივა „უნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის შესახებ“. 2018 წელს მიღებულ იქნა კოდექსში შესული ცვლილებები, რაც ასევე ითვალისწინებდა ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურებს ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

რაც შეეხება საქართველოში საკვები პროდუქტების ხარისხის ინფრასტრუქტურას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MoESD) და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც მათ დაქვემდებარებაში მყოფი, ხარისხის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული, სპეციალიზირებული ინსტიტუტების განვითარებაში, ასევე

კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებული საერთო პასუხისმგებლობის შესრულებაში (მაგალითად, ხარისხის ეროვნული პოლიტიკა). მათი საქმიანობის სფერო ასევე მოიცავს დაინტერესებული მხარეების კოორდინაციასა და დონორთა საქმიანობას, რისთვისაც, ხშირ შემთხვევაში, იქმნება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოები, საკითხის მნიშვნელობის გაცნობიერების მიზნით. შემდეგ დეტალურადაა აღწერილი სამი ძირითადი სახელმწიფო დაწესებულება, რომელთაგან ორი არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნაწილი, კერძოდ, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM) და საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი (GAC); და ერთი, რომელიც ექვემდებარება MEPA-ს, კერძოდ, სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტო (NFA). ამ ნაწილში არ არის განხილული NAPR, SRCA და RDA, რომლებიც აღწერილია „მხარდაჭერ სამთავრობო დაწესებულებებში“, და არც სახელმწიფო ლაბორატორიები, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია „ლაბორატორიების“ ნაწილში ქვემოთ.

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)

GEOSTM დაარსდა 2005 წელს, როგორც MoESD- ის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ის არის შემდეგი საერთაშორისო / რეგიონალური ორგანიზაციების წევრი: ISO, CEN / CENELEC, ETSI, BIPM, OIML და CO-OMET.

სტანდარტიზაცია: არსებობს 8 ტექნიკური კომიტეტი (TC), რომლებიც შეიმუშავენ და ამტკიცებენ სტანდარტებს ქართული კონტექსტისთვის. TC 3 საკვებსა და კვების პროდუქტების თვალსაზრისით ყველაზე მეტად შეესაბამება F&V- ს. 2020 წელს საქართველოს სტანდარტების ბაზა შედგებოდა 18'476 სტანდარტისგან, რომელთაგან 6'807 არის ISO / IEC და 11'669 არის EN (CEN / CENELEC) სტანდარტები, რომლებიც მიღებულია როგორც ქართული სტანდარტები, ჰარმონიზებული სტანდარტების ჩათვლით, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია DCFTA TBT საკანონმდებლო დაახლოების პროცესის განხორციელებისთვის. 2020 წლის მონაცემებით, 152 სტანდარტი სრულად ითარგმნა, ხოლო დანარჩენის მიღება მოხდა თავფურცელის თარგმანით. მ

მეტროლოგია: GEOSTM-ის მეტროლოგიის განყოფილება მუშაობს ISO / IEC 17025: 2017 სტანდარტების შესაბამისად (ალიარებულია რეგიონალური მეტროლოგიური ორგანიზაციის COOMET-ის მიერ). ამჟამად 62 საერთაშორისოდ ალიარებულ კალიბრაციის და გაზომვის შესაძლებლობებს (CMC) ტემპერატურის, ტენიანობის, მასის, წნევის, მცირე მოცულობის, სიგრძის, იონიზირებადი გამოსხივების და ელექტრული გაზომვების სფეროში. ლაბორატორიები ასევე უზრუნველყოფილი არიან

გამონწვევები

- » მომსახურების ნაკლებობა რეგიონებში
- » სამუშაო ადგილზე პრაქტიკული ტრენინგების სარასაკმარისი რაოდენობა ISO 17034-ს დანერგვისთვის
- » დაინტერესებულ მხარეების არასაკმარისი ინფორმირებულობა GEOSTM- ის მომსახურებისა და საქმიანობის შესახებ
- » ტექნიკური უნარ-ჩვევების მქონე და უცხო ენების მცოდნე ახალგაზრდა კადრების არარსებობა
- » თანხების ნაკლებობა ყველა დოკუმენტის ქართულ ენაზე თარგმნისთვის (წელიწადში 20 დოკუმენტი)

პოტენციალი

- » ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ყველა შესაბამის ასპექტს
- » GEOSTM-ს გააჩნია კარგი კავშირი ყველა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციასთან
- » საერთაშორისო ალიარების მიღების პოტენციალის მქონე CMC-ების რაოდენობის გაზრდა, (ამას მიმატებული 29 - 2020 წელს)
- » CMC- ის გაუმჯობესება ფიზიკური და ქიმიური გაზომვების და სტანდარტული მასალების წარმოების სფეროში
- » საქართველოში (და მის საზღვრებს გარეთ) CAB-თან კარგი ურთიერთობის ქონა, რომლებიც უზრუნველყოფენ CMC მომსახურებას და ტრენინგებს

თერმომეტრიის CMC სისტემით, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. GEOSTM- მა დაინყო ფიზიკური და ქიმიური გაზომვების შემუშავება და სტანდარტული მასალების წარმოება ISO 17034: 2016 შესაბამისად (პერსონალი ამჟამად გადის ტრენინგებს).

საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი (GAC)

საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი დაარსდა 2005 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო დაწესებულების (სსიპ) სახით.

ცენტრი მუშაობს ISO 17011 სტანდარტის მიხედვით და საერთაშორისო სტანდარტების (ISO 17025, ISO 17065, ISO 17020, ISO 17021, etc.) შესაბამისად, ანიჭებს აკრედიტაციას შემდეგ CAB-ებს: საგამოცდო (ტესტირების) და საკალიბრო ლაბორატორიები; ინსპექტირების ორგანოები; პერსონალის სერტიფიცირების ორგანოები; პროდუქტის, პროცესებისა და მომსახურების სერტიფიცირების ორგანოები; პროფესიული ტესტირების (PT) მომწოდებელი ორგანოები; აუდიტისა და მენეჯმენტის სისტემების სერტიფიცირების ორგანოები.

GAC-ს აქვს ორმხრივი შეთანხმებები ევროპულ აკრედიტაციასთან (EA), რაც სარგებლის მომტანია საქართველოს ლაბორატორიებისთვის, ვინაიდან მათი ტესტირების შედეგები შეიძლება აღიარებულ იქნას EA-ს მიერ. აღიარება ჯერჯერობით ვრცელდება პერსონალის სერტიფიცირებაზე, დაკალიბრების, ინსპექტირების ორგანოებზე და სამედიცინო ლაბორატორიებზე. იგი არ ვრცელდება საკვები პროდუქტების ტესტირების ლაბორატორიებზე GOST-ების ფართო გამოყენების გამო.

გამონკვევები

- » EA-ს მიერ აღიარებული საკვები პროდუქტების (ტესტირების
- » ლაბორატორიების ნაკლებობა;
- » აკრედიტაციის სქემის და მენეჯმენტის სისტემაში სერტიფიცირების ორგანოების აკრედიტაციის (ISO 17065) გამოცდილების არარსებობა;
- » თანამედროვე უნარ-ჩვევების და უცხო ენების მცოდნე ახალგაზრდა სპეციალისტების ნაკლებობა;
- » უცხო ენის და თანამედროვე ტექნიკური უნარ-ჩვევების მქონე კვალიფიციური შემფასებლების ნაკლებობა;

პოტენციალი

- » MoESD-ის მხრიდან მხარდაჭერა ინფრასტრუქტურითა და რესურსებით;
- » მიმდინარეობს GAC-ის პერსონალის (წამყვანი და ტექნიკური შემფასებლების) ტრენინგი და ToT
- » GAC მხარს უჭერს ლაბორატორიებს ISO სტანდარტების მიღებაში
- » საკვალიფიკაციო ტესტირების სამსახურების შექმნის ხელშეწყობა
- » სტანდარტული მასალების მომწოდებელი ორგანოების შექმნის მხარდაჭერა

AC EC-თან თანამშრომლობა თანამედროვე მეთოდების შემუშავების, აკრედიტაციის ეროვნული პროცედურების კრიტიკული განხილვისა და განახლებისთვის, ISO 17011 შესაბამისად.

სურსათის ეროვნული სააგენტო (NFA)

სურსათის ეროვნული სააგენტო არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სადაც სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის (ფიტო სანიტარია) განყოფილებები ფუნქციონირებს.

NFA არის ბაზარზე სურსათის უვნებლობის ზედამხედველობის ოფიციალური ორგანო, რომელიც საკვები პროდუქტების მწარმოებელი ოპერატორებისთვის (FBOs) შეიმუშავებს ოფიციალური კონტროლის წლიურ გეგმებს. ის აცხადებს ტენდერებს სახელმწიფო და კერძო ტესტირების ლაბორატორიებიდან ტესტირების მომსახურების შესაძენად, შესაბამისობის შეფასების მიზნებისათვის.

NFA ასევე ამტკიცებს პესტიციდებს (ამუამად 748) და აგრო ქიმიკატებს (ამუამად 1024) და აქვეყნებს დამტკიცებული პროდუქტების ჩამონათვალს.

NFA ამუამად უპირატესობას ანიჭებს მცენარეთა დაცვის სფეროს გაუმჯობესებას.

გამონვევები

- » კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და პერსონალის, განსაკუთრებით კვების ინსპექტორების ხშირი ცვლილება (თბილისის საქალაქო სამსახური);
- » ნიმუშების ასაღები მცირე ზომის მონყობილობის ნაკლებობა;
- » MRL ტესტირებისთვის ლაბორატორიული შესაძლებლობების არარსებობა, და შესაბამისად, ოფიციალური შემოწმებების გადავადება;
- » FBO-ების, განსაკუთრებით ფერმერების (RDA-ს ბენეფიციარები მხოლოდ 2015 წლიდან) ზუსტი სიის არარსებობა, სათანადო ოფიციალური კონტროლისთვის;
- » რეგისტრირებული პესტიციდების / აგროქიმიკატების და MRL-ების არაპრაქტიკული მონაცემთა ბაზები ;
- » NFA არ იღებს მონაწილეობას TRACES-ში;
- » ქართულ ენაზე ტექნიკური ლიტერატურის არარსებობა;
- » შეზღუდული კოორდინაცია სხვა სააგენტოებთან, როგორცაა GeoSTM და GAC

პოტენციალი

- » შესაძლებლობის განვითარებისა და განხორციელების მუდმივი მხარდაჭერა სხვადასხვა დონორებისგან (იხილეთ ნაწილი 5.5.3) – ამუამად განსაკუთრებით მცენარეთა სიჭანსაღესთან დაკავშირებით.

7.2 მხარდამჭერი სამთავრობო დაწესებულებები

საქართველოში არსებობს რამდენიმე სამთავრობო სტრუქტურა, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს სურსათის სექტორს. სამი ყველაზე მნიშვნელოვანი უწყებებია: იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR), სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (SRCA) და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სოფლის განვითარების სააგენტო (RDA). სამეცნიერო კვლევების ჩატარებისა და მთელი რიგი ტექნიკური, ფინანსური და ინსტიტუციური პროგრამების განხორციელებით, SRCA-სა და RDA-ს მიზანია მუშაობა სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული იმ მრავალი გამონვევის წინააღმდეგ, რომელთა შორისაა: მცირე მეურნეობების დიდი რაოდენობა; დაბალი პროდუქტიულობა და სუსტად განვითარებული მიწოდების ჯაჭვი;

თანამშრომლობასთან და ასოციაციებისა და კავშირების შექმნასთან დაკავშირებული სირთულეები; ასევე ფერმერების დაბალი ინფორმირებულობა თანამედროვე მეურნეობის პრაქტიკის, ევროკავშირის მოთხოვნებისა და სურსათის უვნებლობის საკითხებთან დაკავშირებით. NAPR ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მას ევალება საკვები პროდუქტების მწარმოებელი ოპერატორების (FBO) რეგისტრაცია, ფერმერების ჩათვლით. FBO-ს სრული და განახლებული მონაცემთა ბაზის შექმნა, მათ შორის მეურნეობების ყოვლისმომცველ რეგისტრაციას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც სურსათის უვნებლობის შესახებ კანონმდებლობის აღსრულებისა და შემოწმებისათვის, ასევე ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სექტორის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

დაინტერესებული მხარეები	გამონვევები და პოტენციალი
<p>საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR)</p> <p>იუსტიციის სამინისტროს სფეროში შემავალი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფუნქცია არის უძრავი ქონების და ბიზნესის რეგისტრაცია.</p> <p>დაინტერესებული მხარე (სუბიექტი), რომლის საქმიანობა დაკავშირებულია კვების პროდუქტების მიწოდების ჯაჭვთან (de iure), უნდა დარეგისტრირდეს როგორც სურსათის ბიზნეს ოპერატორი დაწარადგინოს ზუსტი ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ. რეგისტრაციის გარეშე განხორციელებულ საქმიანობაზე (de iure) ჯარიმის ოდენობა შეადგენს 500 ლარს. სინამდვილეში, ბევრი FBO რეგისტრირებული არ არის და რეესტრიც არ არის განახლებული. არსებობს დიდი შეუსაბამობა NAPR-ის რეესტრსა და FBO ინსპექტირების NFA-ს სიებს შორის.</p>	<p>გამონვევები</p> <p>» რეგისტრირებული სურსათის ბიზნეს ოპერატორების ზუსტი სიის არარსებობა, თავდაპირველი მწარმოებლების ჩათვლით.</p> <p>პოტენციალი</p> <p>» გარკვეული სახის ძალისხმევა სურსათის ბიზნესოპერატორების, განსაკუთრებით თავდაპირველი მწარმოებლების რეგისტრაციის ხელშესაწყობად.</p>

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (SRCA)

2014 წელს შეიქმნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ცენტრში მოქმედებს ოთხი სამეცნიერო კვლევითი ბაზა (ერთნაწილი კულტურები, ნარგავების ერთნაწილი კულტურები, მრავალნაწილი კულტურები და მეფუტკრეობა), სათბურების ექსპერიმენტული კომპლექსი, სამეცნიერო საბჭო და შვიდი ლაბორატორია (შესაბამისი ლაბორატორიები დეტალურად არის აღწერილი ნაწილში 7.3).

ასევე, SRCA-ს საქმიანობა მოიცავს: ახალი ჯიშების (მათ შორის F&V) შემოწმებას, გასამრავლებელი მასალების ხარისხის უზრუნველყოფას, მავნებლებისა და დაავადებების მონიტორინგს, აღებული მოსავლის შემდგომი დამუშავებისა და გადამუშავების ტექნოლოგიურ გაუმჯობესებას, სურსათის უვნებლობის ხელშეწყობას და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, საკონსულტაციო პროგრამების შემუშავებას, ცოდნის გაზიარებას და დონორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაციას. SRCA-ს ვებ-გვერდზე განთავსებულია შესაბამისი კანონმდებლობა, “აგრო-რჩევები” და პუბლიკაციები.

სოფლის განვითარების სააგენტო (RDA)

RDA ახორციელებს MEPA-ს მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებს (შესაბამისი პროგრამები და პროექტები აღწერილია ნაწილში 5.5.2). ამ პროგრამების უმეტესობის თვარგლებში, RDA ბენეფიციარებისგან ითხოვს იმოქმედონ გარკვეული სტანდარტებთან

გამონვევები

- » თანამედროვე ცოდნის და უნარ-ჩვევების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტებისა და მეცნიერების სიმცირე
- » ICC-ებსა და FBO-ზე შეზღუდული წვდომა

პოტენციალი

- » მაღალკვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტები F&V / მებაღეობის დარგში
- » ხელმისაწვდომია სხვადასხვა F&V ჯიშების ვარგისიანობის დეტალური ანალიზი ადგილობრივი კონტექსტისთვის.
- » მიმდინარე აქტივობები სურსათის უვნებლობასა და ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში, ქსელების შექმნა, კოორდინაცია და ცოდნის გაზიარება
- » FAO-ს მხარდაჭერა თესლის ტესტირების საერთაშორისო ასოციაციასთან (ISTA) ინტეგრაციისთვის

გამონვევები

- » ბენეფიციარის სწავლების მცირე რესურსი
- » მოსავლის აღების შემდგომ დამუშავებაზე შეზღუდული თოკუსირება

შესაბამისად, მაგალითად, როგორცაა დარგვამდე ნიადაგის კვლევის ჩატარება, სერტიფიცირებული გასამრავლებელი მასალის გამოყენება, სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემების დანერგვა და ა.შ. შესაბამისობის შემოწმება ხდება შესაბამისი დოკუმენტების შემოწმების და პერიოდული ვიზიტების საშუალებით. RDA, ასევე ხელმძღვანელობს სახელმწიფო საკონსულტაციო სამსახურს, კერძოდ საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრებს (ICCs), რომელიც განხილულია საკონსულტაციო სამსახურის ნაწილში.

პოტენციალი

- » ძლიერი გავლენა საქართველოს კვების სექტორზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სურსათის უვნებლობის, ჰიგიენის, სოფლის მეურნეობის თანამედროვე მეთოდების და ა.შ. გასაუმჯობესებლად.
- » კარგად შემუშავებული პროგრამები როგორც წესი კარგ შედეგებს აჩვენებს
- » ბენეფიციართა დიდი ქსელი



7.3 ტესტირების და საკალიბრო ლაბორატორიები

ამ ნაწილში დეტალურად არის განხილული საქართველოში არსებული ლაბორატორიების ზოგადი სურათი, რომელიც ეფუძნება აზრს, რომ ეფექტური და მოქმედი ლაბორატორიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებას მოთხოვნების შესაბამისად (როგორც ბაზრის, ასევე მომხმარებლის), წარმოადგენენ მთავარ მნიშვნელოვან კომპონენტს, კარგად ინტეგრირებული სურსათის უვნებლობის ეროვნული სისტემის შესაქმნელად.

საქართველოში არსებული კერძო და სახელმწიფო ლაბორატორიები სხვადასხვა ტიპის მომსახურებებს და ტესტირების ფართო სპექტრს უზრუნველყოფენ. ქვემოთ მოცემულ წყაროებში - : GAC ვებ-გვერდი, UNIDO-ს Lab Net (საქართველოს 13 ტესტირების ლაბორატორიის და 4 ინსპექტირების ორგანოს ჩამონათვალი) და GQSP საქართველოს პროექტის დოკუმენტი განხილულია ლაბორატორიული ლანდშაფტი. GQSP საქართველოს პროექტის დოკუმენტში (2020, დანართი 4) წარმოდგენილია 19 აკრედიტებული CAB-ის ჩამონათვალი, და ხაზგასმულია, რომ ლაბორატორიების უმეტესობას გააჩნია ხარისხის შიდა კონტროლის სისტემა (IQC), ასევე მონაწილეობას იღებენ ხარისხის გარე შეფასების რეგულარულ და ამავდროულად, თითქმის ყველა ტესტირების ლაბორატორია აკრედიტებულია ISO/IEC 17025 სტანდარტის (ibid:14) შესაბამისად. პროექტის დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს მთელ რიგ ძირითად პრობლემებს შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებით საქართველოში. რაც შეეხება ლაბორატორიებს, ზოგადი პრობლემები მოიცავს შემდეგს (ibid: 50ff, პირდაპირი ციტატები):

- » ინფორმაციის ნაკლებობა არსებული შესაბამისი სტანდარტებისა და რეგულაციების (ადგილობრივი და საერთაშორისო), მოთხოვნების შესახებ.
- » სტანდარტებისა და რეგულაციების

მოთხოვნების არა სათანადო გააზრება (მიზეზები: დარგთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხების არცოდნა, ინგლისური ენის არცოდნა, ქართულ ენაზე ცუდად ნათარგმნი ტექნიკური ლიტერატურა და ა.შ.).

» დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა: კერძო სექტორი და სამთავრობო ორგანოები;

» თანამედროვე აღჭურვილობის (მაგ. LC-MS (MS) და GC-MS (MS) და სურსათის უვნებლობის პარამეტრების ტესტირების მეთოდოლოგიის / ტექნოლოგიის ნაკლებობა, მაგალითად F&V ხარისხის ანალიზი.

» საქართველოს ლაბორატორიებში არსებული მონაცემების უმეტესობა მოძველებულია და ვერ უზრუნველყოფს ტესტის საიმედო შედეგებს; (ძალიან ხშირად მონაცემების საერთოდ არ მუშაობს);

» ლაბორატორიების უმეტესობა მუშაობს GOST სტანდარტების შესაბამისად და მისი განახლება უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

» კომპეტენციის ნაკლებობა ხარისხის ტესტირებისთვის / ანალიზისთვის, მაგ. LMR, მძიმე შეტალები, მიკოტოქსინები, გაზომვის შედეგებზე დაკვირვება და მათი საიმედოობა.

» ლაბორატორიული ტექნიკის, აღჭურვილობის, სერვისის ინჟინრების, სახარჯი მასალების, ქიმიური რეაგენტების, სერტიფიცირებული სტანდარტული მასალების (CRM) მომწოდებლების არასაკმარისი რაოდენობა.

» ზოგიერთ დისტრიბუტორს აქვს მონოპოლია ქვეყანაში და ჯანსაღი კონკურენციის არარსებობის გამო, მომსახურება / ხარისხი ძალიან დაბალია.

» უნდა აღინიშნოს, რომ მომწოდებლებთან დაკავშირებული პრობლემის გარდა, სახელმწიფო ლაბორატორიებს აქვთ შესყიდვებთან დაკავშირებული კიდევ ერთი

პრობლემა, რაც გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების წესებით (ლაბორატორიამ უნდა გამოაცხადოს სახელმწიფო ტენდერი, სადაც გამარჯვებული გახდება ის მომწოდებელი, რომელიც შესთავაზებს დაბალ ფასს, ხოლო შეძენილი დაბალი ხარისხის საქონელით ზარალდება ლაბორატორია).

» საკვალიფიკაციო ტესტირების (PT) და ინტერ ლაბორატორიული შედარებების (ILC) მომწოდებელი ორგანოების არარსებობა ქვეყანაში;

» კომპეტენტური ტექნიკური პერსონალის ნაკლებობა. საგანმანათლებლო დანერგვებებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ სასურველი განათლების მქონე კურსდამთავრებულთა საკმარისი რაოდენობა; საქართველოს ლაბორატორიებს ტოვებენ პროფესიონალი კადრები, დაბალი ანაზღაურების გამო.

ზემოთ აღნიშნული საკითხების გარდა, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ტესტირების გარკვეული შესაძლებლობები ნაწილობრივ ან საერთოდ არ არსებობს (მაგ., 600 პესტიციდიდან მხოლოდ 75 – ის ტესტირება, საკვებთან კონტაქტში მყოფი მასალების ტესტირება და ირადიაცია). საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა ლაბორატორიული ინფრასტრუქტურისა და დამაბინძურებლების ტესტირების შესახებ:

ქვემოთ მოცემულია საქართველოში არსებული 20 ლაბორატორიის ჩამონათვალი და დეტალური აღწერა. კვლევითმა ჯგუფმა გადაწყვიტა გაეფართოებინა პროექტის დოკუმენტში წარმოდგენილი ლაბორატორიების შერჩევა რეგიონული კომპონენტის დამატების მიზნით (და გაითვალისწინა უფრო თვალსაჩინო ლაბორატორიები თბილისის გარეთ, რეგიონებში) და აკრედიტაციის სხვადასხვა სფეროები და ტექნიკური შესაძლებლობები. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ორი წამყვანი ლაბორატორია - ერთი სახელმწიფო და ერთი კერძო - კერძოდ, MEPA – ს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

(SLA) და „მულტიტესტი“. ეს არის ორად ორი ლაბორატორია საქართველოში, რომლებსაც ამ ეტაპზე შეუძლიათ MRL პესტიციდების მეტი რაოდენობის ტესტირების ჩატარება და აქვთ შესაძლებლობა გაზარდონ ტესტირების ელემენტების რაოდენობა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, ოთხ ლაბორატორიას, კერძოდ შპს „ნორმას“, გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, შპს „ექსპერტიზა +“ და შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრს“ (ბათუმი) აქვთ ინტერესი და შესაძლებლობა განახორციელონ MRL-ების ტესტირება, რომელიც საჭიროა ხილისა და ბოსტნეულის სექტორისთვის საქართველოში. ამისათვის, საჭირო გახდება მნიშვნელოვანი ინვესტიციები აღჭურვილობაში. ასევე, ჩამოთვლილია აკრედიტაციის არ მქონე სამი ლაბორატორია: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შპს პერის ლაბორატორიას არ აქვს აკრედიტაცია, ის სთავაზობს ნიადაგის კომპლექსურ ტესტებს, მიღებული შედეგები კი არის საიმედო და საყოველთაოდ აღიარებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ; ზუგდიდში არსებული შპს „აგრო ლაბორატორია“ მომსახურებას უწევს ქვეყნის დასავლეთი ნაწილისა და კონფლიქტის ზონის საზღვრისპირა რეგიონების ფერმერებს; და პროფესორ ივანე სარიშვილის სახელობის ნიადაგის კვლევის ლაბორატორია, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ნიადაგის შემოწმება და გასცეს რეკომენდაციები ნიადაგის მდგრად მართვასთან დაკავშირებით. ერთი კერძო კარიბრიერების ლაბორატორია დაემატა, როგორც ფერმერებისთვის და მწარმოებლებისთვის მნიშვნელოვანი მომსახურების მომწოდებელი.. გარდა ამისა, არსებობენ ლაბორატორიები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ნედლეულის მწარმოებლებს სარწყავი და სასმელი წყლის და ნიადაგის ტესტირების მიმართულებით. შპს „SGS“ ნახსენებია სერტიფიკირების ორგანოების და საკონსულტაციო კომპანიების» ნაწილში, რადგან ჩვენი კვლევის ფარგლებში ის უზრუნველყოფს მენეჯმენტის სისტემების სერტიფიკირებას, თუმცა მნიშვნელოვანია

გამოვყოთ მისი ლაბორატორია, რომელიც სერტიფიცირებულია ISO 9001, 2015 – ის შესაბამისად და აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია ISO 17025 ნავთობის, გაზისა და ქიმიკატების ტესტირებისთვის.

ამ ნაწილის ძირითადი ცხრილი წარმოდგენს ცალკეული ლაბორატორიების მოკლე აღწერა, ასევე მათ კონკრეტულ პრობლემებს -

და, ამგვარად, სცილდება საპროექტო დოკუმენტებში ჩამოთვლილ უფრო ზოგად პრობლემებს. პრობლემების გარდა, ცხრილში წარმოდგენილია ცალკეული ლაბორატორიების კონკრეტული შესაძლებლობები რათა, რომ არ გამოგვრჩეს ის პოტენციური წვლილი, რომლის შეტანაც შეუძლიათ კონკრეტულ დაინტერესებულ მხარეებს ხარისხის ინფრასტრუქტურის მთლიანი სისტემის გაუმჯობესებაში.

დაინტერესებული მხარეები	გამონვევები და პოტენციალი
<p>სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (SLA)</p> <p>სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მმართველობის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. არსებობს ერთი სათაო ოფისი თბილისში და 12 რეგიონული ლაბორატორია.</p> <p>სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია უზრუნველყოფს მთელ რიგ ლაბორატორიულ კვლევებს როგორც ცხოველთა და მცენარეთა სიჯანსაღის, ასევე საკვები პროდუქტებისა და ცხოველთა საკვების სფეროში.</p> <p>ლაბორატორიის საქმიანობის სფერო მოიცავს ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების ლაბორატორიულ დიაგნოსტიკას, კონტროლსა და მართვას. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ხელს უწყობს დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების, ლაბორატორიული აღჭურვილობისა და დიაგნოსტიკური ინსტრუმენტების აპრობაციასა და დანერგვას. მას ასევე შეუძლია უზრუნველყოს მწარმოებლები / ფერმერები ნიმუშების შეგროვებასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებით. საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი</p>	<p>გამონვევები</p> <ul style="list-style-type: none"> » პერსონალის დროის და შესაძლებლობების ნაკლებობა, საჭირო რაოდენობის კვლევების ჩასატარებლად; » ენის და ტექნიკური ცოდნის ნაკლებობა საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების დასანერგად; » ვალიდური საერთაშორისო მეთოდების არარსებობა; » რეგიონალური ფილიალების ნაკლებობა, რადგან მწარმოებლები / ფერმერები ამჯობინებენ ნიმუშების უშუალოდ სათაო ოფისში მიტანას; » აღჭურვილობის ტექნომსახურებისთვის ტექნიკური ცოდნის ნაკლებობა. <p>პოტენციალი</p> <ol style="list-style-type: none"> 8 SLA უზრუნველყოფილია კარგი ტექნიკური აღჭურვილობით; 9 SLA უზრუნველყოფს ლაბორატორიის პერსონალს ტრენინგებით სხვა ლაბორატორიებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით, განსაკუთრებით რეგიონებში; 10 საერთაშორისო დონეზე აღიარებული, შემონეშებული მეთოდების

ხელმისაწვდომია [GAC-ზე](#).

ლაბორატორია აღჭურვილია GC/MS, GC/MS/MS, LC/MS/MS, GC და HPLC-ით.

ხილისა და ბოსტნეულის ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევა:

» პესტიციდების MRL: ამჟამად შესაძლებელია 55 პესტიციდის ნარჩენების გაზომვა AOAC 2007.01, EN 15662: 2008 მეთოდების გამოყენებით.

» მძიმე მეტალები: EN 13804:2003, EN 13805:2003, Agilent რეკომენდაციები და GFAAS.

» აფლატოქსინი B1 და B1 + B2 + G1 + G2 ჯამი იზომება LVS EN 14123 მეთოდის გამოყენებით.

» აფლატოქსინი B, G1 და ოქრატოქსინი A იზომება Randox Evidence Investigator-ის რეკომენდაციების შესაბამისად, რომელიც არ არის შემოწმებული.

» პატულინი: არ არის ხელმისაწვდომი.

» GMO: ტესტები ხელმისაწვდომია ISO მეთოდების შესაბამისად

ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოში SLA-ის საცნობარო ლაბორატორიად ჩამოყალიბება, რომელსაც ასევე მხარს დაუჭერენსაერთაშორისო პროექტები.

დანერგვა ტესტების მოცულობის გაზრდის მიზნით;

11 დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა ტესტირების ახალი მეთოდების დროულად დანერგვის მიზნით, ახალი კანონმდებლობის შესაბამისად;

12 ლაბორატორიას აქვს რეგიონული ოფისები (რომელთა გამოყენება უფრო ინტენსიურად შეიძლება).

შპს „მულტიტესტი“

„მულტიტესტი“ არის კერძო აკრედიტებული ლაბორატორია, რომელსაც შეუძლია დიდი რაოდენობით ტესტების ჩატარება; ისითვლება წამყვან კერძო ლაბორატორიად საქართველოში. საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია [GAC-ზე](#).

გამონვევები

» სირთულეები აღჭურვილობის ტექნოლოგიების დაკავშირებით, ტესტირებაზე მოთხოვნის ნაკლებობის გამო;

» ISO სტანდარტების და საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების დანერგვის ნაკლებობა.

ლაბორატორია აღჭურვილია GC, GC/MS და 2 HPLC.

F&V-ის ყველაზე მნიშვნელოვანი ტესტირება :

» პესტიციდები MRL: ამჟამად შესაძლებელია 75 პესტიციდის ნარჩენების გაზომვა AOAC 2007.01 მეთოდის და შიდა მეთოდების გამოყენებით.

» მძიმე მეტალები: გამოიყენება GOST და სახელმძღვანელოები, რომლებიც არ არის აღიარებული საერთაშორისო დონეზე.

» აფლატოქსინი: აფლატოქსინი B1 + B2 + G1 + G2 იზომება AFLA 0412 მეთოდით, ხოლო და აფლატოქსინი B1 – GOST-ის მიხედვით.

» ოქრატოქსინი A-ს ანალიზი ხილთან მიმართებაში ხორციელდება OIV-MA-AS315-10 OTAW0218 დადასტურებული მეთოდის გამოყენებით.

» პატულინი: პატულინის ანალიზი გადამუშავებულ ხილთან მიმართებაში ხორციელდება SST ISO 8128-1: 2008 მეთოდის გამოყენებით;

» GMO: არა არის მონაცემები

პოტენციალი

» წამყვანი კერძო ლაბორატორია საქართველოში;

» აკრედიტაციასთან დაკავშირებული დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება. .

გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორია, შპს

მრავალწლიანი ისტორიის მქონე აკრედიტებული კერძო ლაბორატორია. ლაბორატორიას გააჩნია აკრედიტაციის დიდი სფერო. საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია [GAC-ზე](#). მას შეუძლია უზრუნველყოს ძალიან ამომწურავი ანალიზი და რეკომენდაციები სასმელი წყლის, სარწყავი სისტემის, ჩამდინარე წყლების შესახებ. ლაბორატორია ატარებს F&V-ის და მათი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის ანალიზს.

გამონვევები

» თანამედროვე აღჭურვილობის არარსებობა საერთაშორისოდ აღიარებული ტესტირების მეთოდების დასანერგად.

» უნარებისა და ცოდნის ნაკლებობა თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების უზრუნველყოფისთვის;

» უცხოენებისა და თანამედროვე ტექნიკური უნარების მცოდნე კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა.

ლაბორატორიამ დანერგა ISO მეთოდები მიკრობიოლოგიური ანალიზისთვის. F&V-ის ნიმუშების ასაღებად და ტესტირებისთვის გამოიყენება GOST. ლაბორატორიას შეუძლია უზრუნველყოს რენტგენოლოგიური გამოცდები და ანალიზები, თუმცა მეთოდები არ არის აღიარებული საერთაშორისო დონეზე.

აფლატოქსინების ანალიზი ხორციელდება ELISA ნაკრების და GOST-ს გამოყენებით, ხოლო პატულინის - GOST მეთოდით. მძიმე მეტალები მონზდება წყალში ISO მეთოდების გამოყენებით, ხოლო საკვებ პროდუქტებთან ხოლო ხილის და ბოსტნეულის ღირებულებათა ჯაჭვისთვის გამოიყენება GOST.

ლაბორატორიას აქვს GC/MS და LC/MS, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს პესტიციდების MRL ტესტირებისთვის, მაგრამ ამჟამად მონაცემილობა არ მუშაობს და არ ხდება საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების გამოყენება.

შპს „ნორმა“

აკრედიტებული კერძო ლაბორატორია, რომელიც მუშაობს ხილისა და ბოსტნეულის სფეროში და შეუძლია უზრუნველყოს მძიმე მეტალების, პესტიციდების, აფლატოქსინების და პატულინის ტესტები გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულისთვის, თუმცა ეს ტესტები ხორციელდება GOST-ების ან შიდა მეთოდების გამოყენებით, რომლებიც არ არის საერთაშორისოდ აღიარებული.

ლაბორატორიას არ გააჩნია აღჭურვილობა MRL ანალიზის ჩასატარებლად, თუმცა გეგმაში აქვს მისი შექმნა.

პოტენციალი

» აღჭურვილობის გაუმჯობესება ან შექმნა ახალი ტესტებისა (MRLs) და საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების განსახორციელებლად.

გამონვევები

» თანამედროვე აღჭურვილობის, ტექნოლოგიების და საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების ნაკლებობა.

პოტენციალი

» მეორადი აღჭურვილობის მომწოდებლებთან თანამშრომლობა საჭირო აღჭურვილობის შექმნის მიზნით და ახალი ტესტებისა და მეთოდების დანერგვა.

აგრო ეკოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო დიაგნოსტიკური ლაბორატორია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკრედიტებული ლაბორატორია. საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია GAC -ზე. პირველადი პროდუქციის მწარმოებლებისთვის ლაბორატორიას შეუძლია უზრუნველყოს სასმელი და ზედაპირული წყლის ანალიზი, ნიადაგის ნიმუშის შერჩევა და ტესტირება. ხილისა და ბოსტნეულისთვის ჩატარებული აქვს C ვიტამინის ანალიზი GOST მეთოდის გამოყენებით. ლაბორატორიაში მიმდინარეობს ნიადაგის დაავადებების და ნემატოდების მიკრობიოლოგიურ კვლევებთან დაკავშირებული აკრედიტაციის პროცესი. ძირითადად გამოიყენება GOST მეთოდები და ასევე ზოგიერთი ISOs.

გამონვევები

» აღჭურვილობის ნაკლებობა ახალი ტესტების და ISO სტანდარტების განხორციელებისთვის.

პოტენციალი

» ნიადაგის კვლევის შესაძლებლობის გაუმჯობესება ახალი აღჭურვილობის შეძენის და საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების დანერგვის გზით.

შპს „ხარისხის ლაბორატორია“

აკრედიტებული კერძო ლაბორატორია, რომელიც ატარებს მთელ რიგ კვლევებს. საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია [GAC-ზე](#). ლაბორატორიის თვლილი მდებარეობს ბათუმში.

F&V VC- ებისთვის, ლაბორატორიას შეუძლია უზრუნველყოს: GMO ტესტები ISO მეთოდების გამოყენებით; გლიფოსატის ტესტები; ალერგენებზე ანალიზი ISO მეთოდების გამოყენებით. ოფიციალური კონტროლის არარსებობის გამო (მიდგომის შეცვლა), მოთხოვნა ლაბორატორიულ კვლევებზე არც თუ ისე დიდია; ამიტომ „ხარისხის ლაბორატორია“ უფრო ორიენტირებულია COVID ტესტებზე. ლაბორატორია აკრედიტირებულია მძიმე მეტალების (ტყვიის, კადმიუმის) ტესტირებაზე პლასტმასებში, შეიძლება გამოყენებულ იქნას FCM- სთვის.

გამონვევები

» დაბალი მოთხოვნა ლაბორატორიულ კვლევაზე, რაც ართულებს აპარატურის ტექნომოსახურების უზრუნველყოფას და აკრედიტაციის შენარჩუნებას.

პოტენციალი

» ფართო სპექტრის კვლევების ჩატარებასაერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების და აღჭურვილობის გამოყენებით.

შპს „ღვინის ლაბორატორია“ - თბილისი

ლაბორატორია არის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სფეროში შემავალი აკრედიტებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მისი საქმიანობის სფერო მოიცავს ალკოჰოლური სასმელების ლაბორატორიულ ანალიზს. იგი აღჭურვილია GC და HPLC და მომსახურებას უწევს მთელ რიგ ღვინის მწარმოებლებს. ლაბორატორია არ უწევს მომსახურებას ხილისა და ბოსტნეულის პირველად მწარმოებლებს, თუმცა აქვს პოტენციალი მონაწილეობა მიიღოს ხარისხის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, ჩაატაროს ტრენინგები და გაუზიაროს გამოცდილება.

გამონვევები

» ტექნიკური პერსონალის ნაკლებობა აპარატურის ტექნომსახურებისთვის

პოტენციალი

» ToT ტრენინგებში და კვალიფიკაციის ამაღლების აქტივობებში მონაწილეობა, დაინტერესებული მხარეებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

“Test Lab”

აგრარული უნივერსიტეტის აკრედიტებული კერძო საგამოცდო ლაბორატორია „TestLab“. საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია [GAC-ზე](#).

ლაბორატორია უზრუნველყოფს ანალიზს F&V VCs-თვის: რამდენიმე პესტიციდის MRL GC- ზე GOAT- ის გამოყენებით; ათლატოქსინის B1, B2, G1, G2-ის გაზომვა შესაძლებელია HPLC- ზე ISO მეთოდის გამოყენებით; მძიმე მეტალების ანალიზი AAS-ზე GOST-ის და ინსტრუქციების გამოყენებით.

გამონვევები

» აღიარებული მეთოდების ნაკლებობა.

» პერსონალის კომპეტენტურობის ნაკლებობა, როგორცაა თანამედროვე აპარატურისა და მეთოდოლოგიისთვის საჭირო ტექნიკური უნარების და ენის არცოდნა.

პოტენციალი

» შესაძლებლობების გაზრდა ნარჩენების ანალიზის თვალსაზრისით;

» საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების დანერგვა.

შპს „ექსპერტიზა +“

კერძო აკრედიტებული ლაბორატორია. საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია [GAC-ზე](#).

ლაბორატორია ატარებს ანალიზს ხილის და ბოსტნეულის ღირებულებათა ჯაჭვისთვის, როგორცაა ათლატოქსინი, მძიმე მეტალები, პატულინი - და იყენებს GOST მეთოდებს.

გამონვევები

» ტესტირებაზე მოთხოვნის ნაკლებობა, რაც ართულებს აპარატურის ტექნიკურ მომსახურებას;

» თანამედროვე, საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების და აპარატურის ნაკლებობა;

ლაბორატორია აღჭურვილია GC-ით, რომელიც არის მოძველებული და HPLC, GOSTs-ით. შეუძლია უზრუნველყოს ორგანოქლორინის პესტიციდების ანალიზი ქრომატოგრაფიით, მაგრამ არ იყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ მეთოდებს.

ლაბორატორიის ანალიზის შედეგებს იყენებს „ექსპერტიზა +“ -პროდუქტის სერტიფიცირების ორგანო, რომელიც აღწერილია „სერტიფიცირების ორგანოების“ ნაწილში.

» ქართულ ენაზე თარგმნილი საერთაშორისო სტანდარტების და მეთოდების ნაკლებობა;

» ტექნოლოგიების მომწოდებლების ნაკლებობა, რაც იწვევს აპარატურის შეკეთების შეფერხებას.

პოტენციალი

» შესაძლებლობების გაზრდა ნარჩენების ანალიზის თვალსაზრისით;

» აპარატურის და საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების დანერგვა.

შპს „ეტალონი“

აკრედიტებული კერძო ლაბორატორია. საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია GAC-ზე.

ხილის და ბოსტნეულის ღირებულებათა ჯაჭვისთვის ლაბორატორიას შეუძლია უზრუნველყოს აფლატოქსინების B1, B2, G1, G2, ოქრატოქსინი A, პატულინის, მძიმე მეტალების ტესტები GOST-ის ან შიდა მეთოდების გამოყენებით, რომლებიც არ არის საერთაშორისოდ აღიარებული.

პროდუქტის სერტიფიცირების ორგანო „ეტალონი“ იყენებს ლაბორატორიის ტესტის შედეგებს, რომელიც აღწერილია „სერტიფიცირების ორგანოები“-ს ნაწილში.

გამონწევები

» თანამედროვე აპარატურის ნაკლებობა

» სპეციალური ლაბორატორიული აპარატურის შესაძენად კაპიტალის და მხარდამჭერი პროგრამების ნაკლებობა;

» ქართულ ენაზე საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდების ნაკლებობა;

» თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების პრაქტიკული, ტექნიკური უნარების ნაკლებობა.

პოტენციალი

» საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეთოდებისა და აპარატურის დანერგვა;

» ტოქსინების ტესტირებისთვის ახალი მეთოდების (Eliza) დანერგვა.

შპს „მიკრობიოლოგი“

ქუთაისში მდებარე კერძო, აკრედიტებული ლაბორატორია, რომელსაც გააჩნია სანიტარული შემოწმების მრავალწლიანი ისტორია. საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია [GAC-ზე](#).

გამონწევები

» მოთხოვნის ნაკლებობა განუხორციელებელი ოფიციალური შემოწმების გამო;

» SLA-სთან არაკეთილსინდისიერი კონკურენცია;

ლაბორატორია არის ძალიან მნიშვნელოვანი მომსახურების მომწოდებელი რეგიონულ დონეზე.

ლაბორატორია ორიენტირებულია მიკრობიოლოგიის ტესტებზე, ხოლო რაც შეეხება ხილსა და ბოსტნეულს, VC-ებს შეუძლიათ უზრუნველყონ მზა საკვების, საკვები პროდუქტების და წყლის ანალიზი.

» თანამედროვე მეთოდების ცოდნის და პრაქტიკული უნარების ნაკლებობა.

» კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა, განსაკუთრებით სანიტარული მიკრობიოლოგიის სფეროში;

» PT ტესტების მაღალი ღირებულება;

» შესაძლებლობების განვითარების პროგრამებში მონაწილეობისთვის დონორების მხარდაჭერის ნაკლებობა;

პოტენციალი

» თანამედროვე მეთოდების დანერგვა, პრაქტიკული ტრენინგების ჩატარების შემთხვევაში.

» საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეთოდების გამოყენებით რეგიონალური მომსახურების უზრუნველყოფა.

შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“

ბათუმში მდებარე აკრედიტებული კერძო ლაბორატორია, რომელსაც აქვს აკრედიტაციის ფართო სპექტრი და არის ხარისხის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი წევრი. საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია GAC-ზე.

ლაბორატორიას შეუძლია ხილის და ბოსტნეულის შემდეგი ტესტებით უზრუნველყოფა:

» აფლატოქსინები B1, B2, G1, G2 (ჯამი) ქრომატოგრაფიაზე;

» ლაბორატორიას აქვს ISO მეთოდების შესაბამისი HPCL, GC / MS / MS, GC და ატარებს ჰისტამინის, ფერის განმსაზღვრელ ტესტებს;

» მძიმე მეტალები, პატულინი - GOST;

» ორგანოქლორინის პესტიციდები ქრომატოგრაფიით და ISO მეთოდების გამოყენებით.

გამონვევები

» ტესტირებაზე, აპარატურის ტექნიკურ მომსახურებაზე მოთხოვნის ნაკლებობა;

» რეგიონში საკალიბრო ლაბორატორიის არარსებობა.

პოტენციალი

» ტესტირებისთვის საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეთოდების და აპარატურის დანერგვა.

- » ახორციელებს GMO ტესტირებას
- » მცენარეთა სიჯანსაღის ანალიზი, საკვები პროდუქტების ბაქტერიოლოგიური ანალიზი

ლაბორატორია დაინტერესებულია აპარატურის შეძენით, პესტიციდების MRL-ის სრული ტესტირების ჩასატარებლად.

შპს „გლობალტესტი“

აკრედიტებული კერძო ლაბორატორია, რომელიც უფრო მეტად ორიენტირებულია სამედიცინო ტესტებზე. საქმიანობის სახეობების დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია [GAC-ზე](#).

ლაბორატორია უზრუნველყოფს ანტიბიოტიკების და ორგანოქლორინების პესტიციდების ტესტების ჩატარებას შიდა მეთოდებით.

შპს სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამა“.

აკრედიტებული კერძო ლაბორატორია, რომელიც უფრო მეტად ორიენტირებულია სამედიცინო ტესტებზე. საქმიანობის სახეობების დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია [GAC-ზე](#).

ლაბორატორია უზრუნველყოფს ანტიბიოტიკების და ორგანოქლორინების პესტიციდების ტესტების ჩატარებას შიდა მეთოდებით.

გამონვევები

» აღჭურვილობის ნაკლებობა ახალი ტესტების და ISO სტანდარტების განხორციელებისთვის.

პოტენციალი

» ნიადაგის კვლევის შესაძლებლობის გაუმჯობესება ახალი აღჭურვილობის შეძენის და საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების დანერგვის გზით.

გამონვევები

» საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეთოდების ნაკლებობა

» ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზებისთვის დამხმარე მასალების ნაკლებობა;

» პროფესიულ ტესტირებაში მონაწილეობის მისაღებად თანხების ნაკლებობა;

» თანამედროვე, პორტატული აპარატურის ნაკლებობა დარგობრივი და ლაბორატორიული ტესტებისთვის;

» სტაციონარული კვლევებისთვის გაუმჯობესებული ლაბორატორიული აღჭურვილობის საჭიროება;

» ლაბორატორიის ახალი სავენტილაციო სისტემის საჭიროება;

პოტენციალი

- » ახალი მეთოდებისა და ტესტების დანერგვა;
- » ლაბორატორიული საქმიანობის სფეროს გაზრდა;
- » მეტი მომსახურების უზრუნველყოფა, მაგ. ნიმუშების შეგროვება, პორტატული აღჭურვილობით საველე კვლევების ჩატარება, სწრაფი შედეგების უზრუნველყოფა და კონსულტაციების განწევა.

შპს „დგ კონსალტინგი“

აკრედიტებული კერძო ლაბორატორია, რომელიც ატარებს დეტალურ ანალიზებს და იძლევა რეკომენდაციებს სასმელი, საწარმოო და ჩამდინარე წყლების შესახებ. აგრეთვე, უზრუნველყოფს ნიადაგის ანალიზს.

ეს ტესტები ძალიან მნიშვნელოვანია ხილისა და ბოსტნეულის მწარმოებლებისთვის / ფერმერებისთვის.

საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია [GAC-ზე](#).

გამონწევები

- » პროცესის გასაუმჯობესებლად ლაბორატორიის პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობა;
- » სტანდარტული ნიმუშების ნაკლებობა;
- » ლაბორატორიათა შორის ტესტირებისთვის თანხების ნაკლებობა;
- » ინვენტარის განახლებისთვის თანხების ნაკლებობა;
- » საველე კვლევისთვის საჭირო პორტატული აღჭურვილობის ნაკლებობა.

პოტენციალი

- » ისეთი მომსახურების უზრუნველყოფა, როგორცაა, ნიმუშების შეგროვება, პორტატული აღჭურვილობით საველე კვლევების ჩატარება და სწრაფი შედეგების უზრუნველყოფა და კონსულტაციების განწევა.
- » ახალი ტიპის ტესტების დანერგვა, როგორცაა სათბურის გაზების ანალიზი.

ანასეულში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ა.ბერიძის სახელობის ნიადაგის და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი.

აკრედიტებული კერძო ლაბორატორია. საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია [GAC-ზე](#).

ხილის და ბოსტნეულის ღირებულებათა ჯაჭვისთვის ლაბორატორიას შეუძლია უზრუნველყოს აფლატოქსინების B1, B2, G1, G2, ოქრატოქსინი A, პატულინის, მძიმე მეტალების ტესტები GOST-ის ან შიდა მეთოდების გამოყენებით, რომლებიც არ არის საერთაშორისოდ აღიარებული.

პროდუქტის სერტიფიცირების ორგანო „ეტალონი“ იყენებს ლაბორატორიის ტესტის შედეგებს, რომელიც აღწერილია „სერტიფიცირების ორგანოები“-ს ნაწილში.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, პროფესორ ივანე სარიშვილის სახელობის ნიადაგის კვლევის ლაბორატორია

ლაბორატორია ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში და არ არის აკრედიტებული.

ლაბორატორია ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე და არ უზრუნველყოფს კერძო მომსახურებას. ლაბორატორია წარმოადგენს ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითად დანესებულებას, რომლის საქმიანობის სფერო მოიცავს ნიადაგის ტესტირებას და რეკომენდაციებს ადაპტირებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებისთვის.

გამონვევები

- » თანამედროვე აღჭურვილობის და მეთოდოლოგიების ნაკლებობა;
- » თანამედროვე უნარ-ჩვევების მქონე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.

პოტენციალი

- » თანამედროვე აღჭურვილობის და საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეთოდების დანერგვა;
- » ფერმერებისთვის ნიადაგის მართვის ტრენინგების ჩატარება.

გამონვევები

- » აღჭურვილობის ტექნოლოგიებისთვის ტექნიკური პერსონალის ნაკლებობა.

პოტენციალი

- » სექტორის განვითარებისთვის ძალიან სასარგებლო იქნება ლაბორატორიებს შორის კავშირების დამყარება და თანამშრომლობა.

შპს „აგროლაბი“

ლაბორატორია ჯერ არ არის აკრედიტებული, მაგრამ აქვს საკვები პროდუქტების, წყლის, ნიადაგის ქიმიური ანალიზის ჩატარების შესაძლებლობა.

იგი აღჭურვილია Shimadzu ICPE 9800-ით - ინდუქციური პლაზმის პარალელური მოქმედების ემისიის სპექტრომეტრით.

ლაბორატორია მომსახურებას უწევს ფერმერებს დასავლეთ საქართველოში, სასაზღვრო სოფლებში და აფხაზეთიდან.

გამონვევები

» აკრედიტაციის მიღებისთვის (ISO 17025) მენეჯმენტის სისტემის არარსებობა;

» ახალი მეთოდების დასანერგად კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა.

პოტენციალი

» აკრედიტაციის მისაღებად ISO 17025 მოთხოვნების შესახებ ტრენინგების ჩატარება.

» მცენარეების დაავადებების ანალიზის ჩატარება

შპს „მეტროლოგი“

2001 წლიდან ISO 17025 –ის შესაბამისად აკრედიტებული კერძო, საკალიბრო ლაბორატორია და ISO 17020–ის შესაბამისად აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო. საქმიანობის მოცულობის დეტალური ჩამონათვალი ხელმისაწვდომია [GAC– ზე.](#)

ლაბორატორია უზრუნველყოფს მომსახურებას მრავალი სანარმოსთვის, მწარმოებლისთვის, ფერმერისთვის და CAB-ისთვის.

პორტატული მონაცემების საშუალებით ლაბორატორია უზრუნველყოფს მომსახურებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

გამონვევები

» თანამედროვე აპარატურისა და ახალი ტექნოლოგიების ნაკლებობა;

» საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეთოდების გამოყენების ნაკლებობა;

» კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა.

პოტენციალი

» ახალი, თანამედროვე აღჭურვილობისა და საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეთოდების დანერგვით აკრედიტაციის მოცულობის გაზრდა.

ქიმიური რისკ-ფაქტორების შეფასების ლაბორატორია

ლაბორატორია ფუნქციონირებს საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (NCDC) და წარმოადგენს ევროპის გარემოს და ჯანმრთელობის პროცესის საკოორდინაციო ცენტრს.

გამონვევები

» საერთაშორისო დონეზე აღიარებული დანერგილი ტესტირების მეთოდების ნაკლებობა;

» ISO 17025 -ს მოთხოვნების არცოდნა;

» PT-ში მონაწილეობის არ მიღება.

ინფრასტრუქტურისა და ალტერნატიული წარმოების გაუმჯობესება და შესყიდვა განხორციელდა UNICEF-ის მხარდაჭერით, ამიტომ ლაბორატორია კარგად არის აღჭურვილი ICPMS და GC / LC / MS ტექნიკით. ლაბორატორია ორიენტირებულია ქიმიური დამაბინძურებლების ტესტირების დანყებაზე სხვადასხვა პროდუქტებში, მათ შორის საკვებ პროდუქტებში; პრიორიტეტი ენიჭება ტყვიას.

პოტენციალი

- » ISO 17025-ის დანერგვა და აკრედიტაციის გავლა;
- » საერთაშორისო დონეზე აღიარებული ტესტირების მეთოდების დანერგვა;
- » ტესტირების სპექტრის გაზრდა, პესტიციდების ნარჩენების MRL ტესტირების დანერგვა.


ლაბორატორია ISO 17025-ის დანერგვის პროცესშია და დაგეგმილია აკრედიტაცია.

7.4 სერტიფიცირების ორგანოები და საკონსულტაციო კომპანიები

აკრედიტირებული ISO / IEC 17065-ის შესაბამისად, სერტიფიცირების ორგანოები გასცემენ შესაბამისობის სერთიფიკატებს სხვადასხვა სფეროში, როგორცაა გარემოს მენეჯმენტი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯმენტი, რისკების მენეჯმენტი, სურსათის უვნებლობა და ხარისხის მენეჯმენტი და სხვა. ხილისა და ბოსტნეულის ღირებულების ჯაჭვების ფარგლებში, სახელმწიფო დანესებულებებმა ან მომხმარებლებმა შეიძლება მოითხოვონ სხვადასხვა ტიპის

სერტიფიცირებას სერტიფიცირების სქემა მოცემული ღირებულების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე (იხ. სურათი 2). საქართველოში გაცემული ყველაზე გავრცელებული სერთიფიკატები ეხება სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მენეჯმენტის სისტემებს (ISO 9001, ISO14001, ISO22000), GFSI-ს მიერ აღიარებულ სტანდარტებსა და სერტიფიცირების სქემებს (FSSC 22000, IFS, BRC, GlobalG.A.P + GRASP და ა.შ.) და ორგანული პროდუქტების სერტიფიკაციას.

სურ. 2: VC-ს საშუალებით სტანდარტის დანერგვა



ამუამად საქართველოში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მენეჯმენტის სერტიფიცირებაზე მოთხოვნა F&V სექტორში ძალიან დაბალია. მიუხედავად ამისა, თუ აუცილებელია ყურადღების გადატანა უფრო შემდგარი ბაზრებიდან, როგორცაა რუსეთი, უფრო მაღალი დონის ბაზრებზე, როგორცაა ევროკავშირი, გალფის ქვეყნები და იაპონია, სადაც სერტიფიცირებული პროდუქტები შეადგენენ მნიშვნელოვან წილს, მაშინ ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც არ უნდა იყოს უგულებელყოფილი. ზოგიერთმა ადგილობრივმა კომპანიამ დაიწყო თავისი პორტფელის განვითარება ამ მიმართულებით და ზოგიერთმა საერთაშორისო სერტიფიცირების ორგანიზაციებში შექმნა ადგილობრივი ფილიალი, მაგრამ საქართველოში სერტიფიცირების შესაძლებლობები ჯერ კიდევ ძალიან შეზღუდულია.

ქვემოთ აღწერილია ამ ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეები. არსებობს ერთი ადგილობრივი სერტიფიცირების ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის პროდუქტების სერტიფიცირებას, შპს „კავკასსერტი“, რომელიც აკრედიტირებულია ISO-17065-ის შესაბამისად, გერმანიის აკრედიტაციის ორგანიზაციის DAkkS-ის მიერ. არსებობს

მხოლოდ სამი აკრედიტირებული სერტიფიცირების ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტების სერტიფიცირებას და მხოლოდ ერთ მათგანს, კერძოდ, «Exspertia +» -ს აქვს ხილი და ბოსტნეული აკრედიტაციის ფარგლებში. სამივე სერტიფიცირების ორგანიზაციის აქვს მსგავსი პრობლემები, რადგან ისინი არ იყენებენ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სერტიფიცირების მეთოდებს. ეს ნიშნავს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი სერტიფიკატები არ არის აღიარებული რეგულირებად ბაზრებზე, როგორცაა ევროკავშირი. საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილია შემდეგი საერთაშორისო სერტიფიცირების ორგანიზაციების სერტიფიკატები: SGS, TUV SUD, Lloyds Register, Bureau Veritas და EuroCert. ზოგადად, სერტიფიცირების სწავლა ხდება კერძო საკონსულტაციო ორგანიზაციის საშუალებით, ზოგიერთ მათგანს ქვეყანაში ჰყავს ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც ასევე ჩამოთვლილია ქვემოთ. კერძო საკონსულტაციო კომპანიები ნერგავენ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მენეჯმენტის სისტემებს (საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად), ინვესტენ აუდიტორებს საერთაშორისო სერტიფიცირების ორგანიზაციებიდან.

დაინტერესებული მხარეები	გამონწვევები და პოტენციალი
<p>შპს „კავკასსერტი“</p> <p>შპს „კავკასსერტი“ აკრედიტირებულია ISO-17065-ის შესაბამისად, გერმანიის აკრედიტაციის ორგანიზაციის DAkkS-ის მიერ. ის შეტანილია მესამე ქვეყნის ეკვივალენტი ორგანიზაციის სერტიფიცირების სააგენტოების ჩამონათვალში (EC რეგულაცია 1330/2016). 2021 წლიდან კომპანიას შეუძლია თურქეთში მუშაობა.</p> <p>სერტიფიკატები გაცემულია 126 ინდივიდუალურ მწარმოებელზე / ფერმერზე და 1 ჯგუფზე (524 თხილის მწარმოებელი / ფერმერი).</p>	<p>გამონწვევები</p> <p>სერტიფიცირების ორგანიზაციამ 2024 წლამდე უნდა დანერგოს ევროკავშირის ახალი კანონმდებლობა ორგანიზაციის პროდუქტების ორგანიზაციის წარმოებისა და ეტიკეტირების შესახებ (EU 2018/848).</p> <p>პოტენციალი</p> <p>სერტიფიცირების ორგანიზაციის შეუძლია გააფართოვოს თავისი საქმიანობა თურქეთთან, აზერბაიჯანთან.</p>

პროდუქტების სერტიფიცირების ორგანო შპს „ეჟერტიზა +“

SST ISO/IEC 17065:2012/2014

აკრედიტაციის სფერო : 1. ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები. 2. ჩაი, თაფლი, სანელებლები, აჭიკა. 3. ხილი, ბოსტნეული და მათი პროდუქტები.

გამონწევები

- » მომსახურებაზე მოთხოვნის ნაკლებობა, რაცართულებს აკრედიტაციას;
- » საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის ნაკლებობა;
- » ქართულ ენაზე დოკუმენტების არარსებობა

პოტენციალი

- » საქმიანობის სფეროს გაზრდა
- » ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობის გზით პერსონალის კომპეტენციისა და ცოდნის გაუმჯობესება

პროდუქტის სერტიფიცირების ორგანო ასოციაცია შპს „გამა“

SST ISO/IEC 17065:2012/2014

აკრედიტაციის სფერო: 1. წყლები: მინერალური, ბუნებრივი, წყაროს; 2. სასმელი წყალი, შეფუთული, შეუფთავი და ხელოვნურად მინერალიზირებული; 3. უალკოჰოლო სასმელები

გამონწევები

- » ქართულ ენაზე დოკუმენტების არარსებობა

პოტენციალი

- » ადგილობრივ და საერთაშორისო სემინარებში (ტრენინგებში) მონაწილეობის გზით პერსონალის კომპეტენციისა და ცოდნის გაუმჯობესება

შპს „ესჯის“

„ესჯის-საქართველო“ არის SGS SA-ს ქართული შვილობილი კომპანია, რომელიც დაარსდა 1997 წელს. „ესჯის“ - საქართველო მუშაობს რამდენიმე მიმართულებით, მათ შორისაა „სოფლის მეურნეობა, კვების პროდუქტები და სიცოცხლე“, „ გარემო, ჯანდაცვა და უსაფრთხოება“, „სერტიფიკაცია და ბიზნესის განვითარება“, „ტრანსპორტი“.

აქვს ISO 9001: 2015-ის შესაბამისად სერტიფიცირებული ლაბორატორია და აკრედიტირებული ნავთობის, გაზის, მინერალებისა და ქიმიკატების სფეროში და მოწმდება ISO 17025-ის შესაბამისად.

გამონწევები

- » IRCA სერტიფიცირებული აუდიტორების ნაკლებობა. პოტენციალი

პოტენციალი

- » GFSI სტანდარტების სფეროში განეული მომსახურების მოცულობის გაზრდა

„ბიურო ვერიტას“ საქართველო

საერთაშორისო ორგანიზაციის „ბიურო ვერიტასის“ ადგილობრივი წარმომადგენელი. „ბიურო ვერიტასი“ არის მსოფლიო ლიდერი ტესტირების, ინსპექტირებისა და სერტიფიცირების სფეროში (TIC), რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურებას და ეხმარება კლიენტებს მოაგვარონ ხარისხის, უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და სოციალური პასუხისმგებლობის სფეროებში არსებული მზარდი პრობლემები.

გამონწვევები

IRCA სერტიფიცირებული აუდიტორების ნაკლებობა.

პოტენციალი

GFSI სტანდარტების სფეროში მომსახურების მოცულობის გაზრდა

შპს „ISO Consulting“ - მენეჯმენტის სისტემების საკონსულტაციო კომპანია.

პროფესიონალი კონსულტანტების, ექსპერტების და აუდიტორების ჯგუფი უზრუნველყოფს კონსულტაციებს, ტრენინგებს და შეფასებას ISO სტანდარტების შესაბამისად.

ISO Consulting გთავაზობთ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის დანერგვისთვის, განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის საჭირო ყველა ინსტრუმენტს და მენეჯმენტის სხვა სისტემებს, მათ შორის, შესაბამის სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას GLOBALG.A.P- ს სტანდარტის მიხედვით.

თანამშრომლობს [Lloyds Registry](https://www.lloydsregistry.com/)-სთან.

გამონწვევები

» სპეციფიკური ტექნიკური ცოდნისა და სპეციალიზაციის მქონე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;

» IRCA სერტიფიკატის მქონე აუდიტორების ნაკლებობა.

პოტენციალი

» GFSI სტანდარტების სფეროში განეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის გაზრდა.

ნათელა ხურციძე - მართვის სისტემების საერთაშორისო ექსპერტი

ნათელა ხურციძე - საერთაშორისო ექსპერტი, კონსულტანტი, აუდიტორი და ტრენერი სურსათის უსაფრთხოების, ხარისხის მენეჯმენტის, გარემოს დაცვისა და მენეჯმენტის სისტემების სფეროში. განხორციელებული აქვს 200 – ზე მეტი წარმატებული სერტიფიცირებული პროექტი კერძო და სახელმწიფო ბიზნესის სექტორისთვის.

გამონწვევები

სერტიფიცირებული პერსონალის და აუდიტორების ნაკლებობა

პოტენციალი

» GFSI სტანდარტების შესახებ IRCA სერტიფიცირებული ტრენინგების საშუალებით მომსახურების და კონსულტანტების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

შპს „STAR Consulting“

2012 წლიდან არის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მენეჯმენტის სისტემების საკონსულტაციო კომპანია.

უზრუნველყოფს ტრენინგს, GAP შეფასებას, მენეჯმენტის სისტემების დანერგვას და საკონსულტაციო მომსახურებას. კარგად იცნობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს. განხორციელებული აქვს პროექტები აზერბაიჯანში, სომხეთსა და ყირგიზეთში.

GLOBALG.A.P. სისტემები სერტიფიცირებულია EUROCERT- სა და SGS Moldova-ს მიერ.

სურსათის უვნებლობის და ხარისხის მენეჯმენტის სისტემების სერტიფიკაციისთვის თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო სერტიფიცირების ორგანიზაციასთან, როგორცაა Bureau Veritas, SGS და ა.შ.

გამონვევები

» სურსათის ბიზნეს ოპერატორების კომპეტენტური ოფიციალური კონტროლის არარსებობა, რაც იწვევს მომსახურების მიმწოდებლებს შორის არაკეთილსინდისიერ კონკურენციას;

» მოსავლის აღების შემდგომი დამუშავებისა და ტექნოლოგიების შესახებ სახელმძღვანელოების არარსებობა;

» გამოცდილების გასაზიარებლად საკონსულტაციო კომპანიებს შორის ქსელური ურთიერთკავშირის და თანამშრომლობის არარსებობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე

პოტენციალი

» GFSI სტანდარტების შესახებ IRCA სერტიფიცირებული ტრენინგების საშუალებით მომსახურების და კონსულტანტების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

» უსაფრთხოების და ხარისხის შესახებ სახელმძღვანელოების შექმნა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით

შპს „GDCI“.

სურსათის უვნებლობის და ხარისხის მენეჯმენტის სისტემების საკონსულტაციო კომპანია. GDCI-ს არსებობის 12 წლის განმავლობაში, კონსულტანტებმა საკონსულტაციო მომსახურება გაუწიეს დაახლოებით 100 საწარმოს და ტრენინგი ჩაუტარეს 2000-ზე მეტ ადამიანს. 2020 წლამდე იყო GLOBALG.A.P.-ის წევრი. იგი ოფიციალურად თარგმნის GLOBALG.A.P.-ის დოკუმენტებს ქართულ ენაზე. კომპანიის საქმიანობა მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის პრინციპები, GMP / GHP, HACCP, შიდა აუდიტის სასწავლო კურსი, საერთაშორისო სტანდარტები (ISO 22000, FSSC 22000, IFS, ISO 9001, GLOBALG.A.P. და ა.შ.)

გამონვევები

» ამ ეტაპზე კომპანიას მნიშვნელოვანი გამონვევა არ აქვს.

პოტენციალი

» GFSI სტანდარტების შესახებ IRCA სერტიფიცირებული ტრენინგების საშუალებით მომსახურების და კონსულტანტების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

შპს „STAR Consulting“

მენეჯმენტის სისტემების საკონსულტაციო კომპანია ბათუმიდან, აჭარა, რომელიც უზრუნველყოფს კონსულტაციის, ტრენინგისა და მენეჯმენტის სისტემის დანერგვას სხვადასხვა სფეროში.

თანამშრომლობს რამდენიმე საერთაშორისო სერტიფიცირების ორგანიზაციასთან, მაგ. IQ-NET.

გამონვევები

» IRCA სერტიფიცირებული პერსონალის და აუდიტორების ნაკლებობა.

პოტენციალი

» GFSI სტანდარტების შესახებ IRCA სერტიფიცირებული ტრენინგების საშუალებით მომსახურების და კონსულტანტების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

შპს „QUADRA CONSULTING“

კომპანია უზრუნველყოფს შეფასებას, დანერგვას, ტრენინგისა და მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტს ISO 9001, ISO 14000, ISO 27000, ISO 45000, ISO 13485 და ა.შ. შესაბამისად.

კომპანია არის მაღალკვალიფიციური და უზრუნველყოფს ISO / IEC 17025 სტანდარტის დანერგვის მომსახურებას ლაბორატორიების აკრედიტაციისთვის.

გამონვევები

» IRCA სერტიფიცირებული პერსონალის და ადგილობრივი აუდიტორების ნაკლებობა.

პოტენციალი

» ISO/IEC 17025 სტანდარტის დანერგვა;
» GFSI სტანდარტების შესახებ IRCA სერტიფიცირებული ტრენინგების საშუალებით მომსახურების და კონსულტანტების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

7.5 ბაზრის ზედამხედველობისა და ინსპექტირების ორგანოები

საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი (GAC) შესაბამისობის შემფასებელი ორგანიზაციისათვის (CAB) გასცემს აკრედიტაციას ISO 17011-ის შესაბამისად, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ინსპექტირების ორგანიზაციის აკრედიტაცია ხორციელდება ISO 17020-ის შესაბამისად. საქართველოში სულ 120 რეგისტრირებული ინსპექტირების ორგანოა, რომელიც მუშაობს სხვადასხვა სფეროში (მაგ. ავტომობილები, ტვირთამწევი მოწყობილობები და ა.შ.) ბაზრის ზედამხედველობისა და ინსპექტირების მთავარ ორგანოს წარმოადგენს სურსათის ეროვნული

სააგენტო (იხ. ნაწილი 7.1). ის უზრუნველყოფს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ცხოველის ჯანმრთელობის და მცენარის სიტანსალის ოფიციალურ ინსპექტირებას და ბაზრების ზედამხედველობას. NFA მოქმედებს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე (საქართველოს კანონი «სურსათის / ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესახებ», 25.05.2012 წლიდან), მაგრამ ჯერჯერობით არ არის აკრედიტებული ISO 17020-ის შესაბამისად. ამჟამად არ არსებობს ოფიციალურად აღიარებული ან

აკრედიტებული ინსპექტირების სხვა ორგანო, რომლის საქმიანობის სფერო დაკავშირებულია ხილის და ბოსტნეულის ან სოფლის მეურნეობის სექტორთან. ეს წარმოადგენს საერთო ხარისხის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან პრობლემას საქართველოში. კერძოდ, არ ხორციელდება ბაზარზე განთავსებული ყველა კატეგორიის პროდუქტის მუდმივი კონტროლი. არ არსებობს ბაზრის ზედამხედველობის სპეციალური ორგანო, რომელიც ოფიციალურად გააკონტროლებს საკვებ პროდუქტებთან შემხებლობაში მყოფი მასალების მწარმოებლებს (როგორცაა NFA).

ბაზრის ზედამხედველობის პროცედურები და დანესებულებების სტრუქტურები არ არის საკმარისად განვითარებული და არ შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. არსებობს ერთი ორგანიზაცია, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), რომელიც სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში ახორციელებს ბაზრის ზედამხედველობას სხვადასხვა სფეროებში, უზრუნველყოფს ტრენინგებს და კონსულტაციებს და იყენებს საქართველოში სურსათის უვნებლობის ასპექტებთან დაკავშირებულ მასალებს.

დაინტერესებული მხარეები	გამონვევები და პოტენციალი
<p>საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)</p> <p>საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაარსდა 1995 წელს, მისი საქმიანობა მოიცავს შემდეგ სფეროებს: თემის განვითარება, კარგი მმართველობის ხელშეწყობა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სოციალური მენარმეობა, ევროინტეგრაცია. CSRDG უზრუნველყოფს ტრენინგებს, კონსულტაციებს და ცნობიერების ამაღლებას. 2019 წელს CSRDG-მ, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, განახორციელა პროექტები - „სურსათის უვნებლობის სფეროში საქართველოში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა“ და „ევროკავშირ-საქართველოს ასოციაციის ხელშეკრულების განხორციელების ხელშეწყობა სანიტარულ და ფიტოსანიტარულ საკითხებში“. ორგანიზაციას აქვს მიმდინარე პროექტი (2019-2021) „საქართველოში სურსათის უვნებლობის გაზრდის შესახებ“.</p> <p>აქტივობების, მიღწეული წარმატების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სოციალურ მედიაში და ვებ- გვერდზე momxmarebeli.ge</p>	<p>გამონვევები</p> <ul style="list-style-type: none"> » თანხების ნაკლებობა სურსათის უვნებლობის მონიტორინგისა და ბაზრის ზედამხედველობის პროგრამების განსახორციელებისათვის <p>პოტენციალი</p> <ul style="list-style-type: none"> » პროექტების განხორციელება, რომლებიც მხარს უჭერენ DCFTA და SPS-ს მოთხოვნების შესრულებას; » მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე პროექტების განხორციელება; » დამოუკიდებელი ზედამხედველობის განხორციელება ბაზარზე

7.6 საგანმანათლებლო დაწესებულებები

საქართველოში უამრავი საგანმანათლებლო დაწესებულება და განყოფილება პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროსთან, როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული განათლების თვალსაზრისით (საქართველოს განათლების სისტემაში არსებული ყველა დაწესებულების ჩამონათვალი იხილეთ MES). უმაღლესი განათლების სფეროში, ოთხი უნივერსიტეტი იკავებს მნიშვნელოვან პოზიციას, ა სტუდენტების შესაძლებლობების გაუმჯობესების და მომზადებაზის მიმართულებით, რათა მომავლაში მათ შეძლონ ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში, განსაკუთრებით შესაბამისობის შემფასებელ ორგანოებში წარმატებით მუსაობა. ეს სასწავლებლებია: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. პირველ ორ უნივერსიტეტში (AUG, GTU) ჩატარდა ინტერვიუ, რათამეტი გაგვეგო მათი კონკრეტული პრობლემებისა და პოტენციალის შესახებ, ხოლო ბოლო ორი უნივერსიტეტი წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაციისთვის და ყურადღება გამახვილებულია ქვეყანაში შესაბამისი პროგრამების არსებობაზე.

ყოველწლიურად, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ამზადებს ბრძანებას უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ (მაგ. # 91 / N), რომლებიც სრულად უნდა დაითვაროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ახალბედებისთვის შერჩეული პროგრამები ძალიან მიმზიდველია. 2020-21 წლებისთვის ბრძანება ვრცელდება შემდეგ ინსტიტუტებზე, შემდეგ სპეციალობებზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ელექტრონიკა და ელექტრონული ინჟინერია; აგრარული ტექნოლოგიები, სასურსათო

ტექნოლოგიები, აგრო-ინჟინერია, ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ქიმია, ბიო-სამედიცინო ინჟინერია და სხვა); ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ფიზიკა, ბიოლოგია); აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ფიზიკა, ბიოლოგია, აგრონომია, კვების პროდუქტების ტექნოლოგია და უსაფრთხოება, აგრო-ინჟინერია, ქიმია, ბიოტექნოლოგია, ხარისხის მენეჯმენტი; სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი (აგრონომია, ეკოლოგია); თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სასურსათო ტექნოლოგიები, ბიოლოგია, აგრონომია); ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები); სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა); გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბიოლოგია). აღსანიშნავია, რომ ბევრი სასწავლო კურსი შეიძლება დაკავშირებული იყოს ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროსთან და ეს ასეა მთელ საქართველოში. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ უახლოეს წლებში შესაფერისი განათლების მქონე, კარგად მომზადებული კურსდამთავრებულები შევლენ QI შრომის ბაზარზე.

უმაღლესი განათლების გარდა, პროფესიულ განათლებაში არსებობს სპეციალიზაციისა და საატესტატო კურსები, რომლებსაც უზრუნველყოფს სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები (კოლეჯები, ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები). საერთო ჯამში, არსებობს 136 კერძო და 45 სახელმწიფო პროფესიული განათლების მომსახურების მომწოდებელი, რომლებიც გვთავაზობენ 620 საკვალიფიკაციო პროგრამას და 409 სერტიფიცირებულ კურსს. მათ შორის 57 არის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, 56 - სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის, ხოლო 156 ინჟინერიის, წარმოებისა და მშენებლობის სფეროებში (პროფესიული განათლების ყველა პროვაიდერის სია). პროფესიული განათლების პროგრამები ორიენტირებულია შრომის ბაზარზე,

გრძელდება ერთიდან სამ წლამდე და მიზნად ისახავს პრაქტიკული უნარების განვითარებას. თუმცა, ზოგადად, პროფესიული განათლება საქართველოში არ არის ძალიან პოპულარული, არსებული პროგრამები არის დაბალი ხარისხის, არ არის პრესტიჟული, არსებობს დისბალანსი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის მსურველთა

და მათ შორის ვინც აბარებს პროფესიულ სასწავლებლებში; ამასთან, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს აქვთ დასაქმების დაბალი შანსი. ქვემოთ, მოხსენებულია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროფესიული სასწავლებელი - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი.

დაინტერესებული მხარეები	გამოწვევები და პოტენციალი
<p>საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (AUG)</p> <p>საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი დაარსდა 1929 წელს და წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროფილის მქონე მთავარ უნივერსიტეტს საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფს ყველა დონის საგანმანათლებლო პროგრამას აგრონომებისა და საკვები პროდუქტების ტექნოლოგიებისთვის. ყველაზე აქტუალურია:</p> <p>საბაკალავრო პროგრამა „სურსათის დამუშავების ტექნოლოგიის“ მიმართულებით, რომელიც მოიცავს სურსათის უვნებლობის, საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების, საკვები პროდუქტების წარმოების ჰიგიენისა და სანიტარიის მოდულებს; მეტროლოგიას, სტანდარტიზაციას, სერტიფიკაციას; ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგიას; და მათ შორის სამაცივრო ტექნოლოგიას.</p> <p>მაგისტრი ‘აგრარული მეცნიერებები სურსათის გადამუშავების ტექნოლოგიის სპეციალიზაციით’, რომელიც მოიცავს მოდულებს, როგორცაა ტექნიკურ-ქიმიური კონტროლის ლაბორატორიული მეთოდები; მათ შორის კვების პროდუქტების ხარისხის კონტროლის მიკრობიოლოგიური მეთოდები.</p>	<p>გამოწვევები</p> <ul style="list-style-type: none"> » აგრონომიის სტუდენტების ნაკლებობა; » კურსდამთავრებულებზე ნაკლები მოთხოვნა; » ბიზნესი მოითხოვს გამოცდილ, და არა ახალგაზრდა სპეციალისტებს. <p>პოტენციალი</p> <ul style="list-style-type: none"> » სრულად აკრედიტებული საუნივერსიტეტო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხარისხის; ინფრასტრუქტურის სფეროსთან დაკავშირებულ ტრენინგებს; » შესაბამისობის თანამედროვე შეფასებაში, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტებში და ა.შ. პრაქტიკული გამოცდილების მქონე რამდენიმე პროფესიონალი (პროფესორი); » პროგრამები მოიცავს ძირითად თემებს, მაგრამ არ არის განახლებული და არ შეესაბამება მოთხოვნებს; » ომუნიკაცია და თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებს შორის და ევროკავშირის კოლეგებთან კ; » საერთაშორისო სემინარებსა და ასპირანტებისთვის განკუთვნილ მოკლევადიან კურსებში მონაწილეობა; » სამუშაო ადგილზე ტრენინგების შეთავაზება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (GTU)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაარსდა 1917 წელს, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახით. პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კავკასიის რეგიონში უზრუნველყოფს პროგრამებისა და კვლევების ფართო სპექტრს.

ინფორმატიკისა და მენეჯმენტის სისტემების ფაკულტეტი: საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, მეტროლოგიის მოდულის ჩათვლით; მეტროლოგიის, სტანდარტიზაციისა და სერტიფიცირების სასწავლო კურსები. ფაკულტეტზე ასევე არის ცენტრი „სტანდარტი“, რომელიც ორგანიზებას უწევს ლაბორატორიებს შორის შედარებებს და უზრუნველყოფს სერტიფიცირების სქემების შემუშავებას.

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი: საბაკალავრო პროგრამა აგრონომიაში, აგროინჟინერიაში, სასურსათო ტექნოლოგიაში; დოქტორანტურა აგრარულ ტექნოლოგიაში, სასურსათო ტექნოლოგიაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აგრონომიის სხვადასხვა სფეროებში.

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი: საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები სურსათის წარმოების ინჟინერიაში; სადოქტორო პროგრამები ქიმიაში, ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში; სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, როგორცაა «ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი», « სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი» და ა.შ

გამონვევები

- » სტუდენტების მხრიდან მოთხოვნის ნაკლებობა, რადგან ძალიან დაბალია ინფორმირებულობა
- » მეტროლოგიის, სტანდარტიზაციისა და შესაბამისობის შეფასების მოთხოვნების მნიშვნელობის შესახებ;
- » თანამედროვე აღჭურვილობის და ტექნოლოგიების ნაკლებობა.

პოტენციალი

- » გაზომვის განუსაზღვრელობის შეფასების შესახებ სხვადასხვა ორგანიზაციისთვის ტრენინგის ჩატარება;
- » ხარისხის ინფრასტრუქტურის შესახებ ცნობიერების ამაღლება (მეტროლოგია, სტანდარტიზაცია, შესაბამისობის შეფასება);
- » ახალგაზრდა პროფესიონალების პრაქტიკული უნარებით და თანამედროვე ცოდნით უზრუნველყოფა; თსუ-სთან შეხვედრა არ გაიმართა, ამიტომ არ არის ჩამოთვლილი მასთან დაკავშირებული გამონვევები და პოტენციალი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პირველი ეროვნული უნივერსიტეტი
კავკასიაში, რომელიც გაიხსნა 1918 წელს,
რომელშიც გაერთიანდა ევროპული
ტიპის ინსტიტუტი და ქართულ
საგანმანათლებლო ტრადიციები.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებების ფაკულტეტი
წარმოადგენს თსუ-ს საგანმანათლებლო
პროგრამებისა და ზუსტი და
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების
კვლევის ძირითად ერთეულს. ის
უზრუნველყოფს საბაკალავრო
და სამაგისტრო პროგრამებს
ფიზიკაში, ბიოლოგიაში,
გამოყენებით ბიომეცნიერებებსა და
ბიოტექნოლოგიებში და სადოქტორო
პროგრამებს ბიოლოგიაში, ქიმიაში,
ფიზიკაში და სხვა.

მედიცინის ფაკულტეტი: თსუ-ს მედიცინის
ფაკულტეტი გთავაზობთ საბაკალავრო,
სამაგისტრო, სადოქტორო
პროგრამებსა და რეზიდენტურას
რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის
საზოგადოებრივ ჯანდაცვაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს
აკადემიურ საგანმანათლებლო და
პროფესიულ პროგრამებს სხვადასხვა
ფაკულტეტებზე, მათ შორის მედიცინაში,
ფარმაციაში, საზოგადოებრივ
ჯანდაცვაში. უზრუნველყოფს
სამაგისტრო და სადოქტორო სწავლებას,
საერთაშორისო და გაცვლით
პროგრამებს, აქვს დიპლომისშემდგომი
სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი
პროფესიული განვითარების ინსტიტუტი.

თსუ-სთან შეხვედრა არ გამართულა,
ამიტომ არ არის ჩამოთვლილი
მასთანდაკავშირებული გამონწვევები და
პოტენციალი.

სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი“

ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი ახორციელებს ხუთ პროფესიულ პროგრამას, კერძოდ, მეხილეობას, მევენახეობა - მეღვინეობას, სასტუმრო მომსახურებას, რძის პროდუქტების წარმოებას, თანამედროვე ინდუსტრიული მიღგომების პრინციპზე დაყრდნობით. სწავლების პროცესში უნარების განვითარება ხდება რეალურ საწარმოო გარემოში (საწარმოში).

კოლეჯი მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამძღვრიანთკარში.

გამონვევები

- » სტუდენტების მხრიდან ინტერესის ნაკლებობა;
- » თანამედროვე აღჭურვილობის ნაკლებობა;
- » თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების ცოდნის ნაკლებობა;
- » ქართულ ენაზე სამეცნიერო და თანამედროვე პრაქტიკული ლიტერატურის ნაკლებობა.

პოტენციალი

- » წარმოდგენილი კურსების ხარისხის გაუმჯობესება, პრაქტიკული აქტივობების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის დანერგვის გზით.

7.7 ხარისხის საექსტენციო მომსახურება

ამ ნაწილში მოკლედ არის აღწერილი ძირითადი დანესებულებები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით, უზრუნველყოფენ ინფორმაციას სურსათის უვნებლობის, ხარისხის მოთხოვნებისა და მასთან დაკავშირებული ხარისხის ინფრასტრუქტურის შესაბამისი მომსახურების შესახებ. მოცემულ კონტექსტში ეს არის დარგობრივი

ასოციაციები (ჩამოთვლილია ნაწილში 5.4), საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია და სხვადასხვა (ფერმერთა) საკონსულტაციო ცენტრები. ასეთ ორგანიზაციებს უჭირავთ ძლიერი პოზიცია საკითხთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების და ხარისხის ინფრასტრუქტურის ადგილობრივ სერვისებზე მოთხოვნის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

დაინტერესებული მხარეები	გამონვევები და პოტენციალი
<p>საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია (GeLab)</p> <p>საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია (GeLab)</p> <p>საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია დაარსდა 2013 წელს. ის უზრუნველყოფს კვალიფიკაციის</p>	<p>გამონვევები</p> <p>» დაგეგმილი საქმიანობების განსახორციელებლად თანხების ნაკლებობა.</p>

შემონშებას, ლაბორატორიათა შორის შედარებებს (PT / ILC), TrainMiC პროგრამის მსგავს და ლაბორატორიების ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამის ტრენინგებს (როგორცაა, ლაბორატორიის ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემის შექმნა (LIMS), სპეციფიურ ალტერნატივასთან მუშაობა, ნარჩენების მართვა და ა.შ.) და ორგანიზებას უკეთებს შეხვედრებს GAC-სა და GeoSTM -ის წარმომადგენლებთან.

საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია უზრუნველყოფს შემდეგ მომსახურებებს: სპეციალური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა; პროფესიული ინფორმაციის გავრცელება (მაგალითად, საერთაშორისო სიახლეები ახალი რეგულაციების, სტანდარტების, ტრენინგების, კონფერენციების და ა.შ. შესახებ). ყველა მომსახურება უფასოა, ხოლო ტრენინგები და ERA PT / ILC-ს ნიმუშების მიწოდება არის ფასიანი.

გასულ წლებში ტრენინგები ტარდებოდა საერთაშორისო სტანდარტების შესახებ (ISO / IEC 17025, ISO15189 და ISO / IEC 17020), რომელიც მოიცავდა სხვადასხვა თემას (სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, შიდა აუდიტები, განუსაზღვრელობის შეფასება, მეტროლოგიური მიკვლევადობა, რისკებზე დაფუძნებული აზროვნება და ა.შ).

საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია თანამშრომლობს საერთაშორისო ასოციაციებთან და ორგანიზაციებთან, როგორცაა : [EURACHEM](#); [ERA](#); [TrainMic](#); [VUP](#), [PTB](#) (განხორციელებული პროექტი “სურსათის ტესტირებისა და მეტროლოგიის შესაძლებლობების გაძლიერება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“, #95097, Mmbz-nr. 2014.2204.7).

პოტენციალი

- » მრავალფეროვანი პროფესიული (კვალიფიკაციის ასამაღლებელი) ტრენინგებისა და ლაბორატორიისთვის აუცილებელი სხვადასხვა მომსახურების შეთავაზება;
- » საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება და თანამშრომლობა (განვერდიანება);
- » საქართველოს ლაბორატორიების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრები (ICCs)

სოფლის განვითარების სააგენტოს სისტემაში შემავალი საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრები ფუნქციონირებენ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში. 2021 წლის მარტში, წარმოდგენილ იქნა ექსტენციისცენტრების განახლებისა და გაუმჯობესების პროექტი. ახალი მიმართულებები : დარგობრივი ცოდნის გაზიარება და აგრარულ სექტორში ინფორმაციაზე წვდომის გაზრდა; ციფრული პლატფორმის შექმნა; MEPA-ს ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან (elibrery.mepa.gov.ge) და ფერმერებისთვის სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთების ერთიან ქსელზე წვდომა.

გამონვევები

- » არაკვალიფიციური ICC პერსონალი;
- » თანამედროვე აგრო ტექნოლოგიურ და სამეურნეო პრაქტიკასთან დაკავშირებული უნარების ნაკლებობა;

პოტენციალი

- » ICC პერსონალის პოტენციალის განვითარება;
- » ევროკავშირის კოლეგებთან კავშირების დამყარება და გამოცდილების გაზიარება;

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრი “აგრო სახლი”

ცენტრი დაარსდა 2014 წელს. იგი მდებარეობს ზუგდიდში და არის დიდი გამოცდილების მქონე სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საექსტენციო მომსახურების უნიკალური მომწოდებელი. ცენტრში არის კომფორტული საოფისე გარემო, სადაც განთავსებულია თანამედროვე ობიექტები (აგრო -ლაბორატორია, აგრო-მაღაზია, ვეტერინარული კლინიკა, ტრენინგ ცენტრი), ასევე ჰყავს პროფესიონალი კადრები. კომპანიას აქვს მოთხოვნაზე ორიენტირებული, მოკლევადიანი ტრენინგების მომზადების გამოცდილება და გთავაზობთ კონსულტაციას შემდეგ სფეროებში, განსაკუთრებით სამეგრელო-ზემო სვანეთში: მეურნეობის და ბიზნესის მენეჯმენტი, ბიზნესის დაგეგმვა, მარკეტინგი, სურსათის უვნებლობა, HACCP და GLOBALG.A.P.

გამონვევები

- » თანხების ნაკლებობა სოფლის მეურნეობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის და პროექტების განსახორციელებლად.

პოტენციალი

- » ადგილობრივი აგრო ექსპერტების განვითარება;
- » რეგიონში საჯარო და კერძო პროვაიდერების პარტნიორობის ხელშეწყობა;
- » დაინტერესებული მხარეებს შორის კავშირების დამყარების ხელშეწყობა.

შპს „აგრო-კომი“

2011 წელს დაარსებული ფერმერთა მომსახურების და ტრენინგის ცენტრი. ამჟამად ისინი უზრუნველყოფენ უამრავ მომსახურებას არამარტო ფერმერებისთვის.

‘აგრო-კომი‘ ფერმერებსა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციებს სთავაზობს ევროპული ხარისხის პროდუქტებს, მათ შორის პესტიციდებს, სასუქებს, აგრო ტექნიკას, სარწყავ სისტემებს, ნერგებს, სათესლე მასალებს, სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებს - ასევე, ფერმერებს სთავაზობს კვალიფიციურ კონსულტაციებს.

გამონვევები

- » თანამედროვე ტექნოლოგიების, რესურსების მდგრადი მართვის, IPM და ა.შ. ცოდნისა და უნარების მქონე პერსონალის ნაკლებობა;
- » სანერგე (გასამრავლებელი) მასალების კონტროლის ნაკლებობა;
- » ნარჩენების მართვის მომსახურების მომწოდებელი კომპანიების ნაკლებობა;
- » მცენარეთა დაცვისთვის განკუთვნილი პროდუქტების პროვაიდერების ოფიციალური კონტროლის ნაკლებობა;

პოტენციალი

- » ნარჩენების მართვის მომსახურების უზრუნველყოფა;
- » მომსახურების სფეროს და ხარისხის გაზრდა.

სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

ინსტიტუტი ფუნქციონირებს 1930 წლიდან. მისი მრავალპროფილიანი კვლევები წარმოადგენს სამხრეთ სუბტროპიკების და ნარჩენების გადამუშავების განვითარებადი ინდუსტრიის უმეტეს ნაწილში ჩაის, ციტრუსისა და სუბტროპიკული ხილის კულტურის მაღალი და სტაბილური მოსავლის წარმოების საფუძველს. ინსტიტუტს აქვს ოთხი ლაბორატორია : საინჟინრო და ტექნოლოგიური ლაბორატორია, მცენარეთა თესლის სელექციის ლაბორატორია, მცენარეთა დაცვის ლაბორატორია, აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია.

გამონვევები

- » მოთხოვნის და სტუდენტების ნაკლებობა;
- » თანამედროვე აღჭურვილობის და ტექნიკის ნაკლებობა

პოტენციალი

- » მოკლე საასპირანტო კურსების შემუშავება;
- » ტრენინგები აგრარული და მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ;
- » ევროკავშირის წარმომადგენელ კოლეგებთან გამოცდილების გაზიარება.

7.8 მიკვლევადობის მომსახურების მომწოდებლები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს სამართლებრივი აქტი მიკვლევადობის შესახებ, არ ხდება მისი სათანადოდ აღსრულება. პირველადი წარმოების დონეზე მიკვლევადობის სისტემა ცუდად არის განვითარებული, დაბალია პირველადი პროდუქტის მიკვლევადობა (კონტროლის ნაკლებობა, არაორგანიზებული ბაზრები და ა.შ.), ასევე ძალიან დაბალია მრავალი

ბიზნესოპერატორის შესაბამისობა, განსაკუთრებით ფერმერების. გარდა ამისა, მხოლოდ ძალიან ცოტა კომპანიას შეუძლია უზრუნველყოს სექტორთან დაკავშირებული მიკვლევადობის პროგრამული უზრუნველყოფა. ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს „იუ-ჯი-თი“-ს მოსავლის აღების აღრიცხვის მობილური აპლიკაცია (HVMS) (იხ. ქვემოთ).

დაინტერესებული მხარეები	გამონვევები და პოტენციალი
<p>შპს „იუ-ჯი-თი“</p> <p>„იუ-ჯი-თი“ საქართველოში ციფრული ტექნოლოგიების სფეროს წამყვანი კომპანიაა, რომელიც ბოლო 20 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა IT სფეროში. დღეისთვის, „იუ-ჯი-თი“ წერგავს სხვადასხვა სექტორზე მორგებულ გადაწყვეტებს, მათ შორის ისეთ სფეროებში როგორცაა, შენობის მართვა, გადახდებისა და ნაღდი ფულის დამუშავება, მზის ენერჯია და ა.შ. მას გააჩნია ტექნოლოგიებისა და კომპეტენციების სრული სპექტრი ორგანიზაციების ციფრული ტრანსფორმაციის უზრუნველსაყოფად. USAID- მა ხელი მოაწერა შეთანხმებას მოსავლის აღების აღრიცხვის მობილური აპლიკაციის (HVMS) შემუშავებაზე, რომელსაც ძირითადად იყენებენ კენკრის მწარმოებლები.</p>	<p>გამონვევები</p> <ul style="list-style-type: none"> » ძირითადი მწარმოებლებისა და ცალკეული სექტორების მხრიდან მოთხოვნის ნაკლებობა. <p>პოტენციალი</p> <ul style="list-style-type: none"> » მიკვლევადობის სექტორული პროგრამების უზრუნველყოფა; » ტექნიკური შესაძლებლობების და გამოცდილების მაღალი დონე.
<p>GS1 Georgia GS1 საქართველო</p> <p>GS1 საქართველო არის ერთ-ერთი GS1- ის 112 წევრ ორგანიზაციას შორის, რომელიც წევრ კომპანიებს ანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომრებს პროდუქციის აღრიცხვიანობის მონესრიგებისა და ელექტრონული ბიზნესის განვითარების მიზნით. GS1 საქართველო მართავს GS1 სისტემას, ანუ გასცემს კომპანიის პრეფიქსს, რომელიც იწყება ქვეყნის კოდით 488 მისი 700-ზე მეტი წევრი კომპანიისთვის. ამ სამი ნომრით იდენტიფიცირებული ქართული პროდუქცია ცნობილია მთელს მსოფლიოში.</p>	<p>გამონვევები</p> <ul style="list-style-type: none"> » შტრიხ-კოდების მაღალი ფასი. <p>პოტენციალი</p> <ul style="list-style-type: none"> » საქართველოში ბევრი მომხმარებელია, რომელიც სხვადასხვა სექტორებს წარმოადგენს.





დასკვნა და რეკომენდაციები

ამ თავში შეჯამებულია წინა თავებთან დაკავშირებული ძირითადი მოსაზრებები დასკვნისა და შედარებითი ანალიზის სახით (ნაწილი 8.1). შემდეგ მოსდევს

რვა რეკომენდაცია სექტორის ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და გაძლიერებასთან დაკავშირებით (ნაწილი 8.2).

8.1 დასკვნა და შედარებითი ანალიზი

წინამდებარე კვლევა ჩატარდა და დაიწერა COVID-19-ის მეორე და მესამე ტალღის დროს, ღრმა გლობალური გაურკვევლობის პერიოდში. პანდემიამ ფუნდამენტურად შეცვალა ყველაფერი, ყველა დონეზე და მასშტაბით, რომელსაც ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე ერთი წლის წინ. პანდემიამ გამოიწვია საქართველოს ეკონომიკის შეჩერება, ხელი შეუწყო ძირითად სექტორებში ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვან შენელებას და თავდაპირველად პროგნოზირებული GDP-ს 5% -იანი ზრდის ნაცვლად გამოიწვია ეკონომიკის 6% -ით შემცირება 2020 წელს (მსოფლიო ბანკი 2021). მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ითვლებოდა ვირუსის შეჩერების სანიმუშო მაგალითად, საქართველოში ძირითადი საკვები პროდუქტების საცალო ფასებმა 2020 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში, წინა წელთან შედარებით განიცადა დიდი პროცენტული ზრდა, რაც ნიშნავს იმას, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკვები პროდუქტების ღირებულება (FAO 2020). სიტუაცია არ გაუმჯობესდა, პირიქით, საქართველომ განიცადა საკვები პროდუქტების ფასების ორნიშნა ინფლაცია (საქსტატი 2021), ხოლო სიღარიბის დონესთან დაკავშირებით მსოფლიო ბანკის უახლესი პროგნოზის მიხედვით, პანდემიისგან მიღებულ ეკონომიკურ შოკს შეიძლება გამოეწვია საქართველოში

350'000 ადამიანის გაღარიბება და შემცირებული მობილობის გამო დაზარალებულიყო 800'000 ადამიანი.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ქვეყნდება მრავალი კვლევა ეკონომიკის აღდგენის გზების შესახებ, ძნელია იმის პროგნოზირება, თუ რას ნიშნავს ეს ყველაფერი გლობალური ბაზრების, საერთაშორისო ვაჭრობის, მოხმარების მოდელისა და ეროვნული ეკონომიკისთვის და, მაგალითად, სხვა საკითხებთან ერთად, გამოჩნდება თუ არა უახლოეს წლებში უფრო რეგიონალიზებული გლობალური ეკონომიკა. ზოგიერთი დამკვირვებლის ვარაუდით, COVID-19, მთელი მომდევნო ათწლეულის განმავლობაში, მოახდენს გავლენას სოფლის მეურნეობის ბაზრებზე (OECD 2020). საქართველოს სოფლის მეურნეობა აღმოჩნდა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი სექტორი, რომელსაც 2020 წლის განმავლობაში ჰქონდა შედარებით მაღალი წარმოება, გაზრდილი ექსპორტი და სახელფასო შემოსავლების მცირე ზარალი (EC 2021b; საქსტატი 2021; მსოფლიო ბანკი 2020c), თუმცა რჩება პასუხგაუცემელი კითხვა, თუ როგორ დააღწევს თავს საქართველო პანდემიის ზეგავლენას და რა გზით მოხდება საქართველოს ეკონომიკის აღდგენა გრძელვადიან პერსპექტივაში და რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე

ამას მთლიანად საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის და კერძოდ ხილისა და ბოსტნეულის სექტორისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ აქ აღვიღო არ აქვს თამამ მოსაზრებებს, მკვლევართა ჯგუფის აზრით, COVID-19 დიდ გავლენას არ მოახდენს საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის სექტორში არსებულ რიგ საკითხებზე, რაც ნაწილობრივ შეიძლება წარმოადგენდეს ორიენტირს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდება მომავალში (დანვრისთვის ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 3 –7).

მიუხედავად წარმოებასა და ვაჭრობაში არსებული შესაძლო სირთულეებისა, ხილსა და ბოსტნეულზე მოთხოვნა დარჩება მაღალი და შესაძლოა გაიზარდოს კიდევ მომხმარებელთა მხრიდან ჯანმრთელობაზე ზრუნვის გამო:

» მყიდველთა მოთხოვნები მაღალი დონის ბაზრებზე, როგორცაა ევროკავშირი, არის მკაცრი და კიდევ უფრო მკაცრდება სურსათის უვნებლობისა და ხარისხის, მიკვლევადობის და გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის თვალსაზრისით.

» მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა, ისევე როგორც მრავალი ინდივიდუალური სურსათის ბიზნესოპერატორი, ცდილობენ მოახდინონ ექსპორტის დივერსიფიკაცია, საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტში ეს დივერსიფიკაცია ჯერ არ განხორციელებულა, არც პროდუქტების და არც მიმართულებების თვალსაზრისით. ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის ძალიან დიდი წილი კვლავ საქართველოს ტრადიციულ სამიზნე ბაზრებზე მიდის, კერძოდ რუსეთში და დსთ-ს სხვა ქვეყნებში, ხოლო ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქართული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი ევროკავშირში ძირითადად თხილთან გათანაბრებული იყო, რაც 2001-2020 წლებს შორის საშუალო წლიური ხილისა და ბოსტნეულის მთლიანი ექსპორტი 97.6%-ს შეადგენდა.

» გარდა თხილისა (და სხვა კაკლოვანი კულტურები), რომელიც მოჰყრობის თვალსაზრისით შედარებით მარტივია და ნაკლებად მოითხოვს სურსათის უვნებლობასა და ხარისხს, საქართველოში ხილისა და ბოსტნეულის ღირებულების ჯაჭვების უმეტესობა აწყდება მსგავს პრობლემებს მაღალი დონის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით: ბევრი სურსათის ბიზნეს ოპერატორების არასაკმარისი ინფორმირებულობა სოფლის მეურნეობის / წარმოების / ჰიგიენის კარგი პრაქტიკის, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მოთხოვნების და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების შესახებ, ამასთან ერთად რესურსების ნაკლებობა ამ მოთხოვნების შესასრულებლად; მაღალი ხარისხის მასალების, მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების და შესაფერისი და ხელმისაწვდომი შეფუთვის გადანყვეტილებების ნაკლებობა; არასაკმარისი ინფორმაცია ბაზრის შესახებ.

» ზემოხსენებული პრობლემების შესამსუბუქებლად, მთავრობის მხარდაჭერის სქემები (მექანიზმები), განვითარების პროექტები და ექსპორტის წარმართველები დიდ დახმარებას უწევენ საქართველოში საკვები პროდუქტების ღირებულების ჯაჭვებს, ხილისა და ბოსტნეულის ჩათვლით, განსაკუთრებით შესაძლებლობების განვითარების, ინვესტიციების თანადაფინანსების, ღირებულების ჯაჭვების მონაწილეებს შორის ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანამშრომლობის და ბაზრის შესაძლებლობების შესწავლის გზით. ამ ინვესტიციების უმეტესობას სჭირდება დრო იმისათვის, რომ გამოიღოს ნაყოფი ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რადგან მრავალწლიანი კულტურები მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იძლევა კარგ მოსავალს და ასევე იმიტომ, რომ განვითარება მოითხოვს დიდ ცოდნას (სიბრძნე, გამოცდილება, ინტუიცია) და ცვლილებებს ქცევაში.

» ასოცირების ხელშეკრულების და მისი განუყოფელი ნაწილის-DCFTA-ფარგლებში, ევროკავშირთან სამართლებრივი

მიახლოება მიმდინარეობს ევროკავშირის მხრიდან ტექნიკური დახმარებისა და სუბსიდიების მხარდაჭერით. შესაბამისად, ევროკავშირის პოლიტიკასთან დასაუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობა წარმოადგენს საქართველოს 2021-2027 წწ. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის მთავარ პრიორიტეტს (MEPA 2019a) იმსამი მიზნიდან, სადაც ერთერთი არის „სურსათის / ცხოველის საკვების უზრუნველყოფა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა“. ეს მიზანი გულისხმობს საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარული მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოებას, ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე მიწოდებული პროდუქტების სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფას, ლაბორატორიული შესაძლებლობების განვითარებას და სოფლის მეურნეობის რესურსების ხარისხის უზრუნველყოფას.

» მიახლოების პროცესი საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს სურსათის ბიზნეს ოპერატორების მიერ სურსათის უზრუნველყოფისა და სხვა მოთხოვნების შესრულებას, უზრუნველყოფს ქვეყანაში სურსათის უზრუნველყოფას და ამავე დროს გაამარტივებს ექსპორტს ევროკავშირის ბაზრებზე (და სხვა მაღალი დონის ბაზრებზე). ამასთან, ფაქტობრივი აღსრულება აწყდება მთელ რიგ პრობლემებს, მათ შორის არის უარყოფითი სოციალური გემოქმედების შიში, სურსათის ბიზნეს ოპერატორების შესახებ არასრული მონაცემთა ბაზა და ბაზრის ზედამხედველობის ძირითადი ორგანოს (სურსათის ეროვნული სააგენტო), აგრეთვე ქვეკონტრაქტორი მომსახურების მომწოდებლების (ლაბორატორიები და ინსპექტირების ორგანოები) შეზღუდული შესაძლებლობები.

» შესაბამისობის შემფასებელი კომპეტენტური ორგანოების (CABs) ძლიერი ხარისხის ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია როგორც კონტროლის, ასევე შესაბამისობის დადასტურების თვალსაზრისით. მაგრამ, შესაბამისობის

შემფასებელი ორგანოები ბევრ სირთულეებს აწყდებიან ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებისა და სურსათის ბიზნეს ოპერატორებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების განვითარების თვალსაზრისით და ამჟამად მოთხოვნის არარსებობის გამო, რაც იწვევს შესაძლებლობების არასაკმარისად გამოყენებას და შეზღუდულ რესურსებს ალტერნატივობასა და ცოდნაში საჭირო ინვესტიციების განხორციელებისთვის.

» გემოქმედებით ფაქტების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ GQSP საქართველოს პროექტი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების გაძლიერებაზე, კარგად ავსებს სხვა მიმდინარე ინიციატივებს, რომლებიც უფრო მეტად ორიენტირებულია ღირებულების ჯაჭვის განვითარებაზე ან სამთავრობო სტრუქტურების ინსტიტუციურ მშენებლობაზე. იმისათვის, რომ განესაზღვროთ შემდგომი განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერვენციები, ისმის კითხვა: სად არის მთავარი პრობლემა სისტემაში?

მე-6 ცხრილში მოცემულია ახალი და დამუშავებული ხილის და ბოსტნეულის - კანონმდებლობისა და საერთო ნებაყოფლობითი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით - საქართველოში პასუხისმგებელი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობებთან ევროკავშირის სურსათის უზრუნველყოფისა და ხარისხის მოთხოვნების შეჯამებული შედარება, ძირითადი პრობლემების დასადგენად. აღნიშნული საფუძვლად უდევს 8.2 ნაწილში წარმოდგენილ რეკომენდაციებს.

ცხრილი 6: ევროკავშირის მოთხოვნებისა და პასუხისმგებელი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების შედარების ანალიზი

მოთხოვნა	პასუხისმგებელი დაინტერესებული მხარეები	პრობლემური საკითხები
<p>მიკვლევადობა (რეგულაცია EC/178/2002): სურსათის ბიზნესოპერატორებს სჭირდებათ ყოვლისმომცველი, ადვილად ხელმისაწვდომი მიკვლევადობის სისტემა, მათ უნდა შეძლონ პროდუქტის უშუალო მიმწოდებლის და შემდგომი მიმღების იდენტიფიცირება. ასევე, მათ უნდა მოახდინონ საკვები პროდუქტების სათანადო მარკირება და თან დაურთონ ნებისმიერი საჭირო დოკუმენტაცია.</p>	<p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: კანონმდებლობის შესაძლო მიღება ევროკავშირის შესაბამისად</p> <p>სურსათის ეროვნული სააგენტო : აღსრულება და ოფიციალური კონტროლი</p> <p>სურსათის ბიზნეს ოპერატორები: შესაბამისობის უზრუნველყოფა</p> <p>მიკვლევადობის სისტემის პროვაიდერების (UGT, GS1 და ა.შ.) და საბუღალტრო პროგრამების პროვაიდერების უზრუნველყოფა. (Orisi, 1C, SuperFin, და ა.შ.).</p> <p>სურსათის უვნებლობის მართვის სისტემების (FSMS) საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო კომპანიები.</p>	<p>საქართველოში არსებობს მიკვლევადობის შესახებ სამართლებრივი აქტი, მაგრამ არ ხდება მისი სათანადოდ აღსრულება.</p> <p>პირველადი პროდუქტების მიკვლევადობის კონტროლის ნაკლებობა (არაორგანიზებული ბაზრები, ქუჩის ვაჭრობა)</p> <p>მრავალი სურსათის ბიზნესოპერატორის, განსაკუთრებით ფერმერთა შეუსაბამობა (დოკუმენტების შენახვის და მიკვლევადობის სისტემების შემზღვევით გამოყენება)</p> <p>პირველადი წარმოებისა და სოფლის მეურნეობისთვის მიკვლევადობის სისტემის და საბუღალტრო პროგრამების ნაკლებობა (ჯერჯერობით არსებობს მხოლოდ „იუ-ჯი-თი“-ს მოსავლის აღების აღრიცხვის მობილური აპლიკაცია)</p>
<p>სურსათის ჰიგიენა (რეგულაცია (EC) 852/2004): სურსათის ყველა ბიზნესოპერატორი, გარდა პირველადი მწარმოებლისა, ვალდებულია გამოიყენოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა (HACCP).</p>	<p>სურსათის ეროვნული სააგენტო: ინსპექტორების მიერ აღსრულების და კონტროლის უზრუნველყოფა</p> <p>სურსათის ბიზნესოპერატორები (განსაკუთრებით მოსავლის აღების შემდეგ): შესაბამისობის უზრუნველყოფა</p> <p>სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის საკონსულტაციო და სერტიფიცირების კომპანიები: შპს „Star consulting“ ,</p>	<p>ევროკავშირის კანონმდებლობა მიღებულ იქნა 2015 წელს და ეტაპობრივი აღსრულება გათვალისწინებულია 2023 წლამდე</p> <p>კვალიფიციური აუდიტორების / ინსპექტორების ნაკლებობის გამო ჯერჯერობით საკმაოდ სუსტია კანონმდებლობის აღსრულება და არარეგულარულია ოფიციალური კონტროლი</p>

<p>მათ მიერ უნდა მოხდეს სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის დანერგვის დადასტურება.</p>	<p>შპს „ISO consulting“, ნათელა ხურციძე - მართვის სისტემების საერთაშორისო ექსპერტი, შპს „QUADRA Consulting“, შპს „ჯი დი სი აი“, შპს „STR consulting“, ბიურო ვერიტას ჯორჯია, შპს „SGS“ და ა.შ.</p>	<p>სურსათის ბიზნესოპერატორების შეუსაბამობა დაბალი ინფორმირებულობისა და საჭირო ინვესტიციების ნაკლებობის გამო</p>
<p>დამაბინძურებლები - პესტიციდები (რეგულაცია (EC) No 396/2005): ევროკავშირის პესტიციდების მონაცემთა ბაზა</p>	<p>სურსათის ეროვნული სააგენტო : აღსრულება და ოფიციალური კონტროლი ევკონტრაქტორ მომსახურების მომწოდებლებთან (ლაბორატორიები)</p> <p>სურსათის ბიზნესოპერატორები (განსაკუთრებით პირველადი მწარმოებლები): შესაბამისობის უზრუნველყოფა</p> <p>ლაბორატორიები:</p> <ul style="list-style-type: none"> » SLA და მულტიტესტი, საერთაშორისოდ აღიარებული ტესტირების მეთოდებით, შესაბამისად: 75 და 55 პესტიციდის ტესტირების შესაძლებლობით; » შპს ღვინის ლაბორატორია: აქვს საერთაშორისო დონეზე აღიარებული ტესტირების მეთოდების ფართო სპექტრი, მაგრამ მომსახურებას სთავაზობს მხოლოდ ღვინის მწარმოებლებს; » სხვა ლაბორატორიები: ძირითადად მუშაობენ GOST-ის მიხედვით, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დაინტერესდა სამომავლოდ თანამედროვე შესაძლებლობებში ინვესტიციის ჩადებით. 	<p>ევროკავშირის კანონმდებლობა მიღებულ იქნა 2016 წელს, მაგრამ ჯერჯერობით არ ხდება მისი აღსრულება, 2020 წლამდე გეგმების მიუხედავად</p> <p>ამჟამად ოფიციალური კონტროლი არ ხორციელდება, რადგან არცერთ მომსახურების მომწოდებელს (ლაბორატორიას) არ შეეძლო და არ სურდა ამის გაკეთება</p> <p>მრავალი სურსათის ბიზნესოპერატორის შეუსაბამობა ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული რეგულაციების ნაკლებობის გამო</p> <p>ლაბორატორიებში ცოდნისა და უნარების ნაკლებობა თანამედროვე მართვის, შერჩევისა და ტესტირების სტანდარტების შესახებ</p> <p>თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აღიარებული ტესტირების სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიული აპარატურის ნაკლებობა</p> <p>ლაბორატორიების შეზღუდული აკრედიტაციის სფერო</p>

		<p>სამუშაო, უახლესი რესურსების ნაკლებობა, როგორცაა ქართულ ენაზე თარგმნილი ძირითადი დოკუმენტები, მონაცემთა ბაზები თითოეულ პროდუქტზე რეგისტრირებული პესტიციდებისა და პესტიციდების MRL-ის შესახებ.</p> <p>ლაბორატორიის მხარდამჭერი მომსახურების ნაკლებობა (მაგალითად, სტანდარტების შესაბამისი მასალების მომწოდებლები, აპარატურის ტექნიკური მომსახურება)</p> <p>მოთხოვნის ნაკლებობა, რაც იწვევს ლაბორატორიული ცოდნისა და უნარების არასაკმარის გამოყენებას</p> <p>საკვალიფიკაციო ტესტირებაში (PT) მონაწილეობის მიღება ძალიან ძვირია.</p>
<p>დამაბინძურებლები - მძიმე მეთალები და მიკოტოქსინები <u>(ევროკომისიის რეგულაცია (EC) No 1881/2006):</u> <u>შეზღუდვები</u> ეხება ტყვიას, კადმიუმის, კალას (დაკონსერვებული საკვები), აფლატოქსინებს, პატულინსა და ოქრატოქსინ A-ს.</p>	<p>სურსათის ეროვნული სააგენტო : აღსრულება და ოფიციალური კონტროლი ქვეკონტრაქტორ მომსახურების მომწოდებლებთან (ლაბორატორიები) ერთად</p> <p>სურსათის ბიზნეს ოპერატორები: შესაბამისობის უზრუნველყოფა</p> <p>ლაბორატორიები: SLA, მულტიტესტი, გ. ნათაძის ლაბორატორია (გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო</p>	<p>ევროკავშირის კანონმდებლობა მიღებულ იქნა 2015 წელს, თუმცა მისი გამოყენება შეზღუდულია.</p> <p>საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეთოდებისა (ჭერჭერობით, ძირითადად GOST-ი) და ტესტირების თანამედროვე აპარატურის ნაკლებობა</p> <p>საკვალიფიკაციო ტესტირებაში (PT) მონაწილეობის მიღება ძალიან ძვირია</p>

	<p>ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ნორმა, ტესტლაბი, ექსპერტიზა+, ეტალონი, ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი, ხარისხის ლაბორატორია</p>	
<p>დამაბინძურებლები - მიკრობიოლოგიური (ევროკომისიის რეგულაცია (EC) No 2073/2005): შეზღუდვები ეხება ლისტერია მონოციტოგენებს (მზა საკვებისთვის), სალმონელასა და ნანლავის ჩხირს.</p>	<p>სურსათის ბიზნეს ოპერატორები: შესაბამისობის უზრუნველყოფა</p> <p>სურსათის ეროვნული სააგენტო : აღსრულება და ოფიციალური კონტროლი ქვეკონტრაქტორ მომსახურების მომწოდებლებთან ერთად (ლაბორატორიები)</p> <p>ლაბორატორიები: ყველა ლაბორატორია რომელთა საქმიანობის სფერო მოიცავს ხილს და ბოსტნეულს, ატარებს მიკრობიოლოგიურ ტესტირებას.</p>	<p>ევროკავშირის კანონმდებლობა მიღებულ იქნა 2015 წელს და საკმაოდ კარგად ხდება მისი აღსრულება</p> <p>ლაბორატორიებისთვის სტანდარტული (დამხმარე) მასალების ნაკლებობა</p> <p>საკვალიფიკაციო ტესტირებაში მონაწილეობის მიღება ძალიან ძვირია</p>
<p>გამოსხივება (დირექტივა 1999/3/EC)</p>	<p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: კანონმდებლობის მიღება</p> <p>სურსათის ეროვნული სააგენტო : აღსრულება და ოფიციალური კონტროლი (ამჟამად არ ხორციელდება)</p> <p>სურსათის ბიზნეს ოპერატორები (განსაკუთრებით, მოსავლის აღების შემდგომი): შესაბამისობის უზრუნველყოფა</p> <p>ლაბორატორიები:</p>	<p>ევროკავშირის კანონმდებლობის მიღება არ არის გათვალისწინებული DCFTA შეთანხმების ფარგლებში</p> <p>არ ხდება გამოსხივების ტესტირება და, შესაბამისად, ქვეყანაში არ ხორციელდება ოფიციალური კონტროლი</p>

<p>მცენარეების სიჯანსაღე <u>(რეგულაცია (EU) 2016/2031</u> და <u>რეგულაცია (EU) 2019/2072</u>): ხილის და ბოსტნეულის უმეტესობა მოითხოვს ფიტოსანიტარულ სერტიფიკატს და ექვემდებარება დოკუმენტურ, იდენტიფიკაციის და მცენარის სიჯანსაღის შემოწმებას ევროკავშირში ჩასვლისთანავე.</p> <p>ევროკავშირის პლატფორმა TRACES იძლევა ოფიციალური სერტიფიკატების განახლების და ონლაინ რეჟიმში ხელისუფლებისგან ვალიდაციის მიღების საშუალებას.</p>	<p>სურსათის ეროვნული სააგენტო და მისი 12 რეგიონალური ოფისი : საკუთარი ფიტოსანიტარი სპეციალისტების მიერ ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის შემოწმება და გაცემა.</p> <p>სურსათის ბიზნეს ოპერატორები: შესაბამისობის უზრუნველყოფა წარმოების მეთოდებთან, შესაფუთ მასალებთან და ა.შ.</p> <p>ლაბორატორიები : SLA, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (SRCA) მცენარეების სიჯანსაღის ლაბორატორიები, შპს „Agro Lab“-ს აქვს ფიტოსანიტარული ტესტირების/დიაგნოსტიკის გარკვეული შესაძლებლობები; ყველა მათგანი არ არის აკრედიტებული და SRCA ლაბორატორიები ძირითადად გამოიყენება სამეცნიერო - კვლევითი მიზნებისთვის</p>	<p>ევროკავშირის კანონმდებლობის მიღება მოხდება 2024 წელს (ევროკავშირის “Twinning” პროექტის მხარდაჭერით) და შემდეგ მოხდება მისი ეტაპობრივად აღსრულება</p> <p>სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარიული ანალიზის გაუმჯობესების საჭიროება, ევროკავშირის რეგულაციებთან სრულად შესაბამისობის მიზნით</p> <p>ყველა დაინტერესებული მხარის მიერ ევროკავშირის ფიტოსანიტარიული მოთხოვნების არცოდნა</p> <p>ფიტოსანიტარიული დიაგნოსტიკისთვის ლაბორატორიების ნაკლებობა</p> <p>მცენარეების სიჯანსაღესთან დაკავშირებულ ბევრ შესაბამის სფეროში ოფიციალური კონტროლის არარსებობა (მაგალითად, გასამრავლებელი მასალები, აგროქიმიკატების გამოყენება და ა.შ.)</p> <p>სურსათის ეროვნული სააგენტო ჯერჯერობით არ არის ჩართული TRACES-ში</p>
---	--	--

<p>მარკეტინგის სტანდარტები <u>(ევროკავშირის განმარტებული რეგულაცია No 543/2011):</u> 10 ახალი ხილისა და ბოსტნეულისთვის არსებობს ევროკავშირის სპეციალური მარკეტინგული სტანდარტები (დანართი I ნაწილი „ბ“), რომლისთვისაც სურსათის ბიზნესოპერატორებმა უნდა წარმოადგინონ შესაბამისობის სერტიფიკატი.</p> <p>სხვა ოფიციალური სტანდარტებია: UNECE სტანდარტები და Codex Alimentarius სტანდარტები.</p>	<p>MEPA ან GeoSTM: კანონმდებლობის / სტანდარტების შესაძლო მიღება</p> <p>სურსათის ეროვნული სააგენტო : აღსრულება და ოფიციალური კონტროლი (მაგრამ, ამჟამად არ მოქმედებს ამ სფეროში)</p> <p>სურსათის ბიზნესოპერატორები: შესაბამისობის უზრუნველყოფა</p> <p>აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიები ორგანოლეპტიკური შეფასებებისთვის: მულტიტესტი, გ. ნათაძის სახელობის ლაბორატორია, ექსპერტიზა+, ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი, ტესტლაბი, ხარისხის ლაბორატორია, ა. ბერიძის სახელობის ლაბორატორია</p> <p>შესაბამისობის შეფასების ორგანოები (CABs) გასცემენ შესაბამისობის სერტიფიკატებს</p>	<p>საქართველოს რეგულაციები არ შეესაბამება ევროკავშირის მარკეტინგის სტანდარტებს და ევროკავშირის კანონმდებლობის მიღება ჯერჯერობით არ არის გათვალისწინებული</p> <p>სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან არ ხორციელდება ოფიციალური კონტროლი</p> <p>დაინტერესებულ მხარეებს შორის ევროკავშირისა და სხვა ოფიციალური მარკეტინგული სტანდარტების შესახებ არასაკმარისი ცოდნა</p> <p>საერთაშორისო / ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი შესაბამისობის სერტიფიკატების გამცემი შესაბამისობის შეფასების ორგანოების ნაკლებობა (ექსპერტიზა+ არის აკრედიტებული, მაგრამ იყენებს GOST სტანდარტებს და სხვა მოძველებულ ნორმატიულ აქტებს)</p>
--	---	---

<p>საკვები პროდუქტების შემადგენლობა (დამუშავებული პროდუქტისთვის):</p>	<p>ამ კვლევის ფარგლებში ეს ასპექტი არ შეფასებულა დეტალურად, რადგან ყურადღება გამახვილებული იყო ახალ ხილსა და ბოსტნეულზე.</p>	
<p>საკვები პროდუქტების გამაუმჯობესებლები (რეგულაცია (EC) No 1332/2008, რეგულაცია (EC) No 1333/2008, რეგულაცია (EC) No 1334/2008); საკვები დანამატები (რეგულაცია (EC) No 1925/2006); და კონკრეტული პროდუქტები (რეგულაცია (EC) No 1925/2006, საბჭოს დირექტივა 2001/113/EC).</p>	<p>სურსათის ეროვნული სააგენტო: აღსრულება და ოფიციალური კონტროლი ქვე-კონტრაქტორი ლაბორატორიების მეშვეობით</p> <p>სურსათის ბიზნესოპერატორები (მწარმოებლები) : შესაბამისობის უზრუნველყოფა</p> <p>ლაბორატორიები</p> <p>FSMS საკონსულტაციო და სერტიფიცირების კომპანიები</p>	<p>ევროკავშირის კანონმდებლობა ნაწილობრივ მიღებულია 2016 წლიდან, მაგრამ არ ხდება მისი სრულად აღსრულება, ხოლო დარჩენილი აქტების მიღება დაგეგმილია უახლოეს წლებში.</p> <p>სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ოფიციალური კონტროლი სრულად არ შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს, ლაბორატორიების არასაკმარისი შესაძლებლობების გამო</p> <p>ლაბორატორიების ნაკლებობა, რომლებიც შეძლებენ საკვები პროდუქტების შემადგენლობის ანალიზს.</p>

<p>საკვებთან კონტაქტში მყოფი მასალები (FCM) (რეგულაცია (EC) No 1935/2004 და კანონმდებლობა კონკრეტული მასალების და ნივთიერებების შესახებ; მიმდინარეობს გადახედვა).</p> <p>დირექტივა 94/62/EC ადგენს ევროკავშირის წესებს შეფუთვისა და შეფუთვის ნარჩენების მართვის შესახებ.</p>	<p>სურსათის ეროვნული სააგენტო: სურსათის ბიზნესოპერატორების მიერ გამოყენებული საკვებთან შემხებლობაში მყოფი მასალების სერტიფიკატების შემოწმება (მაგრამ არა აქტიურად)</p> <p>სურსათის ბიზნესოპერატორები: გამოყენებული დანადგარების, შეფუთვის, ა.შ. შესაბამისობის უზრუნველყოფა</p> <p>შესაბამისობის შემთავსებელი ორგანოები უზრუნველყოფენ საკვებთან შემხებლობაში მყოფი მასალების (FCM) ტესტირებას და სერტიფიკაციას: ხარისხის ლაბორატორია ატარებს პლასტმასში მძიმე მეტალების ანალიზს.</p> <p>საქართველოს სურსათის შესაფუთი მასალების მწარმოებელთა ასოციაცია (PMAG) (შესაფუთი მასალების პირველი ქართული კლასტერი)</p>	<p>ევროკავშირის კანონმდებლობა მიღებულ იქნა 2018 წელს და მისი აღსრულება უნდა მოხდეს 2024 წლისთვის</p> <p>ბაზრის ზედამხედველობის სპეციალური ორგანოს არარსებობა საკვებთან შემხებლობაში მყოფი მასალების მწარმოებლებისთვის (როგორცაა სურსათის ეროვნული სააგენტო) და შესაბამისად ოფიციალური კონტროლის ნაკლებობა</p> <p>სურსათის ბიზნესოპერატორების არასაკმარისი ინფორმირებულობა საკვებთან შემხებლობაში მყოფი მასალების მოთხოვნების შესახებ</p> <p>შესაბამისობის შემთავსებელი ორგანოების ნაკლებობა, რომელიც ჩაატარებდა საკვებთან შემხებლობაში მყოფი მასალების ტესტირებას და გასცემდა შესაბამისობის სერტიფიკატებს</p>
<p>ეტიკეტირება (რეგულაცია (EU) No 1169/2011): პროდუქტთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ ამონაწერის მიღება შესაძლებელია ეტიკეტირების ევროპული საინფორმაციო სისტემიდან</p>	<p>სურსათის ეროვნული სააგენტო: აღსრულება და ოფიციალური კონტროლი საკუთარი ინსპექტორების მიერ</p> <p>სურსათის ბიზნესოპერატორები: შესაბამისობის უზრუნველყოფა</p> <p>სხვადასხვა საკონსულტაციო კომპანიები</p>	<p>ადგილი არ აქვს მნიშვნელოვან ხარვეზებს, რადგან ევროკავშირის კანონმდებლობა მიღებულ იქნა 2016 წელს და მისი აღსრულება საკმაოდ კარგად ხორციელდება</p>

<p>ნებაყოფლობითი სტანდარტები და სერტიფიცირების სქემები (ISO, BRC, IFS, FSSC 22000, GlobalG.A.P+GRASP), ორგანული პროდუქციის და სამართლიანი ვაჭრობის სტანდარტები</p>	<p>საქართველოს სტანდარტები და მეტროლოგია: ოფიციალური (ISO) სტანდარტების თარგმანი და ჩამონათვალი</p> <p>სურსათის ბიზნესოპერატორები: შესაბამისობის უზრუნველყოფა</p> <p>სოფლის განვითარების სააგენტო : დანერგვისა და სერტიფიცირების ფინანსური მხარდაჭერა</p> <p>დონორი ორგანიზაციები, განსაკუთრებით USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა: შესაძლებლობების განვითარება და ფინანსური მხარდაჭერა</p> <p>ორგანული პროდუქტების სერტიფიცირების ორგანო : შპს „კავკასსერტი“</p> <p>სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის (FSMS) საკონსულტაციო და სერტიფიცირების ორგანოები:</p> <p>შპს „Star consulting“, შპს „ISO consulting“, ნათელა ხურციძე - მართვის სისტემების საერთაშორისო ექსპერტი, შპს „QUADRA Consulting“, შპს „ჯი დი სი აი“, შპს „STR consulting“, ბიურო ვერიტას ჯორჯია, შპს „SGS“ და ა.შ.</p>	<p>ძლიერი, მაგრამ არასაკმარისი კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საკონსულტაციო მომსახურებას სურსათის ბიზნესოპერატორებისთვის (მაგ. სოფლის მეურნეობის დარგში სათანადო პრაქტიკის (GAP) შესახებ მცოდნე აგრონომების ნაკლებობა, საშიში მავნებლების ინტეგრირებული მართვა (IPM))</p> <p>აღიარებული სტანდარტების მცოდნე ადგილობრივი აუდიტორების ნაკლებობა</p> <p>აღიარებული სტანდარტების შესაბამისად მოქმედი ადგილობრივი აუდიტორების ნაკლებობა</p> <p>სანდო, სერტიფიცირებული გასამრავლებელი მასალების და მცენარეთა დაცვის საშუალებების ნაკლებობა</p> <p>პირველადი წარმოების დონეზე ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებული ხარვეზები (მაგალითად, რომელსაც მოითხოვს GlobalG.A.P+GRASP, BSCI)</p> <p>ორგანული მეურნეობისთვის, განსაკუთრებით მავნებლების ინტეგრირებული მართვისთვის (IPM) საჭირო ცოდნისა და უნარების ნაკლებობა</p>
---	--	--

საკვებთან შემხებლობაში
მყოფი საიმედო და
სერტიფიცირებული
მასალების
(განსაკუთრებით
შეფუთვის) ნაკლებობა

კარგად დაგეგმილი
და ორგანიზებული
მომარაგების ჯაჭვის და
საწყობების ნაკლებობა.



8.2 რეკომენდაციები

ევროკავშირის - ან სხვა მაღალი დონის ბაზარზე შესასვლელად - ქართული კვების პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდნენ სურსათის უვნებლობის და ხარისხის ძირითად მოთხოვნებს. შესაბამისობის შეფასება არსებითია ამ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადასტურებლად და, შესაბამისად წარმოადგენს კარგად ფუნქციონირებად და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედს. საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურა და შესაბამისობის შეფასების შესაძლებლობები, ზოგადად ითვლება "ცუდად განვითარებულად" სასოფლო-სამეურნეო საკვები პროდუქტების ექსპორტის ჯაჭვების უმეტესობისთვის. სწორედ ამ მიმართულებით GQSP საქართველო-ს პროექტი ხელს შეუწყობს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების და განსაკუთრებით, ტესტირების და საკალიბრო ლაბორატორიების გაძლიერებას, ქართული ხილისა და ბოსტნეულის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევა ფართო მასშტაბის იყო, ის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარებას კონკრეტული, შესაბამისი და განხორციელებადი რეკომენდაციების დადასტურების და არსებითი ბერკეტების საშუალებით, რომელთა მეშვეობითაც საქართველოს აქვს შანსი მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს შესაბამისობის პოტენციალი საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

რეკომენდაციები 1-დან 5-მდე ეხება შემდეგ საკითხებს: (1) საქართველოს ლაბორატორიების ასოციაციის ინსტიტუციური განვითარება; (2) ლაბორატორიებისთვის ტექნიკური, მომსახურების და მენეჯმენტის სისტემის შესაძლებლობების განვითარება; (3) ტრენინგები GFSI-ს მიერ აღიარებულ სტანდარტებსა და სასერტიფიკატო სქემებზე; (4) ლაბორატორიებისთვის შესაბამისი დოკუმენტების ხარისხიანი

თარგმანი; და (5) პესტიციდების სამუშაო მონაცემთა ბაზის შექმნა.

თავისთავად, ხარისხის ინფრასტრუქტურა არ წარმოადგენს სასწრაულო შემდეგ საშუალებას იმისათვის, რომ მოაგვაროს ქართული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტში არსებული ყველა პრობლემა. ყველაზე კომპეტენტური შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები და დოკუმენტების სრულყოფილი თარგმანი არ იქნება საკმარისი მიზნის მისაღწევად, თუ წარმოებისა და მოსავლის აღების შემდგომი პროცესების ხელისშემშლელი ფაქტორი კვლავ იქნება ხილისა და ბოსტნეულის სიმცირე და დაბალი ხარისხი. სურსათის ბიზნეს-ოპერატორების და მათი პროდუქტების შეუსაბამობა არის მთავარი დაბრკოლება, რომელიც დღესდღეობით ზღუდავს საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტს. არსებობს მიმდინარე განვითარების პროექტების დამატების და მხარდაჭერის, სამთავრობო მხარდაჭერის სქემების და სხვა პოტენციური მულტიპლიკატორების აუცილებლობა, რომლებიც მიმართული იქნება საკვები პროდუქტების ღირებულების ჯაჭვის განვითარებაზე (მათ შორის ხილი და ბოსტნეული), რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს საკონსულტაციო-საინფორმაციო მხარდაჭერის და შესაძლებლობების განვითარების დამატებითი ფორმატის უზრუნველყოფის გზით, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მოთხოვნების, განსაკუთრებით, ხარისხის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მომსახურების სფეროში (**რეკომენდაცია 6**).

ფაქტობრივად, ლაბორატორიულ მომსახურებაზე მოთხოვნის ნაკლებობა, სავარაუდოდ წარმოადგენს მრავალი პრობლემის ძირითად მიზეზს, რომელსაც დღეს ქართული ხარისხის ინფრასტრუქტურა აწყდება. მოთხოვნის არარსებობა ნიშნავს, რომ ლაბორატორიები თავს იკავებენ და / ან ვერ ახერხებენ ინვესტირებას თანამედროვე ტექნიკაში, მაგალითად,

რადგან აპარატურის ტექნომსახურება არის პრობლემური, ტექნიკოსებმა არ იციან რუტინული ტესტირების პროცედურები / მეთოდოლოგიები და, შესაბამისად, არსებობს აკრედიტაციის შენარჩუნების და სფეროს გაფართოების პრობლემა. აღნიშნული არ წარმოადგენს სიახლეს, მაგრამ პრობლემის გადაწყვეტა ნაწილობრივდა სექტორის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია მოთხოვნის ასეთ ზრდაზე. ამ მხრივ ცვლილებების ყველაზე ძლიერი მამოძრავებელი არის ევროკავშირის სურსათის უვნებლობის სტანდარტების სწრაფი დანერგვა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში. არსებითად საჭიროა სურსათის უვნებლობის შესახებ კანონმდებლობისა და მასთან დაკავშირებული ოფიციალური კონტროლის განხორციელება, ასევე ამ მიზნით დაინტერესებულ მხარეებთან ერთად აქტიური ლობირება **რეკომენდაცია 7**).

ამჟამად, ოფიციალური კონტროლი სხვადასხვა მიზეზების გამო სათანადოდ არ ხორციელდება და ამის ერთ-ერთი მაგალითია 2021 წელს პესტიციდების ნარჩენების ბოლო შემოწმების გამოტოვება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლაბორატორიული შესაძლებლობების სრულად გამოსაყენებლად ამას სჭირდება ხელშემწყობი გარემო. სწორედ ამიტომ არსებობს მეორე რეკომენდაცია ლობირებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ლობირება ხარისხის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მიზნით **(რეკომენდაცია 8)**. არსებობს საქმიანობის მრავალი სფერო, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის გრძელვადიან განვითარებასთან.

UNIDO-ს ხმა ძალიან მნიშვნელოვანია და მას სავსებით შეუძლია გამოიყენოს როგორც თავისი ინსტიტუციური წონა შემზღვეული პირდაპირი კონტროლის სანცის პოზიციებზე, ასევე თავისი ბერკეტი, რომ უზრუნველყოს ხილსა და ბოსტნეულთან (F&V) მიმართებაში,

ქართული QI სერვისების, ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის, ხელშემწყობი პროგრამის განხორციელებას; და ამით პოტენციურად შექმნას სურსათის სექტორის მოდელი მთლიანობაში.

მიუხედავად იმისა, რომ UNIDO-ს დამოკიდებულებამ ამ საკითხისადმი შეიძლება ზოგიერთს აფიქრებინოს, რომ ასეთი ცვლილება აქტუალურია მხოლოდ ექსპორტის გაზრდის ხელშემწყობის თვალსაზრისით, ეს რა თქმა უნდა, ასევე ხელს შეუწყობს საკვები პროდუქტების უსაფრთხოების გაზრდას შიდა ბაზარზე. ამრიგად, კანონმდებლობის გამოყენება ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად და ამასთან ერთად აუცილებელი გაფართოებული ტესტირება, პირველ რიგში, სარგებელს მოუტანს ქართველ მომხმარებელს. ექსპორტზე ფოკუსირება ხარისხის ინფრასტრუქტურის ობიექტივიდან უნდა იქნას გაგებული, ასევე როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი და შენატანი უფრო უსაფრთხო საკვები პროდუქტების უზრუნველყოფის და მთელს საქართველოში ცხოვრების პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

რეკომენდაცია 1: საქართველოს ლაბორატორიების ასოციაციის (GeLab) ინსტიტუციონალური განვითარება

<p>დასაბუთება</p>	<p>GeLab მიზნად ისახავს საქართველოს ლაბორატორიების და ასევე, ლაბორატორიების მუშაობის გაუმჯობესებით დაინტერესებული სხვადასხვა მხარის გაერთიანებას და მისი წევრებისთვის მრავალფეროვანი მომსახურების უზრუნველყოფას, საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის მიზნით. ასოციაციას ხელმძღვანელობს სფეროს პროფესიონალი და გამოჩენილი ექსპერტი, რომელიც ხელს უწყობს ლაბორატორიის განვითარებას, აწარმოებს მოლაპარაკებებს და კახდენს ლაბორატორიების კოორდინირებას, ასევე ასრულებს ინსტიტუციონალური მესხიერების ფუნქციას. ხილთან და ბოსტნეულთან დაკავშირებული რელევანტური ლაბორატორიების უმეტესობა GeLab-ის წევრია და ბევრმა გამოკითხულმა ლაბორატორიამ გაუსვა ხაზი ასოციაციის მნიშვნელობას, რადგან იგი აერთიანებს ცალკეულ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში მხოლოდ სუსტად ან საერთოდ არ ექნებოდათ ერთმანეთთან კავშირი. ამ ფაქტების გათვალისწინებით, GeLab წარმოადგენს იდეალურ ორგანოს ქართული ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარებისთვის.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ GeLab მნიშვნელოვნად აქტიურია ბოგეერთ სფეროში (მაგალითად, ტრენინგი შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესახებ), ის აწყდება გარკვეულ პრობლემებს კონკრეტული მომსახურების მიწოდების და საერთო ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით.</p>
<p>რეკომენდაციები</p>	<p>GeLab-ის მხარდაჭერა სისტემატური და სრულყოფილი გრძელვადიანი სწავლების გზით, წევრების მოზიდვის და მომსახურების, შიდა და გარე ქსელების და გაფართოების (მაგალითად, დონორი საზოგადოება), კომუნიკაციის (მაგალითად, პროფესიული ვებ-გვერდი, „ლაბორატორიის მოძიების ფუნქციის“ ჩათვლით) და მომსახურების პორტფელის განვითარების და სხვა. სფეროებში.</p> <p>GeLab-ისთვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა შემდეგი მიზნებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> » საჭიროებებზე დაფუძნებული ტრენინგებისა და სწავლების შეთავაზება; » „პრაქტიკის საზოგადოების“ (CoP) პროფესიული ხელშეწყობა; » ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის კარიერის დაწყების გამარტივება (მაგ. დასაქმების ბაზრის (ვაკანსიების) ან კურსდამთავრებულთა სტაჟირების / სამუშაო პლატფორმის საშუალებით); » მაღალი ხარისხის ტექნიკური თარგმანების შესრულება;

	<p>» კვალიფიკაციის შემონახვის და ლაბორატორიათ შორისი შედარების პროგრამებში მონაწილეობის მხარდაჭერა;</p> <p>» ნიმუშების ფართომასშტაბიანი შეგროვების კოორდინაცია საზღვარგარეთ ლაბორატორიებში გასაგზავნად;</p> <p>» სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სფეროში პროდუქტებისა და მომსახურების ერთობლივი შექმნის ხელშეწყობა, მაგ. ტესტირებისთვის საჭირო მოხმარებადი და სტანდარტული მასალები, აპარატურის საკალიბრო და ტესტირების მეთოდების ხარისხის კონტროლი;</p> <p>» კონტაქტების დამყარება და კონსულტაცია მეორადი მძიმე ლაბორატორიული აპარატურის შექმნასთან დაკავშირებით და ა.შ.</p> <p>ქსელური ღონისძიებების ორგანიზება, სადაც QI-ს და ღირებულების ჯაჭვის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ შეხვედრა და ერთმანეთის საჭიროებებისა და მომსახურებების გაცნობა. ქსელური ღონისძიებების ორგანიზება, სადაც ხარისხის ინფრასტრუქტურისა და ღირებულების ჯაჭვის მონაწილე მხარეები შეძლებენ შეხვედრას და მიიღებენ ინფორმაციას ერთმანეთის საჭიროებებისა და მომსახურებების შესახებ.</p> <p>წევრების მიერ ამ სფეროს უმეტესობაზე ექსკლუზიური წვდომა ხელს შეუწყობს წევრი ორგანიზაციების ზრდას და შენარჩუნებას.</p> <p>ქართული ლაბორატორიების გაძლიერებისას GeLab- თან თანამშრომლობა და დარწმუნება იმაში, რომ GeLab - როგორც დანერგულება და „ბრენდი“ უკვე იძენს პოპულარობას ამ ღონისძიებების მეშვეობით.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>GeLab-ი თავს იმკვიდრებს როგორც კომპეტენტური, საყოველთაოდ აღიარებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც აერთიანებს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ხილისა და ბოსტნეულის სფეროში მომუშავე ლაბორატორიებთან და თავის წევრებს უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი, მიზნობრივი და ღირებული მხარდაჭერით. GeLab-ი წარმოადგენს ლაბორატორიების ინტერესებს, ლობირებს და მოლაპარაკებებს აწარმოებს მთავრობასთან, დონორებთან და პროდუქტებისა და მომსახურების მომწოდებლებთან. GeLab- ის გაძლიერება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ხარისხის ინფრასტრუქტურის მთლიანი სისტემის გაუმჯობესებას.</p>
<p>ჩართული მხარეები</p>	<p>საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია (GeLab)</p>
<p>პრიორიტეტი</p>	<p>მაღალი</p>

რეკომენდაცია 2: ლაბორატორიების ტექნიკური, მომსახურების და მართვის შესაძლებლობების განვითარება

<p>დასაბუთება</p>	<p>კვლევა ადასტურებს GQSP საქართველო-ს პროექტის დოკუმენტში (2020: 50 ff) აღწერილ ტესტირებასა და საკალიბრო ქართული ლაბორატორიებში არსებულ პრობლემებს: ლაბორატორიის თანამშრომლებს ხშირად არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარები, მაგ. ნიმუშის შერჩევისა და ანალიზის თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებთან და სამართლებრივ მოთხოვნებთან, თანამედროვე ლაბორატორიული აპარატურის გამოყენებასთან და ტექნომომსახურებასთან, ასევე ეფექტურ, მომხმარებელზე ორიენტირებულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები. ეს პირდაპირ იწვევს სხვა დამატებით პრობლემებს, როგორცაა მიღებული შედეგების არასაიმედოობა, საკვალიფიკაციო ტესტირების შეუსრულებლობა, მომხმარებლების უკმაყოფილება და სხვა.</p> <p>ადგილობრივი ლაბორატორიული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება მნიშვნელოვანია ხილისა და ბოსტნეულის ღირებულების ჯაჭვებისთვის იმისათვის, რომ უზრუნველყონ უსაფრთხო, საიმედო და კონკურენტუნარიანი პროდუქტები, რომლებიც აკმაყოფილებენ როგორც ადგილობრივი, ასევე საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებს.</p>
<p>რეკომენდაციები</p>	<p>GeLab-ის საშუალებით ტესტირებისა და საკალიბრო ლაბორატორიების შესაძლებლობების განვითარება (Train-Mic პროგრამის მსგავსი ტრენინგები, ასევე ინდივიდუალური სწავლება და „პრაქტიკის საზოგადოება“ (CoP), რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:</p> <ul style="list-style-type: none"> » ტესტირებისა და საკალიბრო ლაბორატორიების მართვის სტანდარტი (ISO 17025), რომელიც აუცილებელია აკრედიტაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; » ნიმუშის შერჩევისა და ტესტირების თანამედროვე, საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდები (ISO, BSI და ა.შ.), რომელიც ეხება საკვებ პროდუქტებს, განსაკუთრებით ხილსა და ბოსტნეულს, დამაბინძურებლებს, ასევე დამუშავებული საკვები პროდუქტების შემადგენლობის მოთხოვნებს, საკვებთან შემხებლობაში მყოფ მასალებს, და მარკეტინგის სტანდარტებს, ლაბორატორიების აკრედიტაციის მოცულობის გაზრდის მიზნით; » GOST-დან საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებზე გადასვლა; » ლაბორატორიული პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, როგორცაა ლაბორატორიული ინფორმაციის მართვის სისტემა (LIMS); » თანამედროვე ლაბორატორიული აპარატურის გამოყენება და ტექნომომსახურება;

	<p>» საკვალიფიკაციო ტესტირებასა (PT) და ლაბორატორიათაშორის შედარებებში მონაწილეობა (ILC);</p> <p>» მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების უზრუნველყოფა, როგორცაა ნიმუშების შეგროვება და პროცესების გაციფრულება.</p> <p>შეძლებისდაგვარად, გამოიყენეთ სინერგიები, საქართველოში უკვე არსებულ კურსებზე (მაგ. ადგილობრივი უნივერსიტეტები ან ადგილობრივი კონსულტანტები) და საერთაშორისო დონეზე (ონლაინ ღონისძიებები) ლაბორატორიის თანამშრომლების ჩართვის მიზნით.</p> <p>ყველგან სადაც ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია, გამოიყენეთ ადგილობრივი გამოცდილება და მოინვიეთ გამოცდილი მომხსენებლები საქართველოს უნივერსიტეტებიდან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებიდან, საკონსულტაციო თერმებიდან, გამოცდილი სურსათის ბიზნეს-ოპერატორები და ა.შ.</p> <p>განიხილეთ ვიდეოსთან მუშაობის შესაძლებლობა, რომლის მეშვეობითაც, ვირტუალური ღონისძიებების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება პრაქტიკული ასპექტების ვიზუალიზაცია, ასევე მისი მრავალჯერ გამოყენება და უფრო ფართოდ გავრცელება.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>გაუმჯობესებულია ქართული ლაბორატორიების ტექნიკური, მომსახურების და მართვის კომპეტენცია ხილთან და ბოსტნეულთან მიმართებაში. ისინი აფართოებენ თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აღიარებული მომსახურების სპექტრს, რომელიც აკმაყოფილებს ხილის და ბოსტნეულის ბიზნეს ოპერატორების მოთხოვნებს.</p>
<p>ჩართული მხარეები</p>	<p>საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია, ქართული ლაბორატორიები და ქართველი ექსპერტები (ყველაზე აქტიუალური ჩამოთვლილია მე-7 თავში), საერთაშორისო ექსპერტები</p>
<p>პრიორიტეტი</p>	<p>მაღალი</p>

რეკომენდაცია 3: ტრენინგები GFSI– ს მიერ აღიარებულ სტანდარტებსა და სასერტიფიკატო სქემებზე

<p>დასაბუთება</p>	<p>ამჟამად, საქართველოში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის სერთიფიცირებაზე მოთხოვნა ხილისა და ბოსტნეულის სექტორში ძალიან დაბალია. მიუხედავად ამისა, თუ აუცილებელია ყურადღების გადატანა უფრო შემდგარი ბაზრებიდან, როგორცაა რუსეთი, უფრო მაღალი დონის ბაზრებზე, როგორცაა ევროკავშირი, გალფის ქვეყნები და იაპონია, სადაც სერთიფიცირებული პროდუქტები შეადგენენ მნიშვნელოვან წილს, მაშინ ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც არ უნდა იყოს უგულებელყოფილი.</p> <p>ზოგიერთმა ადგილობრივმა კომპანიამ დაიწყო თავისი პორტფელის განვითარება ამ მიმართულებით და ზოგიერთმა საერთაშორისო სერთიფიცირების ორგანიზმს შექმნა ადგილობრივი ფილიალი, მაგრამ საქართველოში სერთიფიცირების შესაძლებლობები ჯერ კიდევ ძალიან შეზღუდულია. სერთიფიცირებული აუდიტორების საერთაშორისო რეესტრში (IRCA) რეგისტრირებული ადგილობრივი სერთიფიცირების ორგანიზაციების და აუდიტორების ნაკლებობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა Covid-19-თან დაკავშირებული თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის დროს.</p>
<p>რეკომენდაციები</p>	<p>უკვე არსებული სერთიფიცირების ორგანიზაციების, ადგილობრივი სურსათის უვნებლობის და ხარისხის მართვის კონსულტანტების, საექსტენციო მომსახურების მომწოდებლების და სხვა პოტენციური დაინტერესებული მხარეებისთვის (მაგალითად, სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები) სერთიფიცირებული IRCA ტრენინგების ორგანიზება სურსათის უვნებლობის გლობალური ინიციატივის მიერ აღიარებული სტანდარტების და სერთიფიცირების სქემების შესახებ (GFSI) (FSSC 22000, BRC, IFS, SQF, GlobalG.A.P).</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>დაინტერესებულ მხარეებს უკეთესი შესაძლებლობები სტანდარტები და შესაბამისად, უზრუნველყოფენ უფრო მრავალფეროვან და თანმიმდევრულ საკონსულტაციო/საექსტენციო/სასერტიფიკატო მომსახურებას სურსათის ბიზნეს-ოპერატორებისთვის. ტრენინგებზე ერთობლივი დასწრება აუმჯობესებს დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთკავშირს.</p>
<p>ჩართული მხარეები</p>	<p>სერთიფიცირებული IRCA ტრენინგების მომწოდებლები; სერთიფიცირების ორგანიზაციები, საკონსულტაციო კომპანიები, საექსტენციო მომსახურების მომწოდებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები (მაგალითად, სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები).</p>
<p>პრიორიტეტი</p>	<p>საშუალო</p>

რეკომენდაცია 4: ლაბორატორიებისთვის შესაბამისი დოკუმენტების ხარისხიანი თარგმანი

<p>დასაბუთება</p>	<p>სწორი, აღიარებული ტესტის შედეგების მისაღებად, საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის სტრუქტურებმა / ლაბორატორიებმა თავიანთი საქმიანობა უნდა შეუსაბამონ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტულ მეთოდოლოგიებს (მაგ. ISO, BSI, EPA) და თავიანთი აპარატურა დანიშნულებისამებრ გამოიყენონ.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ DCFTA–სთან დაკავშირებული ევროკავშირის ძირითადი კანონმდებლობა თარგმნილია პროფესიონალურ დონეზე, კარგად არის ცნობილი და ადვილად ხელმისაწვდომია, ეს არ ეხება ლაბორატორიული ტესტირების სტანდარტული მეთოდოლოგია დიდ ნაწილს და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს, როგორცაა შესაბამისი სახელმძღვანელოები და აღჭურვილობის ინსტრუქციები. ეს დოკუმენტები ან საერთოდ არ არის ნათარგმნი, ან მიღებულია მხოლოდ სატიტულო გვერდის თარგმანის სახით (GeoSTM–ის ამჟამინდელი პრაქტიკა), ან ცუდად არის ნათარგმნი არა ტექნიკურ ენაზე, რაც ართულებს მათ ფაქტობრივ გამოყენებას. ეს იწვევს ლაბორატორიების შეზღუდულ წვდომას მნიშვნელოვან ინფორმაციასთან, გაუგებრობებს და შეცდომებს ტესტირების განხორციელებისას.</p>
<p>რეკომენდაციები</p>	<p>GeLab-ის დახმარებით ჩაატარეთ მოკლე გამოკითხვა 7.3-ე ნაწილში ჩამოთვლილ ლაბორატორიებთან იმისათვის, რომ განისაზღვროს ის მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთა თარგმანიც აუცილებელია.</p> <p>ხელი შეუწყეთ GeoSTM–ს ორიგინალი ენებიდან (ძირითადად ინგლისურიდან, გერმანულიდან) ქართულ ენაზე ოფიციალური სტანდარტების პროფესიონალურ, ტექნიკურ და მაღალხარისხიან თარგმანში.</p> <p>ხელი შეუწყეთ GeLab–ს ორიგინალი ენებიდან ქართულ ენაზე არაოფიციალური დოკუმენტების პროფესიონალურ, ტექნიკურ და მაღალხარისხიან თარგმანში (მაგ. სტანდარტების დანერგვის სახელმძღვანელო პრინციპები, სახელმძღვანელოები აპარატურის გამოყენების შესახებ).</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ქართულ ენაზე შესაბამისი დოკუმენტების არსებობა აუმჯობესებს გაგებას და ამცირებს გაუგებრობას საერთაშორისო სტანდარტის მეთოდოლოგიის დანერგვის, ლაბორატორიული აღჭურვილობის გამოყენების და ა.შ. თვალსაზრისით. ყოველივე ამის საშუალებით ჩვენ ვიღებთ უფრო საიმედო, საერთაშორისოდ აღიარებულ ტესტირების შედეგებს.</p>
<p>ჩართული მხარეები</p>	<p>GeLab, GeoSTM, პროფესიონალი თარგმნები</p>
<p>პრიორიტეტი</p>	<p>მაღალი</p>

რეკომენდაცია 5: პესტიციდების სამუშაო მონაცემთა ბაზის შექმნა

<p>დასაბუთება</p>	<p>ევროკავშირის კანონმდებლობა მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათში და ცხოველის საკვებში პესტიციდების ნარჩენების ზღვრულ დონეების შესახებ (რეგულაცია EC 396) მიღებულ იქნა საქართველოში 2016 წელს (რეგულაცია N623) და ძალაში უნდა შესულიყო 2020 წლის იანვრიდან, თუმცა ჯერ კიდევ მოლოდინის რეჟიმშია. ამ მხრივ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს პესტიციდების სამუშაო მონაცემთა ბაზის არარსებობა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ნარჩენების ზღვრული დონის მოპოვება თითოეული პროდუქტის 600-ზე მეტი გამოსაყენებელი პესტიციდისთვის. ამჟამად, მთელი ინფორმაცია შეგროვებულია ხუთ pdf ფაილში, რომელიც შეადგენს რამდენიმე ასეულ გვერდს და განთავსებულია ვებგვერდზე matsne.ge. ამ ფაილების ნაწილი არის სკანირებული და არ იძლევა ძიების ფუნქციის გამოყენების საშუალებას. ამიტომ, ლაბორატორიებისთვის, სურსათის ბიზნეს-ოპერატორებისთვის ან სხვა მომხმარებლებისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია ამ დოკუმენტების რაიმე სახით გამოყენება.</p>
<p>რეკომენდაციები</p>	<p>თითოეული პროდუქტის პესტიციდების ნარჩენების ზღვრული დონის სამუშაო მონაცემთა ბაზის შემუშავება უკვე მიღებული ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად (ევროკავშირის პესტიციდების მონაცემთა ბაზის მსგავსი), (ავტომატური) განახლების ინსტრუმენტის ჩათვლით. ამ მონაცემთა ბაზის განთავსება შესაძლებელია mast-ne.ge- სა და სხვა ვებგვერდებზე, რომლებსაც ხშირად იყენებენ ლაბორატორიები და სურსათის ბიზნეს-ოპერატორები.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პესტიციდების სამუშაო და განახლებული მონაცემთა ბაზა აადვილებს პესტიციდების შესახებ რეგულაციების გაგებას, სწორად გამოყენებას და რეგულაციის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.</p>
<p>ჩართული მხარეები</p>	<p>MEPA, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების კომპანია</p>
<p>პრიორიტეტი</p>	<p>მაღალი</p>

რეკომენდაცია 6: სურსათის ბიზნეს-ოპერატორების ცნობიერების ამაღლება მულტიპლიკატორების საშუალებით

<p>დასაბუთება</p>	<p>განვითარების მარავალი პროექტი და მთავრობის მხარდაჭერის სქემა ორიენტირებულია სურსათის ღირებულების ჯაჭვის განვითარებაზე (მათ შორის ხილი და ბოსტნეული) და სისტემური პრობლემების გადაწყვეტას ახდენს ღირებულების ჯაჭვის დაფინანსების, ღირებულების ჯაჭვის მონაწილეთა შესაძლებლობების გაუმჯობესების, ინსტიტუციური განვითარების და ა.შ. გზით. ამრიგად, ყურადღება გამახვილებულია წარმოების, გადამამუშავებისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდებზე, ხოლო რაც შეეხება სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მოთხოვნებს - როგორც სამართლებრივ ვალდებულებებს, ასევე ნებაყოფლობით საერთაშორისო სტანდარტებს - არ ხდება მათი სრულად განხილვა და განსაკუთრებით, იშვიათად ეხება ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურებას. იგივე შეიძლება ითქვას სექტორულ ასოციაციებზე, საექსტენციო მომსახურების მომწოდებლებზე და სურსათის ბიზნეს-ოპერატორების სხვადასხვა ონლაინ რესურსებზე. ამავე დროს, წინამდებარე კვლევამ დაადასტურა, რომ ამ სფეროში ბევრი დაინტერესებული მხარე ნაკლებად არის ინფორმირებული, რაც ხელს უშლის წამყვანი ბაზრების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას და წარმატებულ გაყიდვებს.</p> <p>აუცილებელია ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსება და დაინტერესებული სამთავრობო უწყებების, განვითარების პროექტების განმახორციელებლებისა და მულტიპლიკაციის პოტენციალის მქონე სხვა დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება და მათი მხარდაჭერა ეფექტური თანამედროვე ფორმატების შექმნის გზით, რომელთა საშუალებითაც მოხდება სურსათის ბიზნეს-ოპერატორების ცნობიერების ამაღლება და გაიზრდება მოთხოვნა (გაუმჯობესებულ) ადგილობრივ ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურებაზე.</p>
<p>რეკომენდაციები</p>	<p>მულტიპლიკაციის მაღალი პოტენციალის მქონე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონტაქტების დამყარება: ხილისა და ბოსტნეულის სექტორში ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების პროექტების განმახორციელებლებთან (არასრული სია მოცემულია ნაწილში 5.5), სახელმწიფო დაწესებულებებთან, რომელთა თანამშრომლები უშუალო კონტაქტში არიან სურსათის ბიზნეს-ოპერატორებთან (მაგ. სოფლის განვითარების სააგენტო), სექტორულ ასოციაციებთან და ექსტენციის სამსახურებთან (მაგ. AGRO-COM და Kalo). სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მოთხოვნების, ასევე ხარისხის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მომსახურების წინა პლანზე წამოწევა და მხარეთა შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და პოტენციური საჭიროებების სიღრმისეულად შესწავლა.</p>

სურსათის უვნებლობისა და ხარისხის, ასევე ხარისხის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სერვისების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა და საკონსულტაციო მხარდაჭერის შეთავაზება, მაგალითად, მათი დაკავშირება შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან და წყაროებთან (ვებგვერდები, მოხსენებები, პუბლიკაციები და ა.შ.), სადაც წარმოდგენილი იქნება საკითხთან დაკავშირებული თემები, და ა.შ. მულტიპლიკაციის ყველაზე მაღალი პოტენციალის მქონე სურსათის ბიზნეს-ოპერატორებზე ფოკუსირება კერძოდ, რესურსების მომწოდებლებზე (აღმავალი) და მოვაჭრეებზე (დაღმავალი).

საკუთარი GQSP ფორმატის (ფორმატების) შემუშავების განხილვა, როგორცაა სასწავლო ცენტრი (ები), სახელმძღვანელო(ები) ან ვიდეო(ები), რომელიც შეავსებს ზემოთ აღნიშნული მონაწილე მხარეების შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს. ასევე შესაძლებელია მათი პოპულარიზაცია ინტერნეტის საშუალებით (პროექტის ვებგვერდები, [Agronavti](#), [crop2shop.ge](#), [Trade with Georgia](#), [Agro Library](#), [momxmarebeli.ge](#) etc.).

საკმაოდ **ზოგადი შინაარსის გარდა** (სამართლებრივი მოთხოვნებისა და სხვა ზოგადი სტანდარტების მიმოხილვა, პესტიციდების ახალი მონაცემთა ბაზა, ხარისხის ინფრასტრუქტურის რუკა, ლაბორატორიები და მათი ტესტირების სერვისები, მათ შორის «ლაბორატორიების ძიების ფუნქცია», საკონსულტაციო ფირმები და სერტიფიცირებისორგანოები და მათი სერვისები), **მნიშვნელოვანი საკითხი**, სადაც შესაბამისმა ღონისძიებებმა შეიძლება დაიკავოს გარკვეული ნიში არის საწყობის მართვა და განსაკუთრებით სხვადასხვა ხილის და ბოსტნეულის შენახვასთან დაკავშირებული მოთხოვნები (კონტროლირებადი ატმოსფერო, ტემპერატურა, ტენიანობა, დრო და ა.შ.).

GeLab- ის გარდა, საკუთარი ფორმატების შემუშავების **პოტენციური** პარტნიორები შეიძლება იყვნენ საქართველოს ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA) ან საკონსულტაციო კომპანია, რომელიც მუშაობს ღირებულების ჯაჭვის და ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების ინტერფეისზე.

**მოსალოდნელი
შედეგი**

სურსათის ღირებულების ჯაჭვის განვითარების პროექტის განმახორციელებლები, სახელმწიფო მოხელეები, სექტორული ასოციაციები და მათი საშუალებით, სურსათის ბიზნეს-ოპერატორები უკვე არიან ინფორმირებული სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მოთხოვნების, და მასთან დაკავშირებული ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურების შესახებ. ეს ხელს უწყობს ღირებულების ჯაჭვის მონაწილეთა მიერ მოთხოვნების შესრულებას, ამცირებს მათ სამუშაო ხარჯებს ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურების მომწოდებლების მოძიებაში, ქმნის მოთხოვნას ადგილობრივ ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურებებზე და აადვილებს ქართული პროდუქციის ექსპორტს მაღალი დონის ბაზრებზე.

**ჩართული
მხარეები**

სურსათის ღირებულების ჯაჭვის განვითარების პროექტების განმახორციელებლები; სოფლის განვითარების სააგენტო და მათი თანამშრომლები; სექტორული ასოციაციები; საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია; ექსპორტის განვითარების ასოციაცია და/ან საკონსულტაციო კომპანია, რომელიც მუშაობს ღირებულების ჯაჭვის და ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების ინტერფეისზე.

პრიორიტეტი

საშუალო

რეკომენდაცია 7: სურსათის უვნებლობის შესახებ კანონმდებლობისა და ინსპექტირების განხორციელების ლობირება

<p>რეკომენდაციები</p>	<p>UNIDO- ს, GQSP საქართველოს მეშვეობით, სხვა ეროვნულ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან ერთად (გაეროს ორგანიზაციები, დონორები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები, CBO და ა.შ.) შეუძლია პასუხისმგებელ ორგანოებს შორის ლობირება შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:</p> <ul style="list-style-type: none"> » სურსათის უვნებლობის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობის თანდათანობითი, მაგრამ მდგრადი აღსრულება, კარგად გააზრებულ და ფართოდ მხარდაჭერილ სამოქმედო გეგმებთან ერთად, რომელსაც თან უნდა ერთოდეს სოციალური ღონისძიებები მცირე სურსათის ბიზნეს-ოპერატორებისთვის; » სურსათის ბიზნეს-ოპერატორების სრული მონაცემთა ბაზის შემუშავება, მათ შორის მეურნეობების სრული რეგისტრაცია; და » ოფიციალური შემოწმებების განხორციელება, როგორც დაგეგმილი ასევე დაუგეგმავი, სურსათის ეროვნული სააგენტოს და სხვადასხვა ქვე-კონტრაქტორი მომსახურების მომწოდებლების საშუალებით. <p>ერთობლივი პოლიტიკის პროპაგანდის და ლობირებისთვის, UNIDO / GQSP საქართველო უნდა გახდეს სხვადასხვა ქსელისა და ალიანსის წევრი, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაზე, მაგალითად: სამოქალაქო კომიტეტი და საქართველოს სოფლის განვითარების ქსელი (GRDN), საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ალიანსი (GAARD).</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>სურსათის უვნებლობის შესახებ კანონმდებლობის, აგრეთვე სურსათის ბიზნეს-ოპერატორების ინსპექტირების განხორციელება უზრუნველყოფს უსაფრთხო საკვებ პროდუქტებს მომხმარებლებისთვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ და ზრდის მოთხოვნას ადგილობრივი ლაბორატორიების მომსახურებაზე. ადგილობრივი სურსათის ბიზნეს-ოპერატორების მხრიდან მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა აადვილებს გაყიდვებს როგორც მაღალი დონის საექსპორტო ბაზრებზე, ასევე ადგილობრივ ბაზარზე.</p>
<p>ჩართული მხარეები</p>	<p>MEPA / NFA, NAPR, GeLab</p>
<p>პრიორიტეტი</p>	<p>მაღალი</p>

რეკომენდაცია 8: ხარისხის ინფრასტრუქტურის (QI) შემდგომი განვითარების ლობირება

<p>დასაბუთება</p>	<p>არსებობს საქმიანობის მრავალი მნიშვნელოვანი სფერო ქართული ხარისხის ინფრასტრუქტურის გრძელვადიან განვითარებასთან მიმართებაში. ეს ასპექტები გარკვეულწილად უნდა განხორციელდეს ლობირების გზით და საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ფარგლებში.</p>
<p>რეკომენდაციები</p>	<p>აღრეულ ეტაპზე ხარისხის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების სამოქმედო გეგმის განხორციელება, რადგან ეს ხელს შეუწყობს საქმიანობებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას. სამოქმედო გეგმის საშუალებით ასევე შესაძლებელი იქნება გარკვეული ასპექტების განხორციელება ლობირების, სამთავრობო ან განვითარების ინიციატივებში მონაწილეობის ან ზოგიერთი ძირითადი პროცესების (თანა) ინიცირების და (თანა) ხელშეწყობის გზით.</p> <p>გრძელვადიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, ქართული ხარისხის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისთვის გათვალისწინეთ შემდეგი სამოქმედო სფეროები:</p> <p>» ქართული ხარისხის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების სტრატეგია: მიუხედავად იმისა, რომ არსებობს GeoSTM და NFA-ის ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიული დოკუმენტები, როგორც ჩანს არ არსებობს CAB ან QI-ის განვითარების თანამედროვე სტრატეგია (საკვები პროდუქტების სფეროში, მათ შორის ხილის და ბოსტნეულის). UNIDO-სა და GQSP საქართველოს შეუძლიათ ასეთი ხედვის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების ლობირება / ინიცირება / (თანა) ხელშეწყობა / მხარდაჭერა, და ყოველივე ამასთან, ასევე იმ პუნქტების გათვალისწინება, რომლებიც ქვემოთაა წარმოდგენილი.</p> <p>» (აკრედიტებული) ლაბორატორიული მომსახურების გაზრდილი სფერო: გათვლების ანალიზმა აჩვენა, რომ პესტიციდების ნარჩენების და სხვა დამაბინძურებლების ტესტირების შეზღუდული შესაძლებლობების გარდა, არ არსებობს რადიაციის, მცენარეთა სიჯანსაღის, დამუშავებული საკვები პროდუქტის შემადგენლობისა და საკვებთან შემხებლობაში მყოფი მასალების ტესტირების შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, საჭირო იქნება ლაბორატორიების შესაძლებლობების შემდგომი განვითარება (GeLab-ის საშუალებით).</p> <p>» სპეციალური ლაბორატორიული აპარატურის შექმნა: ამჟამად, არც ერთ ქართულ ლაბორატორიას არ შეუძლია პესტიციდების ნარჩენების მთელი სპექტრის ტესტირება საერთაშორისოდ აღიარებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ხუთი ლაბორატორია დაინტერესებულია საჭირო სპეციალურ აპარატურაში</p>

ინვესტიციის ჩადებით, მაგრამ ვერ რისკავენ დაბალი მოთხოვნის და საბანკო სესხებზე მაღალი პროცენტული განაკვეთის გამო. MEPA და MoEDA უნდა შეთანხმდნენ სამთავრობო საკრედიტო ხაზის შექმნაზე, აპარატურის დაბალი საპროცენტო განაკვეთით შეძენასთან დაკავშირებით (მსგავსია ისეთი დამხმარე სქემებისა, როგორცაა „დანერგე მომავალი“). მას ასევე შეუძლია გირჩიოთ უფრო დიდი მოცულობის პროგრამები იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ ლაბორატორიებს დაეხმაროთ და სახის აპარატურით. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნება მოლაპარაკებები IAEA-სთან, ასევე კერძო სექტორის მხარდაჭერის მიზნით (იხ. ProDoc 2020: 63).

